

ტომი №42 ბესიკ ხარანაული

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

შალვა დადიანი

1168
2010

თემა

ერთ დღეში გათხოვილები

**ვისზე იეჭვიანა
გვანცა დარასელიას
მეუღლე**


**ანუ რა შემთხვევაში
მიჰყვება ძალი ცოლად
პირველსავე შემხვედრს**

**ქართული საგანგებო დახმავად
სომხებს დაპირისპირებული
უპრაინელი ძალბაზონი**



**„უწმინდესმა მას
ბოლნისის სიონი
გადაამრჩინელი უწოდა“**

„გზა“ – ყველაზე მაღალბირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!




**ბავები, რომლებსაც
ჩვენსაკენ
შეყვანილი
„გარეგლად“
დადგან...**



**სურვილების ასდენის
უსწავური მეთოდი**

**„მე და თიკა ვამბურია
ქინაღა დავისტყვიო“**




**კარლო სკანდალიძის
ცხოვრების გზა**

**...და გზაინელი, რომელიც
მე უწოდებდა დაპროტოვა**

franco fontana

italy



აქვენი საუკეთესო მატარებელი

ოქროსა და ვერცხლის სამაულებიანი დიდი არჩევანი
franco fontana -ში



რუსთაველის 26
☎ 18-10-47



ვაჟიშვილის 7
☎ 30-65-56



ჭავჭავაძის 21
☎ 18-10-46



დავით აღმაშენებლის 7
(ქარაზსულა)

ფასდახატვა 10-25%

შეუღებო ქაღალდი! შეუღებო 10 დღე!

ბარონის სამკვნივე ფილათა სუკერობათ!

Baron

CHOCOLATE

dark

სამკვნივე





New velvet
taste of chocolate
100g

Baron

New velvet
taste of chocolate
100g

New velvet
taste of chocolate
100g

ინდური რესტორანი
„პატარა ინდოეთი“
გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ
წელს და გეპატიჯებთ ინდურ
ტრადიციულ კერძებზე!



ასევე გთავაზობთ სამარხვო მენიუს და სახლში მიტანის სერვისს.
ჩვენთან გელით სასიამოვნო გარემო და ინდური მუსიკა...


მისამართი: ხანდულაჟის №23, საკონტაქტო ნომერი: 890 526 999;



წიგნი

**„50 წიგნის“ სერიის უკიდურესი ნაწილი! „ხუთი წიგნი“ და მიღეთ
ბეჭდვით „ხუთი წიგნი“ 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელფოსტა: book@book.com**

წიგნის უნდა
წაიხიოთ,
სანამ ცოცხალი ხარ!



წიგნი 4 ალექსანდრე დიუმა „სამი მუშაბარი“ ტომი I

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერთ
და სპეციალური სანიშნით



**27 20-დან -
ლუკმბრამდე!**

მხოლოდ „კვირის პალიგრის“
მკითხველისთვის წიგნის
სპეციალური ფასი - 7 ლარი

**3-დან -
10 იანვრამდე!**

ბეჭდუ!

ბეჭდუ!



ალექსანდრე დიუმას
ტომი II

ჯილიამ შექსპირი

ჟულ ვერნი

და სხვა დიდ
წიგნები...
ყოველ ორ წინაშე
„წიგნის“ სერიის
რედაქტორი

ყურადღება! თუ თქვენ ვერ მოასწარიტ მერე წიგნის - „მარგინ იდენის“ შეძენა 7 ლარად, „პალიგრა
მედია“ ამ სერიის მკითხველს წიგნთან ერთად ისევ შემოგთავაზებტ ჯეკ ლონდონის „მარგინ იდენს“ სპეციალურ ფასად!

25 დეკემბრიდან პირველი და მერე გომი წიგნის მაღაზიებში გაიყიდება 12 ლარად!



„წარისთვის მთავარია, რაც წამოგახვანებს“

„ვფიქრობ, ადამიანის ნიჭში ძალიან ბევრი ფურცელია ერთი და იმავე საგნის, ამბისა და თავგადასავლის შესახებ. მაგალითად, ადამიანს ჰგონია, რომ რაღაც ამოწურა. სწორედ ახლა, თქვენთან საუბარში გავხედვდე ამ წიგნს და აღმოვაჩინე, რომ არაფერიც არაა იქ ამოწურული — ის ხომ იმიტომ დავწერე, რომ რაღაცისგან გავთავისუფლებულიყავი!“

7

სახე



უსწორი თაყვანისმცემლის შესივება...

„იმდენად კარგად გავიცანით ერთმანეთი, რომ მან იცის, რა არ მესიამოვნება და ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს, და — პირიქით, მე ვიცი, რა არ ესიამოვნება მას. შესაბამისად, ყველანაირ ოჯახურ პრობლემას ადვილად ვაგვარებთ.“

18

ცხოვრება

ნანგრევებზე ნაშენები ხანმოკლე ბედნიერება



...რომ არა მათი სიყვარულის საბედისწერო დასასრული, ამ წყვილის თავგადასავალი ბევრი სკეპტიკოსისთვის ცხოვრების სტიმულად იქცეოდა... თუმცა ჯობს, ჩვენმა რესპონდენტმა ყველაფერი თავად გვიამბოს.

26



- **ვიზიატიურები** 5
„ყველას მადლობას ვუკეთებთ!“
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 7
- **შეშოქავი** 9
„წერისთვის მთავარია, რაც წამოგახვანებს“
- **კრიტიკალი** 14
- **ოჯახი** 19
- **ფსიქოლოგია** 21
მოპარული ფუნთუშები, ღამის ქოთანში ჩასხმული ღვინო და მესამე ხარისხის მეზატონე გოგონა
- **სამზადისი** 23
„ფეხბედნიერი“ სალომე ბაკურაძე ყველაზე საქმიანი დღესასწაულის მოლოდინში
- **სხანის მიღვა** 24
ბრიტანელი რეჟისორის ქართული სპექტაკლი
- **თემა** 26
მყისიერად შეუღლებულები ანუ მოულოდნელად მიღებული გადანყვეტილება
- **კონტაქტები** 29
იაპონიაში პოპულარული ქართული ზღაპარი
- **ბედის ბორბალი** 30
პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან
- **ბედისწერა** 32
ნანგრევებზე ნაშენები ხანმოკლე ბედნიერება
- **გასაჭირი** 34
9-შვილიანი დედის გულისტკივილი
- **ოსტატი** 36
ძველისგან შექმნილი პორტრეტები და საყოფაცხოვრებო საგნები
- **ანტილუპრესანტი** 38

მეზენილები

„სოფლელი პირთის“ შურისძიება




ყველაფერი კი ასე დაიწყო: როცა „გზავნილები“ პირველად ნავიკითხე, თითოეული დამმესიჯებლის, ამ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდების, სითბოს მფრქვეველი ხალხის გაცნობის სურვილმა შემიპყრო...

76

■ ავტო	38
■ ან საფაროა	40
■ მისია	42
ქალბატონი, რომელმაც ბოლნისის სიონი გადაარჩინა და ბოლნელი ეპისკოპოსის სულიერი ღვანლი	
■ ბაქარი	45
იგავი უმონყალო მონის შესახებ	
■ საქმე	47
„ქართველებო, გააღვიძეთ თქვენში მიძინებული მეზობლი სული“	
■ საკითხავი ქალაქისათვის	50
■ ჯანმრთელობა	52
■ მოწოდება	54
ვის უღიმიან ჩოხასა და კაბაში გამონყობილი თოჯინები	
■ კვალი	56
სიმთვრალის გამო ჩაშლილი გადაღება და ბეჭებზე დაგდებული არგენტინელი ქალი	
■ თინეიჯერული პონაბი	59
ემიგრანტებად ქცეული ქართველი ახალგაზრდობა	
■ ნათი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ საზრდო	64
■ რეალური	65
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ფანტასტიკური დებუქივი	68
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (დასასრული)	
■ რომანი	72
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (გაგრძელება)	
■ გზავნილები	76
■ ყველა ერთისათვის	80
■ მოგილი-ზაშია	82
■ პროგნოზი	88
■ არუღივი	92
„ერთხელ წიგნი ჩემს უფროსს მოვპარე“	
■ გასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სქანორდი	97
■ საფირმო კროსოვარი	98

სამყარო




ძვლისგან შექმნილი პორტრეტები

„ძვლებისგან ვაკეთებდი პატარ-პატარა სასმისებს, სამკაულებს, ჭადრაკის ფიგურებს... ყველაზე რთული პორტრეტების გაკეთება იყო, რადგან მსგავსების დაჭერა იოლი არ ვახლდათ“.

36

ადამიანი



სიმთვრალის გამო ჩაშლილი გადაღება და ბეჭებზე დაგდებული არგენტინელი ქალი

ის რუსთაველის თეატრის სცენაზე 60 წლის მანძილზე იღდა. წარმატებული აღმოჩნდა მისი კინოდებიუტი „მაგდანას ლურჯაში“, სადაც მენახშირე ვანოს როლი შეასრულა და სწორედ ამ ფილმზე მუშაობისას დაუმეგობრდა მსახიობ გივი ბერიკაშვილს.

54

ბიბლუსი



მორიგანი
აჩრდილთა დედოფალი

— დღეს მე და ლევანს ქორნილი გვაქვს! — სატირლად მოვემზადე. მამაკაცი გაოგნებული გვიყურებდა. როგორც ჩანს, თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რომელ ჩვენგანზე ქორნილდებოდა. ხან მე შემომხედავდა, ხან — ჩემს „ტყუპისცალს“.

62

ბაიბ-აუბი



2011 წლის ფარები და მოთხოვნები

წლის ძირითადი ფერი თეთრია. ამიტომ, ჩაცმულობაშიც თეთრი უნდა ჭარბობდეს. შეგიძლიათ, ჩაიცვათ ვერცხლისფერი და ნაცრისფერი სამოსი. მისაღებია ლურჯისა და ცისფრის გამოყენებაც.

88

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„ყველას მადლობას ვუხეიები!“



შესავლის ნაცვლად ძალიან გაბრაზებული ვარ! ძალიან! გაბრაზებული და ნანყენი! გაბრაზებული, ნანყენი და შეურაცხყოფილი!!!

ეგრე სად არი, ძმაო?! ის ასანყია თუ ვილაჱ, „ვიკილიქის“ უსტაბაში როა, თურმე მის შესახებ ოთხი(!) ფილმის გადაღებას აპირებენ, თანაც, ერთ-ერთში მთავარ როლს ბრედ პიტე შეასრულებს! რუსეთი კი სულაც, ნობელის პრემიაზე აპირებს ასანყის კანდიდატურის წარდგენას!

სად იყო ეგ ვაჱბატონი და მაგისი „ვიკილიქი“, როდესაც მე აქ ვილაჱებზე რაღაცებს ვამბობდი?! ნახეთ 10 წლის წინანდელი „პროვოკაციები“! მაგრამ ეგრეა, რა — შინაური მღვდლის ამბავი ხომ იცით?..

ისე, ხუმრობა იქით იყოს და, იმას — ოთხი ფილმი და გაუპატიურების ბრალდება, მე — არც ფილმი და არც ბრალდება, „ილაყბოს და იყოსო“... არადა, ერთი „ხუთი სუტყა“ და რამე „მოკლემეტრაჱიანი“ ფილმი არ მეკუთვ-ნის?! თანაც, ბრედ პიტს ხომ არ ვითხოვე?! ითამაშოს დუტამ ან სულაც, ტრისტან სარალ-იქემ... რომელია, ხომ იცით? აი, „რუსთავი 2“-ზე რომ „ძალიან სასაცილო“ სექტყე-ბია ხოლმე და იქ რომ გაიძა-ხის: „შენ უნდა მამკლა, შენ უნდა მამკლააა?..“



ამ რუსებმა სულ გადამ-რიეს — ნობელის პრემიაო! ნობელის კი არა, სამსახურ-ში როდის ავიღე უკანასკნე-ლი პრემია, აღარც მახსოვს — აღარ მოსწონს უფროსო-ბას ჩემი პროვოკაციები...

რუსებზე გამახსენდა — ეს პუტინი რა მაგარი ყოფილა! რა „ბუზიკა“ და სიმღერა სცოდნია?! რა იმღერა?!

„ს ჩეგო ნაჩინაეტსია როდინა!“ თანაც, ამერიკიდან გამოძევებულ შპიონებთან ერთად! ეჱ, არ აცალეს, თორემ უნდა გენახათ, მაგას რა მაგარი სიმღერა ჰქონდა მომზა-დებული „ენვერთან“ დუეტში!

სამაგიეროდ, „კოჭოიასთან“ ერთად ჩაუნერია კლიპი და მალე დაატრიალებენ მუსიკალური არხები.

ისე, ძალიან ცდილობს პუტინი, სააკაშვილს მიჰბაძოს ყველაფერში, მაგრამ ვერ გამოსდის: ხომ გახსოვთ, სპორტუ-ლი მანქანით რომ მოინდომა განავარდება?! და ჩვენ რომ სააკაშვილის ხათრით, 2015 წლის ბავშვთა ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოგვცეს და მაგან რომ მაშინვე 2018 წლის საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინ-ძლობა ჩაანყო?! გეუბნებით, ავადმყოფია, რა... მაგრამ ნიჭს ფულთ ვერ იყიდი — აბა, სად მაგის დაკვრა და სად ერთხელ მიშკომ რომ დაუკრა, „ვარდების ხელისუ-ფლებს“ გარიყრანაჱზე, ბურჱანაჱქ რომ რაღაცას ამბობდა და ამან რომ როიალზე შუათითით პერი კომოს თუ ფრენკ სინატრას სიმღერის მელოდია „შეასრულა“... მახსოვს, ისე საყვარლად უთხრა მაშინ ბურჱანაჱქემ — „აუ, ხელს ნუ მიშლით, ბატონო პრეზიდენტო, რაა...“, რომ ისეთებს ვიცნობ, ზუსტად მაგის შემდეგ რამდენი ახალი პარტიაც ჩამოაყალიბა ქ-ნმა ნინომ, იმდენივეში გადაჱყვენენ ესენიც... არადა, პუტინმა რამ იმღერა, ეგ სიმღერა მეც ვიცოდი

— რუსულ საბავშვო ბალში დავყავდით მე და ჩემი ძმა მშობლებს (ახლოს სხვა არ იყო) და იქ მასწავლეს. რუსუ-ლიც ავითვისეთ რამდენიმე თვეში, მაგრამ მალე გადა-გვიყვანეს სხვაგან, უფრო შორს, ქართულ ბალში: მამაჩემ-მა, — ბავშვი დამუნჯდებოაო, — ჩემს ძმაზე თქვა, რადგან უნიჭო აღმოჩნდა და ერთ წელიწადში მხოლოდ ერთი წინადადება ისწავლა: „გალინა ივანოვნა, მოჱწო ვ ტუა-ლექტ?“ მხოლოდ ამას ამბობდა დღეში ორ-სამჯერ და ისე, სულ ჩუმად იყო (რამდენი ხანია, არ დაურეკავს და ახლა რომ წაიკითხავს, იქნებ გაბრაზებულმა მაინც დამირეკოს).

ისე, კარგი იქნებოდა, იმ პერიოდში რუსულენოვანი ბავშვების ქართულ ბალში მიყვანის ტრადიციაც რომ ყოფილიყო. აბა, შაჱკინს ქართულ ბალში რომ ევლო, ხომ არ იტყოდა ერთ-ერთი სკო-ლის დირექტორის (გვარს არ დავასახელებ, ყველამ იცის) დაჯილდოებისას: „მინდა, ბა-ტონ გიას დიდი მადლობა გავუჱეთო...“

ანდა, ჩვენი „მალენკაია ვერა“ რომ სკოლაში ეტარე-ბინათ, ხომ ეცოდინებოდა, რომ თუკი ელექტრომობილი 160 კილომეტრზე 5-10 ლარის დენს (ჱმ, სიზუსტე ნახეთ ეკონომიკის მინისტრის) ხარ-ჯავს და ბათუმამდე 420 კმ-ია, მაშინ 10 ლარის ენერგი-ით იქამდე ვერ ჩახვალ... არა, ამათ კიდე „მადლობა

უნდა გაუჱეთო“, რომ უარესებს არ ამბობენ და არ სჩადი-ან — აგე, ერეგნის მერს ცემით გაუხეთქავს პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი, — როგორ თუ დომინგოს კონ-ცერტზე ჩემი ცოლი სხვის ადგილზე არ დასვიო?! — პრეზიდენტმა კი თითქმის ოფიციალურად (ინტერვიუში) განაცხადა, — ღირსი იყო და მოხვდაო!

მართლა, აკი დომინგო ბათუმის კონცერტისთვის ჩამ-ოვიდა და ასე ადვილად არ დადის აქეთ-იქითო?! აქედან ერეგანში ჩასულა და ორი კონცერტი ჩაუტარებია...

P.S. მე კი „ვუჱეთებ მადლობას“ ამ მთავრობას, მაგრამ ყველა ასე ხომ არ არის?! ამიტომ, უკმაყოფილო ზარების გამო, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ავტომობასუხე დააყენეს. მაგალითად, რეკავ, რათა ყველაფერი თქვა, რასაც ფიქრობ, იქიდან კი ისმის: — გამარჯობა! ეს ადმინისტრაციის ავტომობასუხეა. თქვენ თვითონ ხართ ერის მოღალატე და საქართვე-ლოს მიწების გამყიდველი. არავითარი ანგარში არა აქვს პრეზიდენტს უცხოურ ბანკებში და არც პრემიერ-მინისტრობას აპირებს. საერთოდ, როგორ ზედავთ აქ დარეკვას და მთელი ერის სახელით ლაპარაკს?! დაკ-იდეთ ყურმილი ხმოვანი სიგნალის შემდეგ, რათა მოვასწროთ თქვენი ნომრის დაფიქსირება. გმადლობთ.

პროვოკატორი

მონაკოს პრინცი ჰუბინისგან ქრთამს იღებდა

პრინცი ალბერტ მეორის ყოფილი მრჩეველი დაზვერვის საკითხებში რობერტ ერინგერი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს კორუფციაში ადანაშაულებს. გამოცემა „ინდეფენდენტის“ ცნობით, ერინგერმა განაცხადა, რომ ალბერტ მეორემ რუსეთისგან ზამთრის ოლიმპიადის 2014 წელს რუსეთში ჩატარებისთვის საკუთარი ხმის სანაცვლოდ, კარგი საჩუქრები მიიღო. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელ ჟაკ როგესთვის გაგზავნილ წერილში ერინგერი ირწმუნება, რომ პრინციმა საჩუქრები უშუალოდ რუსეთის პრემიერისა და მენარმე სერგეი პუგაჩოვისგან მიიღო. ყოფილი მრჩეველის განცხადებით, ამ თანამდებობაზე მუშაობისას მისთვის ცნობილი გახდა „რუსეთის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისა და კორუმპირებული ჩინოვნიკების მხრიდან მონაკოს საქმეებში გადაშეტებული ჩარევის შესახებ“. მისივე თქმით, სერგეი პუგაჩოვი პრინციდან საქმიან ურთიერთობას მონაკოს მოქალაქეობის შესაძენად აღრმავებდა.



ჰოლივუდში ასანუის შესახებ ოთხ ფილმს გადაიღებენ



ჰოლივუდში ინტერნეტპორტალ WikiLeaks-ის დამფუძნებლის შესახებ ოთხ პროექტს ამზადებენ. ამის შესახებ ამერიკული ვებ-გვერდი Wrap-ი იტყობინება. ერთ-ერთი პროექტის რეჟისორი ცნობილი ამერიკელი დოკუმენტალისტი — გახმაურებული ფილმის ფარენგეიტ 911-ის ავტორი მაიკლ მური იქნება, რომელიც სოციალურ ქსელ Twitter-ზე ჯულიან ასანუს მხარდაჭერას უცხადებს. ახალ პროექტში მური სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს შორის საიდუმლო კავშირებზე გაამახვილებს ყურადღებას. გარდა ამისა, ფილმში მური ახალი საიდუმლო დოკუმენტების გამოყენებას აპირებს. ოთხივე ფილმის ბიუჯეტი 100 მლნ-მდე დოლარს შეადგენს. მურის გარდა, პროექტებში, შესაძლოა, ცნობილი რეჟისორებმა — სტივენ ჰეგანმა, ჯონ კამერონ მიტჩელმა, როლანდ ემერიხმა (2012-ის ავტორი) და სოციალური ქსელის ავტორებმა — აარონ სორკინმა და დევიდ ფინჩერმა მიიღონ მონაწილეობა. ასანუს როლის განსახიერების პრეტენდენტთა შორის არიან — ლაიემ ნისონი, აარონ ეკპარტი და ბრედ პიტი. ფილმების ჟანრები სათავგადასავლოც იქნება და დოკუმენტურიც.

თანამეინახე — 20 დოლარად

უკრაინაში ახალი მომსახურება — თანამეინახე გაჩნდა. სააგენტო ნებისმიერ მსურველს საინტერესო ადამიანებთან ერთად დალევას სთავაზობს. შესაძლებელია უმაღლესი განათლების, ანეკდოტების მოყვარული ან კარგი ხმის ტემბრის მქონე თანამეინახის შეკვეთა. მომსახურება 20 დოლარი ღირს. ამასთან, თანამეინახეს შემკვეთი უმასპინძლებს. სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, მომსახურება დიდი მოთხოვნით სარგებლობს. კლიენტების უმეტესობა ქალია. ამასთან, არსებობს გარკვეული შეზღუდვა — მაგალითად, დაუშვებელია ინტიმური ურთიერთობა. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ასეთი მომსახურება ადამიანს რთულ ნუთებში ეხმარება, მაგრამ მისი მომსახურებით ხშირად სარგებლობას არ გვირჩევენ. ამასთანავე, პროფესიონალ თანამეინახეებს სთხოვენ, მუდმივ კლიენტებს არა ფასდაკლების ბარათი, არამედ ფსიქოთერაპევტის სავიზიტო ბარათი შესთავაზონ.




„მისი“ და „მისტერი“ ერთ ოჯახში

გერმანიაში მამაკაცებს შორის სილამაზის კონკურსი „მისტერ გერმანია“ ჩატარდა. გამარჯვებული — 30 წლის მუჰამედ დურაკოვიჩი გახდა. მონაწილეებს კონკურსის დროს, გარეგნობასთან ერთად, საკუთარი ტალანტი უნდა გამოეყენებინათ. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი გამარჯვებული წარსულში „მის გერმანიის“ ტიტულის მფლობელიც, კატრინ დურაკოვიჩის მეუღლეა. თავად მუჰამედის თქმით, სწორედ მეუღლემ დაარწმუნა იგი, კონკურსში მიეღო მონაწილეობა. ახლა დურაკოვიჩი, თავისი ცოლის მსგავსად, პროფესიონალი მოდელის კარიერაზე ოცნებობს. რამდენიმე თვის მანძილზე მუჰამედ დურაკოვიჩის „მისტერ გერმანიის“ რანგში, მოგზაურობა და სხვადასხვა ტელეგადაცემასა თუ ფოტოსესიაში მონაწილეობა მოუწევს.



გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ



რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



ქვეყანა

მასე ქართველებისთვის და პრეზიდენტი, როგორც „სამიტიდან საკუთარი თავი გააქვს“ ...

„შეიარაღებაზე იმდენ ფულს ვხარჯავთ, დასახელებისაც კი მეშინია“ — ასეთი განცხადება გააკეთა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა. კრემლი აფხაზეთსა (გალის რაიონის სოფელ ფიჩორში) და ენ. სამხრეთ ოსეთში (მუგუთის დასახლებულ პუნქტსა და ზნაურის რაიონის სოფელ ზივლეთში) ერთიმეორის მიყოლებით ხსნის სამხედრო ქაღალდებს, ოკუპირებულ რეგიონებში ათავსებს ენ. სმერჩის ტიპის დანადგარებს, სეპარატისტული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება კი ახალგაზრდის რაიონში მცხოვრები, საქართველოს მოქალაქეების აღრიცხვასა და მათთვის ქონების ჩამორთმევას იწყებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სეპარატისტული რეგიონები, რუსეთის მხარდაჭერით, გამუდმებით აფართოებენ საოკუპაციო ზონას.

სათუნა გახვრიძე

როგორც ჩანს, სწორედ ამ ყველაფრით იყო ნაკარნახევი ამერიკის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, სენატორ ჯონ მაქკეინის განცხადება, რომელშიც მან ბარაკ ობამას ადმინისტრაციას მოუწოდა, — საქართველოს თავდაცვითი იარაღი მიჰყიდოს, — და კიდევ ერთხელ შეახსენა პოლიტიკურ ელიტას: მიუხედავად იმისა, რომ ბუში-უმცროსთან 2008 წლის აპრილში გამართული შეხვედრისას პუტინმა მეგობრობისა და პარტნიორობის შესახებ განცხადება გააკეთა, იმავე წლის აგვისტოში რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოში შეიჭრნენ. როგორი იქნება რუსეთის მომდევნო ნაბიჯი, უნდა ველოდოთ თუ არა ჩრდილოელი მეზობლისგან ახალ აგრესიას, რას მოიმოქმედებს დასავლეთი რუსეთის „პოლიტიკურ ხულიგნობაზე“ საპასუხოდ და რა მექანიზმებით შეიძლება დაიცვას თავი ჩვენმა ქვეყანამ — ამ საკითხების გარკვევას პოლიტიკოლოგ სოსო ცისკარიშვილთან საუბრისას შევეცადე.

— ბატონო სოსო, უკვე ცნობილია — საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბოლო დროს განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ მოსკოვს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. როგორ გგონიათ — რუსეთი, რომელიც საერთაშორისო ვადდე-

ბულებებსაც კი არად დაგიდევთ, ანგარიშს გაუწევს ოფიციალური თბილისის ნოტას?

— მე თუ მკითხავთ, ქართულ მხარეს რუსეთისთვის ნოტა აქამდეც უნდა გაეგზავნა, მაგრამ რას იზამ — „ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. ძალიან კარგი იქნებოდა, რუსეთის თითოეული

„ხულიგნური“ ნაბიჯისთვის მიგვეყოლებინა საპროტესტო ნოტა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტს ევროპარლამენტში თბილი შეხვედრა მოუწყვეს და მისი მოსაზრებები ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებით გაიზიარეს, ევროპელი პარლამენტარების წინაშე რუსეთის აგრესიული ქმედებების მხილება ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს წაადგება. შეგახსენებთ, რომ ეს ნოტა რუსეთის გარდა (ინფორმაციის მიწოდების მიზნით), ჩვენს პარტნიორ ყველა ქვეყანას გაეგზავნა. ეს ფაქტი ამერიკას უფრო მეტ საფუძველს მისცემს საიმისოდ, რომ საქართველოს თავდაცვითი შეიარაღება მიჰყიდოს.


<p>მუშის მაგიდა - სკამები</p> <p>1680 ლარიდან</p>	<p>საძინებელი</p> <p>1360 ლარიდან</p>
<p>ავეჯის სალონი „კლასიკა“ იტალიური ავეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი</p>	
<p>სანახევარი</p> <p>740 ლარი</p> <p>420 ლარი</p> <p>გასაშლელი დივან-საწოლი</p>	<p>ფანდაქლება</p> <p>880 ლარი</p> <p>370 ლარი</p> <p>გასაშლელი დივან-საწოლი</p>
<p>აღ. ყაზაბეის გამზ.14^ბ ☎ 38 88 11 ვაჟა-ფშაველას გამზ.25 ☎ 37 11 11</p> <p>კლასიკა Classica</p>	



სოსო ციხკარიშვილი

— გაფრცელებული შეხედულებების თანახმად, ამერიკამ სწორედ რუსეთთან „გადატვირთვის პოლიტიკის“ გამო უთხრა უარი საქართველოს, თავდაცვისთვის საჭირო იარაღის მიყიდვაზე. მაგანნი იმასაც ამბობენ, რომ აშშ-ისგან იარაღის შექმნა არც საქართველოს აძლევს ხელს, რადგან ამან შესაძლოა, რუსეთის გაღიაზიანება გამოიწვიოს და ეს თბილისს ძვირად დაუფუძეს. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— იარაღიც არის და იარაღიც. საქართველომ ძალზე წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ომში ისე ჩაება (მნიშვნელობა არა აქვს, რომ ეს ჩვენი სურვილის წინააღმდეგ მოხდა), რომ საპაერო თავდაცვა საერთოდ არ ჰქონდა მონესრეგებული. ჩვენი მონშენი გავხდით იმისა, თუ როგორ ნავარდობდნენ ქართულ ცაში და როგორ ირჩევდნენ სამიზნეებს რუსული ბომბდამშენები. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსულმა ავიაციამ არც ერთი ის ობიექტი არ დააზიანა, რომელშიც რუსული კაპიტალი იყო ჩადებული. სამაგიეროდ, მინასთან გაასწორეს ყველაფერი, რა-



სენაგორმა მაქვეინმა საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის მიყიდვა მოითხოვა

შიც თურქული, გერმანული ან ამერიკული კაპიტალი იყო ჩადებული. ამ ქმედებით რუსეთმა მსოფლიოს მკაფიოდ მიანიშნა იმაზე, რომ საქართველოში მხოლოდ რუსული კაპიტალი იხიერებს.

— ფიქრობთ, რომ შესაძლებელია, რუსეთმა მსგავსი აგრესია ამჯერადაც განახორციელოს?

— არა მგონია, რომ მომავალ კვირაში რუსეთმა ისევ დაბომბოს საქართველო. კრემლი სრულიად მკაფიოდ აცნობიერებს, რომ ამჯერად, მის მიერ მოგონილ მითს დასავლეთი არათუ გაიზიარებს, არამედ არც კი მოუსმენს. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ თავდაცვითი იარაღი დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად აუცილებელია. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ თავდაცვითი იარაღით საქართველოს აღჭურვა ჩვენი პარტნიორი ქვეყნების სიმშვიდესაც უზრუნველყოფს.

— ამბობთ, რომ რუსეთი ამ ეტაპზე საქართველოს წინააღმდეგ აგრესიას ვერ განახორციელებს; მაშ, როგორი იქნება მისი შემდგომი ნაბიჯი?

— როგორც მოგეხსენებათ, რუსეთი უკვე დიდი ხანია, დაუფარავად „ვაჭრობს“ საქართველოს თემით და „ფასსაც“ ზრდის. ე.ი. საქართველოსა და მისი მხარდამჭერი ქვეყნებისგან უფრო და უფრო მეტს მოითხოვს იმის სანაცვლოდ, რომ საკუთარ პოზიციებს გადახედოს. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი საერთაშორისო არენაზე აღვირახსნილ პოლიტიკურ თამაშს ეწევა.

— სწორედ ამ აღვირახსნილობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ „რესპუბლიკელები“ ობამას ადმინისტრაციისგან უკვე კატეგორიულად მოითხოვენ „გადატვირთვის პოლიტიკის“ გადახედვასა და რუსეთის მიმართ პოზიციის გამკაცრებას. რამდენად შესაძლებელია, რომ ობამამ მართლაც გადახედოს მისი ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ სტრატეგიას?

— რუსულ-ამერიკული „გადატვირთვის“ პროცესი შეხმატკბილებული დიალოგების კასკადი არ გეგონოთ — ეს ნამდვილი დიპლომატიური ბრძოლაა. ორივე მხარე ცდილობს, რაც შეიძლება მეტი არგუმენტი მოიპო-

ვოს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად. ჩვენდა სამწუხაროდ, მათ სწორედ საქართველო აირჩიეს იმ საჯილდაო ქვად, რომლის ირგვლივაც „ვაჭრობა“ ორივეს ხელწინდება. არ იფიქროთ, რომ ამ ამბავში რაიმე ცუდს ვხედავ. ის ფაქტი, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის, საქართველოს თემა კვლავ განხეთქილების საგნად რჩება, იმას ნიშნავს, რომ მხარეებმა გარიგებას ვერ მიაღწიეს. უკვე ცხადია, რომ საქართველოს თემა რუსეთს სერიოზულად ამუხრუჭებს დასავლეთთან ურთიერთობის მხრივ. თუ რამდენად პრინციპული და ხისტი იქნება დასავლეთი და რამდენად ბრიყვი — რუსეთი, ამას თანდათანობით დავინახავთ. ახლა ჩვენი უმთავრესი ამოცანა — თავშეკავებული, მაგრამ გააზრებული და პრინციპული ნაბიჯების გადადგმაა.

— პრეზიდენტ სააკაშვილის განცხ-



რუსეთი უკვე დიდი ხანია, დაუფარავად „ვაჭრობს“ საქართველოს თემით

ადებას, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებასთან დაკავშირებით, ოფიციალურმა მოსკოვმა ასეთი პასუხი მოაყოლა, — კრემლი მხარს დაუჭერდა იმას, თბილისს სოსუმთან და ცხინვალთან ცეცხლის განუახლებლობის ხელშეკრულება რომ გაეფორმებინა. რუსეთი ამ ინიციატივით კიდევ ერთ საფანგს ხომ არ გვიმზადებს?

— რა თქმა უნდა, ეს საფანგია, იმიტომ, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს რუსეთი დაესხა თავს და არა ცხინვალის რეგიონი ან აფხაზეთი. ამდენად, საქართველომ მხოლოდ რუსეთთან უნდა გააფორმოს ორმხრივი ხელშეკრულება ცეცხლის განუახლებლობის შესახებ. რაც შეეხება სოსუმსა და ცხინვალს: თბილისმა უნდა იკისროს ვალდებულება, რომ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში არ განახორციელებს საომარ მოქმედებას, თუ მტერი არ შემოუტევს.



„წარისტვის მთავარია, რაც წამოგახტუნებს“

დღეს „ქართული პროზის საგანძურის“ სერიით მკითხველმა კიდევ ერთი საგანძური შემატა თავის ბიბლიოთეკას: ჟურნალ „გზასთან“ ერთად 42-ე ტომად ბესიკ სარაბნაშვილის „ეპიგრაფები დაფიქციურულ სიზმრებისათვის“. თავის ნაწარმოებებს ბატონი ბესიკი „ცხოვრებაში შესატყუებელ წიგნებს“ უწოდებს, სამყაროსაც წიგნს უწოდებს, ადამიანს — „მწიგნულოვან ნაწარმოებს“ და საკუთარ თავსაც თითქოს წიგნით კითხულობს.

ირმა ხარშილაძე

— თქვენს ნაწარმოებში „ეპიგრაფები დაფიქციურულ სიზმრებისათვის“ წერთ: „უნდა მოკლა საკუთარი ცხოვრებაც, რომ თვითონ დაბადო“. 70 წელს გადასცდით, თქვენ თვითონ შექელთ „დაბადება“?

— კარგად მითქვამს (ილიმის). ჯერ ერთი, თითქოს ხანმოკლეა ცხოვრება, მაგრამ ძალიან გრძელი არის, ამავე დროს. იმდენად, რომ, მაგალითად, მაგის გვერდით შეიძლება კიდევ სხვა წიგნი დაიდოს და რომ გაჰყვე ქრონოლოგიურად, კიდევ ერთი წიგნი გამოვა. ასევე, ადამიანის გზა ყოფილა ძალიან რთული და არაერთგვაროვანი. იმიტომ, რომ ადამიანი უფრო ნიჭიერია, ეტყობა, ვიდრე მისი რაიმე აზრი. მაგალითად, ყოველთვის მიკვირდა, როდესაც ადამიანს არ შეეძ-

ლო ერთსა და იმავე საგანზე განსხვავებული აზრის თქმა, თუნდაც რამდენჯერმე მისი განსხვავებულად დანახვა. არადა, ეს ადამიანში არის, რადგან იოლად ვეზორჩილებით ხოლმე ჩვენს ემოციებს: ვთქვათ, კონკრეტულ ადამიანს დღეს მოვიწონებთ, მეორე რაღაც უარყოფითს აღმოვაჩინებთ და აზრი გვეცვლება, მეორე კვლავ მოგვეწონება... ვფიქრობ, ადამიანის ნიჭში ძალიან ბევრი ფურცელია ერთი და იმავე საგნის, ამბისა და თავგადასავლის შესახებ. მაგალითად, ადამიანს ჰგონია, რომ რაღაც ამოწურა. სწორედ ახლა, თქვენთან საუბარში გაფხედე ამ წიგნს და აღმოვაჩინე, რომ არაფერიც არაა იქ ამოწურული — ის ხომ იმიტომ დაწერე, რომ რაღაცისგან გავეთავისუფლებულიყავი! სხვათა შორის, ერთი ეპიზოდი არის ჩემს მომდევნო წიგნში — „სამოცი ჯორზე ამხე-



დრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“, რომელმაც ააფეთქა მთელი წიგნის თემა. ეს ეპიზოდი არის ცოცხებიანი ჯოროსნები რომ გამოდიან — ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მკვეთრი მოგონება. თითქოს ბუნდოვანიც: ხანდახან არც მჯეროდა და საკუთარ თავს ვკითხებოდი, მართლა იყო თუ არა-მეთქი? ბავშვობის ეს მკვეთრი ეპი-

7 იანვრიდან, ჟურნალ „საბავშვო ქარუსელთან“ ერთად თქვენთვის და თქვენი ბავშვებისთვის!

აღუქსანდრე მაქედონელი
აილხს აინშტაინი
მაჩყო პოლო
პოლდებანო ანაღუხ მოუსატი

აღუქსანდრე მაქედონელი
აილხს აინშტაინი
მაჩყო პოლო
პოლდებანო ანაღუხ მოუსატი


ფრედერიკ მობიუსი
ლუი პასკერი
ნაპოლეონ ბონაპარტე
ისაყ ნიუტონი
პლატონი
გომას ალვა ედისონი
ქრისტეფორე კოლუმბი

გამოქანილი ალაშიანების ბიოგრაფიები

წიგნების სერია ბავშვებისთვის



ზოდი თავისი ბუნებით ისეთია, „ეპი-გრაფები“ უნდა შესულიყო, მაგრამ მაშინ რალაქნიარად საფარველი დაედო. ისეთი საფარველი დაედო, რომ მერე, როდესაც გამახსენდა, გამიკვირდა, ეს რამ დამავინყა-მეთქი? ესე იგი, იმიტომ დამავინყდა, რომ მერე გამახსენებოდა. და დაწვრე კიდეც „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“... ცხოვრების მოკვლავზე რომ ვლაპარაკობ, თითქოს იქ მოკვალი რალაც, სიცოცხლისთვის მოკვალი. სულ არ ვნანობ, რომ ეგ წიგნი დაწვრე ჩემი ეგოისტური თვალსაზრისით, ამით რალაცისგან გაეთავისუფლდი. ბავშვობის ერთი ფოტო მაქვს, სადაც ჩაცმუ-



მშვილად ვარ, რომ იქ ლევანია, ჩემი ვაჟი (თიანეთი. ლევან ხარანაულის სახელოსნო)

ლობით განსაკუთრებით ჩანს ჩემი იმდროინდელი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, მუხლებზე წიგნი მიდევს და იგრძნობა, რომ კულტურულ გარემოში ვიზრდებოდი, თითქოს ჯოკონდას ღიმილი დამთამაშებს სახეზე (ილიმის)... ვფიქრობ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ საკუთარი ბავშვობის წინაშე არის პასუხისმგებელი: გვირგვინის დადგმაზე კი არ უნდა იფიქრო, „იმა“ — შენს ბავშვობას არ უნდა გაუმრუდო ცხოვრება, არ უნდა უღალატო, რადგან ის არის ჩვენი სირცხვილიცა და გამარჯვებაც.

— თქვენს წიგნებში ფშაველი კაცის პირდაპირობა იგრძნობა. მწერალი კი ბრძანდებით, მაგრამ მკითხველიც ხომ ხართ. საკუთარ პირდაპირობას უძლებთ?

— ყოველი დანერვილი სიტყვა არის მოკლევანა წყვილიადაც, ესე იგი, მე რომ რალაც დაწვრე, ამ ჩემს წყვილადს მოვაკელი. რამდენიმე არასასახლო მომენტია ბიოგრაფიულად ჩემს ცხოვრებაში და რომ მახსენდება, ვფიქრობ: რომ გამაბედვინა და ეს დამანერვინა, ხომ აღარ შემანუხებდა-მეთქი? ამით ჩემს წყვილადს მოვაკლებდი იმას, რასაც ვერ ვამბობ. ადამიანის ცხოვრებაში არის

ფურცლები, რომელიც არ უნდა, რომ იყო, მაგრამ ვერ მოიშორებს, არა? ცხოვრებაც სარკესავით არის: დაგანახვებს რალაცას და შენ, რა თქმა უნდა, გასტყვი გაწე.

— სარკე — ნეთი ძალიან მნიშვნელოვანია გვერდს ვერც ვუვლით და ბევრ სიმართლეს კი გვეუბნება.

— სარკესთან ურთიერთობის ისტორია მეც მაქვს (ილიმის). რა აღმოვაჩინე, იცი? — სარკეში ერთხელ უნდა ჩახედო და ისიც ძალიან ნაცნობ სარკეში. სხვა სარკე გიღალატებს, შეიძლება ცუდი გითხრას — სარკე ხომ რალაცას გეუბნება, შენს თავს გიმტყვივებს. საკუთარი გამოცდილებით გეუბნებით: სარკეში ხშირად ჩახედვა არ ღირს, არც — ვიტყვინებში. შეჩვევა იცის. ისე, თუ მკითხავ, სარკე მდინარიდან უნდა დაიწყოს...

— თუნდაც თიანეთის იგრძნობა, არა? ვინ იცის, ბავშვობაშიც რამდენჯერ ჩაგისვდავთ! რამდენი წლის წამოხვედით თბილისში?

— პირველად პატარა ვიყავი, ქალაქში რომ მოვხვდი — დედამ წამომიყვანა. არ მავინყდება, თერთმეტსართულიანი სახლი რომ ვნახე. მერე დახვეული კიბეც ვნახე: მესუთე სართულამდე ავდიოთ მე და დედა. დედას მანონი და ხაჭო მოჰქონდა თავის მეგობართან. შინ დაბრუნებულს ხნიერი ქალები საგანგებოდ მიბარებდნენ ხოლმე და თბილისის ამბებს მაყოლებდნენ. იმათ მამამ აღლური ცნობისმოყვარეობა ჰქონდათ და მეც ყველაფერზე ვპასუხობდი. როგორ ვაზღვევდი, იცი (იციანის)? თერთმეტსართულიანი სახლის ამბავი კი ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, აბა, დახვეული კიბეზე რა უნდა მეთქვა მათთვის? ეს საკუთარი თვალთ უნდა ვნახათ.

— მუხრან მაჭავარიანის ლექსი გამახსენდა: „რომ არ ამელო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა, რომ არ გამედგა ფეხი ჩემი კაკლის ჩეროდან...“ ბატონო ბენიკ, თიანეთიდან რომ არ წამოსულყავით, ვინ ან სად იქნებოდით?

— ეგ არ მოხდებოდა. სულ ვგრძნობდი: იმიტომ ვიზრდებოდი, რომ ნავსულყავი. შეიძლება გაბრაზდე და დაიმუქრო: აი, ნავალ და ნახავთო! ვთქვავთ, ბავშვი რომ იმალება, იკარგება და ამით შურს იძიებს ხოლმე ვინმეზე. მე — არა. ვიცოდით, რომ წამოვიდოდი. თავიდანვე ხომ გრძნობ საკუთარ შესაძლებლობებს, ხომ იცი? მაგალითად, ვიცოდი, ღორს ვერ დაკვლავდი და არც დამიკლავს. ქათამსაც ვერ ვკვლავდი: შინ ვიყავი და დედას სხვასთან მიჰყავდა დასაკლავად. მერე, ბავშვები რომ პატარები იყვნენ, რამდენჯერმე მომინია, თორემ... მაგალითად, ორი ადამიანი რომ

მიყენო და აგური აგურზე დაადებინო, სხვადასხვანაირად დადებენ. ჩემსას ყოველთვის შეეცემა, რომ ბარბაროსულად ვაკეთებ: ვერ ვაკეთებ, რა. არ შემიძლია. რალაც მონაცემი თავიდანვე ადამიანში ჩადებული და ეს დროსთან შესაბამისად ხდება. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას მდგომარეობას ძალიან განვიციდი: ორგანულად ვგრძნობ, თავის ცხოვრებასთან როგორი შეუსაბამო იყო არსებით. მთელი ცხოვრება ნეთი და გუთანი მიჰქონდა-მოჰქონდა.

— კი მაგრამ, ამან ხომ ვაჟა არ დაკარგა?

— არ დაკარგა, მაგრამ იმ ბუნებას კი ისედაც დანიხავდა. იმის თქმა მინდა, რომ ვაჟა-ფშაველა სხვა-თვის კაცი არ იყო. ეგაა, სხვა საუკუნეში მოხვდა... ყოველთვის სიახლის მომხრე ვარ, დედაჩემიც ასეთი იყო. ახალს კი არ უნდა ებრძოლო, უნდა მიიღო. იცი, რა მასსოვს? პირველად მოკლე კაბები რომ შემოვიდა, „ქველები“ როგორ აღმოვითხინე. კიდეც ვუბნებოდი: საკუთარ თვალებს მიხედეთ. გოგომ ლამაზი ფეხი რატომ არ უნდა გამოაჩინოს-მეთქი?... ერთხელ ჩემი შვილიშვილი ქიტო მოვიკითხე და მისმა უმცროსმა დამ, პატარა ელენემ მიპასუხა: კუუბაღში (ასე ჰქვია თიანეთის კულტურისა და დასვენების პარკს. — ავტ.) ნავიდა, ჭიას რომ აჩენენ, იმ გოგონებთან ერთად. „შევიცხადე“ ეგ რა უქნია-მეთქი. რალაც წნის შემდეგ ჩაკეკითხე: რომ გაიზრდები, ჭიას ხომ გამოაჩენ-მეთქი? დასტურის ნიშნად ისე გულმოდგინედ დამიკრა თავი, თითქოს ემინოდა, უარი არ მგონებოდა (იციანის) ახლა ელენე უკვე სკოლაში სწავლობს და მასზე პატარა ეფემია გყავს, ელენე დიდობს და მასთან საერთოს ვეღარ პოულობს. არადა, ეფემიასაც ჰქონია თურმე შეფასების საკუთარი კრიტერიუმები: მისთვის ქიტო ლამაზია; ერთხელ მეც მითხრა, — ბაბუ, სათვალე არ გინდა, ეგრე უფრო ლამაზი ხარო. ანუ მისთვის სიტყვა „ლამაზი“ არსებობს... ყველაფერს თავისი დრო აქვს. ერთხელ დედაჩემი რომ სკოლიდან დალილი-დაქანცული დაბრუნებულია, პაპაჩემს უთქვამს: მაგიდაზე შენთვის წერილიაო. დედას აულია და ნაუკითხავს: „ენაცვალოს მამა თავის საყვარელ შვილ ვარა-სა“. — იპო! — ვთქვი და უკან დავდეო, — მიამბობდა დედა. წარმოიდგინე, ან იმან რა გააკეთა, ან ამან როგორ თქვა! სხვაგვარად ვერც მოიქცეოდნენ: ბუნებაში არ იქნებოდა სწორი. მაგალითად, დედაჩემმა, ალბათ, შეუცნობლად, მაგრამ ძალიან პატარამ გამოავლინა თავისუფლებისადმი სწრაფვა. ეგ და მისი დობილი სიღო ლამით პატარძლის მყარიონს ქორწილში ნაჰყენენ ურმით სხვა სოფელში. შინ არავინ გაუფრთხილებიათ. რა თქმა უნდა, არც გაუშვებდნენ. თვითონაც ხომ ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ქორწილში ლამისთევით ნავიდოდნენ?



ქართული პრეზის სეგანძური

ფერხად „გზახთან“ ერთად 30 დეკემბრიდან



„**გზახთან**
ერთად
30 დეკემბრიდან
ქართული პრეზის“

თელავი 5012200

ტელავი 44-45-46 (ავთოთა)



„პოპულის“ საწარმო — ხარისხისა და სანდოობის გარანტი

„ასეთი მასშტაბის წარმოებას ევროპაში კი იშვიათად შეხვდებით“

სულ ცოტა ხნის წინ, კომპანია „პოპულმა“ საკუთარი საწარმოს მშენებლობა დაასრულა. ეს გახლავთ 4000 კვმ-ზე განლაგებული ფრეშ-პროდუქტების გადამამუშავებელი ცენტრი, რომელიც თავისი პროფილით უნიკალურია მთელ ამიერკავკასიაში. საწარმოს მშენებლობაში 5 მილიონ ლარის ინვესტიცია ჩაიდო. კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით, იდეა განპირობებული იყო შემდეგი მიზნის მისაღწევად: ყოველმა მომხმარებელმა გააკეთოს ხარისხიანი, თანამედროვე, ევროპული ტექნოლოგიით დამუშავებული და შეფუთული, ჯანსაღი და მუდმივად ახალი ყოველდღიური არჩევანი.

აქამდე „პოპულის“ 43 მაღაზიაში ადგილობრივად ხდებოდა საკვების წარმოება, რის გამოც ყველა სავაჭრო ობიექტში საკვების ხარისხისა და გემოვნური თვისებების კონტროლი შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა „პოპულის“ აქციონერთა საბჭომ სოლიდური ინვესტიცია დაებანდებინა, სანაცვლოდ კი მაღაზიათა მთელ ქსელში პროდუქციის გარანტირებულად მაღალი ხარისხი მიეღო.

ხარისხის კონტროლი, ჰიგიენური ნორმების უმაღლეს დონეზე დაცვა და ევროპული სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიები — ეს ის ძირითადი პრინციპებია, რასაც „პოპულის“ დღევანდელი წარმოება ეფუძნება. სწორედ ამ საწარმოდან, შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის შემდეგ, ყველა წესისა და ტექნოლოგიური პროცესის დაცვით უკვე მარაგდება „პოპულის“ სავაჭრო ქსელი, რაც მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხისა და სანდოობის გარანტია.

ჰან მიხელ ჩარლზი (კომპანია „პოპულის“ პარტნიორი ტექნოლოგიური პროცესების დარგში):
— ჩემი მთავარი მიზანი და მოვალეობაა, კომპანია „პოპულის“ საწარმო პროცესების გამართვის დარგში ჩემს გუნდთან ერთად დავწერგო ევროპული სტანდარტები. საწარმო სრულად აღვჭურვეთ ევროპული დანადგარებით, ჩვენვე ვახდენთ თანამშრომლების გადამზადებასაც, რომ მთელი საწარმოო პროცესები ამ ახალი ტექნოლოგიების სრული დაცვით წარმართოს. ყველა თანამშრომელი გადის სწავლებას ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისით. ჩვენი მიზანია, ვაკონტროლოთ სრული საწარმოო პროცესი, დაწყებული წარმოების პირველი ეტაპიდან, როდესაც

საც პროდუქტები პირველად მდგომარეობაში შემოდის საწარმოში და დამთავრებული მათი მიტანით მაღაზიაში მზა პროდუქტის სახით.

— **იქნებ გვიამბოთ, რა ეტაპებს გადის პროდუქცია „პოპულის“ ახალ საწარმოში მანამ, სანამ ის სავაჭრო ქსელის დახლზე, შემდეგ კი ჩვენს სუფრაზე მოხვდება?**



— ყველაფერი იწყება პროდუქტის სწორად შესყიდვით. პირველ რიგში, ჩვენ მის ხარისხს ვამოწმებთ, ამის შემდეგ ხდება პროდუქციის გადამამუშავება, შეფუთვა შესაბამის შესაფუთ მასალაში, სწორად რომ მოხდეს მათი დისტრიბუცია. საბოლოო ჯამში მაღაზიაში უნდა მივიდეს სახეშეუცვლელი ფრეშ-პროდუქტი. ეს არის პროცესი, რომელიც უნდა დავიცვათ პუნქტობრივად და რაც მთავარია, ყველაფერი უნდა განხორციელდეს მოკლე ვადებში და ტექნოლოგიური პროცესის სრული დაცვით. სწორედ ამ ტექნოლოგიური ჯაჭვის სრული დაცვა წარმატების ყველაზე დიდი გარანტია, რომელიც არ უნდა დაირღვეს და არც შეიცვალოს.

საწარმო შედგება რამდენიმე დეპარტამენტისგან: ფრანგული პურ-ფუნთუშეულის საცხობი, ცხელი კულინარია, ქართული საცხობი, სალათების წარმოება, ხორცის წარმოება, ქათმის პროდუქტების წარმოება, ხილ-ბოსტნის გადამამუშავება, საკონდიტრო ნაწარმი, თევზის ნაწარმი და ყველის გადამამუშავებელი განყოფილება. ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, როდესაც მსგავსი ტიპის, მრავალპროფილური საწარმო შეიქმნა. ეს საწარმო დღეისათვის სრული დატვირთვით ჯერ კიდევ არ არის ამუშავებული და სამომავლოდ რამდენიმე დეპარტამენტი კიდევ დაემატება.

ყველა დეპარტამენტს ჰყავს ტექნოლოგი, რომელიც კომპანია „პოპულმა“ სპეციალურად მოიწვია ევროპიდან. ისინი არიან პროფესიონალი, გამოცდილი ადამიანები, რომელთაც არაერთ ქვეყანაში დაუწერგავთ ევროპული სტანდარტები. ხილ-ბოსტნისა და თევზის წარმოებას ფრანგი ტექნოლოგი ხელმძღვანელობს, რომელიც სრულად უძღვება ამ პროცესს. ხორცის წარმოე-

ბას, რაც გულისხმობს ღორის, ქათმის და საქონლის ხორცის გადამამუშავებას, გერმანელი ტექნოლოგი ხელმძღვანელობს. პურ-ფუნტუშეულს ფრანგი ტექნოლოგი უდგას სათავეში. ცხელი და ცივი კულინარიის ნაწილში, მალე ჩამოვიყვანთ იტალიელ ან ფრანგ ტექნოლოგს, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს სალათების და სხვა კერძების მომზადებას.

ჩვენი მთავარი მიზანია, რომ წარმოების პროცესში ყველა ჰიგიენური ნორმა იყოს დაცული. საწარმოც ოპტიმალურად არის მოწყობილი. მაგალითად, იმისათვის, რომ შენობაში არ მომხდარიყო ბაქტერიების გავრცელება, საწარმოს კედლები, იატაკი და ჭერი მოპირკეთებულია სპეციალური დამცავი ფენებით. ყოველ დილას და საღამოს საწარმოს ასუფთავებენ, ყველა დეპარტამენტი სპეციალური წყლის ჭავლით ირეცხება. სპეციალური მასალა, რომლითაც დაცულია საწარმოს ინტერიერი, ბაქტერიებს გავრცელების შესაძლებლობას არ აძლევს.

— **თქვენ ბრძანეთ, რომ საწარმოში პროდუქცია ლაბორატორიულ კვლევას გადის, იქნებ უფრო დეტალურად გვიამბოთ ამის შესახებ?**

— პროდუქციის ბაქტერიული და ქიმიური კვლევისთვის საწარმოში საკმაოდ დიდი ლაბორატორია გვაქვს მოწყობილი. ამ ლაბორატორიის მეშვეობით ვაკონტროლებთ წარმოების ყველა პროცესს. ლაბორატორიული ჯგუფი, წარმოების სხვადასხვა ეტაპზე ატარებს კვლევას. მაგალითად, საწარმოში მიღებული პროდუქტი, ვთქვათ: კარტოფილი, სტაფილო და სხვა, ჯერ პირველად მდგომარეობაში გადის შემოწმებას. შემდეგ, როდესაც ამ პროდუქტების გადამამუშავება ხდება, პროდუქცია კიდევ მოწმდება და კიდევ ერთ კვლევას უკვე შეფუთულ მდგომარეობაში გადის მანამ, სანამ მალაზიაში გაიგზავნება. ასეთი რეჟიმის გამო ლაბორატორია საკმაოდ დიდი დატვირთვით მუშაობს. მერწმუნეთ, პროდუქცია ქსელში გასაყიდად ვერ მოხვდება, თუ ლაბორატორიული კვლევის რომელიმე ეტაპს ვერ გაივლის.

— **„პოპულს“ სავაჭრო ქსელში**

ლი თბილისის გარეთაც აქვს და რეგიონებში არსებული მალაზიებიც ამ საწარმოდან მარაგდება პროდუქციით?

— დიდი ზომის, XL ფორმატის მალაზიებში პროდუქციის წარმოება კვლავ ადგილობრივად ხდება როგორც დედაქალაქში, ასევე ქალაქგარეთაც. შესაბამისად, რეგიონული მალაზიები თავად ამზადებენ მზა პროდუქტებს. თუმცა, წარმოების



სტანდარტები ყველგან ერთია და ის მკაცრად კონტროლდება.

— **როდესაც ამ საწარმოს გახსნაზე მუშაობდით, ხომ არ აიღეთ რომელიმე ქვეყნის ანალოგი?**

— დაახლოებით 15 წელია, რაც ამ დარგში ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში მსგავსი წარმოება სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მაქვს გაკეთებული, მაგრამ არა ასეთი მასშტაბური. ევროპაში საწარმო ძირითადად, მაინც სპეციალიზებულია ერთი ან ორი მიმართულებით. მაგალითად, ხშირად გვხვდება სავაჭრო ქსელებში ხორცის საწარმო და მზა საჭმლის სააქრო. დანარჩენ პროდუქციას სუპერმარკეტები უფრო სხვა მწარმოებლებისგან ყიდულობენ.

— **საინტერესოა, თუ მიმდინარეობს პერიოდულად მომხმარებლის გემოვნური თვისებების კვლევა და თუ ემატება უკვე არსებულ სიას ახალი პროდუქტები?**

— გაყიდვების მოცულობიდან გამომდინარე, ძირითადი ასორტიმენტი დროდადრო იცვლება, პერიოდულად ემატება ან აკლდება რაღაც. ცვლილებების დიდი წილი სეზონურობაზე მოდის, ამიტომ ასორტი-

მენტში ცვლილებები სულ ხდება. მარხვის დროს, ასორტიმენტს სამარხვო კერძებიც ემატება. „პოპული“ ყოველდღიური მოხმარების ქსელია, ამიტომაც ძირითად ასორტიმენტულ ხაზს მუდამ ვაახლებთ.

„პოპული“ კვების პროდუქტების წარმოებაში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა საქართველოში. ყოველდღიურად ქსელში პროდუქტს სულ მცირე, 35000 ადამი-

ანი ყიდულობს, რაც უზარმაზარი პასუხისმგებლობაა ჩვენთვის. ამ ქვეყანაში ბევრი სხვა ე.წ. „საწარმოც“ ვნახე, მხოლოდ დედაქალაქში 3000 უბნის უსახელო მალაზიაა. ზოგს ავტოფარეზშიც კი აქვს საწარმო ან სასურსათო მალაზია გახსნილი. იქ სანიტარიული ნორმების დაცვასა და უსაფრთხოებაზე საუბარიც კი ზედმეტია, ის საქმე კი, რომელსაც ჩვენ „პოპულის“ გუნდთან ერთად ვაკეთებთ, პირველ რიგში, დაფუძნებულია პასუხისმგებლობასა და პროფესიონალიზმზე, ჩვენი მიზანია, მომხმარებელმა ჯანსაღი და ყოველდღიურად ახალი, ჰიგიენურად სუფთა პროდუქტი მიიღოს.

P.S. „პოპული“ საახალწლო სამზადისი უკვე დაიწყო. წლის დღესასწაულებზე „პოპულის“ საწარმო სრული დატვირთვით იმუშავებს, რათა მომხმარებელს დროულად მიანოდოს პროდუქციის მრავალფეროვანი ასორტიმენტი. „პოპული“ მომხმარებელს საახალწლოდ სიურპრიზებითაც გაანებივრებს.

[R]



— დღეს შენევაში მოლაპარაკებების მე-15 რაუნდი უნდა გაიმართოს. რამდენად რეალურია, გვეჩვენოს იმედი, რომ 14 უშედეგო რაუნდის შემდეგ, მხარეები ამჯერად მაინც მიიღწევენ შეთანხმებას?

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთი შეურაცხყოფილია იმის გამო, რომ ლისაბონსა და ასტანაში გამართულ სამიტებზე მსოფლიო ლიდერებმა საქართველოს მხარდაჭერი განცხადებები გააკეთეს, უნდა ვივარაუდოთ — შენევის მე-15 რაუნდიც უშედეგოდ დასრულდება. რუსეთის პრეზიდენტმა პრაქტიკულად გააძევა საკუთარი თავი ასტანაში გამართული შეხვედრიდან. ახლა რუსული მხარე ბოლმას სწორედ შენევაში ამოანთხევს. ჩემი აზრით, შენევის მოლაპარაკებებიდან შედეგს ვერასდროს მივიღებთ, მოლაპარაკება უნდა დაიწყოთ თბილისსა და მოსკოვს შორის, ასევე — თბილისსა და სოხუმს შორის და თბილისსა და ცხინვალს შორის. მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობები შექმნის იმის წინა პირობას, რომ ჩვენ ჯერ ჩვენსავე ცნობიერებაში განვასხვავოთ ერთმანეთისგან სოხუმისა და ცხინვალის პრობლემები. ჩვენ დღეს ვიზიარებთ რუსულ მოდელს, რომლის მიხედვითაც, აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობისას, ერთი და იგივე პრობლემები გვაქვს; სინამდვილეში, კონფლიქტები ცხინვალთან და აფხაზეთთან სრულიად განსხვავებულ ისტორიულ, გეოგრაფიულ-პოლიტიკურ, ეთნიკურ და ზნეობრივ პრობლემებზეა აგებული. ვიდრე ჩვენ რუსულ მოდელს ვიზიარებთ, ჩავთვალთ, რომ მოსკოვს ხელს ვუწყობთ იმაში, რომ მოლაპარაკებები შენევაში უსასრულოდ და უშედეგოდ გაგრძელდეს. ამ ყველაფერთან ერთად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დრო საქართველოს კი არა, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს...

ექსპერტმა ხარეზავამ 9 ადამიანი დააჭარბინა

6 მილიონი ლარი თავისუფლების სანაცვლოდ

თბილისის საქალაქო სასამართლოში (მოსამართლე ეკა არეშიძე) ხმაურაინი საქმის განხილვა დასასრულს უახლოვდება. განსასჯელის სკამზე 5 პირი ზის. შეგახსენებთ, 2010 წლის 6 ივლისს, თბილისში 10 ადამიანი დააკავეს: ცნობილი ბიზნესმენი, თამაზ ელიზბარაშვილი, მისი რძალი, ადვოკატი სალომე ივანიშვილი, სალომეს მამა, ზურაბ ივანიშვილი, ელიზბარაშვილის ბიზნესპარტნიორი და მეგობარი, თეიმურაზ მაჭავარიანი, ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, მერაბ ქორჩილავა და ცნობილი ექსპერტ-ფსიქიატრები: გიორგი ნანეიშვილი, თეიმურაზ ხარეზავა, ზურაბ ბერია, თეიმურაზ სილაგაძე და თამარ გოჩიტაშვილი.

თაა სურსილავა

მათი დაკავება მსჯავრდადებულ გურამ ელიზბარაშვილის საქმეს უკავშირდება. ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის ვაჟმა 2001 წლის 19 მაისს, 19 წლის მიხეილ ცილიკიშვილი საკუთარ დაბადების დღეს, საბანკეტო დარბაზის წინ მოკლა. მასთან ერთად, მძიმედ დაიჭრა მოკლულის ბიძა, ნუგზარ ცილიკიშვილი. იგი ძმისშვილის დახმარებას ცდილობდა...

19 წლის გურამ ელიზბარაშვილი 2002 წლის ნოემბერში დააკავეს და 3 მუხლით გაასამართლეს — განზრახ მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარება-შენახვა. სასამართლომ 21 წლითა და 6 თვით აღუკვეთა მას თავისუფლება. მოგვიანებით, გაცემული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, გურამ ელიზბარაშვილი შეურაცხადად ცნეს და ციხიდან ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

2006 წელს კი ექსპერტთა სხვა შემადგენლობამ მსჯავრდადებულის მდგომარეობა ხელახლა შეისწავლა და განსხვავებული დასკვნა გამოიტანა — ის ფსიქიკურად ჯანმრთელად ცნეს. ამ დასკვნით, გურამ ელიზბარაშვილი 2006 წელს ისევ ციხეში დააბრუნეს. მის 21-წლიან პატიმრობას, ახალი სასჯელიც დაემატა — ბადრაგისთვის წინააღმდეგობის განწევისთვის. აღნიშნული განაჩენი ადვოკატებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აქვთ გასაჩივრებული.

გამოძიების მტკიცებით, ბიზნესმენმა თამაზ ელიზბარაშვილმა შვილის, გურამის შეურაცხადობის დამადასტურებელი დასკვნის მოსაპოვებლად, რძლის (გურამის მეუღლის), სალომე ივანიშვილისა და მძახლის, ზურაბ ივანიშვილის შუამავლობით, 2010 წლის 3 ივლისს სს „ასათიანის სახელობის ფსიქი-

ატრიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის“ დირექტორი, თეიმურაზ ხარეზავა მოისყიდა. გაირკვა, რომ 2.000 დოლარად ხარეზავამ მას ექსპერტიზის ყალბი დასკვნა გადასცა. დასკვნის მიხედვით, გურამი ქრონიკული ფსიქიატრიული ავადმყოფობით არის დაავადებული. ამასთანავე, აღნიშნულ პირებს 2004 წელს ჩადენილი ფაქტიც წაუყენეს ბრალად: თამაზ ელიზბარაშვილმა ჯერ კიდევ მაშინ, ექსპერტებს ყალბი დოკუმენტის დაშაადების თხოვნით მიმართა. ჯანდაცვის მინისტრის მაშინდელი მოადგილე, მერაბ ქორჩილავა საქმის კურსში იყო და ფსიქიატრ-ექსპერტებმა — გიორგი ნანეიშვილმა, თეიმურაზ ხარეზავამ, ზურაბ ბერიამ, თეიმურაზ სილაგაძემ და თამარ გოჩიტაშვილმა ყალბი დასკვნა გასცეს. სანაცვლოდ, თეიმურაზ მაჭავარიანისა და მძახლის, ზურაბ ივანიშვილის შუამავლობით, ელიზბარაშვილმა გამაყალბებლებს 30.000 დოლარი გაუგზავნა. ყველა ბრალდებულმა დანაშაული აღიარა. თამაზ ელიზბარაშვილს, თეიმურაზ მაჭავარიანსა და ზურაბ ივანიშვილს ჯანდაცვის იმუამინდელი მინისტრის მოადგილის, მერაბ ქორჩილავასთვის ქრთამის მიცემა ედებათ ბრალად, ასევე — ექსპერტ-ფსიქიატრების მოსყიდვა, მათთვის ფულის გადაცემა და ექსპერტიზის დასკვნის ფალსიფიკაცია, რამაც გურამ ელიზბარაშვილისთვის გამოტანილი სასჯელის უკანონოდ გადავადება გამოიწვია.

მეორე ეპიზოდში თამაზ ელიზბარაშვილი, მისი რძალი, სალომე და ზურაბ ივანიშვილი ფიგურირებენ. მათ ბრალად ედებათ ექსპერტ თეიმურაზ ხარეზავასთვის ჯგუფურად ფულის გადაცემა, რათა ექსპერტიზის ბიუროში, საექსპერტო კვლევისთვის, ყალბი დასკვნა წარედგინა, ამით კი მტკიცებულების ფალსიფიკაცია მოხდებოდა.

თითოეული ექსპერტი — 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. თამაზ ელიზბარაშვილს,

შალე!

PALITRA

TV-RADIO

ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



თეიმურაზ მაჭავარიანს, ზურაბ ივანიშვილსა და მერაბ ქორჩილავას კი ციხეში უკრეს თავი. ელიზბარაშვილების ოჯახიდან მხოლოდ სალომე ივანიშვილი დარჩა თავისუფლებლაში, ისიც — 5.000-ლარიანი გირაოს გადახდის სანაცვლოდ. სასამართლოზე ხუთივე განსასჯელმა თავი დამნაშავედ ცნო. განსასჯელთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, სახელმწიფო ბრალმდებელმა შეკვეცილი სასამართლო განხილვა ითხოვა. განსასჯელები და მათი ადვოკატები პროკურორს დაეთანხმნენ. ისიც ცნობილი გახდა, რომ საპროცესო შეთანხმებაზე პროკურატურასთან აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

ადვოკატი ელზა ჯმუხაძე თამაზ ელიზბარაშვილს, სალომე ივანიშვილს, თემურ მაჭავარიანსა და ზურაბ ივანიშვილს იცავდა. მასთან ერთად, კიდევ მ ადვოკატი მონაწილეობდა: დავით ხაჯალია, ლევან გორხელაშვილი და ნუგზარ კვარაცხელია. ჯმუხაძემ გასულ კვირას მისი დასაცავებისთვის პატიმრობის გირაოთი შეცვლა მოითხოვა. მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სამივე დარბაზიდან გაათავისუფლა.

როგორც გაირკვა, პროკურატურასთან 5-თვიანი მოლაპარაკება შედეგინად დასრულდა. ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილს თავისუფლება 6 მლნ ლარი დაუჯდა, დანარჩენებს იმავე დანაშაულისთვის 5.000-5.000-ლარიანი გირაო აკმარეს. სასამართლოზე ციხიდან მოყვანილი პატიმრებიდან, მხოლოდ მერაბ ქორჩილავა შეაბრუნეს საკანში. ქორჩილავას ბრალად ედება თანამდებობის პერიოდში ქრთამის აღება, ის, რომ მან საკუთარი ავტორიტეტი გამოიყენა და ხელი შეუწყო არასწორი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის გაცემას; აგრეთვე, ექსპერტებს სამსახურებრივი მფარველობა გაუწია. ქორჩილავას ადვოკატი გიორგი ყაველაშვილი იცავს. სავარაუდოდ, მასთანაც საპროცესო შეთანხმება გაფორმდება.

როგორც შევითვალთ, ეს დანაშაული ძალოვნებს ექსპერტმა თეიმურაზ ხარეზავამ გაახსენებინა და სწორედ მისი ჩვენებით მოხდა ამდენი ადამიანის აყვანა. ამით ხარეზავამ საკუთარი თავი იხსნა. ხარეზავას სისხლისსამართლებრივი დევნა, თაღლითობის მუხლით, ძალოვნებმა სულ სხვა საქმეზე აღძრეს. მას მოქალაქე მამედოვა უჩივლა. როგორც ჩანს, ექსპერტი დილეგის წინაშე იდგა: ან პატიმრობა, ან — ძალოვნებთან თანამშრომლობა. კანონით, თუ გამოძიებასთან ითანამშრომლებ და უფრო მძიმე დანაშაულს გაახსენებენ, პასუხ-

ისმგებლობა შეგიძლებოდა. მან აღიარა ძველი დანაშაული და გაათავისუფლეს. დაკავებულ ექსპერტსა და მის კოლეგებს ბრალად ედება: მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის მიცემაში ხელშეწყობა, ჯგუფურად ქრთამის აღება და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. გამოძიებამ რატომღაც, საქმე ორ ნაწილად გაყო



ბატონმა თამაზმა თავიდანვე განაცხადა, — ჩემი შვილის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იდგა

და ექსპერტებს ცალკე გაასამართლებენ. თუ რატომ, ამ კითხვაზე პასუხი ჩვენთვის უცნობია. სავარაუდოდ, მათ პირობით სასჯელს აკმარებენ.

რამდენიმე კითხვით, თამაზ ელიზბარაშვილის ადვოკატს, ელზა ჯმუხაძეს მივმართეთ.

ელზა ჯმუხაძე:

— რამდენიმე ადვოკატი ვმუშაობთ ამ საქმეზე და ფუნქციები განაწილებული გვქონდა. ბატონმა თამაზმა თავიდანვე განაცხადა, — ჩემი შვილის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იდგა, ეს დასკვნა იყო ერთადერთი გამოსავალი, რომ გურამი სპეციალურ დანესებულებაში მოეთავსებინათ; ფული მომთხოვეს და მივეცი; ამით მივალწიე იმას, რომ ჩემი შვილი ფოთის ფსიქიატრიულში გადაიყვანეს და მკურნალობა დაუნიშნესო. მსჯავრის აცილებას ის არ ცდილობდა, სასჯელს მსჯავრდადებული ფსიქიატრიულში მინც იხდი-

და. რაც შეეხება მკვლელობას, ეს ძალიან მტკივნეული საკითხია ამ ოჯახისთვის და ამ საკითხზე საუბარი, აღარ გვინდა. გურამს ფსიქიკის პრობლემა ნამდვილად, ბავშვობიდან ჰქონდა; საპრობილეში მისი ჯანმრთელობა უფრო დამძიმდა. ციხის პირობებში მისი მკურნალობა შეუძლებელი იყო. აუტოტრავემბისკენ არის მიდრეკილი და სხვადასხვა დროს სხეულზე საკუთარი ხელით 82 ჭრილობა აქვს მიყენებული. თავად ექსპერტმა ხარეზავამ დაკითხვისას თქვა, — ნამდვილად არ არის ჯანმრთელი, მას აქვს პრობლემაო. მაგრამ აქ ლაპარაკი იყო შერაცხადობა-შეურაცხადობაზე, რაც ექიმების შეფასების საგანია. მართლა მოითხოვა თანხა ხარეზავამ და მართლა გადაუხადა. ბატონი თამაზი შვილის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა მხოლოდ და ისიც არ დაგვაგინყდეს — შევარდნაძის პერიოდზე საუბარი, მაშინ კორუფცია რომ იყო, ყველამ ვიცით.

— 6 მილიონი რა კრიტერიუმით გადაგახდევინქს, როცა თქვენს დასაცავს სხვა პატიმრებს იმავე დანაშაულისთვის, 5.000 ლარი აკმარეს?

— აქ უჩვეულო არაფერი მომხდარა. კანონით გათვალისწინებულია — ერთი და იმავე დანაშაულისთვის, შეიძლება, ერთ ადამიანს ჯარიმის სახით, 20.000 ლარი შეეფარდოს, მეორეს — 5.000, ვილაცას კი — 6 მლნ. ეს დაკავებულის ფინანსურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. თავიდან უფრო დიდ თანხაზე იყო ლაპარაკი და საბოლოოდ, შევთანხმდით და ეს თანხა გადავიხადეთ. ამხელა თანხის მობილიზება არ იყო მარტივი, დრო დასჭირდა.

— რატომ გამოიყო ექსპერტების საქმე ცალკე წარმოებად და ერთ საქმეზე დაკავებულ ყველა ადამიანს ერთად რატომ არ ასამართლებენ?

— ნამდვილად ვერ გაგვქმთ ამ კითხვაზე პასუხს. ჩვენც სასამართლოში შევიტყვეთ, რომ მათი საქმე ცალკე განიხილება.

P.S. რაც შეეხება უშუალოდ სასჯელებს, — მოსამართლე ამ დღეებში გამოიტანს განაჩენს და სავარაუდოდ, განსასჯელებს პირობით სასჯელებს აკმარებენ. ■

ქოლესტერინის საზომი აპარატი 69 ლარი

გლუკოზომეტრი 35 ლარიდან

მის: გორჯოძის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

ნააზარა ძველი, დაახლოებით 27 ლარი და მიიღე ახალი გლუკოზომეტრი

„ქართული ბრენდის დღე“ — ეკონომიკური წინსვლის უმაჯაბიბელი პროექტი

„ქართული ბრენდის დღე“ ერთ-ერთი წარმატებული პროექტი გახლავთ. წელს ის გამარჯვებული ნაციონალური ბრენდების წარმომადგენლებსა და დაჯილდოების ცერემონიაზე მიწვეულ მრავალრიცხოვან საზოგადოებას მერვედ უმასპინძლებს. გამარჯვებული ბრენდ-კომპანიების დაჯილდოება 22 დეკემბერს, 19 საათზე, „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართება

ეთო ყორღანაშვილი

ბრენდების ყოველწლიური კონკურსი მრავალ ქვეყანაში ტარდება და პოპულარულია. საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილს“ სწორედ ამ ფაქტმა უბიძგა, რომ ნაციონალური ბრენდების დაჯილდოების ტრადიცია საქართველოშიც დაემკვიდრებინა. პირველად „ქართული ბრენდის დღე“ 2003 წელს ჩატარდა. ის სალონური ტიპის ღონისძიება გახლდათ. მასში მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდა. პროექტის ორგანიზატორებს საზოგადოებისათვის სიტყვა „ბრენდის“ განმარტება უწევდათ, რადგან ბევრმა მისი მნიშვნელობაც არ იცოდა... „ქართული ბრენდის დღის“ პირველივე ღონისძიება წარმატებული იყო და პრესისა და ტელევიზიის ყურადღებაც მაშინვე მიიქცია. 2004 წელს, „ქართული ბრენდის დღე“ ისევ სალონური ტიპის ღონისძიების სახით ჩატარდა, თუმცა უფრო მასშტაბური იყო: ღვინის მწარმოებელი კომპანიების გარდა, მასში სხვა ქართული ბრენდებიც მონაწილეობდა. შემდეგ წელს, კონკურსში ბრენდები ოცი სხვადასხვა სფეროდან ჩაერთო: საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ხორციის პროდუქტების მწარმოებელი, მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები და ა.შ. ასევე, „ქართული ბრენდის დღეზე“ „ქართული ხმები“ დაჯილდოვდა, როგორც ბრენდი. ასე რომ, პროექტმა კულტურის სფეროც მოიცვა. 2008 წელს ბუბა კიკაბიძე „ბრენდ-პერსონა“ გახდა და „ქართული ბრენდის დღისაგან“ სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა...



2009 წლის დაჯილდოების ცერემონიაზე

პროექტის მიზანი ქართული ბრენდების პოპულარიზაციაა. „პროფილი“ ბრენდების განვითარებას თვალყურს ადევნებს და მათ განვითარების ყველა ეტაპზე წარმოაჩენს. პროექტი კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებას უწყობს ხელს, ქართულ ბიზნესში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს მხარს უჭერს და საზოგადოებას საინტერესო ინფორმაციას აწვდის.

ბანანა ვაზიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ გენერალური დირექტორი:

— ეკონომიკის განვითარებას „ფეხდაფეხ მივდევთ“. ჩვენი პროექტი საქართველოს ეკონომიკის სფეროში მიმდინარე მოვლენების ერთგვარი სახეა. პროექტის დაწყებისას, უცხოეთის გამოცდილება გამოვიყენეთ და ქართულ რეალობას შევუსაბამეთ. ნიუ-იორკის საზოგადოებასთან ურთიერთობის ასოციაციასთან, ბელორუსიის, რუსეთის, უკრაინის „პიარ-სკოლებთან“ პარტნიორული ურთიერთობა გვაკავშირებს.

— ქართული ბრენდების წარმომადგენლები პროექტს რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ?

— მათთვის ეს პრესტიჟული კონკურსია. „ქართული ბრენდის დღეზე“ გამარჯვება ბრენდისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი „ხარისხის ნიშანია“.

— მთელი წლის განმავლობაში, წარმატებული ბრენდ-კომპანიების შერჩევა როგორ ხდება?

— ინტერნეტპორტალი — „ქართული ბრენდი“ გვაქვს, რომელიც 2005 წელს

შექმენით. პორტალზე ბრენდის შეფასების საინტერესო სისტემა (ბრენდის შეფასება 10 კრიტერიუმით ხდება. ამ პროცესში მონაწილეობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია) არსებობს. მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერი ქართული ბრენდის რეიტინგის შემოწმება შეიძლება, თუმცა ეს ჩვენთვის კვლევის ერთადერთი მეთოდი არაა. სხვადასხვა ნომინაციას დამატებითი კვლევა სჭირდება.

— ტრადიციული ნომინაციების გარდა, წელს ნაკლებად ცნობილი ბრენდებისათვის ენ. წამახალისებელი ნომინაციებიც ხომ არა გაქვთ?

— „წარმატებული ახალი ბრენდი“ სწორედ წამახალისებელი ნომინაციაა. ჩვენ ბრენდს განვითარების ყველა ეტაპზე წარმოვაჩენთ. თუკი ბრენდს უკვე ხალხის ნდობა აქვს მოპოვებული, ყველაზე მაღალ — „ლიდერის“ ნომინაციაში იმარჯვებს. რამდენიმე ბრენდი ლიდერობას წლების განმავლობაში ინარჩუნებს, მათ შორის — მედიასახლი „ვერის პალიტრა“...

წელს, „ქართული ბრენდის დღის“ დაჯილდოების ცერემონიაზე მიწვეულნი არიან: საქართველოს ხელისუფლებისა და საელჩოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, ეკონომიკისა და მედი-აკომუნიკაციის ექსპერტები, პოლიტოლოგები, ფსიქოლოგები, ხელოვნების, კულტურისა და მწერლობის თვალსაჩინო მოღვაწეები. საზოგადოებას სიურპრიზებით სავსე პომპეზური დღესასწაული ელის, სადაც გამოვლინდება „ლიდერი“, „წარმატებული ახალი ბრენდი“ (როგორც ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, წელს ჩვენს ქვეყანაში წარმატებული ახალი ბრენდი განსაკუთრებულად ბევრია), „წარმატებული ტელეპროექტი“, ნომინაციაში — „რეპუტაცია და ნდობა“ გამარჯვებული ბრენდ-კომპანია და რა თქმა უნდა, „ბრენდ-პერსონა“.



ეკონომიკის განვითარებას „ფეხდაფეხ მივდევთ“

ჯიპიაი ჰოლდინგის, გუდვილის და ჯი.მარტის ერთობლივი საახალწლო აქცია: ბონუს დაზღვევა – ბონუს ბარათით!

10 დეკემბერ, 2010 წ: ბონუს დაზღვევა ბონუს ბარათით და ჯიპიაი ჰოლდინგის, გუდვილისა და ჯი.მარტის ერთობლივი საახალწლო აქცია დაიწყო. ყველა, ვინც 10 დეკემბრიდან 10 იანვრამდე ავტომატურად, სახლს ან აგარაკს დააზღვევს ჯიპიაი ჰოლდინგში, კომპანია 200 ლარს ჩუქნის გუდვილის ბონუს ან ჯი.მარტის ფალკო ბარათზე. თანხის განაღდება წლის ნებისმიერ მონაკვეთში იქნება შესაძლებელი გუდვილისა და ჯი.მარტის სავაჭრო ქსელში თბილისსა და ბათუმში.



აქციის ფარგლებში ჰიპერმარკეტ გუდვილში პრეზენტაცია მოეწყო, სადაც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა სახეებმა: შორენა ბეგაშვილმა, ლევან ხურციამ, კახა მიქიაშვილმა და ანა კოშკელიშვილმა. სახალისო შეჯიბრებების შემდეგ ისინი სხვადასხვა პრიზით დაჯილდოვდნენ. კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგმა მათ 1-წლიანი სამოგზაურო დაზღვევა გადასცა.

R

გურამ მუსხელიშვილი, ჯიპიაი ჰოლდინგის საცალო გაყიდვების უფროსი: ყოველ ახალ წელს ჩვენ სხვადასხვა სახის საახალწლო აქციას ვახორციელებთ. წელს გადავწყვიტეთ, აქცია გუდვილთან და ჯი.მარტთან ერთად გაგვეკეთებინა. ჯიპიაი ჰოლდინგი 200 ლარს ჩუქნის ყველას, ვინც 10 დეკემბრიდან 10 იანვრამდე მანქანას, სახლს ან აგარაკს დააზღვევს. ფფიქრობ, ეს საკმაოდ მიმზიდველი შეთავაზებაა — 200 ლარი საახალწლო საყიდლებისთვის და თან, მთელი წელი დაზღვეული ხარ გაუთვალისწინებელი შემთხვევისგან“.





სახე

უსწოზი თაყვანისმცემლის მისიჯები, ახალით „გაფორმებული“ ჰაემანი და „დასმენი“ მეგობარი



თუმცა ერთმანეთი არ გაგვიცნია, იმ საღამოს ისე მიყურებდა, მაინც დამამახსოვრა თავი...

ტელენამყვანი გვანცა დარბსილია სულ რამდენიმე თვეა, რაც გათხოვდა. მისი რჩეული — ყოფილი მორაგბე, ამჟამად კი პოლიტიკოსი — ვახო მჭედლიძემ გახლავთ. როგორ გაიცნეს ერთმანეთი, რა ბრძოლა გადაიტანა ვახომ გვანცას გულის მოსაგებად და როგორია ოჯახური თანაცხოვრებით მოგვრილი პირველი შთაბეჭდილებები — ამ ყველაფრის გასარკვევად წვეილს შინ ვენვიე.

ნათია ჟივიკა

გვანცა:

— რატომღაც ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვახოსთან ერთად 4 თვე კი არა, 4 წელია, ვცხოვრობ. მალე შევეჩვიეთ ერთმანეთს. ორი ადამიანის თანაცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ, სასიათების თანხვედრაა. როცა ადამიანს კარგად ეწყობი, სხვა სირთულე აღარ არსებობს.

ვახო:

— აბსოლუტურად ვეთანხმები გვანცას. იმდენად კარგად გავიცანი ერთმანეთი, რომ მან იცის, რა არ მესიამოვნება და ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს, და — პირიქით, მე ვიცი, რა არ ესიამოვნება მას. შესაბამისად, ყველანაირ ოჯახურ პრობლემას ადვილად ვაგვარებთ.

— **სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ ყველაზე მეტად, თქვენი გაცნობისა და სიყვარულის ამბავი მინტერესებს.**

გვანცა:

— გათხოვებამდე თაყვანისმცემლები, რასაკვირველია, მყავდა და ყველა მათგანმა იცოდა, რომ „რუსთავი 2“-ში ვმუშაობდი, მოდელი ვიყავი და ა.შ. ვახო ის გამონაკლისი აღმოჩნდა, რომელსაც ეკრანზე ერთხელაც კი არ ვყავდი ნანახი და საერთოდ, წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ ვინ ვიყავი. ერთ-ერთ კლუბში 7 იანვარს, კომპოზიტორ რუსა მორჩილაძის საღამო იყო, სადაც მეც ვიმღერე...

ვახო:

— იმ პერიოდში პრალაში რაგბის ვთამაშობდი და შესაბამისად, იქ

ვცხოვრობდი. აქაურ ტელევიზიებში რა ხდებოდა, აზრზე არ ვიყავი. იმიტომაც არ ვიცოდი, თუ ვინ იყო გვანცა. საშობაოდ საქართველოში ჩამოვედი და მეგობრებთან ერთად იმ კლუბს ვენვიე. გვანცა სცენაზე რომ ავიდა და იმღერა, მისით უცებ მოვიხიბლე. ჩემს მეგობრებს მის შესახებ ყველაფერი გამოვკითხე. მაშინვე მის გასაცნობად არ მივსულვარ, რადგან არ მინდოდა, ჩემთან ცეკვაზე უარი ეთქვა... იმ ღამეს ისევ პრალაში მივფრინავდი. მეგობრებისგან გვანცას ტელეფონის ნომერი გავიგე და პრალაში რომ ჩავფრინდი, იქიდან ასეთი მესიჯი მივწერე: „ძალიან ლამაზი ხარ და თურმე რა კარგად მღერის!“ პასუხი მოგვიანებით გამომიგზავნა.

გვანცა:

— მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი არ გაგვიცნია, იმ საღამოს ისე მიყურებდა, მაინც დამამახსოვრა თავი... მესიჯი რომ მომივიდა, მაშინვე მივხვდი, რომ ის იყო. ყველა — არა, მაგრამ არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელსაც მხოლოდ იმის გამო უნდოდა ჩემთან ურთიერთობა, რომ ცნობილი ვარ, ტელევიზიაში ვმუშაობ და ა.შ. როცა შევიტყვე, რომ ვახომ ამის შესახებ არაფერი იცოდა, მის მიმართ მაშინვე დადებითად განვწყვე.

ვახო:

— მერე ყვავილებს ვუგზავნიდი ხოლმე, ეს კი არ იღებდა...

გვანცა:

— რატომ იტყუები? როგორ არ ვიღებდი?!



პასუ:

— ერთხელ მერია ჟურნალისტებისთვის რაღაც საღამოს მართავდა. გვანცაც დავაპტიჟე და მისთვის ყვავილებიც შევიძინე, მაგრამ იმ დღეს არ მოვიდა.

გვანცა:

— აბა, როგორ მივიდოდი — აბსოლუტურად უცხო ადამიანი მირეკავდა და შეხვედრას მთხოვდა!.. ერთმანეთს არც კი ვიცნობდით, ეს კი დანვრილებით მეკითხებოდა, იმ დღეს რას ვაკეთებდი, სად ვიყავი. ერთ-ერთ ჟურნალში ჩემი და ვასკა ივანოვის ერთობლივი ინტერვიუ დაიბეჭდა. დამირეკა და მკითხა, — ეს ბიჭი ვინ არისო?

პასუ:

— მაშინ ვასკას არ ვიცნობდი და ისეთი ფოტოები იყო, არ მომეწონა: ერთ-ერთ სურათში თმას უწენდა. მაშინვე დავურეკე და ვკითხე, ვინ არის ეს ბიჭი-მეთქი? მანაც უცებ ამიხსნა, ვინც იყო. მერე საკუთარ თავზე გაბრაზდა, — რატომ გიხსნი ამ ყველაფერსო?! — მაგრამ უკვე ახსნილი ჰქონდა...

გვანცა:

— დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ შესაძლოა, თავიდან არც იმდენად მოვწონდი, მაგრამ საოცრად მიზანდასახულია. უცხო ადამიანებს არასოდეს ვხვდებოდი, მაგრამ ვახოს გამოჩენის შემდეგ ისეთი შორეული ნაცნობები მირეკავდნენ, რომლებიც წლების განმავლობაში არ მყავდნენ ნანახი. რეკავდნენ და ვახოს აქებდნენ. სადაც უნდა წავსულიყავი, ყველგან მეუბნებოდნენ, — ისეთ ბიჭს მოსწონსარ, ვერ წარმოიდგენო!.. მოკლედ, მთელმა თბილისმა იცოდა, რომ ვახო მჭედლიძეს მოვწონდი. გავგიჟდი, ვფიქრობდი, — ნეტავ, ვინ არის ეს ვახო ამისთანა-მეთქი?! ბოლოს გადავწყვიტე, რომ ჩვენს პირველ შეხვედრას პაემნის სახე არ მისცემოდა...

პასუ:

— იმ დღეს ჟურნალისტების კარაოკეზე დავაპტიჟე და არც იქ მოვიდა...

გვანცა:

— ჟურნალისტების წრეში უამრავი მეგობარი ჰყავს და ცდილობდა, მათი საშუალებით, მეც იმ წრეში შევსულიყავი. ამას რომ მივხვდი, მაქსიმალურად თავს ვარიდებდი.

პასუ:

— მაშინ რომ არ მოვიდა, დავურეკე და ვუთხარი, რომ იმ კარაოკეზე მხოლოდ მის გამო ვიყავი მისული. გვანცამ მიპასუხა, რომ მეგობრებთან ერთად, ერთ-ერთ რესტორანში იმყოფებოდა.

გვანცა:

— ახლა მე მოვყვები, რა მოხდა. იმ რესტორანში რომ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, ვიფიქრე, რომ ეს ჩემთვის ხელსაყრელი სიტუაცია იყო, რადგან ერთი

წუთით ვნახავდი და მერე მიზეზი მეჩებოდა — ვეტყვი, რომ მეგობრები მელოდებოდნენ და წავიდოდი... გამოვფიქრეთ და ველოდებოდი. უცერად ორი მანქანა ძალიან დიდი სისწრაფით მო-



გვანცა რომ გავიცანი, „ოცნების ქალაქი“ უკვე გადაღებული იყო. მეშინოდა ამ ფილმის ნახვის: ვეკითხებოდი ხოლმე, — რაიმე „ისეთ“ სცენაში ხომ არ ხარ-მეთქი?..

ვარდა რესტორანთან. ერთი მანქანიდან ბიჭები გადმოვიდნენ და მეორე მანქანაში მჯდომ ვახოს კარი გაუღეს; ერთ-ერთმა მათგანმა კი საბარგული გააღო, ყვავილები ამოიღო, ვახოს მიანოდა; დანარჩენები მის უკან დადგნენ. წარმოიდგინე, ეფექტის მოსახდენად როგორი სპექტაკლი დაიბეჭდა!.. ვახოს ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, არასოდეს დამავიწყდება.

— შენ როგორი სახე გქონდა?

პასუ:

— როგორი და, რომ მეთქვა, ახლავე ცოლად გამომყევი-მეთქი, გამომყვებოდა.

გვანცა:

— რა სისულელეა!.. შემომთავაზა, ჩემი მეგობრები წამომეყვანა და მასთან ერთად წავსულიყავი, მაგრამ უარი ვუთხარი.

პასუ:

— არადა, ხომ გინდოდა წამოსვლა?

გვანცა:

— არა. ხომ იცი, რომ ტყუილს არ ვიტყვი. მაშინ მიმანდა, რომ ეს საჭირო არ იყო. მეგობრებს ხომ ვერ ვეტყვი, ეს კაცი ამნამს გავიცანი და მოდი, ახლა მას გავყვით-მეთქი, სისულელე იქნებოდა... ყოველ შემთხვევაში, ამ პირველმა შეხვედრამ ჩემზე იმოქმედა. მთელი ღამე მასზე ვფიქრობდი...

პასუ:

— შემდეგ შეხვედრაზე უკვე დამთანხმდა, ოღონდ ორი დაქალი წამოიყვანა. მეც ორი მეგობარი მახლდა თან. მერე უკვე სისტემატურად ვხვდებოდი.

— ბოლოს და ბოლოს, პირველი პაემანი როდის გქონდათ?

გვანცა:

— პაემანი არასოდეს გვექონია. დღემდე მარტოები არსად მივდივართ.

— აბა, მეგობრების თანდასწრებით აუხსენი სიყვარული?

პასუ:

— ასე გამოვიდა. მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავით. სხვა სუფრასთან გადავსხედით და მაშინ ავუხსენი სიყვარული.

გვანცა:

— მაშინვე თანმობა არ მითქვამს.

პასუ:

— ისე გამანვალა, მაშინვე კი არა, კარგა ხანს არ მითხრა პასუხი.

— ცოლობა როდის სთხოვე?

გვანცა:

— გამიცნო თუ არა, მაშინვე მთხოვა ცოლობა, მაგრამ ასე სად არის?!

პასუ:

— მერე მისი ძმა და მშობლებიც გავიცანი. სხვათა შორის, მამამისმა ძალიან კარგად მიმიღო.

გვანცა:

— ჩემი მშობლები მალევე მიხვდნენ, რომ ვახოზე სერიოზულად ვფიქრობდი, რადგან მანამდე სერიოზული ურთიერთობა ნამდვილად არავისთან მქონია. მამაჩემს ჩემგან მალულად, ვახოს შესახებ ყველაფერი გამოუკითხავს...

პასუ:

— მომავალმა სიმამრმა ასე მითხრა, — შენ შესახებ ყველაფერი გამოვიკითხე და ერთი ნაკლიც ვერ გიპოვე, რომ რაიმე ხელჩასაჭიდი მქონოდა და შენთვის წინააღმდეგობა გამეჩინაო...

— შენს მშობლებს გვანცა როდის გააცანი?

გვანცა:

— მისი ოჯახის წევრების გაცნობის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ვახო ყველაფერს ძალიან აჩქარებდა. ჰოდა, იეშმაკა და მითხრა, — გასაცნობად კი არ მიმყავსარ, უბრალოდ, ოჯახში რაღაც სუფრა გვაქვს და შენც წამოდიო. დედ-მამა შეუშინებია, უთქვამს,



— შეკითხვები არ დაუსვამთ და არ დააქვრდეთო... ჩვეულებრივი სტუმრის სტატუსით ვიყავი. არანაირი კომპლექსი არ გამჩენია. შეკითხვები რომ დაესვამთ, დავიზნეოდი. მერე დედამისი მეუბნებოდა, — წესიერად ვერც კი შემოგხედე და ვერც დაგელაპარაკე, რომ ვახო არ გაბრაზებულიყოო...

— ბოლოს და ბოლოს, ცოლობაზე როგორ დაგთანხმდა?

— სამწუხაროდ, ვახოსთვის ეს განსაკუთრებულ რიტუალს არ წარმოადგენდა. გაცნობიდან ძალიან მალე მეუბნებოდა, — რა მნიშვნელობა აქვს, შეყვარებული იქნები თუ — ცოლიო?!. ძალიან მწყდება გული, რომ რომანტიკულ გარემოში არ მთხოვა ცოლობა. ვახო, რა მოხდებოდა, სადმე წაგყვანე და სანთლების შუქზე გეთხოვა?!. აი, ნიშნობის ბეჭედი კი საკმაოდ რომანტიკულ ვითარებაში მაჩუქა. მშობლები ერთმანეთს ნიშნობამდე ბევრად ადრე გააცანით. მერე ვახომ რესტორნის ვერანდაზე გამიყვანა და ეს ბეჭედი თითზე წამომაცვა.

პასუხი:

— იმდენად დიდხანს ვცხოვრობდი მარტო, რომ გასაკვირი არ არის, ცოლად გამოყოლას რომ ვაძალედი: მომბეზრდა მარტო ყოფნა.

— ვახო, გარდა გარეგნობისა, რით მოგნიჭდა გვანცამ?

— პირველ დღეს მისი გარეგნობითა და სიმღერით მოვიხიბლე. გაცნობის შემდეგ კი მისმა ხალისიანობამ და სიალალემ მომიხიბლა. რატომღაც მანინვე ვიგრძენი, რომ გვანცა „ჩემიანი“ იყო. მაშინაც და მით უმეტეს ახლა, მის გვერდში დგომას ვგრძნობ.

გვანცა:

— ჩემამდე ვინ მოსწონდა, ვიცი და უნდა ვთქვა, რომ გემოვნებას ნამდვილად არ უჩივის... როგორც უკვე აღნიშნა, დიდხანს ცხოვრობდა მარტო, ცხოვრე-

ბაში ყველაფერი გამოცადა და მხარში მდგომი აკლდა ძალიან. რასაკვირველია, ოჯახი ყოველთვის გვერდით ჰყავდა, მაგრამ ადამიანისთვის მეორე ნახევარი აბსოლუტურად სხვაა... მე კი მისი სიძლიერით მოვიხიბლე. მისი იმედი მაქვს, ბოლომდე. თანაც, ამხელა კუნთები აქვს — ესეც ხომ სიძლიერეა!

— დიასახლისობა როგორ შეთვისე?

— რა ვიცი, მაგას ვახო გეტყვის...

პასუხი:

— თავიდან საერთოდ არაფერი იცოდა, ახლა ცოტა რაღაცის კეთება ისწავლა.

გვანცა:

— ჩემთვის ყველაზე რთული, დიასახლისობასთან შეგუება იყო, რადგან გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ძალიან ზარმაც ვარ. ახლა უკვე შევეჩვიე — სადმე რომ ვარ, შინ მომეჩქარება, რადგან ან სარეცხი მაქვს დასარეცხი, ან ბინა — დასალაგებელი. მანამდე ეს პრობლემები არ მანუხებდა, რადგან საოჯახო საქმეებს ყოველთვის დედაჩემი აკეთებდა.

პასუხი:

— განებივრებდნენ...

გვანცა:

— კი არ მანებივრებდნენ, ვმუშაობდი და ხელს მიწყობდნენ... ვერ დავიკვივნი, რომ სერიოზულ სადილებს ვაკეთებ, მაგრამ გარეთ ჭამა იმდენად მოგებურდა, საჭმელების კეთებაც დავინყე. სამაგიეროდ, ვახო ამზადებს კარგ კერძებს. გადასარევად წვავს მწვადს.

— ალბათ მეგობრებიც სწორად გსტუმრობენ...

— რა თქმა უნდა. სახლშიც და გარეთაც, ყოველთვის მეგობრების გარემოცვაში ვართ. მეც უამრავი მეგობარი მყავს და ვახოსაც. მისი მეგობრების წყალობით, უფრო მეტი გავიგე ვახოზე.

პასუხი:

— ჩემი მეგობრები სულ გვანცას მხარეს არიან. საერთოდ, მე და გვანცა ყველგან ერთად დავდივართ, მაგრამ ერთხელ გოგობმა გადაწყვიტეს, რომ მარტოები წასულიყვნენ. მეც ბიჭებთან ერთად წავედი რესტორანში. ვილაცხას ჩემი მეგობრისთვის ამბავი მიუტანია, — ვახო იმ რესტორანში გოგობთან ერთად ვნახეო. იმ მეგობარმა გადარეულმა დამირეკა, — ვინ გოგობთან ერთად ხარ? ახლავე დაფურეკავ გვანცასო!.. ძლივს დავარწმუნე, რომ მხოლოდ ბიჭები ვიყავით,

თან ეს ამბავი გვანცამაც იცოდა.

გვანცა:

— მერე იმ მეგობარმა ჩემთანაც გადაამონწა, — ვახო იმ რესტორანში რომ იყო, ნამდვილად იცოდით?

— ეჭვიანები ხართ?

— არა.

პასუხი:

— ადრე უფრო ეჭვიანი ვიყავი, ახლა — იმდენად აღარ. უბრალოდ ვიცი, რა ქალაქშიც ვცხოვრობთ. განა გვანცას არ ვნდობი; სხვას არ ვნდობი და არ მინდა, რომ მას ვინმემ შეურაცხყოფა მიაციენოს.

— მეუღლის კარიერას როგორ უყურებ?

— მშვენივრად. გვანცა რომ გავიცანი, „ოცნების ქალაქში“ უკვე გადაღებული იყო. მემინოდა ამ ფილმის ნახვის: ვეკითხებოდი ხოლმე, — რაიმე „ისეთ“ სცენაში ხომ არ ხარ-მეთქი?.. მაშვიდებდა, არაფერი „ისეთი“ არ არისო. მერე ვნახე და ძალიან მომეწონა. გვანცამ უკვე კარგად იცის, რა არ მომეწონება და იმას არ გააკეთებს. რაც შეეხება ტელევიზიას, რა თქმა უნდა, მომწონს მისი საქმიანობა. მოდელიობა კი თვითონ აღარ უნდა.

გვანცა:

— მოდელიობა ვახოს გაცნობამდეც აღარ მინდოდა.

— დილის 5 საათზე რომ გადის სახლიდან, ამას როგორ ეგუები?

— ამ ბოლო დროს მალევიძარას დარეკვამდე მე ვალვიძებ ხოლმე, რომ არ დაგავიანდეს.

გვანცა:

— ამის გამო პროტესტს კი არ გამოთქვამს, უბრალოდ ვეცოდები, ასე ადრე რომ ვდგები.

— დილის გადაცემას უყურებ ხოლმე?

— ინტერნეტში ვნახულობ. ვეროპაში როცა ვარ, სულ ვუყურებ, რადგან მენატრება.

— შენიშვნებს თუ აძლევ?

გვანცა:

— რაიმეს თუ მეუბნება, ეს უეჭველად შენიშვნაა, თორემ — რა კარგი ხარო, არ მეუბნება...

— ვახო პოლიტიკოსია. შენ როგორ უყურებ მის კარიერას?

— ამ სფეროში პირველ ნაბიჯებს დგამს. ძალიან ვგულუმემატივრობ. სულ ვუბნები, რომ უფრო მეტი უნდა გააკეთოს, რადგან ჩემი აზრით, პოლიტიკას ღრმა ცოდნა სჭირდება. ვნახოთ, ჯერ ყველაფერი წინ აქვს...

— ალბათ შვილის ყოლასაც აპირებთ, არა?

პასუხი:

— რა თქმა უნდა. ძალიან მინდა, პირველი შვილი ბიჭი მყავდეს... ამას წინათ რაღაც ვითამაშე და ცუდად არ გამოსვლია. იმედია, ჩემი შვილიც ითამაშებს... ■



მოდელიობა ვახოს გაცნობამდეც აღარ მინდოდა



მოკარული ფუნთუხები, ღამის ქოთანები ჩასხმული ღვინო და მესამე ხარისხის მებავონე გობირა

მსახიობი ბიორბი გობირა-ჩაიშვილი ბოლო დროს, ყურადღების ცენტრში პოპულარული ცოლის — ნათია ბანძელაძისა და აგრეთვე ძალზე პოპულარული ქალიშვილის — ნანუკა გოგიჩაიშვილის გამო ექცევა. ბეჭრმა შეიძლება არც იცის, რომ „იმედის დილის“ შემდეგ, გოგიჩამ „მზის“ დილას მიაშურა და ახლა ყოველდღე „გოგინას ხარისხიან დილას“ უძღვება. გვერდს ლამაზი გოგონები აღარ უშევენებენ, მაგრამ ამაზე დიდად არ დარდობს, ამბობს, რომ ზამთარში „მზეს“ არაფერი სჯობია.



არსად მივდივარ. შეიძლება, ბავშვებს კანფეტი ავუტანო, შეიძლება, დიასახლისს ოჯახისთვის რაიმე ნივთი ვუყიდო, — გააჩნია, რამდენი ფული მაქვს. ბოლო დროს საათების ყიდვა ამოვიჩემე. თუ ქალბატონებთან მივდივარ, საყურეს ან სამაჯურს ვარჩევ ხოლმე. ჩემი შვილებისთვის ხშირად ვყიდულობ სამკაულებს.

— **ე. სამკაულებში კარგად ერკვევი.**

— რა გითხრა?.. მოსწონთ. გუშინწინ ჩემს ნინუცას სამა-

ნილო მჭადლიშვილი

— შეარჩიე 3 სიტყვა საკუთარი ფსიქოლოგიური პორტრეტის შესადგენად.

— ტრადიციული, მშვიდი, მშრომელი.

— რომელიმე ქართულ ტრადიციას ხომ არ აპროტესტებ?

— ქართველი ვარ და მომწონს ქართული ტრადიციებიც, თავისი სუფრით, სადღეგრძელოებითა და სხვა დანარჩენით. არ მომწონს ღრეობა, თორემ ქართულ სუფრას რა სჯობია?! სხვათა შორის, განათლებული ხალხის მოგონილია სადღეგრძელოები; ფილოსოფოსი უნდა იყო, ფსიქოლოგი, რომ ისეთი სადღეგრძელო თქვა, სხვასაც გაუჩნდეს მისი გამეორებისა და თუნდაც ყანწის დაღვევის სურვილი.

— შენ თუ გაქვს ამის უნარი?

— მე ისეთი ხალხი მყავს გარშემო, ვისაც უთქმელად სჯერა ჩემი. ასე რომ, დიდი მჭევრმეტყველება არ მჭირდება, ისე სვაშენ ყანწებს.

— მთვრალი გოგინა როგორია?

— უმოქმედო. მეძინება. თუ ბუნების ნიაღში ვქეიფობ, მანქანაშიც შემოდლია დავიძინო.

— ტრანსპორტშიც ჩაგძინებია?

— არა, გამორიცხულია.

— რა არ მოგწონს შენს ხასიათში?

— უფრო მეტად მშრომელი მინდა ვიყო. 11 საათზე მთავრდება ჩემი

სამსახური და უსაქმურად ვარ. აი, ახლაც ვზივარ და სად წავიდე, არ ვიცი. ანონსებს გავახმოვანებ და თავისუფალი ვარ.

— ამის შემდეგ კიდევ ერთი ინტერვიუ მაქვს დაგეგმილი და თუ გინდა, წამოდი...

— (იციინის) წამოვალ, იქაც ვილაპარაკებ... სკოლის დამთავრების შემდეგ სულ ვმუშაობ, დღე არ გამიცდენია. ამიტომ ვერ ვეგუები ახლა უსაქმურობას. მეტეტონედაც კი ვმუშაობდი, როცა სკოლა დავამთავრე — შრომითი სტაჟისთვის; მესამე თანრიგის მეტეტონე გახლდით. 3 თვე ვიყავი გაფორმებული ამ „თანამდებობაზე“ — ხელფასს ვიღებდი მხოლოდ. ერთი-ორჯერ ვიყავი მისული სამსახურში.

— სად დახარჯე პირველი ხელფასი?

— ძმაცვები დავპატიყე ლუდზე, ქაბაბსა და მწვადზე.

— საერთოდ, რამდენად რაციონალურად ხარჯავ ფულს?

— თუ მაქვს, მაშინვე ვხარჯავ. ფულის გადადება არ შემეძლია — არა მაქვს ეს ხასიათი. ყოველდღე რაღაც მიმაქვს სახლში; თუ ცოტა ფული მაქვს, პურს მაინც ვიყიდი და მივიტან, ისე არ მივალ, რაღაც რომ არ მივიტანო. მიყვარს ადამიანებისთვის საჩუქრების ყიდვა, ხელცარიელი

ჯური, სანერი კალამი და საყურე ვუყიდე. ძალიან მოეწონა. სკოლიდან რომ მოვიდა, მითხრა, — ჩემი კლასელები გაგიუდნენ, ისე მოეწონათ შენი არჩევანიო. იმასაც ეამაყება: მამამ მიყიდაო, რომ ამბობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მთლად გოიმი მამა არ ჰყავს.

— დაბადების დღეს მეგობარმა ღამის ქოთანს რომ მოგიტანოს საჩუქრად, როგორი რეაქცია გექნება?

— ჰმ, ეგ რა მეგობრობაა, ვერ გავიგე! ღვინით გავუყვებ და დავაღვინებ — სხვა აღარ მომიტანს მერე.

— ეჭვიანი ხარ?

— არა, ჩემს ცოლს ისეთი სამსახური აქვს, სულ ვხედავ, სად არის; თუ ვერ ვხედავ, დავრეკავ და გავიგებ.



ერთმანეთს ვენდობით, ესაა მთავარი ურთიერთობაში.

— მის მობილურში „ჩამძვრალხარ“?

— არა, რას ლაპარაკობ?! გამორიცხულია. შვილის მობილურშიც კი არ ჩამიხედავს. არც ისინი გამიბედავენ ამას. ამაზე დიდი შეურაცხყოფა არ არსებობს.

— ზარმაცი ხარ?

— ყველა ქართველი რაღაც დოზით ზარმაცია.

— რა გალიზიანებს ადამიანებს?

— თვალეში რომ მიყურებენ და მატყუებენ.

— თვითონ არასოდეს გითქვამს ტყუილი?

— როგორ არ მითქვამს, მაგრამ საქმეს რომ არ გააფუჭებს, ისეთი ტყუილი მითქვამს. მაგალითად, სადმე ვერ მივდივარ; შეიძლება, ამის მიზეზი მოვიგონო... დედა კახელი მყავს — არ შემიძლია, ტყუილი და მომკალი...

ნათია ბანბელაძე
დონალდ
გრამპტონ
სტუმრობისას



თვითონ გურული გახლავართ: მოგესვენებათ, გურულები ალალი ხალხია.

— რამე მოგიპარავს?

— ფუნთუშებს ვიპარავდი ბავშვობაში, სკოლიდან რომ გამოვდიოდი. იქვე მაღაზია იყო, სადაც აიღებდი ფუნთუშებს, რიგში დადგებოდი და რომ მოგიწევდა, ფულს გადაიხდიდი. ორ ფუნთუშას ავიღებდი და სანამ ჩემი რიგი მოვიდოდა, ერთს ვჭამდი, მეორეს ვყიდულობდი. 10 კაპიკი ღირდა და თითო 5 კაპიკად გამომდიოდა... სკოლის ბუფეტში ნისიების რვეული არსებობდა. ამ რვეულით ხშირად ვსარგებლობდი. თვის



გოგინას
უგროსი
ქალიშვილი
ნანუკა

ბოლოს ჩემი მშობლები იხდიდნენ ჩემი კვების საფასურს.

— ნახაზუცხვზე დაფიქრებულხარ იმაზე, — გუშინ რაიმე სისულელე ხომ არ ჩავიდინეო?

— კი, კაცო, სულ მაგ ფიქრებში არა ვარ?! იცი, რას ვაკეთებ ამ დროს? ვისთან ერთადაც ვიქეიფე წინაღულს, იმათთან ვრეკავ; სანამ კითხვას დავსვამ, მასწრებენ, — ბიჭო, გუშინ რა ჩავიდინეო? — მეკითხებიან. უმეტესად, მათაც არ ახსოვთ. ჰოდა, თუ არავის გვახსოვს, დავაშავე თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს?

— კანონმორჩილი ხარ?

— აბსოლუტურად. კარგი მძღოლიც ვარ. ჩემი მანქანა რომ ნახო, სავსეა ცელოფანის პარკებით, რომელშიც სიგარეტის ნაწილები და კოლოფები ყრია. მერე ერთად ვცლი ხოლმე ბუნკერში. ვერ ვაგდებ ქუჩაში, არ შემიძლია: ეს იგივეა, სახლში პარკეტზე ნაგავი რომ დაყარო. ჩემი შვილებიც ასე არიან: ჯიბეები სავსე აქვთ სალექტი რეზინის ქაღალდებით და მერე სახლში ცლიან.

— კულინარიული საქმე თუ გეხერხება?

— კაცი ხომ მონადირეა ბუნებით?! უნდა იცოდეს კერძების მომზადება. სანადიროდ რომ მიდიხარ ტყეში, იქ სადაა სუპერმარკეტი, ნახევარფაბრიკატი ან მზა პროდუქტი რომ იყიდო? თვითონ უნდა მოამზადო ნანადირევი. კარგი მზარეული ყველა მამაკაცშია; „ტარტალეტკებს“ და „ნაპოლეონს“ არ ვაცნობ, მაგრამ კარგ „კაცურ“ საქმელებს ვამზადებ.

— მერე, უფვარს ეს კაცური საქმელები ნათიას?

— თუ არ მოენონება, თვითონ მოამზადებს რამეს. კარგი ხელი აქვს. თუ სცალია, გემრიელ კერძებს ამზადებს. ამ საქმით ჩვენს ოჯახში ძირითადად, დედაჩემია დაკავებული.

— ჯუჯულუნა ქმარი თუ ხარ?

— რაზე უნდა ვიჯუჯულუნო? კარგი ოჯახი მაქვს, მუშაობა დავინყე. ბევრი მეგობარი მყავს, კარგი მეზობლები... კარგად ვარ — რისთვის უნდა მოვიშალო ნერვები?! მერე რა, რომ 15 წლის მანქანა მყავს, არც ერთი ფარი არ შერჩა მთელი, „სტიანიკაზე“ დამიტვრიეს; ყველა მხრიდან მირტყმული აქვს. მაგაზე ავიშალო ნერვები?! გავაღებ, დავქოქავ, ნავალ...

— არც კითხულობ, ვინ დაეჯახა, ხომ?

— არა. ერთხელ ბათუმში მივდიოდით. ნანუკა „მის საქართველოზე“ გამოდიოდა. გორში გაჩერდით და გაჩერებულს დამეჯახა ვილაც. მანქანიდან რომ გამოვვდიო, ჯერ ჩემს დანახვაზე გამრა კაცი, მერე — ნათიას დანახვაზე. იფიქრა, — „კურერი“ „დამეცა“ ავარიის გამო. ეს ფარი გატეხილი იყო-მეთქი, — ვუთხარი, ჩავსხედით მანქანაში და ნავედით. სარკეში რომ გავხედე, ეს კაცი ისევ შუა გზაზე იდგა და მხრებს იჩიქდა, ვერ გაეგო — რატომ არ გამოვართვი ფული. მართლა გატეხილი იყო და ხომ არ მოვატყუებდი?!

— წარსულს რამდენად ხშირად მისტირო? შეცდომებს თუ იხსენებ ხოლმე?

— უშეცდომო არავინაა. შეცდომა თუ არ დაუშვი, ვერ ისწავლი სწორად სიარულს. ცუდი რომ არსებობს, იმიტომ ვაფასებთ კარგს. მეც დამიშვია შეცდომები, მაგრამ ისეთი, რომ ჩემს ხასიათზე, ცხოვრებაზე, ჯანმრთელობაზე ასახულიყო, მგონი — არა.



„იმედის დილის“
აწ უკვე ექსსამეული



„ფახედნიერი“ სალომე ბაკურაძე ყველაზე საქმიანი დღესასწაულის მოლოდინში

მალე ქართველი მომღერლებისათვის ყველაზე საქმიანი დღესასწაული — ახალი წელი დადგება. გოზინაყის მოყვარულ, კულულებიან სალომე ბაკურაძეს წელსაც დიდი სურვილი აქვს, რომ ახალ წელს ქუჩაში, კონცერტზე შესვდეს... ამჟამად, სალომე „ბრავოს“ სუფერ-ფინალისთვის ემზადება. გამარჯვების დიდი სურვილი აქვს, რადგან როგორც თავად აღნიშნა, არასოდეს არაფერში გაუმარჯვია.

ეთო ყოვლანაშვილი

სალომე ბაკურაძე:

— არ მეგულება ადამიანი, ახალი წლის დღესასწაული რომ არ უყვარდეს. ეს ერთადერთი დღეა, როცა მომღერლებს განსაკუთრებულად ბევრი კონცერტი გააქვს, რაც ბუნებრივია, ჩვენთვის სასიამოვნოა. ყოველი წელი განსაკუთრებულია, რადგან რაღაცები იცვლება! ახალი წლისგან ყოველთვის უკეთესს ველი...

დისკომფორტს საერთოდ არ გიქმნის ის, რომ ახალი წლის დღესასწაულზე მუშაობ?

— არა, ეს მართლა ძალიან სასიამოვნოა. უბრალოდ, დაძაბული გრაფიკი მაქვს და დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია: არსად არ უნდა დამაგვიანდეს. რომ არ დაგიმალოთ, ჩემთვის ერთ ადგილას ყოფნა, მოსაბუზურებელია... წელიწადში ერთი, კონცერტებით გადატვირთული დღე არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის!

ამ ახალი წლისთვის რა გაქვს დაგეგმილი?

— კონცერტების ზუსტი რაოდენობა არ ვიცი. ჯერ ეს საკითხი ჩამოყალიბების პროცესშია. საერთოდ, კონცერტები საღამოს 9 საათიდან იწყება და დილაზე გრძელდება. რა თქმა უნდა, 17 კონცერტზე გასვლას ვერ ვასწრებ, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ, იმ ადამიანებს გული არ დავენწყვიტო, ვისაც სურთ, რომ ახალ წელს ჩემთან ერთად შეხვდნენ.

სადღესასწაულო სუფრისთვის ვერ იცლი?

— შარშან და 4 წლის წინ ახალი წლის დღესასწაულს ქუჩაში, კონცერტზე შევხვდი. ამის სურვილი წელსაც მაქვს... ღამის 12 საათზე სახლში ვარ, მერე კი მივდივარ — კონცერტები იწყება... მაინც ყველგან ერთი და იგივე სუფრაა (იცინის).

ტრადიციული ქართული საახალწლო სუფრიდან განსაკუთრებულად, რომელი კერძი ან ტკბილეული გიყვარს?

— გოზინაყზე „ბნედა“ მემართება — ვგიჟდები, ისე მიყვარს!.. იქ, სადაც ტკბილეულია, შეიძლება, ითქვას, რომ

კერძებს არ მივირთმევ.

საყვარელი ნუგზარის მომზადება თავად თუ იცი?

— კი, გოზინაყის მომზადება ვიცი. დეიდაჩემს ჩურჩხელების ამოვლებაშიც ვხმარები. მერე ვლადამბოთ ხოლმე — სოლოლაკში რთველი გვექონდა-თქო (იცინის). გარკვეული კერძების მომზადებაც ვიცი, მაგრამ საახალწლო საშადადის დროს, ძირითადად, მიხმარება მიწევს. თუ რაიმეს მოვამზადებ, აუცილებლად გემრიელი იქნება. ჩემი გვარის ყველა ქალი ფანტასტიკური მზარეულია! მაინც-დამაინც, მე არ აღმომაჩნდებოდა ეს ნიჭი (იცინის)? სადღესასწაულო სუფრისთვის კერძებს ჯერჯერობით თავად არ ვამზადებ, სუფრის გამლაშვი კი ყოველთვის ვმონაწილეობ.

სუფრის დიზაინთან დაკავშირებით თუ ითვისებინებ ახალი წელს რა მოუხდება?

— კი. საერთოდ, როცა მეგობრები მარტონი ვართ, სუფრის განწყობაში მთავარ ფუნქციას მე ვკისრულობ. ძალიან მომწონს, როცა სუფრა ლამაზად გამოიყურება. ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მხოლოდ ის არ არის საკმარისი, რომ კერძი გემრიელი იყოს. ვცდილობ, სუფრაზე ჩემი „მტრისებრი“ შევიტანო. ამჟამად მხოლოდ ის ვიცი, რომ ახალ წელს მეტალი ძალიან აქტუალურია. სუფრაზე კერძებს ვერცხლის ქურჭლიდან თუ მივირთმევთ, არ ვიცი — ჯერ არ მომიფიქრებია (იცინის).

ახალი წლის დღესასწაულო სათვის მზადება უკვე დაიწყო?

— როგორი კაბა მინდა, რომ მეცვას, მოფიქრებული მაქვს. მიყვარს, როცა ახალი წლის დღესასწაულზე ახალი ტანისამოსი მაცვია. ამიტომ ვცდილობ, ამ დღისთვის ახალი კაბა მქონდეს. მით უმეტეს, როცა ბევრ კონცერტში ვმონაწილეობ, საჭიროა, რომ განსაკუთრებულად გამოვიყურებოდე... ტრადიციისამებრ, ჩემს მეგობრებს პატარ-პატარა საჩუქრებს მივუძღვნი. არ არის აუცილებელი, საჩუქარი ძვირფასი იყოს — მთავარია, მან



ადამიანს სიამოვნება მიანიჭოს. ამჟამად შემოქმედებითად ისეთი დატვირთული ვარ, რომ საჩუქრებისთვის ჯერჯერობით ვერ მოვიცალე, მაგრამ მერე აუცილებლად გამოვინახავ დროს.

საჩუქრების მიღება ალბათ თავადაც გიყვარს, არა?

— რასაკვირველია. არ მიყვარს, როცა საახალწლოდ „ბრელოკებს“ იყიდიან და ყველას ერთი და იმავეს უძღვნიან. მომწონს, როცა საჩუქარი იმ ადამიანის ხასიათს შეეფერება, ვისაც მიართმევ... ჩემს გახარებას კი ბევრი არაფერი უნდა — ყველაფერი მახარებს (იცინის). ალბათ ჩემ გვერდით ყოველთვის ისეთი ხალხია, ვინც „ნაფიქრ“ საჩუქარს მიძღვნიან.

თოვლის ბაბუნს არსებობს რა ასაკამდე გვეუბრება?

— ცნება „თოვლის ბაბუნა“ პირობითია: შეიძლება, ის ნებისმიერი კეთილი ადამიანი იყოს. მოგატყუებთ, რომ გითხრათ — თოვლის ბაბუნის არსებობის დიდხანს მეფეროდა-მეთქი. ყველაფერი მალევე გავარკვიე (იცინის). სხვათა შორის, ბავშვობაში ძალიან მომთხონე ვიყავი: საშობაო წინდა მქონდა, რომელშიც ჩემი ხელით დაწერილი ფურცელი მედო — თოვლის ბაბუნას თუ „ართოვლისბაბუნას“ ვთხოვ, საჩუქარი ყოველდღე დამიტოვოს-მეთქი. ასე რომ, ჩემთვის ახალი წლის დღესასწაული მთელი თვის მანძილზე გრძელდებოდა.

ვიდრე საზოგადოებისთვის



ცნობილი გახდებოდი, მანამდე ახალი წლის დღესასწაულს როგორ ხვდებოდი?

— ძირითადად — სახლში, შემდეგ კი მეგობრებთან მივდიოდი. ყოველთვის „მობოდილალე“ ვიყავი, ამიტომ ახლანდელი კონცერტები დისკომფორტს არ მიქმნის. არასოდეს ყოფილა — ჯერ ახალ წელს შევხვედროდი, მერე ცოტა ხანი ტელევიზორისთვის მეყურებინა და დამეძინა...



— მეკვლე თუ ყოფილხარ?

— კი, ვყოფილვარ.

— მერე, როგორი ფეხი გაქვს?

— ამას არ ვაკვირდებოდი ხოლმე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ — საკმაოდ კარგი. ალბათ ეს იმაზეა დამოკიდებული, ოჯახში როგორი გულით მიხვალ. მეკვლეობა დიდი მისიაა: ის ადამიანი, ვისი მეკვლევი ხარ, მთელი წლის განმავლობაში, „შენზეა დამოკიდებული“ (ილიმის)... რა თქმა უნდა, ვხუმრობ, ყველაფერი ღვთის ნებაა. ოჯახში მეკვლედ ყოველთვის ჩაფიქრებული შევდივარ — მიხნდა, რომ ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო. შინ ისეთ დროს ვბრუნდები, რომ ჩემი ოჯახის მეკვლეობა თავად მიწევს. არ ვიცი, რამდენად ცნობილი მეკვლე ვარ, მაგრამ კარგი ფეხი კი მაქვს.

— ახალი წლის ღამეს, ჩაფიქრებული სურვილების ახდენის რაიმე ხერხი ხომ არ იცი?

— მასსოვს, მე და თიკა ჯამბურია გორში კონცერტზე ვიყავით, სადაც სურვილების ახდენის მეთოდი გვასწავლეს. ფურცელზე სურვილები დავწერეთ, მერე ეს ფურცელი დავწვით, ვერფლი შამპანურში ჩავეყარეთ და... კინაღამ დავიხრჩვეთ! ახალი წლის ღამეს სცენის ქვეშ შეყუჟულები შევხვდით, რაც მგონი, კარგად დაგვებდა... ახალი წლის დადგომისას, ღმერთს ჯანმრთელობას, ჩემი ახლობლების კარგად ყოფნასა და იმ სურვილების ასრულებას ვთხოვ ხოლმე, რომლის ახდენაც განსაკუთრებულად მიხნდა...

ბრიტანელი რეჟისორის ქართული სექსუალური და ქართველთაზე უყვარხული უოტლანდიელთა ამბავი

„სტოპ, რაშა“, — ამ სიტყვებს რუსები მალე მოსკოვშივე მოისმენენ. ბრიტანელი რეჟისორის მიერ დადგმული სექსუალური, რომელიც კრემლს აგრესიის შეჩერებისკენ მოუწოდებს და ახალგაზრდა დევნილი მოსახლეობის თავგადასავალს ასახავს, რუსეთში ფესტივალზე — „ზოლოტაია მოსკვა“ — იქნება წარმოდგენილი. რამდენიმე თვის წინ საქართველოში ბრიტანელი რეჟისორი ქალი, ალექს ბლაითი ჩამოვიდა და წეროვანში, ლტოლვილებთან დაბინავდა. ის ორი კვირის განმავლობაში ეცნობოდა საკუთარი მიწა-წყლიდან გამოდევნილი ქართველების ყოველდღიურ პრობლემებს, ტრადიციებს, ჩვევებს, გულდასმით ისმენდა მათ მიერ მოთხრობილ ამბებს და ფირზე იწერდა. საბოლოოდ, ბლაითმა მოგროვილი მასალები საინტერესო პიესად აქცია და რუსთაველის თეატრში დადგა სექსუალური სახელწოდებით — „გვაგართ ახლა ჩვენ ლტოლვილებს?“

სათინა ბახტურიძე

ბრიტანელებისა და ქართველების ერთობლივმა ნამუშევარმა ედინბურგის ფესტივალზე დიდი წარმატება და 3 უმაღლესი ჯილდო მოიპოვა, ხოლო ამერიკის, ავსტრიის, ინგლისის, კოლუმბიის, პაკისტანის, ზიმბაბვესა და თვით რუსეთის მიერ დაგეგმილი ფესტივალების ორგანიზატორებისგან მიწვევები მიიღო. დანარჩენზე მსახიობი **ედმონდ მინაშვილი** მოგვითხრობს.

— ედმონდ, სექსუალს — „გვაგართ ახლა ჩვენ ლტოლვილებს?“ — რატომ ჰქვია? გინდათ თქვით, რომ ლტოლვილები არცთუ ცუდ პირობებში ცხოვრობენ?

— არა, პირიქით — ამ სექსუალურში დეტალურად არის ნაჩვენები ლტოლვილების როგორც ამჟამინდელი ყოფითი პრობლემები, ისე გაჭირვება, რაც მათ ომის დროს გამოიარეს. რეჟისორი მაყურებელს მიანიშნებს, რომ თავს დატეხილი უზარმაზარი ტრაგედიის მიუხედავად, ამ ხალხს არც ცხოვრებაზე ჩაუქნევია ხელი და არც საკუთარი მიწა-წყლის დაბრუნების იმედი დაუკარგავს. ერთ-ერთ სიუჟეტში ლტოლვილები ალექს ქართული სუფრის ტრადიციებს აცნობენ, თავიანთ შემართებაზე, ბრძოლის სურვილზე ესაუბრებიან. ამ დროს ჩემი გმირი ფეხზე დგება და ამბობს: „ხალხო, გვაგართ ახლა ჩვენ ლტოლვილებს?!“

— თქვენი გმირი ვინ არის?

— მე სულ 8, სხვადასხვა ხასიათის ადამიანს განვსახიერებ. სექსუალური რამდენიმე სიტუაციისგან შედგება.

ალექს დეტალურად აქვს გადმოცემული რეალური ადამიანებთან ჩანერგილი ინტერვიუები, მათი ემოციები. ეს გახლავთ რუსთაველის თეატრისა და ლონდონის ნაციონალური თეატრის ერთობლივი, ექსპერიმენტული პროექტი. სექსუალის მიმდინარეობის დროს მსახიობებს ყურსასმენები გვიკეთია და 3 წამის წინსწრებით გვესმის რეალური ხმების ჩანაწერები — როგორც ტექსტი, ისე ემოციური შეძახილები, ჩახველება, ჭიქების ჭახუნის ხმაც კი. ჩვენი ამოცანაა, ზუსტად გავიმეოროთ ის ემოციები და ინტონაციები, რომლებიც გვესმის. ამჟამინდელი ვერბატივი ჰქვია (ამერიკული სტილია). როდესაც სექსუალური დევნილებს ვაჩვენებ, ძალიან მოეწონათ, გვითხრეს, რომ ძალზე მარტივად ამოიცნეს ადამიანები, რომლებსაც ჩვენ განვსახიერებდით.

— ინტერვიუები, რომლებსაც სცენაზე თამაშის დროს ყურსასმენის საშუალებით გიკარნახებდნენ, წინასწარ მოსმენილი არ გქონდათ?

— როგორ არა?! რამდენჯერმე მოგვასმენინეს. სხვათა შორის, ამ სექსუალის კასტინგზე რომ მივედი, მეგონა, ლექსს წამაკითხებდნენ, მამლერებდნენ ან მაცეკვებდნენ, მაგრამ ალექსმა და მისმა თანამემწე ნინო ორჯონიძემ ყურსასმენები მომცეს და მითხრეს, ახლა რასაც მოისმენ, ის ტექსტი ზუსტი თანამიმდევრობითა და ინტონაციით უნდა გადმოგვცე, ამისთვის კი 5 წუთი გაქვსო. ქალის ხმა რომ გავიგონე, ვიფიქრე, რაღაც ეშლებოდათ, მაგრამ თურმე სწორედ ის უნდა გამეხმოვანებინა. როგორც შემდეგ გაირკვა, ასეთ გამოცდას იმ-



იტომ გვიტარებდნენ, რომ სჭირდებოდათ მსახიობები, რომლებიც არა მარტო მოსმენილი ტექსტის ზუსტად გადმოცემას მოახერხებდნენ, არამედ გარდასახვასაც მალევე შეძლებდნენ. ამ სპექტაკლში ყველა მსახიობს, სულ ცოტა, 4 ან 5 გმირი ჰყავს.

— როგორ მოხვდით ედინბურგის ფესტივალზე?

— „ვგავართ ახლა ჩვენ ლტოლვილებს?“ — სხვა რამდენიმე სპექტაკლთან ერთად, შოტლანდიის პრინცესას, კეტრინ სტიუარტის მეუღლის კომპანიამ — „ბიერდბორდენმა“ წარადგინა ედინბურგის ფესტივალზე.

სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენზე დიდ იმედებს არ ამყარებდნენ, ჩვენს ნამუშევარს მხოლოდ საცდელ პროექტად მიიჩნევდნენ. ფესტივალზე 2 ათასზე მეტი საინტერესო ნამუშევარი გახლდათ წარმოდგენილი და გვეგონა, რომ ჩვენი სპექტაკლი, რომელიც აგვისტოს ომსა და მის შედეგებს ასახავს, სხვებისთვის საინტერესო არ იქნებოდა. საოცრად დიდი წარმატება მოვიპოვეთ. ერთი თვის განმავლობაში ჩვენს სპექტაკლზე სრული ანშლაგი იყო. პრესა აჭრელბული იყო ჩვენი დასის ფოტოებით. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა ასეთი რამ დაწერა: „მეგონა საქართველოდან ჩამოსულ ლტოლვილებს ვუყურებდი, თავს ვერ ვაჯერებდი, რომ ესენი მსახიობები იყვნენ და სხვა ადამიანების ტრაგედიას თამაშობდნენ“.

— რა პროზები მიიღეთ?

— „ფრინჯის“ პირველი ადგილი (თვით ფესტივალს „ფრინჯი“ ჰქვია) დავიკავეთ. გარდა ამისა, დაგვაჯილდოეს, როგორც საუკეთესო სამსახიობო ჯგუფი. „ვგავართ ახლა ჩვენ ლტოლვილებს?“ კი ყველაზე ორიგინალურ სპექტაკლად შეაფასეს.

— რუსებს რა სპექტაკლი ჰქონდათ წარმოდგენილი?

— რუსებმა ქორეოგრაფიული სპექტაკლი წარმოადგინეს. ისიც



ქართველი მსახიობები ალექ ბლაითთან (მარცხნივ) და კეტრინ სტიუარტთან (მარცხნიდან მესამე) ერთად

ძალიან საინტერესო და ორიგინალური იყო. სხვათა შორის, საუკეთესო სამსახიობო ჯგუფის ნომინაციაზე 5 ქვეყანა, მათ შორის რუსეთიც იყო წარდგენილი, მაგრამ ჩვენ ყველას ვაჯობეთ.

— „ვგავართ ახლა ჩვენ ლტოლვილებს?“ რუსმა მსახიობებმაც ნახეს?

— რუსებმა — არა, ჩვენ კი ვნახეთ მათი სპექტაკლი.

— მოსკოვში ვინ მიგიწვიათ?

— ალბათ „ზოლოტაია მოსკვას“ ფესტივალის ორგანიზატორებმა: ამის შესახებ რუსთაველის თეატრის მმართველისგან შევიტყვე. ისე, მოსკოვში ამ სპექტაკლის წარმოდგენა მართლაც, გმირობის ტოლფასი იქნება: მის დაწყებამდე, სცენის უკან დამონტაჟებულ ვერანზე დიდი ასოებით ეწერება — „სტოპ, რაშა“. სხვათა შორის, ედინბურგში ამ სპექტაკლის სანახავად 3 რუსი ტურისტი მოვიდა, რომლებსაც მაისურებზე დიდი ასოებით ეწერათ — „როსია“ და წინა რიგებში დასხდნენ. არ ვიცი, რა ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ აგრესიული სახეები მალევე შეეცვალათ, დაიბნენ... ერთ-ერთმა მათგანმა სახეზე ხელებიც

კი აიფარა. ბოლოს ტაშიც დაგვიკრეს. შეიძლება, ტაშის დაკვრა არც უნდოდათ, მაგრამ მაყურებელმა ისეთი ოვაცია მოგვინყო, უხერხული იქნებოდა, სხვაგვარად რომ მოქცეულიყვნენ. ისე, სიურპრიზები ნამდვილად არ გვაკლდა. ერთხელ სრულიად გაოგნებულები დავრჩით. ჩვენი სპექტაკლი „შავლეგოტი“ მთავრდება. ერთ დღესაც თამაშს ვამთავრებდით, უკვე „შავლეგოც“ შემოვიძახეთ და, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაყურებელთა რიგებიდან 4 შოტლანდიელი წამოდგა და სიმღერაში აგვეყვა! კინაღამ გავგიჟდით, ქალბატონი მარინა ჯანაშია პირდაპირ სცენაზე ატირდა. ჩვენც ვვლარ შეძვლით სიმღერის გაგრძელება, მხოლოდ შოტლანდიელებს ვუსმენდით...

— ვინ აღმოჩნდნენ?

— იქაურები. თავად მოვიდნენ ჩვენთან, გაგვეცნნენ და ოჯახში სტუმრად მიგვინვიეს. იქაც გაგვაოცეს. ქართულ კერძებთან ერთად, კახური ღვინო დაგვახვედრეს. გაგიჟებას ცოტა მაკლდა, შუა შოტლანდიაში ქართული კერძებით განყოილ სუფრასთან ვიჯექი, ქართულ სიმღერებს ვისმენდი და კახურ ღვინოს ვსვამდი! ქეიფის დასასრულს გვითხრეს, — ეს რა არის?! მთავარი სიურპრიზი სვალ გელითო. მეორე დღეს პროტესტანტულ ტაძარში წაგვიყვანეს და ნამდვილი საოცრებაც იქ ვიხილეთ: 12-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვები ქართულ საგალობლებს მღეროდნენ. გული მეტ მოციას ვეღარ იტევდა, კიდევ ერთი სიურპრიზი და მთელ დასს ბედნიერების ელდა ბოლოს მოგვიღებდა...

— ქართული სიმღერები და საგალობლები სად ისწავლეს, ან კახური ღვინო საიდან მოიტანეს?

— ქართული სიმღერებით ადგილობრივი ანსამბლის (სახელს ვეღარ ვიხსენებ) ხელმძღვანელი დაინტერე-

გაგრძელება იხ. გვ. 90



ედინბურგში, დაჯილდოების ცერემონიაზე



ცხოვრება

მყისიერად შეუღლებულები ანუ მოულოდნელად მიღებული გადაწყვეტილება

ჩემმა რესონდენტებმა ოჯახი მომავალი მეორე ნახევრის გაცნობისთანავე შექმნეს და სიმართლე გითხრათ, სწორტანურად მიღებულ გადაწყვეტილებას არც ერთი მათგანი არ ნანობს. მათი ამბების წაკითხვის შემდეგ დარწმუნდებით, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ოჯახს სიყვარულით შექმნით თუ არა, მთავარია, უკვე შეუღლებულეებმა შეძლოთ ერთმანეთის გაგება.

ელენე ბასილიკა

რუსა, 29 წლის:

— 19 წლის ვიყავი, როცა ნატომ ყველა თანაკურსელი დაბადების დღეზე დაგვაპატიჟა. გოგონები რესტორანში ისეთი გამოპრანჭულები წავედით, რომ ჩვენი დანახვისას ბიჭები ლამის დამუნჯდნენ. გოგონებმა თავის მოწონებებს, მაკიაჟის გაკეთებას თითქმის 2 საათი მოვანდომეთ და ისე შევიცვალეთ, თავადაც განცვიფრებულები დავრჩით. ნატოს სტუმრებს შორის მისი ბავშვობის მეგობარი — კახაც იყო. მისი ყურადღება რესტორანში შესვლისთანავე ვიგრძენი და მერეც, მთელი საღამოს განმავლობაში თვალი არ მოუცილებია, რამდენჯერმე ვიცეკვეთ კიდეც. ცეკვის დროს მითხრა, რომ 24 წლის დედისერთა ბიჭი იყო და რაც მთავარია, შეყვარებული არ ჰყავდა (*იცინის*). სიმართლე გითხრათ, მეც მომეწონა და ეს ყველამ შენიშნა, ჩვენზე ლადაობა დაიწყო, — არიქა, შეუყვარდათ ერთმანეთი, დედა, ფერი დაკარგა გოგომო! — ისმოდა აქეთ-იქიდან.

— ეს არ გალიზანებდათ?

— თავიდან — კი, მაგრამ მერე ყური ისე შევაჩვიე, მეც აყვავი მეგობრებს, — როგორც იქნა, ჩემი ცხოვრების მამაკაცი ვიპოვე-მეთქი. კახას ამ სიტყვებზე ელიმებოდა და არაფერს ამბობდა. იმ საღამოს რესტორანში გვიანობამდე შევრჩით. სახლში წასვლისას, კურსელმა ბი-



ჭებმა მანქანას არ გამაკარეს, — ოცნების მამაკაცი ხომ იპოვე, ჰოდა, მიგაცილოს სახლამდეო. კახა მთვრალი იყო, მისი მანქანის საჭესთან მეგობარი იჯდა. შაყირ-შაყირში არც ერთმა მეგობარმა არ ჩამსვა თავის მანქანაში და კახამ მითხრა, — მე მიგაცილებო. მის მანქანაში კიდევ რამდენიმე გოგონა იჯდა და თავპატიჟი აღარ დამიდგია. მანქანა დაიძრა თუ არა, ნატოს ძმამ ვითომ

ხუმრობით თქვა: — ბიჭო, გოგო მოგენონა და სახლში როგორ უშვებ? ნაიყვანე შენთან, თორემ სხვა შანსი აღარ მოგეცემაო! — არ მომყვება და რა ვქნაო?! — უპასუხა კახამ. მერე მე მომიბრუნდნენ, — რას უნუნებ, მშვენიერი ბიჭიაო. რა

თქმა უნდა, ყველაფერი ხუმრობად მივიჩნიე და სიცილით ვთქვი, — არავის მივეყვარ და ხომ არ შევეხვეწები-მეთქი?.. მოკლედ, ამ ხუმრობა-ხუმრობაში მანქანაში მსხდომი მეგობრები სახლებში მიიყვანეს და ბოლოს, როცა მხოლოდ მე, მძღოლი და კახა დავრჩით, ჩემმა მომავალმა მეუღლემ თქვა, — დღეს რუსა ჩემთან მოდის, წელან ცოლობაზე დამთანხმდაო; მერე კი დაიჟინა, — გინდა თუ არა, ჩემთან ავიდეთ და მერე გაგაცილებო. სხვა რა გზა მქონდა?! ვიფიქრე, — ნასვამია, დედამის ჩავაბარებ და მერე სახლში წავალ-მეთქი, მაგრამ როცა კახამ კარს გასაღები მოარგო, მაშინვე მივხვდი, რომ მის მახეში გავები, მის გარდა იმ სახლში არავინ ცხოვრობდა (*იცინის*). იმ დღეს კახას ცოლი გავხდი; როცა მეგობრებს დავურეკე და ჩემი გაბედნიერების ამბავი ვამცნე, ლამის გადაირივნენ. მათ

ვერაფრით წარმოედგინათ, თუ ოდესმე მსგავს ნაბიჯს გადავდგამდი და სრულიად უცხო ადამიანს ვაყვებოდი ცოლად.

— როგორც ჩანს, ასე, ექსპრომტად შექმნილმა ოჯახმა გაამართლა...

— კი, ასეა! ვიცნობ წყვილებს, რომლებიც წლების განმავლობაში იცნობდნენ ერთმანეთს და მერე შეუღლდნენ, მაგრამ მათი ოჯახები



დაინგრა. მიუხედავად იმისა, რომ მე და კახამ ოჯახი მთვრალეებმა, თამაშ-თამაშით შევექმენით, დღემდე ტკბილად ვცხოვრობთ. 3 შვილი გვყავს და კიდევ ვაპირებთ გამრავლებას (ილიმის). მეგობრებს ხშირად ვეუბნები, — არ არის აუცილებელი, მომავალ მეუღლეს წლების განმავლობაში იცნობდე. შეიძლება, ოჯახი სრულიად უცხო ადამიანთან შექმნა, მაგრამ მთელი ცხოვრება ძალიან ბედნიერი იყო-მეთქი.

ქაიო, 48 წლის:

— ჩემი გათხოვების ამბავი ყველაზე სახალისოა მათ შორის, რაც კი ოდესმე გადახსენია თავს. ასე უცნაურად მგონი, ჯერ არავინ არავის მისთხოვებია. მე და ჩემს მეუღლეს შვილები დღემდე დაგვცინიან (იციინის).

— და ეს უცნაურობა რაში გამოიხატება?

— ისე გავთხოვდი, ცნობას ვინ ჩივის, მომავალი მეუღლე ნანახიც კი არ მყავდა... სკოლა საჩხერის რაიონში დავამთავრე და თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოვედი. აქ ბიცოლასთან უნდა მეცხოვრა. იმ პერიოდში ბიძაჩემი ახალი გარდაცვლილი იყო და ბიცოლა სახლიდან პურის საყიდლად არ გადიოდა. ამიტომაც, უნივერსიტეტში საბუთების შესატანად მარტოს მომიხდა წასვლა. ის-ის იყო, ავტობუსიდან ჩამოვედი და სასწავლებლისკენ გავიწიე, ზუსტად უნივერსიტეტის ბაღის ჭიშკართან ვილაცამ ხელი მტაცა, ჰაერში ამიტაცა და „ჟიგულიში“ ჩამტენა. ჯერ ვიფიქრე, — მიტაცებენ-მეთქი, მაგრამ მერე გავაცნობიერე, რომ თბილისში არათუ შეყვარებული, ნაცნობი ბიჭიც კი არ მყავდა და შემინებელი ავკივლდი. მანქანაში 5 ბიჭი იჯდა; ისე იყვნენ „ჩაბრესილები“, ჩემი ადგილი არც იყო და ერთერთმა ძალისძალად ჩამისვა კალთაში. ვინ ხართ, რა გინდათ, არც კი გიცნობთ და სად მიგყავართ-მეთქი?! — დავინწყე ყვირილი. არც ერთმა არ გამცა ხმა და ამან უფრო შემამინა... ბოლოს იმან, რომლის კალთაშიც ვიჯექი, ამოღერლა, — დიდი ხანია, მიყვარხარ, მაგრამ თქმას ვერ გიბედავდი; „ვორონცოვზე“ რომ გამოდიხარ, ლამისაა, გული გამისკდეს. მარინე, გამომყვი, რა, ცოლადო! ჯერ ეს „ვორონცოვი“ არ მეცნო — ჩემი სოფლის არც ერთ

ორლობეს ეს სახელი არ ერქვა ან რაიმეს თქმა სად უნდა მოეხერხებინა, როცა აშკარად არ ვიცნობდი; სახელმა „მარინემ“ კი სულ მოსპო... როგორც გითხარი, კალთაში ვეჯექი და ჩემს სახეს ვერ ხედავდა. ბოლოს, როგორც იქნა, მისკენ შეტრიალება მოვახერხე, ცხვირპირში ხელი წავუშინე და თან, მთელი ხმით ყვიროდი, — ვინ მარინე, რა „ვორონცოვი“, ვინ ვარ საერთოდ, იცი-მეთქი?! შემომხედა და, — ვაიმე, ბიჭებო, შეგვეშალაო! — ჩაიჩურჩულა. ყველა გაიტრუნა, მე ისევ ტირილი დავინწყე, — მომკლავს ბიცოლაჩემი-მეთქი. ბიჭებმა მანქანა გააჩერეს, ბოდიში მომიხადეს და ცოტა ხნით მარტო დამტოვეს. დაახლოებით, 15 წუთი საუბრობდნენ, მე კი ჩემთვის ვიჯექი და ერთი სული მქონდა, სახლში როდის დამბრუნებდნენ. ცოტა ხანში გოგიტა (ჩემი მომავალი მეუღლე) მანქანაში ჩაჯდა, ხელი გამომინოდა და გამეცნო, მერე კი ჩემი ვინაობით დაინტერესდა. ცოტა ვისაუბრეთ და ის იყო, უნდა მეკითხა, — სახლში როდის დამბრუნებთ, უკვე ძალიან დამაგვიანდა-მეთქი, რომ მითხრა, — ძალიან გთხოვ, ცოლად გამომყვიო... გავშ-

რი, აღარ ვიცოდი, რა მეტქვა, რადგან გოგიტა მეც ძალიან მომეწონა, თან — სახლში, ჯუჯულუნა ბიცოლაჩემთან დაბრუნებას სიკვდილი



მერჩივნა და ცოლობაზე დავთანხმდი (იციინის).

— დღევანდელი გადასახედიდან როგორ ფიქრობთ, მაშინ სწორად მოიქეცი?

— დღეს ვფიქრობ, რომ 30 წლის წინ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მე და გოგიტას 5 შვილი გვყავს, არაჩვეულებრივი მამა და მეუღლე... შვილებმა ჩვენი შეუღლების ამბავი რომ მოისმინეს, ლამის სიცილით დაიხოცნენ. ჩემი შვილები ასე დაუფიქრებლად რომ გათხოვდნენ, შეიძლება, გადავირიო. ოჯახის შექმნა დიდი რისკია და ეს რისკი სასიძოს კეთილშობილებით მაინც უნდა იყოს გამართლებული.

ლაშა, 28 წლის:

2010 წლის ბოლო ნომერი

განახლებული დიზაინითა და ვარსკვლავური სახეებით!

ლაშა ბულაძის ახალი მოთხრობა! ლიტერატურული პრემია „გალას“ გამარჯვებული — **ზურაბ ლეჟავა** ახალი მოთხრობით! თანამედროვე ქართული კინოს ვარსკვლავი **გიორგი ზანგურის** ლექსები! პენ-მარათონისა და „საბას“ არაერთგზის ლაურეატის **გელა ჩქეანავას** სკანდალური **რომანი!**

თანამედროვე ქართული კინოსცენარის მეტრი — **ირაკლი სოლომანაშვილი** ახალი პიესით! **ინტერვიუ მოდურ მწერალთან — ფრედერიკ ბეგბედერთან**

44 ცნობილი ლიტერატორის **44** ნაბრევი ლიტერატურაზე, დროზე, ლმერთზე, ქალზე, უფულობაზე, გეოპოლიტიკაზე, ტექნოკრატიულ მომავალზე, გამომცემლება და ცხოვრებაზე...



წაიკითხე და გახდი უფრო მეტი!



— ოჯახის შესაქმნელად ერთი დღეც კი არ დამჭირვებია — ყველაფერი რამდენიმე საათში მოვაკვარაახსენე. მიუხედავად იმისა, რომ დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგი, ჩემი საქციელი არასოდეს მინანია.

— მომიყვი, როგორ გაიცანი შენი მომავალი მეუღლე?

— ძალიან უიღბლო დღეს გავიცანი: ძმაცაცებთან ვიჩხუბე, ხელი გავიჭერი და საავადმყოფოში ამოვყავი თავი. იქიდან რომ გამოვედი, უკვე გვიანი საღამო იყო, სკვერში შევედი და სკამზე ჩამოვჯექი. ისე ვიყავი გამწარებული, მინდოდა მეტირა. შეცრად, გვერდითა სკამიდან სლუკუნის მომესმა: გრძელთმიან გოგონას სახე ხელებში ჩაერგო და ტიროდა. სიმართლე გითხრა, გამოლაპარაკება არც მიფიქრია, რა ჩემი საქმე იყო, რის ან ვის გამო ტიროდა, ან რომ მივსულიყავი, რა უნდა მეთქვა? მაგრამ როცა დავინახე, რომ გვერდით 2 დიდი ჩემოდანი ედგა, გული დამენვა. გავიფიქრე, — შეიძლება, დახმარება სჭირდება-მეთქი და „მივაჭერი“. უნდობლად შემხვდა, — დახმარება არ მჭირდება, თავი დამანებეო, მაგრამ უცებ ხელსახოცის ძებნა დაიწყო, არ აღმოაჩნდა და, — ხომ არ გაქვთო? — მკითხა. გამოველაპარაკე. აღმოჩნდა, რომ თათა ერქვა, ქირით ცხოვრობდა და შინაბერა დიასახლისმა სახლიდან მხოლოდ იმიტომ გამოაძევა, რომ გოგონამ მისი კატა თავისი ოთახიდან გამოაგდო; რაც მთავარია, იმ ქალმა იცოდა, თათას ღამის გასათევი ადგილიც არ ჰქონდა! ბევრი ვისაუბრეთ, ჩემზეც მოვუყვი, უხასიათობის მიზეზიც გავუმხილე და მანაც მთელი ცხოვრება გადმომილაგა... სტუდენტი იყო და თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობდა. მოკლედ, ისე მომეწონა, შევთავაზე: სახლში წაგიყვან-მეთქი. ჯერ უარი მითხრა, მაგრამ რომ მიხვდა, სხვა გზა აღარ ჰქონდა, დამთანხმდა. — ნუ გეშინია, არ შეგჭამ; შეჭმა რომც მოვიწოდო, ამის უფლებას ჩემი მშობლები არ მომცემენ-მეთქი, — ვუთხარი და, როგორც ჩანს, ამ სიტყვებმა დააიმედა (იციან).

— სახლში „ხელშეუხებლობის გარანტიით“ წაიყვანე და მერე შეთანხმება დაარღვიე?

— არა, არც მასე ყოფილა საქმე. სახლში რომ მივედი, დედაჩემი თავის დაქალს ელაპარაკებოდა ტელეფონზე და როცა ჩემოდნებიანი გოგონა დაინახა, ისე, რომ ჩემთვის არც უკითხავს, უთხრა, — ლაშამ ცოლი მოიყვანაო. მე და თათა

ერთი საათი ვუხსნიდით, რომ ერთმანეთი შემთხვევით გავიცანით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა; მაშაყირებთო! — გაიძახოდა და სამსახურიდან დაბრუნებულ მაშაჩემსაც ახარა, — ოჯახში რძალი შემოგვივიდაო. თათა ღამის გადაირია: რას ამბობთ, ქალბატონო, რა რძალი, თქვენი შვილი დღეს გავიცანიო! მე ვიდექი და ვიცინოდი...

— რა გაცინებდა?

— თათაზე მეცინებოდა! არ იცოდა, რომ ჩემი მშობლები რაღაცას თუ დაიჯერებენ, ვეღარ გადაარწმუნებ, აუღებელი ციხესიმაგრეები არიან... დედაჩემს თათა სარძლოდ მოეწონა და მას ხელიდან გაუშვებდა?! სასწრაფოდ რაღაცები მოამზადა, მეზობლებს დაუძახა და ჩვენი შეუღლების აღსანიშნავი სუფრაც გაიშალა (იციან). თათა ისეთ დღეში ჩავარდა, ფანჯრიდან ხტებოდა. ცალკე გავიყვანე და ვუთხარი, — მომწონხარ, მერე რა, რომ დღეს გავიცანი ერთმანეთი?! გამომიყვი ცოლად, კარგი ბიჭი ვარ, თან — ნაქირავებ ბინაში ცხოვრებაც აღარ მოგიწევს-მეთქი. მგონი, ბოლო სიტყვები უფრო დაუჯდა ჭკუაში და ცოლობაზე დამთანხმდა (იციან). აი, ასე დავოჯახდი... სამწუხაროდ, 1 წელია, რაც გავიყარეთ. ცუდი ცოლქმარი არ ვყოფილვართ, მაგრამ ბოლო დროს ერთმანეთს ვეღარ ვუგებდით და დაშორების გადაწყვეტილება მივიღეთ. დღემდე არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს, ერთმანეთს ვსტუმრობთ კიდევ. სამწუხაროდ, შვილი არ შეგვეძინა. დედაჩემს თათა ისე უყვარს, დღე არ გავა, არ მოიკითხოს.

— ბოლოს და ბოლოს, მშობლებმა დაიჯერეს, რომ თათა იმ დღის გაცნობილი გყავდა?

— კი. თათა ქეიფის დროს „ჩაიჭრა“: ჩვენს კარზე ძველი მეპატრონის გვარი ეწერა და შემოსვლისას წაუკითხავს; შოდა, ის ჩვენს გვარად მოიხსენია და ჩემს მშობლებს პირი დააფინინა; მამამ დედას მუჯღუ-

გუნი გაჰკრა, — ციცო, მგონი, ამათ მართლა ახლა გაიცნეს ერთმანეთიო, — მაგრამ დედას სარძლო ისე მოეწონა, ამის გამო აღარ „დაუბრაკავს“.

ლაშამ, 51 წლის:

— 14 წლის ვიყავი, ბიძამ ცოლი რომ მოიყვანა; აჭარელი ქალი იყო, ბათუმიდან... დამინახა თუ არა, მითხრა, — საშენო ბიჭი მეგულება ბათუმში, შენზეა ზედგამოჭრილიო. გამიკვირდა, რა დროს ჩემი ბიჭი და გათხოვება-მეთქი, მაგრამ „ახალ“ ბიცოლას ხომ არ ვეტყვოდი ამას?! ის ხშირად მეუბნებოდა, — გიგილო უნდა გაგირიგო, ერთი სული მაქვს, როდის გაიცნობო! მის სიტყვებს ყოველთვის ხუმრობაში ვატარებდი... 21 წლის ვიყავი, როცა მშობლებმა კურსელებთან ერთად, დასასვენებლად გაგრაში გამიშვეს. ჩასვლიდან მეხუთე დღეს სიმპათიური, განათლებული, ზრდილობიანი ბიჭი გავიცანი. მან ერთ დღეში თავბრუ დამახვია და ცოლობაც მთხოვა. დავთანხმდი. ბათუმელი იყო და მეორე დღესვე მასთან გავემგზავრეთ. მშობლებს რომ მივწერე, — გავთხოვდი და მომილოცეთ-მეთქი, საღამოს უკვე ბათუმში, ჩემი მეუღლის ბინაში ისხდნენ. მართალია, გიგა მოეწონათ, მაგრამ მამაჩემი მაინც ბუზღუნებდა, — რაღა ბათუმელი აირჩიე, მიდი ახლა და ამ „ნესტში“ იცხოვრეო... ორ დღეში მოსალოცად, ბიცოლაც ჩამოვიდა და გიგა რომ დაინახა, თვალები ღამის შუბლზე აუვლიდა: ჩემო გიგილო, შენ გენაცვალე, დავიჯერო, უჩემოდ იპოვე ჩემი გოგო?! — იკივლა და მივხვდი, იმ კაცს გავყვი ცოლად, რომელსაც ბიცოლაჩემმა მთელი 6 წლის განმავლობაში ქებით „ძირი გააგდებინა“ (იციან)... არ არის საჭირო, რომ ადამიანს, რომელთანაც ოჯახის შექმნას გადაწყვეტ, წლები იცნოდე. დღეს მე და გიგას 3 შვილი გვყავს და შვილიშვილებსაც ველოლიავებთ. დამკვიდრებული წესების მიხედვით რომ მხელმძღვანელა და ცოლად მას არ გავყოლოდი, ასეთი ბედნიერი ხომ არ ვიქნებოდი?!

ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ინტერვიუზე უარი მითხრა, ერთი ქალბატონი გახლდათ, რომელმაც აღიარა, — ნაქირავევად შექმნილმა ოჯახმა არ გაამართლა, მაგრამ ეს იმის ბრალი სულაც არ ყოფილა, რომ ერთმანეთს არ ვიცნობდითო. მისი აზრით, ოჯახი ლატარიათაა — ყველას არ უმართლებს. მე კი ისლა დამრჩენია, ამ ლატარიაში იღბალი გისურვოთ!..



იაპონიაში პოპულარული ქართული ზღაპრები

„ბავშვებმა იაპონიიდან 90 ნახატი გამოგზავნეს“

საქართველო-იაპონიისა და საქართველო-ჩეხეთის ურთიერთობის ასოციაციების პრეზიდენტი, ბატონი კარლო ქველაძე მრავალი გამოგონების ავტორი, მონადირე, მეთევზე-სლალომისტი გახლავთ. მას კინო და ფოტოფირზე თითქმის ნახევარი მსოფლიო აქვს აღბეჭდილი... ცოტა ხნის წინ ბატონი კარლო და საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი — ქალბატონი მადონა მგელაძე იაპონიის ელჩმა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

ეთო ყოვლანახვილი

კარლო ქველაძე:

— 20 წელია, რაც საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაცია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი საქმე გაკეთდა. ვგულისხმობ საერთაშორისო კვორუმების, ფესტივალების, კონკურსების ჩატარებას, დელეგაციების მიღებას, გაზეთების გამოშვებას და ა.შ. პირადად მე, იაპონურ პრესაში საქართველოს შესახებ დაახლოებით 60 სტატია მაინც მაქვს გამოქვეყნებული.

— საქართველოში იაპონური კულტურა ბევრს აინტერესებს?

— დიას, და სწორედ ამიტომ, ბევრ სკოლაში იაპონური ენის სწავლება დაიწყო... საქართველოში იაპონური ენის შემსწავლელი კურსები 1991 წელს გაიხსნა და მათ ჩასატარებლად იაპონიიდან ორი პროფესორი — სეიჩი კიტაგავა და მინორუ მორიტა — ჩამოვიდა. სხვათა შორის, მორიტა ჩემს სახლში ცხოვრობდა.

— თქვენს იაპონულ სტუმარს ქართული სამზარეულო როგორ მოეწონა?

— რა თქმა უნდა, ძალიან მოეწონა. ვინაიდან იაპონია, საქართველოს მსგავსად, დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანაა, მათ ჩვენ შესახებ ყველაფერი აინტერესებთ: კერძებიც, მწერლობაც, მხატვრობაც, ფოლკლორიც... ხალხური სიმ-



ბატონი კარლო და ქალბატონი მადონა მგელაძე იაპონიის ელჩმა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა

ღერების შესასრულებლად იაპონიაში ორჯერ წავიყვანე ეკა კახიანი, თაკო გაჩეჩილაძე, ნეკა სეზიკვერაძე, ნინი ბადურაშვილი... საქართველოში პირველი სკოლა, სადაც იაპონური ენის შესწავლა დაიწყო, 34-ე საჯარო სკოლა გახლავთ. გადავწყვიტეთ, ამ სკოლის ფილიალი ბათუმშიც გაიხსნას, რათა მოსწავლეებს იაპონური და ჩეხური ენების შესწავლის საშუალება მიეცეთ...

— ბოლო დროს საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციამ რა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარა?

— გასულ ზაფხულს საქართველოში „იაპონური კვირეული“ ჩატარდა. „კვირეულის“ ფარგლებში, ტრადიციული იაპონური „ჩაის ცერემონია“ გაიმართა და იაპონური თეატრის — ნოს წარდგენა მოხდა. ღონისძიებას ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქარ-

თველოში, ბატონმა მასაიოში კამოჰარამ და მისმა მეუღლემ — ქალბატონმა ჯუნკო კამოჰარამ უმასპინძლეს. „კვირეულის“ დროს იაპონელი ბავშვების ნახატების გამოფენაც გაიმართა — ბავშვებმა 90 ნახატი გამოგზავნეს. მოგვიანებით კი ქართველი ბავშვების ნახატები იაპონიაში გამოვფინეთ. გარდა ამისა, საელჩოს დაფინანსებით, განახლდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ოზურგეთის სარეაბილიტაციო ცენტრი; იმავე კვირაში, ხელვაჩაურის რაიონში, ასეთივე სამედიცინო ცენტრი გაიხსნა... ბატონი ელჩის მეუღლე, ქალბატონი ჯუნკო თბილისში ჩამოსვლის დღიდან ცდილობს, ქართველ ხალხს იაპონური ტრადიციები და კულტურა გააცნოს. „ჩაის ცერემონიის“ დროს მან არ ითავილა და სტუმრებს სას-

მელი თავად მიართვა, რაც ამ ქალბატონის დიდსულოვნებაზე მეტყველებს.

— „ჩაის ცერემონია“ და ნოს თეატრზე რა შეგიძლიათ გეთქვათ?

— იაპონელებისთვის ჩაის მომზადების, სტუმრისთვის მისი მირთმევის პროცესი მთელი რიტუალია, რომელიც დაახლოებით 400 წლის წინ ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ჩაის სმის დროს ხალხი ერთმანეთს მშვიდობასა და ბედნიერებას უსურვებს, ეს კი თავისთავად, მათ დამეგობრებას უწყობს ხელს... რაც შეეხება ტრადიციულ იაპონურ თეატრს — ნოს, ის XIV საუკუნეიდან არსებობს და ერთ-ერთ უძველეს თეატრალურ ფორმად მიიჩნევა. ნოს უნიკალური თავისებურება ის არის, რომ მსახიობები ნიღბებით თამაშობენ... „იაპონური კვირეულის“ ფარგლებში ტრადიციული იაპონური თოჯინების გამოფენა — ნინგიოც (სიტყვა „ნინგიო“ ადამიანის ფიგურას ნიშნავს) გაიმართა. ცნობისათვის, ეს გამოფენა იაპონური კულტურისა და ხელოვნების გაცნობის საუკეთესო საშუალებაა...

— ცოტა ხნის წინ ქარვასლაში კომპონების გამოფენა მოეწყო...

— მოგვსენებათ, იაპონელებს ძალიან ბევრი ტრადიცია აქვთ, მაგრამ ხალხს ყველაზე მეტად, იაპონური თოჯინები, კომონო, ორიგამი, იკებანა მოსწონს. ქალბატონმა ჯუნკომ კომონების დარგში იაპონიის წამყვანი სპეციალისტები მოიწვია და გამოფენაც ამის შემდეგ გაიმართა.




იაპონიის ელჩმა ბატონი ოგიას გაცნობის სურვილი გამოთქვა და მწერალს ვეწვიეთ კიდევ



ამ სამოსის ჩაცმას მინიმუმ, 1 საათი სჭირდება და თანაც, მას დამოუკიდებლად ვერ ჩაიცვამ. ის 40 სმ სიგრძისა და 18 მ სიგანის ქსოვილისაგან იკერება. კომონოს ყველა დეტალი ხელით სრულდება და თუ პატრონს მისი გადაკეთების სურვილი გაუჩნდება, შეუძლია გაჭრას და თავიდან შეკეროს. კომონოს ქსოვილი ისეთი გამძლეა, შეიძლება, რამდენიმე თაობამ გამოიყენოს. თანამედროვე იაპონელები კომონოს მხოლოდ სხვადასხვა ღონისძიებაზე იცვამენ... ჩვენი ასოციაციის წარმომადგენლებმა, ბატონ ანზორ ერქომაიშვილთან ერთად, იაპონელი ხალხისა და მისი ტრადიციების პატივისცემის ნიშნად, გადავწყვიტეთ, იაპონიაში ქართული სიმღერების შესახებ გამოცემული უნიკალური წიგნების რამდენიმე კომპლექტი გავგვზავნა. ეს წიგნები იაპონიის უნივერსიტეტებს, იაპონია-ევრაზიის ქვეყნების ორგანიზაციას და ქართველების დიდ მეგობარს, ქალბატონ შიროკო კაკოს გადაეცა. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ 1982 წელს იაპონიაში ბატონ ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“ გამოიცა და იქაურები მისი შემოქმედებით ისე დაინტერესდნენ, რომ ეს წიგნი დამატებით, კიდევ ექვსჯერ გამოსცეს... ამას წინათ იაპონიის ელჩმა ბატონი ოტიას გაცნობის სურვილი გამოთქვა და მწერალს ვენიეთ კიდევც. პოდა, შესაძლოა, მალე იაპონურ ენაზე გამოიცეს წიგნი, რომელშიც ოტია იოსელიანის სხვა ზღაპრებიც შევა.

P.S. საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის ფილიალი უკვე ბათუმშიც არსებობს, რაც ორი ქვეყნის დაახლოებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. სამომავლოდ, ბატონი კარლო, იაპონიის საელჩოს ხელშეწყობით, კიდევ ბევრი საინტერესო ღონისძიების ჩატარებას გეგმავს.



იაპონელები-სთვის ჩაის მომზადების, სტუმრისთვის მისი მირთმევის პროცესი მთელი რიგჟალია

პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან

წერილი მეზვილა

(დასაწყისი იხ. „გზა“, №44)

ბენერლის ქალიშვილის ტკივილიანი ცხოვრება

წელიწადზე მეტია, რაც ხანდაზმულთა სახლში ჭაღარა, თბილი მოხუცი, 93 წლის მედეა ქუთათელაძე ცხოვრობს. იგი ცნობილი სამხედრო გენერლის, გიორგი ქუთათელაძის ქალიშვილია.



თა ხურცილაკა

მედეა ქუთათელაძე:

— ბედნიერია ის, ვისაც 1937 წლის უმძიმესი წლები, რეპრესიის საშინელი დღეები არ გამოუვლია. ეს იყო ტანჯვის წლები იმ რეპრესირებული, უდემამოდ დარჩენილი, ქუჩაში გამოყრილი, სახლკარნარტმეული, დამცირებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც მუდმივი შიშის ქვეშ, „სამშობლოს მოლაღატის“ შვილის დაძლით გვიწევდა ცხოვრება... მამაჩემი გენერალ-პოლკოვნიკი, მეცხრე საარმიო კორპუსის მეთაური, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი იყო. წერდა ლექსებს და საოცრად კარგად მღეროდა. მასხოვს, ყოველ დილით შტაბის ეტლი აკითხავდა და სამსახურში მიჰყავდა. სამწუხაროდ, მამა უსამართლობის მსხვერპლი გახდა; ვერც დედა გადაურჩა ნაშენას — 8 წელი გადასახლებაში გაატარა. ვიდრე დედას დააპატიმრებდნენ, გვითხრა, — იცოდეთ, ხალხს მართლა უმიზეზოდ იჭერენო! თავიდან ეჭვები არ გვასვენებდა და ვფიქრობდით: ეტყობა, მამამ რაღაც შეცდომა დაუშვა ან სულაც, შეთქმულების შესახებ იცოდა და ამიტომ დააპატიმრეს-თქო, მაგრამ დედის დაკავებამ მამის უდანაშაულობაშიც დაგვარწმუნა. სამწუხაროდ, ბევრს სჯეროდა, რომ ისინი ნამდვილი დამნაშავეები იყვნენ და მათ „ხალხის მტრად“, „სამშობლოს მოლაღატედ“ მოიხსენიებდნენ... მე და ჩემმა ძმებმა მართლაც უმძიმესი წლები გამოვიარეთ; მშობლების გარეშე დარჩენილებმა სახლის კიბის ქვეშ დავიდეთ ბინა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, გაჭირვებას გაუთქვლით,

ბევრი ვიპრობეთ და ვისწავლეთ...

— **გადასახლებიდან დედის დაბრუნება თქვენთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა...**

— ომი რომ დამთავრდა, დედას ჩამოსაყვანად ჩემი ძმა, ნოდარი წავიდა. თურმე, უკვე 22 წლის ვაჟაკი მშობელმა ვერ იცნო და დისწული ეგონა, მაგრამ როცა გულში ჩაიკრა, მიხვდა, რომ ის მისი შვილი იყო და გული წაუფიდა... ცხადია, დედას შინ დაბრუნება დიდი ბედნიერება გახლდათ. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ხალხს მივმართო: ნუ აწყენინებთ მშობლებს! მერწმუნეთ, ვიდრე ისინი თქვენ გვერდით არიან, ბედნიერები ხართ, უბრალოდ, ზოგჯერ ამას ვერ აცნობიერებთ... ჩვენი ოჯახი 1955 წელს იქნა რეაბილიტირებული, მანამდე კი ნათესავებსაც არ ვეკარებოდით; მშობლების გარეშე დარჩენილებს მხოლოდ ბიძაჩემი ალექსანდრე (მამის ძმა) და დედას ოჯახი გვეხმარებოდა. სხვათა შორის, მამის რეაბილიტაციის სასამართლო პროცესს მეც დავესწარი.

— **და ამ სასამართლო პროცესზე რა შეიტყვეთ?**

— მამინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი ვიყავი. პროცესზე 1937 წელს რეპრესირებულთა ჩამონათვალში მამაჩემის სახელიც გა-



მოაცხადეს. სასამართლო სსდომას ჩეპოვი ხელმძღვანელობდა. მან დაჰკითხა მოწმე მარდიევი, რომელიც ციხის ზედამხედველი იყო. ის კაცი ხალხის ნამების ათასგვარ ხერხზე ალაპარაკდა. თურმე, პატიმრებს თვალეში ნიშადურის სპირტს ასხამდნენ, ხელ-ფეხს ამტვრევდნენ... მარდიევმა მამაჩემის ნამებაზეც ილაპარაკა. თქვა: — „გიორგი ქუთათელაძე ცხელ საკანში შეჰყავდათ, რომელშიც ორთქლს უშვებდნენ და კაცი სულის ხუთვამდე მიჰყავდათ; ერთხელ ამის ყურებას ვეღარ გაუძეული და სარკველი გამოვალე, ციხის უფროსმა კი გამაფრთხილა, — თუ ასე გააგრძელებ, იმ საკანში თავად შეგაგდებო და იძულებული გახდები, წამება გამეგრძელებინა. ეს კაცი ვერ გამოვტყვეთ, ვერ ვათქმევინეთ, იყო თუ არა ხალხის მტერი; მხოლოდ ერთს ამბობდა, — უდანაშაულო ვარ, უდანაშაულო ვარო!“ ამის მოსმენა ჩემთვის ძალიან მძიმე იყო. იმავე დღეს, პროცესიდან გამოსული, შესვენებაზე ინაურს შევხვდი. მითხრა: — მამათქვენს კარგად ვიცნობდი, დიდ პატივს ვცემდი და მისი რეაბილიტაცია მალე მოხდებო. მოგვიანებით იუსტიციის პოლკოვნიკმა, აგაბეკოვმა მაცნობა მამაჩემის დახვრეტის ამბავი: — „მას სასიკვდილოდ სცემდნენ, მაგრამ ერთი კაციც არ დაუსახელებია, სხვები კი, წამებას რომ ვეღარ უძლებდნენ, ათეულობით უდანაშაულო ხალხს ასახელებდნენ. ვინაიდან მამაშენისგან ჩვენება ვერ მიიღეს, სოლანლუში დაუხვრეტიათო“. მოკლედ, მისი საფლავიც აღარ დაგვრჩა. დედამ გარდაცვალებამდე გვითხრა: — სადაც მე დამასაფლავებთ, მამის საფლავიც იქ გეგულებოდეთო... დედა მამას რეაბილიტაციას მოესწრო — ის 1957 წელს, მძიმე სენით გარდაიცვალა და ჩემი დაბადების დღეს, 23 მაისს დავერძალეთ. მის ცხედართან ერთად კი მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკის ნაჩუქარი მამის ბიუსტი „დავასაფლავეთ“... 2000 წელს, მამის სახელის უკვდავსაყოფად, წიგნის გამოცემა გადავწყვიტე და მოგონებათა კრებული კეთილი ადამიანების დახმარებით, მათივე დაფინანსებით გამოვეცი.



ნა შეესრულებინა. მოგვიანებით, მაზლმა ბინა მიიღო და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა, მე და ჩემი ქალიშვილი კი იმ სახლში ვცხოვრობდით. როცა ყოფილ რძალს მეორე ქმარი გარდაეცვალა, გერმა ის სახლიდან გამოაგდო და ისევ ჩვენთან დაბრუნდა. ცნობისათვის, ჩიმაკაძე ჩემი ბინიდან 2000 წელს ამოვწერე, მაგრამ მაზლის ყოფილი ცოლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცხადა, — აქ ცოლ-შვილთან ერთად უნდა ვიცხოვროო. საქმეში პოლიციაც ჩავრთე, მაგრამ ვერც ამან მიშველა. იმ უსინდისომ სასამართლოში თავი მოგირავენდ გამოაცხადა, მე კი სიმართლე ვერ დავამტკიცე და მისთვის 14.000 დოლარის გადახდა ანუ საკუთარი სახლის ორი ოთახის ყიდვა მომიხდა... ხომ ხედავთ, როგორი ბედი მაქვს — სასამართლოს ვერ ვმორდები ეს ინვალიდი ქალი.

დამეცვალა და ავარიულ სახლში მარტო დავრჩი. ვცდილობდი, ბინა ისე გამერემონტებინა, რომ იქ ცხოვრება შესაძლებელი ყოფილიყო, მაგრამ მალე სხვა პრობლემა შემექმნა, სიბერე გამიმწარეს.

— რას გულისხმობთ?

— ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი მყავს. ჩვენთან ერთად მაზლი ცხოვრობდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გადავწყვიტეთ, ბინა ორად გაგვეყო ანუ საჭირო გახდა ოთახის კარის გაჭრა, რათა ცალ-ცალკე გასასვლელი გვექონოდა. ვინაიდან ჩვენი გასასვლელი მეზობლის ნაკვეთში უნდა გასულიყო, მისგან გარკვეული ფართობი შევიძინე. მოგვიანებით, იმ კაცმა ბინა გაყიდა, ახალმა მეზობელმა კი ნაკვეთი წამართვა. მის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შევიტანე. რეესტრში ყველაფრის დადგენას 2 წელი დასჭირდა და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ დამტკიცებული ნაკვეთის ნასყიდობის საბუთი ხელთ მაქვს, სამართალს ვერ მივალნიე, სასამართლოში დავა დღემდე გრძელდება... მოგვიანებით, ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ბინის ორი ოთახი წამართვეს.

— ვინ წაგართვათ?

— მაზლის ყოფილი მეუღლის დისშვილიშვილმა, ჩიმაკაძემ. 1985 წელს დედამისმა მთხოვა, — სწავლის გასაგრძელებლად და პასპორტის ასაღებად ჩაწერა გვჭირდება და იქნებ, დაგვეხმაროო. შემეცოდა და ხელი გაუშვართე. თურმე აქ ჩაწერას იმიტომ ეპოტინებოდნენ, რომ სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ნგრევის ზონაში იყო და სურდათ, რაიმე სარგებელი მათაც მიეღოთ. თავის დროზე, ჩემს მაზლს ცოლი მანამ არ გაეყარა, სანამ სახლში საკუთარი დისშვილი არ ჩააწერინა და ისიც იძულებული გახდა, ცოლის მოთხოვნა

მომიცხადა, — აქ ცოლ-შვილთან ერთად უნდა ვიცხოვროო. საქმეში პოლიციაც ჩავრთე, მაგრამ ვერც ამან მიშველა. იმ უსინდისომ სასამართლოში თავი მოგირავენდ გამოაცხადა, მე კი სიმართლე ვერ დავამტკიცე და მისთვის 14.000 დოლარის გადახდა ანუ საკუთარი სახლის ორი ოთახის ყიდვა მომიხდა... ხომ ხედავთ, როგორი ბედი მაქვს — სასამართლოს ვერ ვმორდები ეს ინვალიდი ქალი.

— ფხი გტკივთ, არა?

— დიახ. იტალიურ ეზოში საპირფარეშო გარეთ გვექონდა, იქ სიარული მიჭირდა და პანსიონატში მოსვლა ამიტომაც გადავწყვიტე. სხვათა შორის, აქ რომ მოვდიოდი, ჩემებმა არ იცოდნენ. ერთ წელზე მეტია, პანსიონატში ვცხოვრობ... მას შემდეგ, რაც ფხი მოვიტყეე, მოძრაობა მიჭირს, მაგრამ რკინის საყრდენის საშუალებით გადაადგილებას მაინც ვახერხებ, სასეირნოდ ეზოშიც ჩავდივარ. კარგი მეხსიერება მაქვს, მაგრამ სხეული ძველებურად აღარ მემორჩილება... ჩემები ხშირად მაკითხავენ, მათ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ, მაგრამ გული მწყდება, ასეთი მძიმე ხვედრი რომ მერგო...

— თქვენს მეუღლეზე, შვილებზე გვიამბეთ რაიმე...

— მეუღლე — პავლე ელერდაშვილიც 1929 წელს ვლადიკავკაზიდან გამოძევებული ფაბრიკანტის შვილი გახლდათ. ჩვენ კოსტავას ქუჩაზე ვცხოვრობდით. 1983 წელს მეუღლე გარ-

Logo for PALITRA TV-RADIO. It features a stylized star or flower shape with the word 'მალე!' (Malle!) in a speech bubble above it. Below the graphic, the text reads 'PALITRA TV-RADIO' and 'ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!' (Talks and shows Palitra!).



ნანგრევებზე ნაშენები ხანმოკლე ბედისწერა

„იმდენი წელი ვიცხოვრე მის გარეშე, მცირე იმედიც კი არ მქონდა, რომ ოდესმე ერთად ყოფნა გვეღირსებოდა... გვიან, როცა ნანგრევებზე ახლის შენება გადავწყვიტეთ, ერთმანეთს სამუდამოდ დავშორდით, ოღონდ — არა ჩვენი ნებით“, — მიყვება ახალგაზრდა ქალბატონი და გულში ჩახუტებულ მუულის ფოტოს არ იცილებს. რომ არა მათი სიყვარულის საბედისწერო დასასრული, ამ წყვილის თავგადასავალი ბევრი სკეპტიკოსისთვის ცხოვრების სტიმულად იქცეოდა... თუმცა სჯობს, ჩვენმა რესპონდენტმა ყველაფერი თავად გვიამბოს:

„მაინც ადღიერი ვარ განგების...“

ლალი პაპასკირი

— მე და გიოს ერთმანეთი სკოლიდან გვიყვარდა. ქუჩაში ხელიხელჩაკიდებული რომ ჩავივლიდით, ღიმილით გვაყოლებდნენ თვალს. მაშინ სხვანაირი ბავშვები ვიყავით — მორცხვები, ცოტა კომპლექსიანები და მორიდებულები. ერთ მერხზე ვისხედით და მასწავლებელს შენიშვნა არასდროს მოუცია, პირიქით — ორივე ფრიადოსნები ვიყავით. ჩვენი მშობლებისთვის არასდროს უთქვამთ, — თქვენი შვილი გაკვეთილზე გამოშტერებული ზის და არაფერს აკეთებსო (როგორც ახლა მე მეუბნებიან ჩემი შვილის მასწავლებლები); სულ ვცდილობდით, ერთმანეთს დავხმარებოდით... სკოლაში ჩვენი სიყვარულის შესახებ ყველამ იცოდა, „პატარა რომეო და ჯულიეტას“ გვეძახდნენ...

— მაშ, რატომ გაიყო თქვენი ცხოვრების გზები?

— სკოლა რომ დავამთავრეთ, გიო ჯარში გაინვიეს, მე კი რამდენიმე კვირაში კლასელმა მომიტაცა, რომელსაც ასევე ბავშვობიდან ვყვარებოვარ, მაგრამ გიოს ხატორით ვერაფერს მეუბნებოდა. იცოდა, რომ ასეთი საქციელის გამო მისი და გიოს საერთო მეგობრები გაკიცხავდნენ, ამიტომაც ყველას მოერიდა და ლამის უღრან ტყეში მდებარე სოფელში, ნათესავის სახლში წამიყვანა. იქ ორი თვე დავრჩით. ზაზას — ჩემი ქმრის ნათესავები უშვილო ცოლ-ქმარი იყვნენ და შვილივით მექცეოდნენ. უჭმელობისგან ისე გავხდი, ლოგინიდან ვერ ვდგებოდი, ჰოდა, ოჯახის დიასახლისი დილიდან საღამომდე სანოლთან მეჯდა და ხელით მაჭმევდა.

— მშობლებმა თქვენი ადგილსამყოფელი არ იცოდნენ?

— არა... მათ იცოდნენ, რომ ზაზამ მომიტაცა, მაგრამ ვერ მოგვაგნეს. ზაზას გავუღიანი მშობლები ჰყავდა და ჯერც სასამართლოში ჩივილით გახდნენ რამეს... ორთვიანი



„შინაპატიმრობის“ შემდეგ, იქიდან როგორღაც გამოვალნიეთ. უკვე ფეხმძიმე, იმდენად ცუდად ვიყავი, ბავშვის დაკარგვის საშიშროების წინაშე დავდექი. დედობის ინსტიქტი ყველაზე ძლიერია ქალში — საკუთარი თავი დამავინწყდა და შვილის გადასარჩენად ბრძოლა დავიწყე; ქმარიც თან მყვებოდა, უჩემოდ არ ქამდა, სულ ჩემ გვერდით იყო... დედამთილ-მამამთილთან ცხოვრება ველარ ავიტანე და ცალკე გადავედით. მალე პირველი შვილი გვეყოლა და ქმარი ყველაფერში მესმარებოდა. ამ ხნის განმავლობაში კლასელები და მეგობრები ჩვენს სანახავად არ მოსულან: ჩემი და გიოს სიყვარულის ამბავი ყველამ იცოდა და ბევრმა ჩემი საქციელი გიოს ღალატად მიიჩნია... მეგობრები არც ბავშვის დაბადების შემდეგ მოსულან. ზაზა არ იმჩნევდა, მაგრამ ვატყობდი, ძალიან განიცდიდა. მე მთლიანად შვილზე ვიყავი გადართული და გარშემო ვერაფერს ვამჩნევდი, მაგრამ ერთი-ორჯერ, როცა ქუჩაში გავედი, შევამჩნიე, როგორ ამარიდეს თვალი ბავშვობის მეგობრებმა. მერე ერთ-ერთმა მოსვლა გაბედა, მომილოცა, ბოლოს

კი გიოზე მიხსრა, — შენი ამბავი რომ გაუგია, ცოცხალ-მკვდარი ყოფილაო. დავიბენი, ყელში ბურთი გამეჩხირა და ვერაფერი ვუთხარი... ერთ დღეს ზაზამ შემომჩივლა, — თავგებივით სოროში გამოკეტილი როდემდე უნდა ვიყოთ? რუსეთში, ჩემს ნათესავებთან წავიდეთო... მისთვის წინააღმდეგობის განევა არც კი მიფიქრია, — აქაურობას რომ მოვშორდები, იქნებ გიოზე ფიქრიც მოვიცილო-მეთქი.

— თქვენს მშობლებს სიძის აზრი არ გაუზოტესტებიათ? ვიცი, რომ დედისერთა ხართ...

— არა. მიუხედავად იმისა, რომ ქმარი არ მიყვარდა, მას, როგორც ჩემი შვილის მამას, პატივს ვცემდი და ვცდილობდი, მზრუნველი ცოლი ვყოფილიყავი. ალბათ, ამ როლს კარგად ვირგებდი, რადგანაც ჩემს მშობლებს არასდროს გასჩენიათ ეჭვი, რომ ქმარი არ მიყვარდა...

ასე რომ, სიძეს ენდობოდნენ, — ჭკვიანი ბიჭია და არ დაიკარგება; ცოტა ხნით წადით, „თვალი გაიტყდებათ“ და უკანვე ჩამოხვალთ... მოსკოვში წავედით. ტყეში — გოგობიჭი გამიჩნდა და თითქოს, ოჯახზე ზრუნვამ პირადი გრძნობები დამავინწყა... მაგრამ ცოტა ხანში ზაზა შეიცვალა — ჩემ მიმართ ძველებურად მზრუნველი აღარ იყო, უხეში გახდა, სახლში დაგვიანებას მოუხშირა, ერთი-ორჯერ კი საერთოდ აღარ მოვიდა და თავი ასე იმართლა, — ბევრი საქმე მქონდაო.

— სად მუშაობდა?

— გადამზიდავ კომპანიაში... ბოლოს კვირაში ერთხელ მოდიოდა სახლში, ფულს დატოვებდა, — ეს რამდენიმე დღე გეყოფათ, მერე ისევ მოვალო, — და გადაიკარგებოდა... ერთი სიტყვით, იქ გაცნობილ და დამამაკაცებულ ბიჭებს აჰყვა, ცხოვრება აერია. თუ სახლში იყო, ბავშვებს ანიოკებდა, — დედათქვენს არ ვუყვარვარ, თქვენი ხატორით არის ჩემთან, თორემ მიმატოვებდაო!.. მერე საშუალო მიატოვა, — დავიღალე, დასვენება მჭირდებაო. მივხვდი, ჩვენი საქართველოში გამოშვება უნდო-



და და ვუთხარი, — აქ მარტო რომ დარჩე, დაიღუპები-მეთქი. იმავე საღამოს ქუთუხის ჯიბეში ერთჯერადი ნემსები და ამპულები ვუპოვე. მივხვდი, ნარკოტიკების მომხმარებელი გახდა და ვიჩხუბეთ; ზაზა სახლიდან წავიდა. უკვე 3 შვილი მყავდა და მატერიალურად ისე გამიჭირდა, პურის ფულს მეზობლად მცხოვრები ქართველები მაძლევდნენ, მაგრამ სხვისი ხელის შემყურე დიდხანს ვერ ვიქნებოდი, გარშემო ყველას ვალი მქონდა და რაიმე გამოსავალი უნდა მეპოვა. მანამდე არსად მიმუშავია: სკოლა დავამთავრე თუ არა, მაშინვე გავხვდები და უცხო ხალხთან ურთიერთობის გამოცდილებაც კი არ მქონდა, მაგრამ ვიცოდი, შვილების გამო ყველაფერს გავაკეთებდი.

— ძნელი წარმოსადგენია, რომ მეუღლე შვილების ამბავსაც არ კითხულობდა...

— ნათესავებისგან გავიგე, რომ ვილაც ასაკოვან ქალთან ცხოვრობდა... იმ პერიოდში ბავშვები ცოტა წამოზრდილები იყვნენ და ინტერნატში მივიყვანე, მე კი ერთ-ერთ მალაზიაში დამლაგებლად დავინწყე მუშაობა. 2-წლიანი ჯოჯოხეთური შრომის შემდეგ მალაზიის პატრონმა ჩემი ერთგულება დააფასა და გამყიდველად გადამიყვანა, მოგვიანებით კი სალარო ჩამაბარა და ცოტათი ამოვისუნთქე. წლების მანძილზე ჩემმა მშობლებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ქმარს გავშორდი და მე გამამტყუნეს... ერთხელ სამსახურში მითხრეს, — ვილაც კაცმა გიკითხაო. მეგონა, ჩემი ქმარი იყო და ყველა გავაფრთხილე, ჩემ შესახებ არაფერი მოუყვებ-მეთქი. ზაზას შიშით, — ბინაში არ მომადგეს და ისევ „კონცერტები“ არ გამიმართოს-მეთქი, — საცხოვრებელი ადგილიც შევიცვალე... თურმე ზაზა კი არა, გიო მეძებდა, რომელიც ერთ დღეს სამსახურთან დაშვდა. თავიდან ვერც ვიცანი, 9 წლის მანძილზე ძალიან შეცვლილა — თმა შეჭალარავებულნი ჰქონდა, თვალებთან ნაოჭებიც ეტყობოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან უხდებოდა... ვცდილობდი, მუშაობისგან გაუხეშებული ხელები პალტოს ჯიბეებში დამემალა; მეგონა, მასზე ასაკოვანი ადამიანის შთაბეჭდილებას დავტოვებდი... მაგრამ მალე ყველაფერი დამავინწყდა, ჩვენ


შორის წლების განმავლობაში გაჩენილი ნაპრალი სადღაც გაქრა და ცოტა ხანში გიო ჩემი დახეთქილი, გაყინული თითების გათბობას ცდილობდა. ჩვენ იქვე მდებარე სკვერში დავსხედით; ვტიროდით, ვსაუბრობდით, ერთმანეთს თვალეში ვუყურებდით და ვწმუდებოდით, მერე ისევ ვტიროდით... მითხრა, რომ ჩემდამი სიყვარული არ განელეზია, რამდენჯერმე შეხვედრია კიდეც ჩემს ქმარს და უჩხუბიათ... მას შემდეგ გიო ყოველდღე მაკითხავდა სამსახურში. თავიდან ბედნიერებისგან დავფრინავდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ყველაფერი არც ისე კარგად იყო: ჩემ ზურგს უკან ჩემი შვილები და ოჯახი იდგა... ჩემს თავს ვებრძოდი. გიო უსაზღვროდ მიყვარდა, მაგრამ ტრადიციულ ოჯახში ვარ გაზრდილი და ვინმეს საყვარლობა ჩემთვის მიუღებელი იყო. ერთ დღესაც გავბედე და ჩემი გულისტყვილი გიოს გავუზიარე, თან ვთხოვე, — ნუღარ მოხვალ-მეთქი. სახტად დარჩა და მითხრა: — ეგ რამ გაფიქრებინა, საყვარლობას როგორ გაკადრებდი?! ჩემს

ერსულება, ყველანი მოუთმენლად გელოდით; გიო უშენოდ ისე ცუდად იყო, მშობლები ესვენებოდნენ, მოიყვანე და იმ ბავშვებს ჩვენ გაგაზრდევინებო. განვლილი კომპარის შემდეგ თავი ბედნიერ სიზმარში მეგონა. ყველა კლასელმა და ბავშვობის მეგობარმა გვინახულა. ხუმრობით გვეუბნებოდნენ, — ახლა საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ სიყვარული ყველაფერზე ძლიერიაო. გიოს ყოველდღე ვუბნებოდი, — მეშინია, სიზმარი არ იყოს, არ გამეღვიძოს და ისევ იმ საშინელ რეალობაში არ დავბრუნდე-მეთქი. ილიმოდა, — შენ რა იცი, უშენოდ რა გადავიტანე; ახლა კი მეც იმავეს ვფიქრობო... მეგობრების დახმარებით, ორივემ ვიშოვეთ სამსახური. თინეიჯერი შეყვარებულებივით სულ ტელეფონზე ვიყავით ჩამოკიდებული, ერთმანეთს დღეში რამდენჯერმე ვუბნებოდით, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეგვეძლო... ერთ დღეს კი მაზღმა დამირეკა და მითხრა, — სასწრაფოდ სახლში მოდი, გიო დაჭრესო.

— რატომ დაჭრეს?

— ბიჭები ძმაცაცის სასაფლაოზე იყვნენ ასულეები. რამდენიმე წუთით ადრე მელაპარაკა და მითხრა, — აქედან გამოგივლი და სახლში ერთად წავიდეთ... მერე უცხოები მოსულან და უჩხუბიათ. ბიჭებმა მითხრეს, გიო გაშვებების დროს დაჭრესო... მკერდში იყო დაჭრილი და ხელებში ჩამაკვდა. სიკვდილამდე გონი არ დაუკარგავს, გაღიმებას ცდილობდა, — ამაზე უკეთეს სიკვდილს ვეღარც ვინატრებდიო... ჩვენი თანაცხოვრებიდან 4 თვე იყო გასული. ზუსტად იმ დღეს გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. გიო შვილზე ოცნებობდა და პატარა ბავშვივით ტიტიწებდა, — რა ბედნიერები ვიქნებით, ერთად გავზრდით და და-ძმების სიყვარულს ვასწავლით... ძალიან უბედური ვარ, მაგრამ ამავდროულად — ძალიან ბედნიერი: ყველაზე საყვარელი ადამიანისგან შვილი მაინც დამრჩა, რომელსაც მის სახელს დავარქმევ. მაინც მადლიერი ვარ განგების, რომ იმ ადამიანთან ხანმოკლე ცხოვრება მაინც მარგუნა, მისგან შეილს ველოდები, რომელსაც მისივე მშობლების დახმარებით გავზრდი...

გიოს ყოველდღე ვუბნებოდი, — მეშინია, სიზმარი არ იყოს, არ გამეღვიძოს და ისევ იმ საშინელ რეალობაში არ დავბრუნდე-მეთქი



ცხოვრებაში ერთადერთი სიყვარული ხარ და ჩემი ცოლი უნდა გახდეთ. თავზარი დამეცა: სამშვილიან ქალს ცოლად როგორ მოიყვან-მეთქი?! — შენი სამივე შვილი, საკუთარივით მეყვარებაო... იმ დღის შემდეგ გიო კიდეც უფრო გააქტიურდა და მეც, საკუთარ გრძნობებთან ჭიდილს თავი დავანებე, ცოლად გავყევი. მალე საქართველოში ჩამოვედით და გიომ, ჩემს შვილებთან ერთად, თავის სახლში მიმიყვანა.

— მისი მშობლები როგორ შეგხვდნენ?

— ისინი აეროპორტში დაგვხვდნენ. გიოს ძმამ მითხრა, — ჩვენს ოჯახში შემოსვლა ტყუილად გეუხ-



9-შვილიანი დედის გულისტკივილი

„შეიძლება, ახალ წელს სიხნულაში შევხვდეთ“

36 წლის მანანა საბაშვილი 9 შვილის დედა გახლავთ და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, სწორედ თვითმკვლელობაზე ფიქრობს, — იქნებ, ჩემს გაჭირვებულ ოჯახს ამის შემდეგ მაინც მიაქციონ ყურადღებაო... 3 წლის ლუკა ტელევიზორში, სარეკლამო რგოლებში ნანას ტკბილეულს დედას ყოველდღე სთხოვს, მაგრამ სწორ შემთხვევაში, პატარას თხოვნას ვერ უსრულებენ. ჰოდა, ახლა ლუკას თოვლის ბაბუის იმედილა აქვს...



თუ ყორღანაშვილი

თოვლის ბაბუის არსებობის 7 წლის ანისაც სჯერა, მაგრამ ფიქრობს, რომ ის მასთან არასდროს მივა... მრავალშვილიან ოჯახში არც საახალწლო ნაძვის ხე აქვთ და სავარაუდოდ, ვერც სადღესასწაულო სუფრის გაშლას მოახერხებენ, მეტიც — შეიძლება, ახალი წლის ღამეს ელექტროენერჯის გარეშეც დარჩნენ...

მანანა საბაშვილი:

— ახალი წლის დღესასწაულისთვის მზადება არ დაგვიწყია, რადგან ამის საშუალება არ გვაქვს; ამას განსაკუთრებულად უმცროსები განიცდიან. მე და ჩემი მეუღლე შევეცდებით, ბავშვები საახალწლოდ მაინც გავახაროთ, მაგრამ არ ვიცი, ეს გამოგვივა თუ არა, ღმერთს ვართ მინდობილნი... იქნებ, გამგეობამ ან მერიამ ყურადღება მოგვაქციოს. მე და კიდევ ერთი მრავალშვილიანი დედა — ირმა რუსიტაშვილი, რომელსაც ასევე, 9 შვილი ჰყავს, წლების მანძილზე ვიბრძვით, რათა თბილისის მერს შევხვდეთ და ჩვენი გასაჭირი მის ყურამდე მივიტანოთ, მაგრამ ჯერჯერობით, ეს ვერ მოვახერხეთ.

— სახელმწიფოსგან რაიმე დახმარებას იღებთ?

— როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი, თვეში 270 ლარს ვიღებთ. ასევე, ქალაქის მერია თითო ბავშვს 20 ლარს აძლევს, მაგრამ როცა ერეკლე 18 წლის გახდა, მისი კუთვნილი 20 ლარი „მოგვეს-

ნა“; მარტში მარიც 18 წლის გახდებოდა და შემოსავალი კიდევ შეგვიმცირდება... ფული კომუნალური გადასახადებისთვისაც არ გვეყოფნის, 300 ლარს მხოლოდ ბინის ქირაში ვიხდით... რომელ ახალ წელზეა ლაპარაკი, როცა ჩემი ყოველდღიური საზრუნავი ისაა, რომ ბავშვები შიმშილით არ დამეხოცოს!..

— ახალი წლის დღესასწაულს ბედნიერად არასდროს შეხვედრებით?

— კი, 15 წლის წინ, როცა ჩემი მამამთილი ცოცხალი იყო. მაშინ მხოლოდ 4 შვილი მყავდა. მახსოვს, როგორც სხვა ოჯახები ემზადებოდნენ, ჩვენც ისე ვემზადებოდით, ახალი წლის მოსვლა გვიხაროდა...

— თქვენი მამამთილი რას საქმიანობდა?

— ენერგოკომპანიაში მუშაობდა... მაშინ კახეთის გზატკეცილზე 5-ოთახიანი ბინა გვქონდა და საკმაოდ შეძლებულ ოჯახად მივიჩნევდით. მერე მამამთილმა ბინა გაყიდა — ვივაჭრებ, საზღვარგარეთიდან მანქანებს ჩამოვიყვან და ბინას ცალკე გიყიდი-თო, მაგრამ სარფის საზღვართან, თურქეთში გადასვლისას დააყარაღეს. ამ ამბიდან 2 თვეში გარდაიცვალა, დარდს გადაჰყვა. ბინა, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, მაშინ გირაოთი გვქონდა ალებული. ფული რომ დაგვიბრუნეს, დედამთილი საცხოვრებლად ცალკე (ქირით) გადავიდა, მაზლი —

ცალკე, ჩვენ კი აქ დავრჩით. 11 წელია, ამ ბინაში ქირით ვცხოვრობთ.

— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?

— ხელოსანია და ბევრი რამ ეხერხება. ვარკეთილის ხიდთან, „ბირჟაზე“ დგას ხოლმე და დამსაქმებელს ელოდება. შეიძლება, დღეში 30-40 ლარი იშოვოს ან კვირა ისე გავიდეს, რომ შინ თეთრიც ვერ მოიტანოს. მოკლედ, სტაბილური სამსახური არა აქვს... ჩვენი პრობლემა ისიცაა, რომ ერთ-ერთ ბანკში 3.000 ლარზე გვედავებიან, მაგრამ არ ვიცით, ეს თანხა როგორ გადავიხადოთ. შარშან ჩემს ერთ-ერთ ბიჭუნას — თორნიკეს ავტობუსი დაეჯახა, წინა კბილები დაუზიანდა, ყელში ფარული სისხლდენა ჰქონდა. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის გათვალისწინებული სადაზღვევო პოლისი ბევრ ხარჯს ვერ ფარავს და ამიტომაც, ბანკიდან სესხის აღება დაგვჭირდა. მართალია,

ბანკის ვალის ნაწილი დაფარეთ, მაგრამ მაინც გვემუქრებიან, — თუ მთლიან თანხას არ დაფარავთ, სასამართლოს გადაგცემთო. ამ უბედურებას სხვაც დაერთო: თორნიკემ სარეცხისათვის გამზადებული ადულტური წყლით სავსე ვედრო ვერ შეამწინა და აბაზანაში შესულმა ფეხი ჩაყო. მისი დამწვრობის ცენტრში მიყვანის საშუალება არ გვქონდა, ჰოდა, თორნიკეს დამწვარ კანს მამამისი აცლიდა. ამ დროს პატარა ლოგინზე გვყავდა დაბმული. მართალია, გამაყუჩებლებს ვუკეთებდი, მაგრამ პატარას ტკივილი ბოლომდე არ უყუჩდებოდა, ძალიან ბევრი იწვინებდა. ახლა სიარულისას ცოტათი კოჭლობს, ექიმთან მისაყვანია, მაგრამ... ქალაქის მერის არჩევნების პერიოდში, ჩვენს კორპუსთან გიგი უგულავა მოვიდა, ხალხს შეხვდა. თორნიკემ მისთვის გადასაცემი, ასეთი შინაარსის წერილი საკუთარი ხელით დაწერა: ბევრი და-ძმა მყავს. ფეხი დამწვარი მაქვს. მეორე თვეა, ვწევარ. იქნებ, მეც გამახაროთ და პატარა კომპიუტერი მიყიდოთო. ეს წერილი ბატონ გიგის თავად გადაეცემა, მაგრამ პასუხიც არ გვაღირსეს. მერე მერიამ მივედი, სადაც მითხრეს: არავის არანაირი ტექნიკით არ ვუხმარებთო... ძალიან ცუდ დღეში ვართ და თავის მოკვლაზეც ბევრჯერ მიფიქრია, — იქნებ, ჩემს ოჯახს ამის შემდეგ მაინც მიაქციონ ყურადღებამეთქი.



ერთად სხდებიან და მეცადინეობენ, ერთმანეთს ეხმარებიან

რა გვეშველებოდა... აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხადი ქალბატონ ფატის — ჩემი შვილების მასწავლებელს (ბაღში) და ისანი-სამგორის რაიონის გამგებელს, თემურ გრიგალაშვილს, რომელმაც ჩვენს ოჯახს ბევრჯერ დაეხმარა...

— ბავშვები როგორ სწავლობენ? 2-ოთახიან ბინაში ამდენი ბავშვი

გაკვეთილების მომზადებას როგორ ახერხებს?

— ერთად სხდებიან და მეცადინეობენ, ერთმანეთს ეხმარებიან. ბატონი შაშკინი რომ ამბობს: ნიგნები სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ყველა ბავშვს დაფურიგეთო, ასეც არაა საქმე — მაგალითად, მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოები საერთოდ არ მოგვცეს. ნინოს ლიტერატურის ნიგნი გაჭირვებით ვუყიდე. აბა, რა მექნა, ბავშვი ძალიან კარგად სწავლობს და შაშკინის იმედად ვერ ვიქნებოდით. რაც ყველაზე საინტერესოა, ბავშვებს სახელმძღვანელოები ნოემბრის დასაწყისში დაურიგეს. ამ დრომდე მოსწავლეს ნიგნი რომ არ ექნება, დავალება როგორ უნდა მოაშხადოს?! თორნიკე და იოსები ინგლისური ენის შესწავლაზე არიან „გადართულები“. სხვათა შორის, იოსებს ნიგნები არა აქვს და გაკვეთილებს სკოლაშივე ამზადებს, ცდილობს, ჩემი გული გაახაროს. მასწავლებლების მადლობელი ვარ — საოცრად კეთილშობილი ადამიანები არიან; ყოველთვის მირეკავენ და მეუბნებიან, რომ კარგად აღზრდილი შვილები მყავს.

— თქვენს შვილებს პროფესიები თუ აქვთ არჩეული?

— მეორეკლასელ ანის მხატვრობა უნდა. სკოლაში, ხატვის წრეზეც დადის (სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის იქ სწავლა უფასოა). მის ყველა ნახატში აუცილებლად სახლი ფიგურირებს... ნინიკოს ექიმობა უნდა. ამბობს, — კეთილი უნდა ვიყო და

— ახლა დენი არ გაქვთ?

— ახლა გვაქვს. ენერგოკომპანიის უფროსს ვთხოვე, — ბავშვებს უშუქოდ ნუ დამიტოვებთ-მეთქი და ჩამირთეს, მაგრამ იმ პირობით, რომ წლის ბოლომდე დავალიანების (1.500 ლარს) ნახევარს მაინც გადავიხდი. ასე რომ, შეიძლება, ახალი წლის დღესასწაულს სიბნელეში შევხვდეთ.

— როცა ოჯახი შექმნით, თქვენს მეუღლეს შემოსავლის წყარო ჰქონდა?

— კი, მუშაობდა, ენერგოკომპანიაში ინჟინერი იყო. ოჯახი სიყვარულით შევქმენით; მაშინ მე 16 წლის ვიყავი, ირაკლი — 19-ის. თებერვალში 20 წელი გახდება, რაც ერთად ვართ. ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კარგი მეუღლე მყავს...

— წელან მითხარით, დედამთილი საცხოვრებლად ცალკე გადავიდაო, მაგრამ ახლა ისევ ერთად ცხოვრობთ, არა?

— ის ბინა, სადაც ცხოვრობდა, გაიყიდა და ვინაიდან წასასვლელი არსად ჰქონდა, აქ გადმოვიდა. მეექვსე თვეა, ჩვენთანაა.

— თქვენს მშობლებზე რას გვეტყვი?

— 12 წლის ვიყავი, მამა რომ დამეღუპა, 8 წლის წინ კი 33 წლის ძმა, გულის შეტევით გარდამეცვალა. პენსიონერი დედა მყავს და ისიც ჩვენთან ერთად ცხოვრობს...

— ზამთარში რთი თბები?

— არაფრით. ყველანი სამზარეულოში ვიკრიბებით, რადგან რაც უფრო მეტნი ვართ, სითბოც მეტია. ბავშვებს ღამით ტანსაცმლიანად ვაძინებ, რომ არ გაიყინონ.

— სანოლები გაქვთ?

— თითო სანოლზე ორ-ორ ბავშვს სძინავს. უფროსი ვაჟი — 18 წლის ერეკლე ჯარში მსახურობს და როცა შინ მოდის, ვცდილობთ, დაისვენოს, მარტომ დაიძინოს... ახალი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ჩვენთვის ფუფუნებაა. ხალხი რომ არ გვეხმარებოდეს, არ ვიცი,



ოჯახის უმრწემესი წევრი — 3 წლის ლუკა

ხალხს ვუმკურნალო, ჩემით ყველამ უნდა იამაყოთო... 2 დღეში პაატა 15 წლის გახდება. ვცდილობ, ბავშვები დაბადების დღეზე კანფეტით მაინც გავახარო, მაგრამ 15 წლის ბიჭს კანფეტი გააბედნიერებს? მან გვთხოვა, — იქნებ, ფეხსაცმელები მიყიდოთ, თორემ უკვე ძალიან გაიცვითაო. 18 ლარამდე მოვაგროვე, რათა კედი მაინც ვუყიდო...

— ბავშვებს მეგობრებთან როგორ ურთიერთობა აქვთ?

— ძალიან კარგი. ბევრჯერ მშივრებს დაუძინიათ, მაგრამ ღვთის წყალობით, მაინც კეთილები, მეგობრულები, კომუნიკაბელურები არიან. მერწმუნეთ, ისინი გაჭირვებამ ვერ გააბოროლთა.

— რომელიმე შეყვარებული სომ არ ჰყავს?

— ჩემს შვილებთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, არაფერს მიმალავენ. პაატას და ერეკლეს შეყვარებულები ჰყავთ.

— სარძლოებს იცნობთ?

— კი, ორივეს ვიცნობ.

— ბიჭებს შეყვარებულებისათვის საჩუქრების გაკეთების საშუალება რომ არ აქვთ, ამას ძალიან განიცდიან?


— გუშინ მე და ერეკლე ზუსტად ამაზე ვსაუბრობდით. შეყვარებულის მიმართ სიყვარულსა და პატივისცემას ის თავისი საქციელით გამოხატავს. ჩემს შვილს იმის საშუალება არა აქვს, რომ მაგალითად, გოგონა კაფეში დაპატიჟოს, ტკბილეული შესთავაზოს, მაგრამ მადლობა ღმერთს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ქონებას ყურადღებას არ აქცევენ.

— და მაინც, სილარიბის გამო, არასოდეს დაკომპლექსებულან?

— ერთხელ იოსებმა მითხრა, — შეყვარებულმა დაბადების დღეზე დამპატიჟა და როგორ წავიდეო? იმის გამო, რომ იუბილარისათვის საჩუქარი არ ჰქონია, ბევრჯერ დაბადების დღეზეც არა წასულა. ასეთ შემთხვევაში, მეგობრები თავად მოდიან და მიჰყავთ.

— ახალი წლის დღესასწაულზე, თქვენს სახლში თოვლის ბაბუის ამპლუაში არასდროს არავინ მოსულა?

— არა, მსგავსი რამ არ მასსოვს. საბამ საბავშვო ბაღში გაიგო, რომ თურმე, თოვლის ბაბუა არსებობს, რომელსაც ბავშვებისათვის საჩუქრები მიაქვს. სხვათა შორის, ბაღში თოვლის ბაბუა ყოველ ახალ წელს, ტკბილეულით ასაჩუქრებს...



საქსარო

ქვლისგან შექმნილი პორტრეტები და საყოფაცხოვრებო საგნები

ბატონი შალვა ბაბუშაძე 90 წლისაა. მასთან სტუმრობისას პატარა, საგამოფენო ოთახში შემიყვანა, სადაც თავისივე ხელით შექმნილი, ქვლის „ქანდაკებები“ გამოფენილი. „ვეფხისტყაოსნის“, თავისუფლების, საქართველოსა და სოფლის თემაზე გაკეთებული ნამუშევრები ოთახის ოთხივე კედელს ფარავს. ბატონი შალვა უკვე დიდი ხანია, რაც ახალს არაფერს აკეთებს. დაახლოებით 2000 სკულპტურა დღეს მის ხელმოწერას ატარებს.

ელენე ბასილიძე

— ძალიან ბებერი ვარ, ბაბუ, 1921 წელს დავიბადე, მას შემდეგ, ცას გამოვეკერე და ვარ ასე (იღიმის)...


— რას ბრძანებთ, ბატონო შალვა, ასაკი სულაც არ გეტყობათ...

— როგორ არა?! მეგობრებისაგან თითქმის აღარავინ შემომრჩა, 2 თანაკლასელი გოგონალა მყავს, რომლებსაც სკოლიდან ვიცნობ... მეგობრებს შორის მხოლოდ ჩვენ, სამნი დავრჩით. 4 შვილთაშვილი, 2 შვილ-

მომიასლოვდა, სულ იმაზე ვფიქრობდი, — რა ვქნა, სახლში რომ წავალ რა ვაკეთო, თავი რით დავიტვირთო-მეთქი?! ერთ დღესაც, სადილობისას ლამაზ ქვალს მოვკარი თვალი, ძალიან მომეწონა, გავრეცხე, ზედ ვაჟა-ფშაველას პორტრეტი დავხატე და ამოვჭერი... რომ მივხვდი, ნამუშევარი გამომივიდა, ძალიან გამიხარდა. კარგი გასართობი ვიპოვე-მეთქი, გავიფიქრე. მერე, ქვლების ყიდვა დავიწყე და ხან მალაზიაში, ხანაც ცხოველების სასაკლაოზე მივდიოდი... დღეს ჩემს სახლში დაახლოებით 1000 ნამუშევარია, დანარ-



— დღეს უკვე ნაკლებად მაინტერესებს. ველარ ვმუშაობ, თითქოს მოვიწყინე კიდეც. მასალის დამუშავებას საკმაოდ დიდი ფიზიკური ძალაც სჭირდება; სამ-



იშვილი და ერთი ქალიშვილი მყავს...
— თუ გახსოვთ, პირველად როდის გაგიჩნდათ იდეა, ქვლებსაგან ნამუშევრები შეგექმნათ?
— პენსიაში გასვლის დრო რომ

ჩენი კი ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმში ინახება. ეს ნამუშევრები 20-25 წლის წინანდელია.
— დღეს უკვე აღარ მუშაობთ ამ მასალაზე?

უშაოდ ღონე აღარ მყოფნის.
— პროფესიით ვინ ბრძანდებით?
— ინჟინერ-მშენებელი გახლავართ. ინსტიტუტი რომ დავამთავრე,



ბორჯომში, „ჩითახევე ჰესის“ მშენებლობაზე ვმუშაობდი, მერე თბილისში, საპროექტო გუნდში, „ჰიდროპროექტში“, შემდეგ კი „საქწყალპროექტში“. მერე პენსიაში გავდი... ბედნიერი ადამიანი ვარ, ჩემ გარშემო არაჩვეულებრივი ადამიანები ტრიალებდნენ და შეიძლება ითქვას, ცხოვრება ბედნიერად გავატარე. სამწუხაროდ, 10 წლის წინ მეუღლე გარდაემცვალა და მარტო დავრჩი.

— მარტო ცხოვრობთ?

— კი, მარტო ვცხოვრობ. შვილი მთხოვს, ჩემთან გადმოდიო, მაგრამ ჩემს სახლს ისე ვარ შეჩვეული, აქ მირჩევნია თავისუფლად, მარტო ვცხოვრობდე. თავის მოვლა ჯერ კიდევ შემიძლია და არ მინდა, ვინმე შევანუხო (ილიძის). 90 წელი საკმაოდ ბევრია, ღმერთმა გაცოცხლოთ ჩემს ხნობამდე...

— ბატონო შალვა, ვაჟა-ფშაველას პორტრეტს რომელი ნამუშევარი მოჰყვა?

— მას სხვა მწერლებისა და პოეტების პორტრეტები მოჰყვა — სულ 49 ცალი და მერე უკვე ქალის ფიგურები გავაკეთე. 9 აპრილისადმი მიძღვნილი ქალის ფიგურა, მედეა, ქართველი დედა... მიყვები და რაც კი შეიძლებოდა, ძვლით გაკეთებულ იყო, თითქმის ყველაფერი გავაკეთე.

— ოდესმე სხვა მასალაზე თუ გიმუშავიათ?

— ახალგაზრდობაში ვხატავდი, მერე ქედურობამ დამაინტერესა და ფიროსმანის, თორნიკე ერისთავის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და კიდევ ბევრი არაჩვეულებრივი

უთარი ხელით დავამზადე. ძვალს მაგიდაზე, მბრუნავ ხელსაწყოზე ვამაგრებდი და გამადიდებელი შუშის მეშვეობით ვამუშავებდი.

— ძვლის დამუშავება არც ისე იოლი იქნებოდა...

— ძვალს დამუშავებისას მტვერი აქვს, რომელიც ჯანმრთელობისთვის მავნებელია, მაგრამ ამ მასალაზე მუშაობა ისეთ დროს დავიწყე, ჩემს ჯანმრთელობას ველარაფერს დაუშავებდა (იციინის). ძვალს ვხარშავდი, რომ ზედ შერჩენილი ხორცის ნაჭრები გასცლოდა და მერე ვამუშავებდი.

— თქვენს კოლექციაში ძვლისგან დამზადებული სურათის ჩარჩოები და ნიგნის ყდებიც კი აღმოვაჩინე...

— მათი გაკეთების იდეა მაშინ დამებადა, როცა უკვე თითქმის ყველაფერი გავაკეთე. ძვლებისგან ვაკეთებდი პატარა-პატარა სასმისებს, სამკაულებს, ჭადრაკის ფიგურებს... ყველაზე რთული პორტრეტების გაკეთება იყო, რადგან მსგავსების დაჭერა იოლი არ გახლდათ. მერე თემატურ ნამუშევრებს ვამზადებდი. ვცდილობდი, ისეთი რამ გამეკეთებინა, რაც ადამიანებისთვის ძალიან ნაცნობი და მშობლიური იქნებოდა.

— თქვენს ნამუშევრებში სოფლისა და ქართული სახლის თემაც საკმაოდ აქტუალურია...

— იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ბებია მყავდა. ისე მიყვარდა იქაურობა, სწავლის დამთავრებისთანავე სოფელში მივდიოდი. სწორედ ამ სიყვარულმა მიბიძგა სანახლის, ჩოჩიალა ურმის, სოფლის სახლის ინტერიერისა და

— როცა რამის გაკეთებას ჩავიფიქრებდი, უკვე ბედნიერი ვიყავი და ვცდილობდი, ისეთი გამეკეთებინა, რომ ძალიან მომწონებოდა.

დრო თავზე საყრელად მქონდა, ვმუშაობდი და ვმუშაობდი (ილიძის). საშუალო ზომის სკულპტურას 5-6 დღეში ვქმნიდი. მინიატიურული ნამუშევრები საკმაოდ რთული გასაკეთებელი გახლდათ და შესაბამისად, დიდი დრო სჭირდებოდა.

— რომელი ცხოველის ძვლით ამზადებდით ნამუშევრებს?

— საშუაოდ ყველაზე კარგი სპილოს ძვალია, მაგრამ მისი შოვნა ძალიან ძნელია... ნამუშევრებისთვის ძროხის, ხარისა და კამეჩის ფეხის ძვლებს ვიყენებდი.



— მოდი, ძვლისგან შექმნილი უნიტაზის შესახებაც მომიყვიეთ...

— (იციინის) ერთ დღეს ვიფიქრე, მოდი, უნიტაზსაც გავაკეთებ-მეთქი და დასრულებული ნამუშევარი საკმაოდ ეფექტური გამოვიდა. ძალიან მინდა, რომ ჩემი ნამუშევრები რომელიმე მუზეუმს ჩავაბარო, იქ უფრო უკეთ შეინახება...

— ბატონო შალვა, დღეს როგორ უყურებთ თქვენ მიერ განვლილ 90 წელიწადს?

— მგონი, ამ წლებს ფუჭად არ გაუვლია. ძალიან მსიამოვნებს, როცა ადამიანები მოდიან და ნამუშევრებით ინტერესდებიან. თქვენც ძალიან გამახარეთ.

— გმადლობთ, კიდევ დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო შალვა!



ადამიანის პორტრეტი ლითონში გამოვსახე. მერე უკვე ძალიან საინტერესო მასალა — ძვალი აღმოვაჩინე. პატარა სახელოსნო გავაკეთე და ყველა იარაღი, რაც ძვლის დასამუშავებლად მჭირდებოდა, საკ-

ქართული საკრავების შექმნისკენ. — ბატონო შალვა, თქვენს ნამუშევრებში ცხოველებისა და ფრინველების მინიატიურული ფიგურებიც შევნიშნე.

გზაში საკითხავი კოლაქი

ჭკადერული ოქუბ ივანიძე

1. შანსი ჩინეთის პროვინცია.
2. ჯჰანგმაგჰიანა ქალაქია პაკისტანში.
3. ხორვატიაში ბრიუს ლის ძეგლი დაუდგეს.
4. ვიკაფობია ჯადოსა და ჯადოქრობის შიშია.
5. ამერიკული სიდაამპლე ფუტკრის დაავადებაა.
6. რულეტზე თამაშის დროს წაგებ-ის შანსი 97 პროცენტია.
7. ოლიმპიადა ვახანია მიტროფანე ლაიდის მულეზე გახლდათ.
8. ტიცინიან ტაბიძეს საფრანგეთის ჯამ-უშობაში სდებდნენ ბრალს.



9. ბარამბო ტყის მრავალწლოვანი ბალახია, რომელსაც სამკურნალოდ იყენებენ.
10. „თუ არსად გეჩქარებათ, ესე იგი აქაური არა ხართ“, — ამბობენ ნიუ-იორკელები.
11. დედა ტერეზა 1997 წლის 5 სექტემბერს ინდოეთში, ქალაქ კალკუტაში გარდაიცვალა.

12. „ნე სმატრია ნა მაი გრეხი, ია ხრისტოს ვ მინიატურე“, — გაიძახოდა გრიგორ რასპუტინი.

13. სტოკჰოლმი 14 კუნძულზეა გაშენებული. ეს კუნძულები 50 ხიდით უკავშირდება ერთმანეთს.

14. შამილის ნაიბი, ჰაჯი-მურატი, ავარიის სახანოს ერთ-ერთი მმართველი იყო. 1851 წელს იგი რუსების მხარეზე გადავიდა. მოგვიანებით, მთებში გაქცევის მცდელობისას, მათვე მოკლეს.

15. კართაგენი ფინიკიელებმა დააარსეს. რომაელები ფინიკიელებს პუნებს ეძახდნენ, რის გამოც მათ შორის გამართულ ომებს პუნიკური ომები ეწოდა.

16. XIII საუკუნეში ყუბილაი ყაენს იაპონიის დაპყრობაში ორმა დიდმა ტაიფუნმა შეუშალა ხელი. სინტონისტური რელიგიის ქურუმებმა ეს თავიანთი ლოცვების დამსახურებად მიიჩნიეს და ამ ტაიფუნებს სახელად „კამიკაძე“ დაარქვეს, რაც ქართულად „ღვთაებრივ ქარს“ ნიშნავს.

17. ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის დროს, განადგურებულ ქალაქ პომპეიში სახლების კედლებზე აღმოჩენილია წარწერები, რომლის ავტორები, დღევანდელი ფენიქურთის ფანების მსგავსად, საკუთარ კერპ გლადიატორებს განადიდებდნენ.

18. რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, შაორის ქვაბულში, სადაც ახლა შაორის წყალსაცავია, ადრე პატარა ტბები — ხარისთვალი და ძროხისთვალი მდებარეობდა.

M Coupe – 1-Series-ის ყველაზე მძლავრი მოდიფიკაცია

ორიოდე დღის წინ, კომპანია „ბე-ემ-ვემ“ ოფიციალურად წარმოადგინა კუპე M 1-Series-ის ყველაზე მძლავრი მოდიფიკაცია — M Coupe. ავტომობილის მსოფლიო პრემიერა ინვარში, დეტროიტის მოტორშოუზე შედგება, ხოლო ევროპელები მანქანის ხილვას ჟენევის ავტოსალონზე, მარტში შეძლებენ. მანქანის მასა 35 კგ-ით შემცირდა — 1495 კგ-მდე. ამასთან, ლუქით აღჭურვილ ავტომობილს შედარებით, მასის 15 კგ-ით შემცირება ინჟინრებმა ახალი სახურავის მეშვეობით მოახერხეს. უკანა აძვრის კუმეს წინა და უკანა ლერძებს შორის მასის თითქმის იდეალური განაწილება აქვს — 51,7/48,3. „ბე-ემ-ვეს“ ყველაზე მძლავრ კუპეს 3-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი ძრავა აქვს, რომელიც 335 ცხძ-ს

ავითარებს. მოტორი სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით იმუშავებს. ავტომობილის მონაცემებით, 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს სიახლე 4,9 წამში ავითარებს, ხოლო 402 მეტრ დისტანციას 13,2 წამში დაფარავს. M Coupe-ს მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია. შედარებისთვის: მოდიფიკაცია კუპე BMW 135i 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,3 წამში ავითარებს, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე ორივე მანქანას ერთნაირი აქვს. ავტომობილს მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები დაუყენეს. დილერთა ცენტრებში სიახლე 2011 წლის გაზაფხულიდან გამოჩნდება. ასეთი კუპეს ფასები და კომპლექტაციები მოგვიანებით გახდება ცნობილი.



„მისუბიუსი“ კომპაქტ-ავტო

კომპანია „მიცუბიში მოტორსი“ მსოფლიო ბაზრებისთვის განკუთვნილი, ახალი, კომპაქტური ავტომობილის სერიულ წარმოებაში ჩაშვებას 2012 წლის მარტში აპირებს. მანქანის აგება იაპონური მარკის ტაილანდურ ქარხანაში იგეგმება. ამის შესახებ კომპანიის ოფიციალური პრესრელიზი იუწყება. „მიცუბიუსი“ კომპაქტური ავტომობილი სრულიად ახალ პლატფორმაზე აიწყობა და 1.0 და 1.2-ლიტრიანი ძრავებით აღჭურვილი გაიყიდება. იაპონური მწარმოებლის



თქმით, ასეთ ავტომობილს თავისი კონკურენტებისგან „ხელმისაწვდომობა“ და „სანვავის ეკონომიურობა“ გამოარჩევს. მისი პრემიერა მომავალი წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. ტაილანდში ახალი საბაზო მოდიფიკაციის მშენებლობა დაახლოებით 13,3 ათასი აშშ დოლარი დაჯდება. ამ ავტომობილის შესახებ სხვა მონაცემები ჯერ არ გავრცელებულა.



„იაგუარი“ კროსოვერებს გამოუშვებს

კომპანია „იაგუარი“ თავისი სამოდ-ელი რიგის გაზრდას კროსოვერის ხარჯზე გეგმავს. ამის შესახებ კომპანიის ახალმა ხელმძღვანელმა, ედრიან ჰოლმარკმა განაცხადა. „ჩვენ კროსოვერი გვინდა. მხოლოდ სედანებზე ორიენტირებული მწარმოებელი აღარ უნდა ვიყოთ“, — დასძინა ჰოლმარკმა ერთ-ერთი საავტომობილო გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში. მან ხაზი გაუსვა, რომ მომავალში „იაგუარის“ სამოდელი ხაზზე სრული აქვრის მქონე სედანებიც გამოჩნდებიან, რომლებიც მისი აზრით, ევროპულ და ამერიკულ ბაზრებზე, — განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ სანაპიროზე, — მარკის გაყიდვების რიცხვს გაზრდის. გარდა ამისა, ჰოლმარკმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მალე ბრენდის სამოდელი რიგში „უნივერსალის“ ძარაზე აგებული, XF-ის მოდიფიკაცია გამოჩნდება. ამასთან, კომპანია ახალ მოდელებზე მუშაობისას, თითოეული ავტომობილის მასის მაქსიმალურად შემცირებას შეეცდება. ზოგიერთი ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ მომავალი „იაგუარების“ ძარები ალუმინისგან იქნება დამზადებული.

ადრე Tata Motors-ის ინდური მწარმოებლის ხელმძღვანელმა, კარლ-ჰიტერ ფოსტერმა განაცხადა, რომ „იაგუარ-



ის“ ახალ მოდელებს შორის უნივერსალ XF-ის გარდა, უახლოეს მომავალში როდესტერი F-Type-ც გამოჩნდება, რომელიც კონკურენციას Porsche Boxster-ს გაუწევს. აგრეთვე გამოვა კომპაქტური ავტომობილი, X-Type. ეს უკანასკნელი BMW 3-Series-ისა და უდი 4-ის კონკურენტი იქნება. ზოგიერთი მონაცემით, „იაგუარი“ მცირე სერიულ წარმოებაში ჰიბრიდული სუპერავტოს, — C-X75, — ჩაშვებას აპირებს, რომლის პროტოტიპიც პარიზის მოტორშოუზე წარადგინეს.

ახალი სუპერავტო „ფერარისგან“

კომპანია „ფერარი“ ფიორინოში მდებარე სატესტო ტრეკზე სუპერკარ 458 Italia-ს მეორე სარბოლო მოდი-

ფერსიაზე დაყენებული 19-დუიმიანის ნაცვლად) დაამზადებენ. გარდა ამისა, ცვლილებას განიცდის



ფიკაციის (Challenge-ს ვერსიის შემდეგ) გამოცდას შეუდგა, რომელსაც GT2 ჰქვია. სიახლე „ფერარის“ სარბოლო ავტომობილს, F430 GT2-ს ჩაენაცვლება, რომელიც FIA GT-ის ჩემპიონატში, ლე-მანის ამერიკულ სერიაში და პრესტიჟულ მარათონ „ლე-მანი 24 საათში“ მონაწილეობდა. 458-სთვის განსხვავებული სავენტილაციო ჭრილებისა და დიდი უკანა სპოილერების მქონე ახალ ძარას, ასევე სპეციალურ, 18-დუიმიან ბორბლების დისკებს (Challenge-ს

სუპერავტოს ტექნიკური მონაცემებიც. GT2-ის კლასის მოტოვნილებების შესაბამისად, 4,5-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი ძრავას სიმძლავრე 470 ცხბ იქნება (სამოქალაქო ავტომობილებზე ეს მოტორი 570 ცხბ-ს ავითარებს). ავტომობილის მასა 1245 კგ-ია, რაც 27 კგ-ით მეტია, ვიდრე სარბოლო Ferrari F430 GT2. წინასწარი ინფორმაციით, Ferrari 458 Italia-ს სარბოლო ვერსია ლე-მანში მონაწილეობას უკვე მომდევნო სეზონშივე მიიღებს.

გზაში საკითხავი კოლაქი

ქპლერელი თქუბ ივანიძე

19. 1664 წლის 5 დეკემბერს, უელსის სანაპიროსთან სამგზავრო ხომალდი ჩაიძირა, რომლის ეკიპაჟის ყველა წევრი და ყველა მგზავრი დაიღუპა, გარდა ერთისა. გადარჩენილი მგზავრის სახელი და გვარი ჰიუ უილიამსი გახლდათ. ზუსტად 121 წლის შემდეგ, 1785 წლის 5 დეკემბერს, ამავე ადგილზე ჩაიძირა სხვა ხომალდი და ამჯერადაც მხოლოდ ერთი ადამიანი გადარჩა ცოცხალი და ამ ადამიანსაც ჰიუ უილიამსი ერქვა. 1860 წელს, ისევ და ისევ 5 დეკემბერს, ამავე ადგილას ჩაიძირა თევზსაჭერი გემი, საიდანაც მხოლოდ ერთი მეთევზე გადარჩა და რომლის სახელი და გვარიც კვლავ ჰიუ უილიამსი გახლდათ.

20. II მსოფლიო ომის დროს, ბრიტანეთის საჰაერო ფლოტის 303-ე ესკადრილიაში პოლონელი მფრინავები იბრძოდნენ. მათ სამინლად სჭლდათ გერმანელები. მათი თანამებრძოლი ინგლისელები იხსენებდნენ: „ჩვენთვის საკმარისი იყო, მტრის თვითმფრინავი დაგვეზიანებინა, პოლონელებს კი იმ ადამიანთა განადგურება უნდადა, ვინც ამ თვითმფრინავებს მართავდა. ისინი უშუალოდ პილოტს ესროდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მას პარაშუტით გადმოხტომა ვერ მოეხერხებინა. ჩვენი ინსტრუქტორები მათ 360 მეტრიდან სროლას აჩვენებდნენ, პოლონელები კი 90 მეტრამდე უახლოვდებოდნენ მტერს და მათ თვითმფრინავებს ჰაერშივე ნამსხვრევებად აქცევდნენ“.

21. 1649 წელს, ოლივერ კრომველის ჯარებმა ირლანდიის საპორტო ქალაქი, დროგედა აიღეს და მისი ცალფეხა მმართველი, არტურ ასტონი ტყვედ აიყვანეს, რომელზეც ხმები დადიოდა, ხის ფეხში ოქროს მალავსო. ჯარისკაცებმა ასტონს პროთეზი ნაპვლიჯეს და ოქროს მონეტებს დიდხანს ეძებდნენ. როდესაც ვერაფერი აღმოაჩინეს, გაბრაზებულებმა ქალაქის მმართველს მისივე ხის ფეხი ურტყეს თავში და ისე მოუღეს ბოლო.

22. იტალიელი მისიონერი, ჯუზეპე ჯუდიჩე, 1631 წელს, არქანჯელო ლამბერტისთან ერთად გორში ჩამოვიდა. მოგვიანებით მან სამეგრელოში განაგრძო მოღვაწეობა, სადაც მეგრულ ენას სწავლობდა და საეკიმო საქმიანობას ეწეოდა. 1643 წელს, ჯუდიჩე ლევან დადიანის დავალებით რომში, პაპთან, ინოკენტი X-სთან ჩავიდა, სარწმუნოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის გაძლიერების მიზნით. დაბრუნებისას, იტალიელი მისიონერი ოსმალეთში დაატყვევეს და ტყვეობაშივე გარდაიცვალა. სამეგრელოში მოღვაწეობის პერიოდში ჯუდიჩეს მიერ შედგენილი და რომში გაგზავნილი რელაციონები ლამბერტის „სამეგრელოს აღწერასთან“ ერთად, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის შესასწავლად უძვირფასეს წყაროდ გვევლინება.



დედამიწის მიტოვებული და აკრძალული ადგილები

✦ ინდოეთის ქალაქი ბხანგარი უკანასკნელმა მოსახლემ 1783 წელს დატოვა. ქვეყნის ხელისუფლებამ ქალაქში ღამით შესვლა ყველას აუკრძალა, რადგან გარდა იმისა, რომ ქუჩებში ველური ცხოველები დაძრწიან, ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, რათა გაირკვეს, რამ აიძულა ხალხი, ქალაქი დაეტოვებინა.

✦ ლიერის (ნორვეგია) ფსიქიატრიული კლინიკა ოსლოდან 30 წუთის სავალზეა. კლინიკაში პაციენტებზე სხვადასხვა დაკვირვებასა და ცდებს ატარებდნენ. გარდა ამისა, ლსდ-თი (ფსიქოაქტიური ნივთიერება, რომელიც ჰალუცინაციებს, დროსა და სივრცის აღქმის შეფერხებასა და ფსიქიკურ აშლილობებს იწვევს) მკურნალობდნენ და ლობოტომიას (თავის ტვინის თეთრი ნივთიერების წარმოქმნელი, ნერვული ბოჭკოების გადაჭრის ოპერაცია) უნიშნავდნენ. ოფიციალურად ეს ოპერაცია 2500 ადამიანს (მათ შორის — ბავშვებსაც) ჩაუტარეს. ლობოტომიის ერთ-ერთი მსხვერპლი, შიზოფრენიით დაავადებული როზმარი კენედიც (პრეზიდენტ ჯონ კენედის და) გახლდათ. კლინიკის ოთხი კორპუსი, სადაც ლობოტომიას ატარებდნენ, 1985 წელს დაიხურა.

✦ ვულკანი პარიკუტინი პირველად 1943 წელს ამოიფრქვა. 1944-52 წლებში კი სოფელი სან-ხუან-პარანგარიკუტირო (მექსიკა) გაანადგურა. 4 ათასი მოსახლე სახლ-კარის გარეშე დარჩა. ერთადერთი, რაც ხელუხლებელი გადარჩა, ეკლესიაა.

✦ 1963 წელს, ტოკიოდან რამდენიმე კილომეტრში გასართობი პარკი გახსნეს, მაგრამ ატრაქციონებმა რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა და პარკი ორ წელიწადში დახურეს.

✦ ლიპია არკზში (ფლორიდა), მდიდართა ქალაქში, 2006 წელს, 67 767 ადამიანი ცხოვრობდა. კრიზისის გამო მოსახლეობამ საცხოვრებელი მიატოვა. ასლა ქუჩებში მხოლოდ ცხოველები დაძრწიან.

✦ ლიპია არკზში (ფლორიდა), მდიდართა ქალაქში, 2006 წელს, 67 767 ადამიანი ცხოვრობდა. კრიზისის გამო მოსახლეობამ საცხოვრებელი მიატოვა. ასლა ქუჩებში მხოლოდ ცხოველები დაძრწიან.



უნიკალური საცხოვრებელი



ფორტ ნოქსი



ციხე სუპერმაქსი

✦ ნორვეგიის ერთ-ერთ კუნძულზე, ნყალში, 130 მეტრის სიღრმეში, უნიკალური საწყობი მდებარეობს. მასში 100000000 მცენარის თესლი ინახება. საწყობი ისეა მოწყობილი, რომ ვერც მიწისძვრა, ვერც გლობალური დათბობა და ვერც გამყინვარება დააზიანებს. თანაც, დედამიწაზე ელექტროენერგია საერთოდ რომ გაითიშოს, მცენარეთა თესლები კიდევ რამდენიმე ასეულ წელს გაძლებენ.

✦ ფორტ ნოქსის სამხედრო ბაზაში ამერიკის ოქროს ზოდების საცავი მდებარეობს. მასში 4176 ტონა ოქრო ინახება. შენობა უნიკალური მეთოდებითაა დაცული. მარტო კარი 22 ტონას იწონის.

✦ სადამ ჰუსეინის ბუნკერი ისე მაღალტექნოლოგიურად იყო აშენებული, რომ ამერიკულმა, 2-ტონიანმა ავიაბომბებმა ვერ დააზიანა (მას ატომური ბომბის აფეთქებისთვისაც უნდა გაეძლო). მიწისქვეშა ნაგებობის მშენებლობაში იმ ქალის შვილიშვილი მონაწილეობდა, რომელმაც თავის დროზე ბუნკერი ადოლფ ჰიტლერისთვის ააგო. მიწის ქვეშ, 30 მეტრის სიღრმეში ნაგებობა იმდენად კომფორტულად და დაცულად იყო აგებული, რომ 100 ადამიანზე მეტს ერთი წლის მანძილზე შეეძლო ცხოვრება.

✦ დედამიწის ყველაზე საშიშ და აკრძალულ ტერიტორიას სუპერმაქსის (Administrative Maximum Facility) ციხე წარმოადგენს. იგი ალკატრასსა და გუანტანამოზე დაცულია და მასში 40, ყველაზე საშიში დამნაშავე იხდის სასჯელს. პატიმრები 23 საათს სიმატოვეში, ინდივიდუალურ საკნებში ატარებენ. დაცვასთან მხოლოდ 1 საათი უწევთ ურთიერთობა. ერთად არ სადილობენ, არ მუშაობენ, არ სწავლობენ, არ ლოცულობენ და არ ვარჯიშობენ. საკნის ფანჯრიდან მხოლოდ ცა მოჩანს, რათა პატიმარმა ვერ დაადგინოს, ციხის რომელ ნაწილში იმყოფება.

✦ ნორვეგიის ერთ-ერთ კუნძულზე, ნყალში, 130 მეტრის სიღრმეში, უნიკალური საწყობი მდებარეობს. მასში 100000000 მცენარის თესლი ინახება. საწყობი ისეა მოწყობილი, რომ ვერც მიწისძვრა, ვერც გლობალური დათბობა და ვერც გამყინვარება დააზიანებს. თანაც, დედამიწაზე ელექტროენერგია საერთოდ რომ გაითიშოს, მცენარეთა თესლები კიდევ რამდენიმე ასეულ წელს გაძლებენ.



გლადიატორი მამლები

მამლების ბრძოლა ჯერ კიდევ ძველ ინდოეთსა და ჩინეთში იყო ცნობილი, შემდეგ ეგვიპტესა და საბერძნეთშიც გავრცელდა. საუკეთესო საბრძოლო მამლებს ალექსანდრიასა და როდოსზე ზრდიდნენ. შუა საუკუნეებში გალიერა ევროპაშიც პოპულარული გახდა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში მამლების ბრძოლა ოფიციალურად აიკრძალა (ევროპაში, ცხოველებისადმი სასტიკი მოქცევისთვის შეიძლება ციხეშიც კი აღმოჩნდეთ). მიუხედავად ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წინააღმდეგობისა, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ტაილანდში, გალიერა მაინც ეწყობა. მამლებს 6 თვიდან ავარჯიშებენ. თუ ჯიშთან ლეკვებს ყურებსა და კუდს აჭრიან, მამლებს ბიბილოს ჰკვეთენ. დაჭრილი ფრინველებისთვის მალამოებს, ვიტამინებსა და მარლას იმარაგებენ.

მამლის მფლობელები და ბრძოლის მაცურებლები რამდენიმე წესს იცავენ: გალიერაზე ქალები არ დაიშვებიან; დავარდნილ მამალს არ სცემენ; სასიკვდილოდ დაჭრილს არ კლავენ. საუკეთესო მებრძოლი მამალი ათას დოლარზე მეტი ღირს. გამარჯვებული მამლის მფლობელი კი ჯილდოდ 20 ათას დოლარზე მეტს იღებს. ძველად გამარჯვებული მამლით მამაც მებრძოლებს ასაჩუქრებდნენ.

გალიერა 6-მეტრიან, შემოღობილ მოედანზე ტარდება, რათა მოჩხუბრები „ბრძოლის ველიდან“ არ

გადაფრინდნენ. ჩემპიონატში 1-2 წლის მამლები მონაწილეობენ. მამლებს დეზებზე რკინის ან ძვლის, 4-6 სმ-იან დანებს უმაგრებენ. ტრადიციულად — წყვილი მამლის ჩხუბი მიიჩნევა, მაგრამ არსებობს „სამეფო ბრძოლაც“, რომლის დროსაც



მოედანზე ერთდროულად რამდენიმე მამალს უშვებენ და გამარჯვებულიც ისაა, რომელიც ყველას დაამარცხებს. „უელსური ბრძოლის“ დროს მოედანზე ჯერ წყვილ მამალს აჩხუბებენ, შემდეგ გამარჯვებულებს ასვედრებენ.

სხვათა შორის, ცხოველთა დაცვის

ორგანიზაციის აკრძალვის მიუხედავად, გალიერა ოკლაჰომას შტატშიც (აშშ) ტარდება და საფრანგეთის სამხრეთ რეგიონშიც. აქ დამარცხებული მამლის ხორცს თეთრ ლვინოსა და ხახვში შუშავენ და გალიერას სტუმრებს უმასპინძლებიან.



სუა შანი — კიბე საში

დაოსიზმის ხუთიდან ერთ-ერთ წმინდა მთას, სუა შანი („აყვავილებული მთა“) ჰქვია. ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი სტუმრობს ჩინეთის (პროვინცია შენსი) მთის კენწეროში (2100 მეტრი) აშენებულ ტაძარს, საიდანაც გარემოს ულამაზესი ხედი იშლება. ტურისტებს გზადაგზა რამდენიმე მონასტერი, პაგოდა, ჭიშკარი და ხიდი ხვდება. ძირითად ტაძრამდე ქვის კიბე ადის, რომელსაც მოაჯირის ნაცვლად რკინის ჯაჭვი აქვს. ყოველ 400-500 მეტრში მოსასვენებელი და წველების ჯიხური დგას. ყველაზე რთულად გასავლელ ადგილს ცისფერი დრაკონის ნეკნი ჰქვია. ვინრო ბილიკის ორივე მხარეს ღრმა ხევია. სუა შანს 1990 წლიდან იუნესკო იცავს.



ჩინელებში ასეთი გამოთქმაც არსებობს: „თუ ჩინეთის ხუთი წმინდა მთა მოიარეთ, შეგიძლიათ, სხვა მთებზე აღარ ახვიდეთ, მაგრამ თუ სუა შანი ნახეთ, დანარჩენი ოთხის ნახვა აღარ გჭირდებათ“.



ქალბატონი, რომელმაც ბოლნისის სიონი გადაარჩინა და ბოლნელი ეპისკოპოსის სულიერი ღვაწლი

2008 წლის ივნისში ბოლნისის სიონის დიდებული ტაძრის მონახულება გადაწყვიტე. ის იყო, ტაძრის ტერიტორიაზე უნდა შევსულიყავი, რომ ეკლესიის ჭიშკართან ერთი ყავარჯენებზე დაფრდნობილი, ხანდაზმული ქალბატონი რუსულად გამომელაპარაკა: — ტაძრის სანახავად მობრძანდით? — დიას, — ღიმილით მივუგე. — კარგია; აქაურობა არ უნდა დაიფიწყოთ... მე ამ ტაძარში 50 წელი ვიმსახურე... აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილს აქ გათხრების დროს გვერდიდან არ მოვცილებივარ. რა არ გადამხდენია... მაგრამ უკვე მოვხუცდი, სიარულიც მიჭირს. ამიტომ უკრაინიდან დამ ჩამომაკითხა (გვერდით მდგარი ქალბატონი წარმომიდგინა) მშობლიურ ქალაქში მივყავარ... სიმართლე გითხრათ, აქაურობა არ მეთოძობა, მაგრამ წინააღმდეგობა ვეღარ გაფუნიე. — რა გვარი ბრძანდებით? — ევგენია შევია, გვარად ვოგილევიჩი გახლავართ. თუმცა ახლა უკვე მონაზონი ვარ და დედა მარიაშს შეძახიან...

ღალი ფასია

მაშინ ჩვენი დიალოგი სამწუხაროდ, ვეღარ გაგრძელდა. დედა მარიამს ბედნიერი მგზავრობა ვუსურვე და ერთი რაც მოვახერხე, სამახსოვრო ფოტო გადავუღე... მას შემდეგ ორი წელი გავიდა... ცოტა ხნის წინ კი ბოლნისის სიონს უკვე იმ განზრახვით ვეწვიე, რომ ამ ქალბატონზე სტატია მომეზადებინა...

ტაძარში რომ შევედი, წირვა მიმდინარეობდა, რომელსაც მეუფე ეფრემი (გამრეკელიძე), ბოლნელი ეპისკოპოსი აღასრულებდა. მესანთლე ქალბატონს ჩურჩულით ჩემი განზრახვის შესახებ ვაუწყე.

— ვინ არ იცნობდა დედა მარიამს, — მითხრა მან... — მაგრამ როგორც შევითყვევით, სამწუხაროდ, იგი ორი თვის წინ გარდაცვლილა... ისე კი, უმჯობესია, მეუფე ეფრემს გაესაუბროთო. ბოლნელი ეპისკოპოსი ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა.

— მეუფეო, ეს უკრაინელი ქალბატონი ბოლნისში საიდან და როგორ აღმოჩნდა?

— იგი წარმოშობით ოდესის ოლქიდან გახლდათ. ამ ტაძარში



ბოლნისის სიონი

წლების განმავლობაში იმსახურა და აქაურობას მფარველად და შემწედ მოეწვინა. კომუნისტურ, ათეისტურ პერიოდში, როდესაც ბოლნისის სიონში სალოცავად არავინ დადიოდა, ტაძარი შეიძლება ითქვას, რომ ობლად იყო დარჩენილი... არადა, იცით, რომ ის V საუკუნეში აგებული ისტორიული ძეგლია. სწორედ ბოლნისის სიონშია აღმოჩენილი პირველი ქართული წარწერა, რომელიც V საუკუნით თარიღდება; წარწერა გვამცნობს, რომ ამ ტაძრის

არქიტექტორი და აღმშენებელი დავით ეპისკოპოსია... მოკლედ, გასული საუკუნის 40-იან წლებში, ამ სოფლიდან (ქვემო ბოლნისი) მეორე მსოფლიო ომში ერთი აზერ-

ბაიჯანელი ახალგაზრდაც გაუწვევიათ (ტაძრის მახლობლად ცხოვრობდა). ომის დასრულების შემდეგ, ის უკრაინაში ახალგაზრდა გოგონას, ევგენიას შესვედრია, მოსწონებია და მისთვის ცოლობა უთხოვია. ევგენია ქრისტიანულ ოჯახში იყო

აღზრდილი. განსაკუთრებულად იხსენებდა ბებიას, რომელიც ღვთისმოსავი ქალი ყოფილა და ოჯახშიც წონიანი სიტყვა ეთქმევა. როდესაც მას შვილიშვილის საქართველოს მოქალაქეზე გათხოვების შესახებ შეუტყვია, ცოტათი შემფოთებულა, მაგრამ სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა... სასიძომ ბებიას თავი ქართველად წარუდგინა — საკუთარი ეროვნება და სარწმუნოება დამალა, რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ მისთვის, როგორც მუსლიმანისთვის ევგენია არ გამოეგტანებინათ. მოხუცმა ოჯახში მისულ მამაკაცს შვილიშვილზე დაქორწინების ნება დართო (ისე, სანამ ბოლნისში არ ჩამოვიდა, არც ევგენიას სცოდნია, რომ მისი მომავალი მეუღლე აზერბაიჯანელი იყო)...

— შემდგომ, აზერბაიჯანელმა მეუღლემ სარწმუნოების შეცვლა ხომ არ მოსთხოვა?

— არა და არც მომთხოვდაო, ამბობდა ევგენია, რადგანაც შეგნებული ადამიანი იყო და თან, ხედავდა, რომ მორწმუნე ოჯახში ვიყავი აღზრდილი და ქრისტიანობა ჩემში, როგორც რელიგია, მყარად იყო გამჯდარიო. არაქრისტიანულ ოჯახში მოხვედრილი ქალბატონისთვის ნუგეში და ნათელი წერტილი სწორედ ბოლნისის სიონის ტაძარი გახდა; ამიტომ გადაწყვიტა, რომ მას „მოჰფერებოდა“ და მისთვის ემსახურა.

— როდის და როგორ შეხვდა



მარცხნივ ევგენია ვოგილევიჩი, 2008 წლის ივნისი



ბოლნელი
ეპისკოპოსი
ეფრემი

ევგენია ცნობილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს — გიორგი ჩუბინაშვილს?

— 50-იან წლებში გიორგი ჩუბინაშვილმა ბოლნისის სიონის ირგვლივ გათხრები დაიწყო... აქ საერთოდ, წყალი ჭირს. ერთხელაც, როდესაც ევგენიას შორი მანძილიდან, მხარზე გადებულ ხარისაზე დაკიდებული ორი კასრით წყალი მოჭქონდა (წყლის საზიდად როგორც უკრაინაში იყო ჩვეული, მეუღლისთვის ისეთივე ხარისა გაუკეთებინებია), ჩუბინაშვილს დაუნახავს და თანმხლები პირებისთვის უთქვამს, — ამ ქალს წყალი რაღაც



აქაურობისთვის უჩვეულოდ მოაქვს, აზერბაიჯანელი არ უნდა იყოსო, — და ევგენიას გამოლაპარაკებია. როდესაც აკადემიკოსმა ამ ქალბატონის წარმომავლობა გაარკვია, გაუხარდა, რომ მისი ვარაუდი გამართლდა და იგი როგორც ქრისტიანი, ბოლნისის მსახურად განაწესა. ტაძრის მცველსა და მომვლელ ევგენიას ხელფასს უხ-

დიდნენ... იქიდან მოყოლებული, 50 წლის განმავლობაში, აქ იმყოფებოდა და კარგა ხანი, ტაძრის ერთადერთი მსახურიცა და მრევლიც იყო...

— როდის ამოქმედდა ბოლნისის სიონი?

— უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1989 წელს ამოქმედდა. მანამდე კი ბოლნისის სიონში მოსული ყველა სტუმრისა და მომლოცველისთვის, ფაქტობრივად, ღვთისმსახურისა და გზამკვლევის ფუნქციას, როგორც შექმლო, ევგენია ასრულებდა. უყვებოდა ტაძრის

ისტორიას, ესაუბრებოდა ქრისტიანობაზე...

— კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს როგორი ურთიერთობა ჰქონდა ამ ქალბატონთან?

— უწმინდესი დიდად აფასებდა მას. როდესაც აქ მობრძანდებოდა, ფაქტობრივად, ევგენია უწევდა მასპინძლობას. ასეთ ამბავსაც იხსენებდა: ჩვენი პატრიარქის სახელი გაგონილი კი მქონდა, მაგრამ სახეზე არ ვიცნობდი, ნანახი არ მყავდაო... ერთხელაც (80-იანი წლებში) სკამზე ვიდექი და ჯაგრისით ტაძრის გაშავებულ კედლებს ვხეხავდი. უკნიდან ვიღაცის ფეხის ხმა შემომესმა. შემოვბრუნდი და ჩემ წინ ღვთისმსახური იდგა, რომელიც თბილად მილიმობდა. სკამიდან ჩამოვედი და ვკითხე: — ვინ ხართ და როგორ მოგმართოთ? — მე პატრიარქი ილია ვარ! — მომიგო მან. სისარულისგან ვერ მოვიფიტრე, რა უნდა მომემოქმედებინა და მის წინ მუხლებზე დავემხეო... ევგენიას პატრიარქის მიმართ უდიდესი სიყვარული ჰქონდა. ბოლო, უკრაინაში გამგზავრების წინ მითხრა, — უწმინდესის კურთხევის გარეშე საქართველოდან ფეხს არ გავადგამო და პატრიარქთან მივიყვანე. მათი

42 ქართული პრემიის საგანმურის

ტომი №42
ბასიკ ხარანაული

ბასიკ ხარანაული
ვაიკრავი დაიწყა
სივრცისთვის

42

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყველ ხუთშაბათს, თურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

<p>გალვა დაღინი</p>	<p>ოთარ ძილაკი</p>	<p>ოთარ ძილაკი</p>
---------------------	--------------------	--------------------

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წინას მალაზიებში

- №1 გურამ დონაშვილი
- №2 მიხეილ ჯავახიშვილი
- №3 ნოდარ დუმბაძე
- №4 ილია ჭავჭავაძე
- №5 გურამ რეაქციონი
- №6 ვაჟა-ფშაველა
- №7 რეზო ქვიციანი
- №8 აკაკი ნაყბელი
- №9 გურამ გეგეჭიკი
- №10 დავით კლდიაშვილი
- №11 ოტია იოსელიანი
- №12 ბრიგოლ აბაშიძე (ფიგონი-I)
- №13 ბრიგოლ აბაშიძე (ფიგონი-II)
- №14 არჩილ სულაბაძე
- №15 ნიკო ლორთქიფანიძე
- №16 გოდიამი ჩოხელი
- №17 ლევან გოთუა
- №18 აპო მორჩილაძე
- №19 ვასილ ბარნოვი
- №20 თამაზ გიგინეიძე
- №21 რეზა ინანიშვილი
- №22 ნიკო ლომოური
- №23 გურამ ფანჯიკიძე
- №24 კონსტანტინე ბაგატიანი (პარი-I)
- №25 კონსტანტინე ბაგატიანი (პარი-II)
- №26 კონსტანტინე ბაგატიანი (პარი-III)
- №27 ედიშერ ყიფიანი
- №28 ლევანტი არაგვიანი
- №29 გურამ ელიოზიშვილი
- №30 ალექსანდრე ყაზვანი
- №31 ნუგზარ შატაძე
- №32 უიარაღო (კონფრანკო თათარიშვილი)
- №33 დემან შენგელიანი
- №34 იაკობ გომბაზიშვილი
- №35 კობე ჯანელიძე
- №36 ლევან სანიკიძე (ფიგონი-I)
- №37 ლევან სანიკიძე (ფიგონი-II)
- №38 თამაზ ძილაკი

წინას ფასი **3 ლარი!**
16- დან - 23 დეკემბრამდე!

გამოიწე **გზა** და საგანმურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**გზა**“ **გვ. 38 26 73; 38 26 74**



რჩებები დიასახლისებს



თუ გსურთ, შინ ყველაფერი როგორ გქონდეთ და ყოფითი პრობლემები იოლად და სწრაფად მოაგვაროთ, გაითვალისწინეთ ზოგიერთი რჩევა.

დასველებული ღრუბლით — კარზე ორთქლისა და წყლის ნალექი აღარ გაჩნდება.

როგორ გავასწოროთ ნივთები უთოს გარეშე

თუ სასწრაფოდ გჭირდებათ დაჭიმული პერანგის დაუთოება, მაგრამ უთო ხელთ არ გაქვთ, დაკიდეთ ის აბაზანის თავზე და მოუშვით ცხელი წყალი. აბაზანის კარი დახურეთ. რაც უფრო მეტხანს გააჩერებთ ტანისამოსს ორთქლში, მით უკეთესად გასწორდება მასზე ნაკეცები.

როგორ შევინახოთ ბოსტნეული

იმ ყუთის ძირზე, რომელშიც ბოსტნეულს ინახავთ, დააფინეთ პერგამენტი ან გასანთლული ქაღალდი. ასეთნაირად კარტოფილი, სტაფილო და კომბოსტო კარგად და საღად შეინახება.

როგორ შევინახოთ ბურღულაული

ბურღულაული მანებლებისაგან რომ დაიცვათ, შეინახეთ ქსოვილის ტომრებში. ტომრები წინასწარ 15-20 წუთის განმავლობაში ადუღეთ მარილწყალში, შემდეგ გაუწურავად გააშრეთ. ასევე შეიძლება შეინახოთ ჩირიც.



როგორ შევინარჩუნოთ ყავის არომატი

დაფქული ყავა არომატს არ დაკარგავს, თუ მას საყინულეში შეინახავთ.

როგორ უზრუნველყოთ მსენარეები წყლით

თუ უქმეებზე შინიდან წასვლამ მოგინიათ და შიშობთ, რომ ქოთანის მცენარეები უწყლოდ ვერ გაძლებენ, აიღეთ პატარა პლასტიკისის ბოთლები, აავსეთ წყლით, სწრაფად გადმოაბრუნეთ და ყელით ქოთანში ჩაარჭეთ. 3-4 დღის განმავლობაში თქვენი მცენარეები წყლით უზრუნველყოფილი იქნება.

როგორ დავუბრუნოთ ქვაბს ბზინვარება

მიმწვარ ქვაბს ადვილად გაასუფთავებთ, თუ მასში წამოადუღებთ სოდიან წყალს (2 სუფრის კოვზი სოდა 1 ლიტრ წყალზე).

როგორ გავუძქვნათ მოხარშული კარტოფილი

წრიულად დასერეთ კარტოფილის კანი და მოხარშეთ. მოხარშული უმაღლესე გადაიღეთ ძალიან ცივ წყალში. კანი დაიჭიმუჭნება და თვითონვე მოსცილდება.

როგორ გავასუფთაოთ საშხაპე

საშხაპის კარი განმინდეთ ძმრით

როგორ გავიბოთ, ახალია თუ არა თევზი


ახალი თევზის ქერცლი გამჭვირვალე ლორწოთია დაფარული, თვალები არ არის უფერული და ამღვრეული. თუ შიგნულს დაანვებით, ღრმული ხელის ადებისთანავე ამოივსება.

როგორ დავიცვათ ავეჯი მტვრისგან

იმისათვის, რომ მტვერი ავეჯს დიდხანს არ დაედოს, განმინდეთ 1 სუფრის კოვზი ანტისტატიკისა და 8 სუფრის კოვზი წყლის ნარევი დასველებული ქსოვილით.

როგორ გავწმინდოთ ლამინატი

ლამინატი განმინდეთ კარგად განურული ჩვირით. ყურადღება მიაქციეთ, რომ გადაბმის ადგილებს წყალი არ მოხვდეს, თორემ ისინი შეიძლება გაიჟღინთოს და გაიბეროს.



როგორ შევინახოთ კაკალი

კაკალი, მოგესვენებათ, ცხიმს შეიცავს, ამიტომ უმჯობესია საყინულეში შეინახოთ, რათა არ გამოშრეს.



იგავი უმოწყალო მონის შესახებ

რამდენჯერ უნდა მიუბავროთ ჩვენ წინაშე შემოღებული მოწყვას?

შორენა მერკვილაძე

უფლის ერთ-ერთი იგავი, „მოწყალები მეფე და უმოწყალო მონა“, მათეს სახარების მე-18 თავშია მოთხრობილი. სწორედ ამ იგავით გასცა პასუხი მაცხოვარმა პეტრე მოციქულის მიერ დასმულ კითხვას: „უფალო, რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს ძმას, ჩემ წინააღმდეგ რომ შესცოდოს? შვიდჯერ?“ უფალმა მიუგო: „მე არ გეუბნები, შვიდჯერ-მეთქი, არამედ — სამოცდაათჯერის შვიდჯერ“. სწორედ ამ პასუხს მოაყოლა მაცხოვარმა უმოწყალო მონის იგავი: „ჰგავს ცათა სასუფეველი მეფეცას, რომელმაც მოისურვა თავისი მონებისთვის ანგარიშის გასწორება. როცა დაიწყო ანგარიში, წარუდგინეს მას ერთი, რომელსაც ათი ათასი ტალანტი ემართა და რაკი არაფერი გააჩნდა, რომ გადაეხადა, ბატონმა ბრძანა, გაეყიდათ იგი, მისი ცოლი, შვილები და ყოველივე, რაც რამ ეხადა. მონა პირქვე დაემხო. თაყვანი სცა და უთხრა: სულგრძელი იყავ ჩემ მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო. ბატონს შეებრალა ის მონა, გაუშვა და ვალიც აპატიო.“

მონამ გამოსვლისთანავე იპოვა თავისი ამხანაგი მონა, რომელსაც მისი ასი დინარი ემართა, დაიჭირა, ყელში სწვდა და უთხრა: გადამიხადე, რაც გმართებსო. პირქვე დაემხო ამხანაგი მონა, შეევედრა და უთხრა: სულგრძელი იყავ ჩემ მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო, მაგრამ არ ინდობა, არამედ წავიდა და ჩააგდო იგი საპყრობილეში, ვიდრე ვალს გადაუხდიდა. როდესაც მისმა ამხანაგმა მონებმა ნახეს რაც მოხდა, შეწუხდნენ, მივიდნენ თავიანთ ბატონთან და აუწყეს ყოველივე. მაშინ დაიბარა იგი მისმა ბატონმა და უთხრა: ბატონო მონავ! რაკი მთხოვე, მე მთელი ვალი გაპატიე, განა შენ არ გეკადრებოდა შეგეწყალებინა შენი ამხანაგი მონა, როგორც მე შენ შეგინყალები? განრიხსხდა ბატონი და გადასცა იგი მტანჯველებს, ვიდრე მთელ თავის ვალს გადაიხდიდა“.

იგავის შესახებ ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ღვთისმსახური, მამა **დიმიტრი ჯანგულაშვილი** გვესაუბრება:

— თეოფილაქტე ბულგარელი „მოწყალები მეფისა და უმოწყალო მონის“ იგავზე საუბრისას ბრძა-

ნებს: თვით იესოს გონება უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ეს იგავი სრულყოფილია, სრული სისავსით განმარტოს და აღიქვას; ჩვენ მხოლოდ თუ შევეცდებით მის განმარტებასო... იგავის დასაწყისში, როდესაც მეფე თავისი მონებისგან



ანგარიშსწორებას მოისურვებს, საუბარია უფლისგან ადამიანთა განსჯაზე. სამართლიანი მსაჯული განსჯის გარეშე არავის მისცემს სასჯელს: უფალი კეთილი მსაჯულია, რომელიც სამსჯავროს გარეშე არ სჯის თავის მონებს — ადამიანებს. ჯერ ანგარიშს ითხოვს მათგან და შემდეგ გამოუტანს განაჩენს. ე.ი. უფალი ადამიანებს მათ მიერ ქმნილი საქმეების მიხედვით მიაგებს საზღაურს, — ბრძანებს იგავის ამ ადგილის განმარტებისას, წმინდა თეოფილაქტე ბულგარელი.

— დაიწყებს რა მეფე ანგარიშსწორებას, მის წინაშე წარადგენენ ერთ მონას, რომელსაც მეფის ათი ათასი ტალანტი აქვს ვალი. მეფე ვალს ითხოვს მისგან. იგავის კომენტატორთა განმარტებით, ვალი ცოდვას განასახიერებს. რა უნდა ვიგულისხმოთ ათი ათას ტალანტში?

— უფალი ადამიანს აძლევს უამრავ ტალანტს — სიკეთებს და სხვადასხვა ნიჭს, შემდეგ კი პასუხს ითხოვს მისგან, როგორ გამოიყენა

და რა გააკეთა ამ ტალანტებით. მონას, რომელიც მეფის წინაშე ანგარიშსწორებისთვის წარადგინეს, ფაქტობრივად, უქმად აქვს გაფანტული ყოველივე უფლისგან კეთილად ბოძებული და დიდ ვალში — დიდ ცოდვებშია ღვთის წინაშე. ე.ი. ათი ათასი ტალანტი იგავში აურაცხელი ცოდვის სიმბოლოაა მოხსენიებული.

— იგავის მომდევნო ნაწილის თანახმად, მონას არაფერი გააჩნდა, რომ ვალი გადაეხადა, ამიტომ ბატონმა ბრძანა, გაეყიდათ იგი, მისი ცოლი, შვილები და ყოველივე, რაც ეხადა და ასე გადაეხადა ვალი. რას გვაუწყებს, რაზე მიანიშნებს იგავის ეს ნაწილი?

— როგორც იგავის კომენტატორები განმარტავენ, „რაკი არაფერი გააჩნდა“ — ამ სიტყვებით უფალი მის წინაშე ადამიანის უსუსურობას და უძლურებას ხაზს უსვამს: მონა უძლურია, თავად გადაიხადოს ვალი. ეს მიანიშნებს, რომ ადამიანს არ შეუძლია, მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით, ღვთის შეწევნისა და წყალობის გარეშე განიწმინდოს ცოდვათაგან. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, როდესაც მეფის ბრძანებას განმარტავს, ბრძანებს: „ეს მოთხოვნა ღვთისგან გაუცხოებას ნიშნავს, რადგან ვინც იყიდება, ის უკვე სხვა ბატონის კუთვნილება ხდება. ცოდვისმქმნელობით მონამ

შალე!

PALITRA

TV-RADIO

ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



სულიც და ხორციც ეშმაკს მიჰყიდა. განეშორა ღმერთს და ბოროტება, ცოდვები მოუშრავლდა“.

— ანუ განსაცდელთა მოვლინებით უფალს ადამიანის ტანჯვა-წამება კი არ სურს, არამედ მისი გამოფხიზლება და სინანულად მიქცევა?

— როდესაც უფალს პატიებასა და წყალობას ვევედრებით, იმაზე მეტს გვაძლევს, ვიდრე ვითხოვთ. მოვალე მონა მუხლმოყრილი ევედრება მეფეს, მოწყალე იყავ ჩემ მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო. მეფეს შეებრალა იგი და ვალი აპატია...

ხშირად, განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი ჭკრეტს თავის ცოდვილ მდგომარეობას და უფალს ევედრება შემწეობას, როგორც მოვალე მონის შემთხვევაში მოხდა. მონამ შეიგრძნო თავისი ვალის სიმძიმე, რამაც მეფეს წინაშე ვედრებად დააყენა. ის არა პატიებას, არამედ დროს ითხოვს ბატონისგან და ჰპირდება, რომ ყველა ვალს გადაიხდის. „კაცთმოყვარეობამ ღმერთისა მევალეს ვალი მთლიანად აპატია, თუმცა იგი არა პატიებას, არამედ ვადის გაგრძელებას ითხოვდა. ამგვარად, იცოდე, რომ ღმერთი იმაზე მეტს გვაძლევს, ვიდრე ვითხოვთ“, — ბრძანებს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი. იგავის ამ ადგილის თანახმად, უფალი შეგვაგონებს, რომ გულმონყალე მეფის მსგავსად, ყველა ცოდვას მოგვიტევენს, თუკი მის მიმართ სინანულად მოვიქცევით.

— როგორი ადამიანი მოიაზრება ამხანაგ მონაში და რას გვაუწყებს, რაზე მიგვანიშნებს მაცხოვარი უმონყალო მონის ამხანაგი მონის მიმართ ჩადენილი საქციელის იგავური თქმით?

— ამხანაგ მონაში, რომელსაც ასი დინარი ვალი აქვს, მოყვასის მიმართ შემცოდე ადამიანი მოიაზრება. ასი დინარი, რომელიც იმ დროს ძალზე მცირე თანხა იყო, გამოხატავს მოყვასის მიმართ ჩადენილ ცოდვებს. აქედან ჩანს, რომ მოყვასის მიმართ ჩადენილი ცოდვები გაცილებით მცირეა, ვიდრე ღვთის წინაშე ჩადენილი. როგორც ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი აღნიშნავს, „ღვთის მიმართ შემცოდის მიტევება მხოლოდ ღვთისმსახურთ ხელენიფებათ, მხოლოდ ეკლესიაში შეიძლება აღესრულოს ცოდვათა მიტევების წმინდა საიდ-

უმლო, მოყვასის წინაშე შემცოდის მიტევება კი ყველას ევალება“. ამიტომაც აქვს იგავში უფლება უმონ-



ყალო მონას, აპატიოს ვალი-ცოდვები მის მიმართ მევალე მონას — შემცოდე მოყვასს. იგავის ამ ადგილის თანახმად, უფლისმიერი სათქმელი ერთი მხრივ, მოყვასის მიტევებისა და შენდობის აუცილებლობაა, მეორე მხრივ კი მაცხოვარ-

ეს გაცილებით დიდი ცოდვაა, ვიდრე ჩვენ მიმართ შემცოდე მოყვასის მიმართ გულში წყენის ჩადება. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამხანაგი მონის სახით იგავში წარმოჩინებულია თავმდაბალი ადამიანი.

— „რაკი მოხვე, მე მთელი ვალი გაპატიე. განა შენ არ გეკადრებოდა შეგენყალებინა შენი ამხანაგი მონა, როგორც მე შენ შეგინყალე?“ — მიმართავს მეფე უმონყალო მონას. რას შეგვაგონებს უფალი ამ იგავური თქმით?

— ისევე შევუნდოთ და ვაპატიოთ მოყვასს, როგორც თავად შეგვიწოდებს და მოგვიტევენს ცოდვებს.

იგავის თანახმად, უფალი იმასაც გვაუწყებს, რომ შესაძლოა, უფალმა მის წინაშე ჩადენილი ცოდვები გვაპატიოს, მაგრამ მოყვასის მიუტევებლობის გამოც კი დავისაჯოთ.

მონა მარტო იმის გამო კი არ ისჯება, რომ მან არ გამოიჩინა გულმონყალება, როცა ამის საჭიროება იყო, არამედ იმ მიზეზითაც, რომ თავად იგი შეინყალეს, მან კი არ შეინყალა; რაკი მეფემ მას მთელი ვალი აპატია, თვითონაც ვალდე-

ეს მოთხოვნა ღვთისგან გაუცხოებას ნიშნავს, რადგან ვინც იყიდება, ის უკვე სხვა ბატონის კუთვნილება ხდება. ცოდვისმქმნელობით მონამ სულიც და ხორციც ეშმაკს მიჰყიდა

რი გვაუწყებს, რომ მოყვასის არშენდობით, მის მიმართ უმონყალობით, რაც იგავურად ასი დინარის მოვალე მონის საპყრობილეში ჩასმით გამოიხატება, ვენიანალმდეგებით ღვთის ნებას და ვარღვევთ ღვთისგან დადგენილ კანონს. ამდენად, გულწრფელი სინანული და მოყვასის მიტევება გადაჯაჭვული უნდა იყოს ერთმანეთზე. მიუტევო და შეუნდო შენ მიმართ შემცოდე მოყვასს — ეს არის უმაღლესი კაცთმოყვარეობა და ქრისტესმიერი სიყვარული. შესაძლოა, არ გთხოვოს ადამიანმა წყენის მიტევება, მაგრამ შენ გულში მაინც არ უნდა გქონდეს მის მიმართ წყენა. მით უფრო არ გეპატიება, როდესაც მოყვასი მოდის, გიჩოქებს და გთხოვს მიტევებას, შენ კი არ აპატიებ.

ბული იყო სხვისთვისაც ეპატიებინა თავისი ვალი.

— ეი. „მონყალე მეფისა და უმონყალო მონის“ იგავით მაცხოვარი სინანულისა და ჩვენ მიმართ შემცოდე მოყვასის მიტევების აუცილებლობას შეგვაგონებს...

— არ განიკითხო, მიუტევო მოყვასს, ეს არის ყველაზე მოკლე გზა სასუფევლისკენ, მით უფრო მაშინ, როდესაც მოყვასი თავმდაბლად ითხოვს ჩვენგან მიტევებას და შენდობას. იმდენჯერ უნდა მიუტევოთ, რამდენჯერაც ამის საჭიროება შეიქმნება, რამდენჯერაც შესცოდავს მოყვასი ჩვენ წინაშე. უფალი ხომ პირდაპირ ბრძანებს: „არ განიკითხო და არ განიკითხები, მიუტევე და მოგეტევოს შენ“. სწორედ ესაა ყველაზე მოკლე გზა, უფალთან მისასვლელად. ■



„ქართვლებო, გააღვიძეთ თქვენი მიძინებული მებრძოლი სული“

ადამიანი, რომელმაც უარი თქვა ამერიკული, ინგლისური, ავსტრალიური ძალოვანი უწყებების მიერ შეთავაზებულ, მაღალანაზღაურებად სამსახურზე, ქართველებს უფასოდ ემსახურება. საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი, პროფესორი კბნაბერ მბრძოლავაშვილი აღმოსავლური ორთაბრძოლის ხერხებს ნებისმიერ მსურველს ასწავლის, განსაკუთრებულ უპირატესობას კი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დევნილებს ანიჭებს. უკვე 19 წელია, ამ დარგში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, ამბობს, რომ ბევრი ღირსეული მონაფე ჰყავს გაზრდილი და პირობას დებს, რომ თუ ხელისუფლება ცოტათი მაინც დაეხმარება, ქართველ ახალგაზრდებს უფრო ბრძოლისუნარიანებს, სულიერად განონასწორებულებსა და კანონმორჩილებს გასდის.



სათუნა ბახტურიძე

— ბატონო კახაბერ, კონკრეტულად რას ითხოვთ ხელისუფლებისგან იმისთვის, რომ თქვენი პირობა შეასრულოთ?

— ხელისუფლებისგან ბევრს არაფერს ვითხოვთ, მხოლოდ სუფთა დარბაზები და საბრძოლო ხელოვნების ინტენსიური პროპაგანდა გვჭირდება. სახელმწიფოს ეს გაცილებით იაფი დაუჯდება, ვიდრე ფეხბურთი, კალათბურთი ან სპორტის რომელიმე სხვა სახეობა.

— აღმოსავლური ორთაბრძოლის რომელ სახეობას ასწავლით?

— კარატე „ნეკო-რიუს“. 29 წელია, რაც ვვარჯიშობ და საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა. თუ მოსწავლე ბოლომდე შეასრულებს ჩემს მითითებებსა და რჩევებს, ისეთად ვაქცევ, რომ საჭიროების შემთხვევაში, „ხორცსაკეპ მანქანაში გასატარებლადაც“ კი მზად იქნება.

— თუ საქველმოქმედო აქციას არ ჩავთვლით, ძირითადად რა პროფესიის ადამიანებს ავარჯიშებთ?

— ნატოს ოფიცრებიდან და უშიშროების წარმომადგენლებიდან დანაყოფი, რიგითი პოლიციელებით დამთავრებული. პროფესიას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ნებისმიერ მსურველს ვავარჯიშებ, მათ შორის — სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლებსაც. ძალიან მინდა, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა, განსაკუთრებით, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და დევნილებმა ისარგებლონ უფასო აქციით.

— უფასო აქცია როდემდე გაგრძელდება?

— იქამდე, ვიდრე უფალი ამის საშუალებას მომცემს. უკვე 19 წელია, რაც უფასოდ ვავარჯიშებ მოსწავლეებს.

— ამით თქვენ რა სარგებელს ნახულობთ?

— მე სარგებელს მაშინ ვნახავ, თუ ქართველები უფრო ჯანმრთელები, ბრძოლისუნარიანები და ფსიქოლოგიურად განონასწორებულნი გახდებიან. ეს სახელმწიფოსთვისაც კარგია, იმიტომ, რომ ასეთი ადამიანი შინაგანად კანონმორჩილია.

— ამერიკელების, ინგლისელებისა და ავსტრალიელების მიწვევაზე უარი რატომ თქვით?

— იმიტომ, რომ სამშობლოსა და მონაფეების წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობ. სამშობლოს სიყვარული და მორალი ჩემთვის შეუფასებელი ღირებულებებია...

— რა ასაკის მოსწავლეები გაყავთ?

— ყველაზე პატარა 4 წლისაა, ყველაზე დიდი კი 66-ის. უახლოეს მომავალში ჩემი მეგობარი, 80 წლის ანდრო ცერცვაძე დაინწყებს ვარჯიშს. იცით, რა კარგ ფორმაშია? მას სხვებივით არ დავტვირთავ, მაგრამ იმას მაინც მივადნევი, რომ მხნეობა დიდხანს შევანარჩუნებინო. სხვათა შორის, მოქმედი კარატისტი, რომელიც ას-

ალგაზრდობიდანვე ვარჯიშობს, რაც უფრო ასაკში შედის, მით უფრო ძლიერი ხდება.

— რამდენად იზიარებთ მეცნიერთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სიბერე ავადმყოფობაა და არა — ბუნებრივი მდგომარეობა?

— ყველა ადამიანი კვდება ერთი ან რამდენიმე გამოვლენილი, ან ფარული დაავადებით. სხვათა შორის, 6 წლის წინ ამერიკელმა მეცნიერებმა ერთობ საინტერესო რამ დაადგინეს. როგორც გაირკვა, ადამიანის დაბერების პროცესი 14 წლის ასაკიდან იწყება. რაც უნდა მოვიდომოთ, ამ პროცესს სრულად ვერ შევჩერებთ; დროთა განმავლობაში რაღაც დაავადებები მაინც გაგვიჩნდება, მაგრამ თუ ჯანსაღი ცხოვრების წესს დავიცავთ, ახალგაზრდობას საგრძნობლად გავიხანგრძლივებთ.

— თქვენ რას მიიჩნევთ ცხოვრების ჯანსაღ წესად?

— ჯანსაღ კვებას, ჯანმრთელობის გაკონტროლებას და სწორად ვარჯიშს. ქართველებს ერთი ძალიან ცუდი ჩვევა გვაქვს: გარდა იმისა, რომ ჯანმრთელობას არ ვუფრთხილდებით, არც მაშინ ვიღებთ რაიმე ზომას, თუ პატარა პრობლემა შეგვექმნება. ვიდრე სიკვდილს თვალში არ ჩავხედავთ, მანამდე გულხელდაკრეფილი ვსხედვართ. საუკეთესო გამოსავალი დაავადების საფუძველთან ბრძოლაა. სანამ რაიმე შეგვანუხებს, მანამდე უნდა მივხედოთ თავს. ამისთვის კი ყველაზე კარგი საშუალებაა ჯანსაღი კვება და სწორად ვარჯიში. სწორად ვარჯიში შემთხვევით არ მიხსენებია. მე ადრეულ ასაკში არასწორი ვარჯიშის შედეგად, ფეხის კუნთები დავიზიანე.

— პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი საბრძოლო ხელოვნებით





რატომ დაინტერესდით? როგორც ვიცი, მუსიკალური განათლებაც გაქვთ მიღებული.

— შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჭადრაკით დაწყებული, კარატეით დამთავრებული, ყველა წრეზე მიველია. ჭადრაკზე მშობლების ინიციატივით დავდიოდი. როდესაც გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება დავინწყე, სამბოზე მივედი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ არც ეს იყო ჩემი მოწოდება. „ნეკო-რიუ“ ნამდვილად ჩემია... კარატეს 4 ათასი წლის ისტორია აქვს. ჩემი მოწოდებები მხოლოდ მებრძოლები კი არა, დახვეწილი პიროვნებები არიან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც არა აქვთ.

— გოგონებსაც ავარჯიშებთ?

— კი, აბა, რა. მანდილოსნებისთვის სპეციალური ვარჯიშები გვაქვს, რომელსაც „ქალთა თავდაცვა“ ჰქვია. საერთოდ, კარატე კლასიკური ხელოვნებაა და მის საფუძვლიან შესწავლას ხანგრძლივი დრო სჭირდება. ქალთა თავდაცვის სწავლა კი დროის მცირე მონაკვეთშია შესაძლებელი. ქალბატონებს ისეთ ილეთებს ვასწავლი, რომ მოძალადისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლონ. ჩემი მოწოდებების ხელში უბრალო სანერ-კალამი და ჩანთაც კი სერიოზული იარაღია. ასევე განსხვავებული ტიპის ვარჯიშები მაქვს, როგორც სპორტსმენებისთვის, ისე პროფესიონალებებისთვის.

— პროფესიონალებსა და სპორტსმენებს შორის რა განსხვავებაა?

— ძალიან დიდი. სადაც სპორტი

„კიოკუშინ-კაის“ სახეობაში. 80-კილოგრამიანმა კაცმა მასზე 35 კილოგრამით მეტი წონის მოწინააღმდეგეები დაამარცხა. ასევე, საქართველოს ქვეყნის ჩემპიონია „კუნფუ სანდას“ წესებით ბრძოლაში და მსოფლიო ჩემპიონია „K-1“-ის წესებით ბრძოლაში. მსოფლიოს საბრძოლო ხელოვნებათა ისტორიაში რატი ერთადერთია, რომელიც სამ სხვადასხვა სახეობაში გახდა ჩემპიონი. თავად

იარაღს ხმაღს ვერ დაუპირისპირებ.

— კი, მაგრამ აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების მცოდნე, ცეცხლსასროლ იარაღს რას დაუბრისპირებს?

— ვერაფერს, მაგრამ აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნება მეცნიერებაა, ადამიანს ღირსეულ, მებრძოლ პიროვნებად აყალიბებს და ჯანსაღი ცხოვრების წესს აჩვენებს.

— თქვენ ამბობთ, რომ

კარგია, რომ გოგონებს აღარ მოსწონთ ნარკომანი ბიჭები, ვაჟები კი სამხედრო კარიერაზე ოცნებობენ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამეა ამ მიმართულებით გასაკეთებელი

მე კლასიკური კარატე მაქვს ნასწავლი და შეჯიბრების მომხრე არ ვარ, მაგრამ ბიჭებს ზოგჯერ ჩხუბი უნდათ... შეიძლება ითქვას, რომ ხარკს ვიხდით სპორტის წინაშე. მხატვარმა შეიძლება, გრაფიკაში ძალიან მაგარი ნახატი შეასრულოს, მაგრამ ფერწერაში შესრულებულ ნახატს ის მაინც ვერ შეედრება. აი, ასეთი გასხვავებაა კლასიკურ და სპორტულ კარატეს შორის.

— ალბათ კვების რეჟიმიც განსხვავებული გექნებათ.

— მთავარია, ჯანსაღი საკვები მიიღო და სიგარეტი არ მოსწიო, დანარჩენი იმაზეა დამოკიდებული, ვარჯიშით წონის მომატება გინდა, დაკლება თუ შენარჩუნება.

— საბრძოლო ხელოვნების ისტორია ქართველებსაც სომ გვაქვს, მაინცდამაინც აღმოსავლური ბრძოლის შესწავლა რატომ გადაწყვიტეთ?


— ასეთ კითხვებზე ისტორია თავად სცემს პასუხს. ქართველები, განსაკუთრებით — ქართველები და კახელები, ყოველთვის ძალიან ძლიერნი იყვნენ ხმლის ქნევაში, მაგრამ როგორც კი ცეცხლსასროლი იარაღი გამოიგონეს, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების გარდა, ყველა ნაციონალური ორთაბრძოლა, მათ შორის ქართულიც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. ლოგიკურიცაა — ცეცხლსასროლ

ქართველებმა მხოლოდ ხმლის ქნევა იცოდნენ კარგად, მაგრამ ჭიდაობაც სომ ჩვენი წინაპრების ტრადიციაა?

— კი, მაგრამ საქართველოში ჭიდაობის ერთიანი სისტემა არ იყო ჩამოყალიბებული. მაგალითისთვის გეტყვი, რომ თბილისელები მუშტი-კრივში იყვნენ მაგრები, გორელები — ჭიდაობაში... ჭიდაობის ერთიანი სისტემა მხოლოდ კომუნისტების მმართველობის დროს ჩამოაყალიბა ბატონმა ელოშვილმა.

— რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ კარგი ფალანგები ძირითადად ქართლიდან და კახეთიდან არიან?

— ეს გენეტიკით არის განპირობებული. ცნობილია, რომ დასავლეთი ყოველთვის მწირმოსავლიანი და ღარიბი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა მომხდურს იმ იმედით ხვდებოდა, ეგებ რაიმე სახეირო შემოეტანათ, ვაჭრობის განვითარებისთვის ხელი შეეწყობო. ქართლი და კახეთი კი უხვმოსავლიანი, მდიდარი იყო, იქ სხვისი „ინვესტიცია“ არ სჭირდებოდათ და მომხდურს პირველ რიგში მტრად აღიქვამდნენ. ისტორიიდანაც ცნობილია, რომ ქართველებსა და კახელებს გაცილებით მეტი ბრძოლა აქვთ გადახდილი, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხის შვილებს. ეს ყველაფერი საუბრის მანერაშიც აისახება: დააკვირდით, რა რბილად და თბილად, „სტუმართმოყვრულად“, ენამოწილქვით ლაპარაკობენ იმერლები და მეგრელები. მათგან შედარებით, კახელები და ქართველები უხეშები არიან. ძალიან გთხოვ, ტენდენციურობაში არ დამადანაშაულო, მე



მოწაფეები

ინწყება, იქ კარატე მთავრდება. ჩვენ ჩემპიონების კი არა, ღირსეული, მებრძოლი სულის პიროვნებების ჩამოყალიბებას ვცდილობთ. სხვათა შორის, ორთაბრძოლებში ჩვენს ფედერაციას ყველაზე დიდი მიღწევები აქვს. ფედერაციის წევრი, რატი წითელაძე 2008 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა



რაგი წითელაძე

ნახევრად კახელი, ნახევრად — იმერელი ვარ.

— როგორ ფიქრობთ, დღეს ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობენ?

— დღეს ახალგაზრდები შედარებით ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობენ, ვიდრე ხუთი, ექვსი წლის წინ ცხოვრობდნენ. ისიც ძალიან კარგია, რომ გოგონებს აღარ მოსწონთ ნარკომანი ბიჭები, ვაჟები კი სამხედრო კარიერაზე ოცნებობენ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამეა ამ მიმართულებით გასაკეთებელი. მხოლოდ ოცნება საქმეს არ უშველის. ერის გაჯანსაღებას რეალური ქმედებითი ნაბიჯების გადადგმა სჭირდება. რუსეთმა ქართველების გადაგვარების მიზნით ისეთი ვერაგული გეგმა განახორციელა, რომ ერის საბოლოოდ გასაჯანსაღებლად ძალიან ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ.

— რას გულისხმობთ?

— მე თავად მაქვს ნაკითხული რუსი გენერლების მიერ იმპერატრიცა ეკატერინესათვის მიწერილი წერილები. ისინი ქართველებზე ასეთ რამეს წერდნენ: „ჩვენ ამ ხალხს ხმლით ვერ დავახოქვებთ, ამიტომ ორი რამ უნდა გავაკეთოთ. პირველ რიგში მოვუხსოთ ეკლესიისადმი რწმენა. ეს ადვილი იქნება თუ, მათ სასულიერო პირებს რუსეთში გადმოვასახლებთ, ხოლო ჩვენს ლოთსა და უწმინდურ მღვდლებს საქართველოს ეკლესიებში შევუშვებთ. მეორე და გამანადგურებელი დარტყმა ის იქნება, თუ ქართველ კაცს სამხედრო საქმეს ჩამოვაშორებთ.“ ასეც მოხდა, 200 წლის განმავლობაში ქართველი კაცი ჩამოშორებული იყო სამხედრო საქმეს. ამ ყველაფრის მიუხედავად, მებრძოლის კოდი მაინც შევინარჩუნეთ, მაგრამ უარყოფით კონტექსტში გამოვავლინეთ: როგორც კი



იარალი ჩაგვიგდეს ხელში (სხვათა შორის, ესეც რუსული გემის ნაწილი იყო), ყველამ, ვისაც ვაჟკაცად მიგვაჩნდა თავი, ავტომატები ავისხით და ძმათამკვლელი ომი გავაჩაღეთ.

— ჩვენები ქართველებზე არანაკლები მებრძოლები იყვნენ, რუსებმა ისინი რატომ არ ჩამოაშორეს სამხედრო საქმეს?

— რუსეთს მხოლოდ ქართველების კი არა, ზოგადად ჩრდილოკავკასიელების ჩამოშორება უნდოდა სამხედრო საქმიდან. ყველანაირად ცდილობდნენ, კავკასიელები „სლებარეზებში“, კაპტიორებში“, „სტრონიბატებში“ შეეყარათ და იარაღთან არ მიეშვათ. მე საბჭოთა არმიისი ვმსახურობდი და კარგად ვიცი, რაც იქ ხდებოდა. ჩვენები ყველაფერს ითმენდნენ, ოღონდ სამხედრო საქმეს არ ჩამოშორებოდნენ. ქართველები თავქარიანობამ დაგვლუპა. ჩვენ

გვეამაყებოდა, რომ სხვები ვარჯიშობდნენ, ჩვენ კი რასაც გვინდოდა, იმას ვაკეთებდით. ჩვენ რომ გვეუბნებოდნენ, — ნამდვილი გიჟები ხართ, თქვენი თავი არ გვაქვს, თავშიც ქვა გიხლიათო, გვიხაროდა. რუს ოფიცრებს მართლა ვამინებდით და თავზე ხელაღებულელებით ვიქცეოდით... როდესაც სხვები ომის ხელოვნებას სწავლობდნენ, ჩვენ დროს ტარებას არ ვიკლებდით. გულარხეინობამ და გულზვიადობამ არაერთხელ დაგვლუპა. იცით, რა მონდომებით ვარჯიშობდნენ ჩვენები? თავს არ იზოგავდნენ... ქართველებმა იქნებ ახლა მაინც მოვინდომოთ ჩვენში მიძინებული მებრძოლი სულის გაღვიძება. ჩვენ საქართველოს ყველა კუთხეში გვაქვს გახსნილი სექცია. ადექით და ივარჯიშეთ. ამაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებთ.



სრუ თუ ნამდვილი სიყვარული?

არც ისე იოლია ცრუსიყვარულის ნამდვილისგან გარჩევა, არც იმის გაგება ადვილი — ნამდვილად უყვარხართ თუ არა თქვენს საყვარელ ადამიანს. სიყვარული ხომ გრძნობათა მთელი ქარიშხალია — ხან ქრება, ხან კი ძლიერად უბერავს. თანამედროვე ცხოვრების გიჟურ რიტმში, სადაც გულგრილობა უფრო და უფრო იკიდებს ფეხს, მხოლოდ სიყვარული გვევლინება ხელშეუხებელ სინამდვილედ. ყველას აქვს სურვილი იპოვოს ის — ერთადერთი... ეს მწველი სურვილი გვიბიძგებს აქტიურობისაკენ. ამიტომ ვჩქარობთ და ლამის პირველივე შემხვედრთან, გულმოდგინედ ვკმნით ჩვენი სიყვარულის ისტორიას — ფანტაზიის, გამოცდილებისა და მოლოდინის დახმარებით. თუმცა დაფიქრება ჯობს: იქნებ ჩვენი სიყვარული უბრალოდ — ჩვენივე ფანტაზიის ნაყოფია, ან ჩვენი მარტოობისა და უაზრო არსებობის საფარველია? ამის გარკვევაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოყვანილი ნიშნები, რომლებიც ცრუსიყვარულს ახასიათებს.

ცრუსიყვარულისას მკაცრად მივდევთ სიყვარულის კანონებს, წესებს და რიტუალებს. გვეჩვენება, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია, ვერ ვსუნთქავთ, ვერ ვიძინებთ, ჩვენი ცხოვრების ყოველ წამს ვუთანხმებთ ერთმანეთს, მოკლედ ერთ მთლიანობად ვართ ქცეულნი. მაგრამ პირველივე შეცდომის დაშვებისას სიყვარულს ბზარი უჩნდება. არადა გვეგონა, ჭეშმარიტი გრძნობა გვაკავშირებდა. ვინცებო ანალიზს — რატომ მოხდა ასე? სად დავუშვიტ შეცდომა?.. შემდეგ გვეწყება დეპრესია და ბოლოს მივდივართ დასკვნამდე ეს ის ადამიანი არ იყო და მორჩა!

გარკვეული ხნის შემდეგ ვხვდებით სხვას და ხელახლა იწყება უძილო ღამეები, ახალი სიყვარული და მასთან დაკავშირებული ხლადფორთი. თუმცა დაფიქრება ერთერთ მნიშვნელოვან საკითხზე გვმართებს: ცრუსიყვარულის მთავარი პრობლემა იდეალიზმია. ხშირად ჩვენი სიყვარულის ობიექტი რაღაც



თვისებით არ ემსგავსება წარმოდგენილ იდეალს და სწორედ ამ დროსაა განწირული ჩვენი გრძნობა კრახისთვის.

როგორ ბავარჯიშოთ ნამდვილი სიყვარული სრუსაბან?

■ პირველი ნიშანი ცრუსიყვარულისა არის „იდეალიზმი“ — ანუ

მოსარგული ბრინჯი სტაფილოთი

მასალად საჭიროა:

- 2 ჩაის ჭიქა ბრინჯი;
- 3 ჩაის ჭიქა წყალი;
- 100 გ მარგარინი ან სამარხვო კარაქი;
- 2 ც სტაფილო, 1 მოზრდილი თავი ხახვი, მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

სტაფილო და ხახვი დაჭერით წვრილად, მოშუშეთ ცხიმში, დაუმატეთ გადარჩეული, გარეცხილი ბრინჯი, დაასხით წყალი, მოაყარეთ მარილი. დადგით ცეცხლზე. ადუღებისთანავე გადმოდგით და გააჩერეთ 10-15 წუთი. შემდეგ დადგით დაბალ ცეცხლზე და ხარშეთ 30-40 წუთის განმავლობაში. მზა ბრინჯი გადაიტანეთ თეფშზე ან ლანგარზე.



გიყვართ, მაგრამ ისევ განაგრძნობთ იდეალის ძებნას.

■ მთელი პასუხისმგებლობის მცირე მართვის დაკისრება

რამე პრობლემაა? — ე.ი. ეს მამაკაცის ბრალია, მას ხომ მცირე ხელფასი აქვს, ამავე დროს ძალზე მოსაწყენი და უინტერესოა — ხშირად ფიქრობენ ქალები და ამით ისედაც განელეზბულ გრძნობას უფრო უთხრიან ძირს.

■ მოთხოვნების წაყენება, პრეტენზიები და კრიტიკა

დაიმახსოვრეთ კრიტიკა და ჭეშმარიტი სიყვარული შორისაა ერთმანეთისგან.

■ წარსულზე დამოკიდებულება და მომავლის შიში

ზოგს ჩვევად აქვს, მისტიროდეს წარსულს, იმის მაგივრად, რომ დღევანდელი ბედნიერებით დატკბეს. ასეთი ადამიანები ნერვიულები არიან, მათთან ურთიერთობა ძნელია. ისინი ყველა კონფლიქტს და წყენას ეგრეთ წოდებულ „მეხსიერების სკივრში“ ინახავენ და განშორებისას მთავარ არგუმენტად იყენებენ: მთელ ამ ნეგატიურ ენერჯისას თავზე გადმოაფრქვევენ ყოფილ შეყვარებულს და ახალი მსხვერპლის საძებნელად გაეშურებიან.



ვის რა ვაჩუქოთ

ლი თილისმები და სხვა ფიგურები. ასევე დიდი სიამოვნებით მიიღებენ ისინი რბილ სათამაშოს, ფაფუკ შარფს და არც სხვა თბილ და ფუნქულა ტანისამოსზე იტყვიან უარს.

მგონი უკვე დროა, საახალწლო საჩუქრებზე დაინწყოთ ზრუნვა. ბუნებრივია, გსურთ თქვენთვის ძვირფასი ადამიანი საჩუქრით უზომოდ გაახაროთ და ეს მომენტი დიდი ხნით დაამახსოვროთ. ასტროლოგები გირჩევენ, თუ როგორ აქციოთ საჩუქარი პატარა საოცრებად.

საცხლის ნიშნები – ვერძი, ლომი, მშვილდოსანი

ცეცხლოვან ნიშნებს ყვავილებს, სუნამოს, სხვადასხვა კლასიკური სტილის ნივთს ნუ აჩუქებთ. ეს მათ იმპულსურ ხასიათს არ შეეფერება. მათ უყვართ ყველანაირი მკვეთრი ფერის გამორჩეული ნივთი ან უჩვეულო სიურპრიზი. შეგიძლიათ თქვენს „ცეცხლოვან“ პარტნიორს ახალი წლის გატარება რაიმე არაორდინარულ სიტუაციაში შესთავაზოთ და ის უარს არასოდეს გეტყვით. მთავარია, სითბო და კომფორტი იყოს. „ცეცხლებს“ ახალი წლის დღეებში მოგზაურობაც სიბლავს, როგორც სოფელში, ისე პრესტიჟულ სათხილამურო თუ სხვა კურორტებზე — ეს მათთვის საჩუქარი იქნება.

ტაფა, ფოსტლები და ა.შ.). ვინაიდან ჩვენი „წყლის“ მეგობრები საკმაოდ სენტიმენტალურები არიან, საჩუქარს აუცილებლად მიაყოლეთ წარწერიანი ღია ბარათი. მათ საჩუქრების შენახვა უყვართ, ამიტომ გირჩევთ, ცოცხალი ყვავილების მაგივრად, იკვებანა, ხელოვნების სხვა ნიმუში ან სუ-



წყლის ნიშნები – კიბო, მორიელი, თევზები

საერთოდ, მათ საჩუქრის მიღებას გაჩუქება ურჩევნიან. თუმცა, კარგ საჩუქარზე მაინც არ ამბობენ უარს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მათთვის საჩუქრის შერჩევა არცთუ ისე იოლია. არაერთარ შემთხვევაში არ აჩუქოთ საახალწლოდ საოჯახო ნივთი (ქვები,

ვენირი აჩუქოთ. კარგია, მწვანე ქვევით განწყობილი საიუველირო ნივთები, მთის ბროლისგან დამზადებუ-



ვიკანბური კარგოფილი

ბასალად საჭიროა:

- 0,5 კგ კარტოფილი;
- 1 ცალი ხახვი;
- 1 კბილი ნიორი;
- ცოტა ყველი;
- ტომატი, მწვანილი, მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

გახურებულ ტაფაზე დაყარეთ კარტოფილი, შეწვამდე 10 წუთით ადრე დააყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ცოტა მწვანილი, მოურიეთ. 2 წუთის შემდეგ დაუმატეთ ნიორი და ტომატი (შეგიძლიათ ტომატი წყალშიც გახსნათ და ისე მოასხათ), კარგად მოურიეთ და როცა მზად იქნება, მოაყარეთ ცოტა დახეხილი ყველი.

ჰაერის ნიშნები – სასწორი, ტყუპი, მარწყული

ვერ იტანენ ერთფეროვნებას, ამიტომ თუკი მისთვის უკვე გიჩუქებით სუნამო ან რაიმე სხვა პარფიუმერიული ნაწარმი, ნულარ გაიმეორებთ. ისინი ძალზე მეგობრულები არიან და დიდ კომპანიებში სურთ ახალი წლის გატარება. ძალიან ესიამოვნებათ ლამაზი ჭიქები ან დანწული ნივთები, სუფრისა თუ სამზარეულოსთვის. „ჰაეროვან“ მეგობრებს ასევე უყვართ სპორტული ნივთები ან ტანსაცმელი, რომელიც სავარჯიშოდ მეტ სტიმულს მისცემს. და არ დაგავიწყდეთ ერთი აუცილებელი დეტალი — ზოდიაქოს „ჰაეროვან“ წარმომადგენლებს მით უფრო ესიამოვნებათ თქვენი საჩუქარი, რაც უფრო ლამაზად და მდიდრულად შეფუთულს მიართმევთ მას.

მიწის ნიშნები – ქალწული, კურო, თხის რქა

მათ პრაქტიკული საჩუქრები მოუშადადეთ. თუ მიწის ნიშნის წარმომადგენელი ქალია, მაშინ საოჯახო ნივთები შეურჩიეთ (ფენით დანყებულ და ფოტოპარატიტ დამთავრებული). „მიწიერებს“ ასევე უყვართ ანტიკვარიატი და ძველებურ სტილში შესრულებული ნივთები. ისე, „მიწიერებს“ საჩუქარი იმდენად არ აინტერესებთ, რამდენადაც მათ მიმართ გამოვლენილი ყურადღება. საჩუქრის მირთმევისას აუცილებლად უნდა შეაქოთ და ხაზგასმით აღნიშნოთ მისი ყველა დადებითი თვისება. და კიდევ ერთი — ტვინი რომ არ იჭყლიტოთ, რა უნდა აჩუქოთ ამ ნიშნების წარმომადგენლებს, შეგიძლიათ პირდაპირ ჰკითხოთ და სიამოვნებით გეტყვიან, რა სჭირდებათ ამჟამად და რა გაუხარდებათ ყველაზე მეტად.

რუბრიკა მოამზადა
კაა გუნთაიშვილმა



სამკურნალო ალკოჰოლი

ალკოჰოლური სასმელები უძველესი დროის, უამრავ სამკურნალო საშუალებათა შემადგენლობაში შედის. ფრანგი მედიკები პაციენტებს ღვინოს გულის გასამაგრებლად, კონიაკს კი — სისხლძარღვთა გასაფართოებლად უნიშნავენ. გერმანიის ზოგიერთ კოსმეტიკურ კლინიკაში შესაძლებელია ლუდის აბაზანების მიღება; ის ხომ კანის დაავადებების სამკურნალო საშუალებაა. დღეისათვის ავთიაქებში არსებული პრაქტიკულად ყველა ბალახეული თუ კენკროვანი ნაყენი არაყზე ან სპირტზეა დამზადებული. გამოდის, რომ დიდი ომარ ხაიამი მართალი ყოფილა, როცა ამბობდა: „დალევა შეიძლება ყველასთვის. მხოლოდ უნდა იცოდეს როდის, ვისთან ერთად და რატომ“.

არაყის შეიქვება სასარგებლო იყოს

„არაყი ალკოჰოლიზმის გარდა ნებისმიერი დაავადების დამარცხებაში გვეხმარება“ — ეს ხალხური სიბრძნეა. ადამიანები უსივარო დროიდან ხდიდნენ არაყს და სხვადასხვა დაავადებას ამით მკურნალობდნენ. არყიანი ნაყენის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მცენარეების შემადგენლობაში არსებული, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები სპირტში უკეთესად იხსნება, ვიდრე წყალში. გარდა ამისა, მცენარეულ ნაყენებში არსებული ალკოჰოლი სამკურნალო ნივთიერებების შეწოვას აჩქარებს.

ასთმის დროს მკურნალობის დამატებითი საშუალება: ვირისტერფას 40 ფოთოლს დაასხით 0,5 ლ არაყი, დააყენეთ მთელი ღამით. ყოველღამე ამოიღეთ ქილიდან და დაიფინეთ გულ-მკერდზე იმდენი ფოთოლი, რამდენიც დაგეტევათ. მკურნალობა გააგრძელეთ მანამდე, სანამ ორმოცივე ფოთოლს არ მოხმართ. სასურველია, მკურნალობა 3 თვეში ერთხელ გაიმეოროთ.

ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის: ნახევარლიტრიანი ბოთლის 1/3 გაავსეთ დაჭრილი ნივრით, შეავსეთ ბოლომდე არყით, 2 კვირა ბნელ ადგილას გააჩერეთ, თან ყოველდღიურად შეანჯღრეთ. შემდეგ გაფილტრეთ.

მიიღეთ 1 ს/კ გადაღებულ ცივ წყალში განზავებული ნივრის ნაყენის 4-5 წვეთი, ჭამამდე, დღეში 3-ჯერ. მკურნალობის კურსია 4-6 კვირა. დაავადების სიმძიმის მიხედვით მკურნალობა ჩაიხარეთ წელიწადში 2-4-ჯერ.

ძლიერი ხველისა და გაცივების დროს: თანაბარი რაოდენობით თაფლი და არაყი ერთმანეთში შეურიეთ. ამ ნარევიტ ზურგი და გულმკერდი კარგად დაიზილეთ, შალის ჯემპრი ჩა-

იცვით, ლოგინში ჩანჭით და თბილად შეიფუთეთ. ეს პროცედურა დღეში 2-3-ჯერ, სრულ გამოჯანმრთელებამდე გაიმეორეთ.

ნაწლავთა პერისტალტიკის გააუმჯობესებელი და მადის მომგვრელი საშუალება: 2 ს/კ ცირცელს დაასხით 1 ჭიქა არაყი, 1 კვირა გააჩერეთ და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ, თითო-თითო ჩაის კოვზი, ჭამამდე. მკურნალობის კურსია 7-10 დღე.

ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადების და „მამლის დეზის“ სამკურნალოდ: გაავსეთ ნახევარლიტრიანი ბოთლი იასამინის ყვავილებით, ბოლომდე არყით შეავსეთ, 2 კვირა ბნელ ადგილას გააჩერეთ და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ წყალთან ერთად, 25-30 წვეთი ნაყენი, დღეში 2-3-ჯერ, ჭამის შემდეგ. ამავ ნაყენით დაიზილეთ მტკივნეული სახსარი და ხერხემალი.

მამლის დეზის დროს: შეიზილეთ ეს ნაყენი მტკივნეულ ადგილას, დღეში 1-2-ჯერ. პროცედურის წინ კარგია, თუ ფეხებზე ზღვის მარილიან და მდოგვიან, ცხელი წყლის აბაზანას მიიღებთ. მკურნალობა განაგრძეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

რევმატიზმისა და ართროზის დროს: აიღეთ 1/2 ჭიქა გახეხილი ბოლოკი და თაფლი, 0,5 ლ არაყი, 1 ს/კ წმინდა მარილი და ერთმანეთში აურიეთ. ყოველდღიურად, ძილის წინ, ამ მასით მტკივნეული სახსარი დაიზილეთ, შემდეგ შალის ნაჭრით გადაიხვიეთ და მთელი ღამით გაიჩერეთ. მკურნალობა განაგრძეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

პროსტატიტის დროს: ნახევარლიტრიანი ბოთლის 3/4 გაავსეთ კაკლის ნაჭუჭის ძგიდებით და თავამდე არყით შეავსეთ, 2 კვირა გააჩერეთ და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ თითო-

თითო ჩაის კოვზი, დილა-სალამოს, სანამ ნაყენი არ გაგითავდება.

პროსტატიტის აგრეთვე ვერხვის კვირტები შველის: აიღეთ 2 ს/კ ვერხვის კვირტები, ჩაყარეთ მინის ქილაში, 1,5 ჭიქა არაყი დაასხით, 1 კვირა გააჩერეთ და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა გადაღებულ წყალში განზავებული, 10-15 წვეთი ნაყენი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე. მკურნალობის კურსია 2-3 კვირა.

ვენების ვარკოზული გაგანგრება: 5 ს/კ დაქუცმაცებულ ცხენისნაბლას დაასხით 0,5 ლ არაყი, გააჩერეთ 3-4 კვირა და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 30-40 წვეთი დღეში 3-4-ჯერ, ჭამის შემდეგ. მკურნალობის კურსია 1 თვე. საჭიროების შემთხვევაში, ერთ-კვირიანი შესვენების შემდეგ შეგიძლიათ კურსი გაიმეოროთ.

დაღლილობის დროს: ნახევარლიტრიანი ბოთლის 1/5-ზე ჩაყარეთ გახეხილი, უმი ჭარხალი, ბოლომდე არყით შეავსეთ, 1 კვირა გააჩერეთ და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ თითო ჩაის კოვზი, დღეში 2-ჯერ. მკურნალობის კურსია 2-3 კვირა.

ართოზისა და ტაქტარდია: 1 ჩ/კ დაქუცმაცებულ, წითელ კუნულს დაასხით არაყი, 7 დღე გააჩერეთ ბნელ ადგილას, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ 20-30 წვეთი, დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე. მკურნალობის კურსია 10-14 დღე.

ჰიპერტონია: 2 დესერტის კოვზ ბერულას ბალახს დაასხით 0,5 ლ არაყი, გააჩერეთ ბნელ ადგილას 1 კვირა, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 25-30 წვეთი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე. მკურნალობის კურსია 10-14 დღე.

შაკივი: 5 ს/კ ბარამბოს დაასხით არაყი, გააჩერეთ 3 დღე, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ წყალში განზავებული 20 წვეთი ბარამბოს ნაყენი, დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ. ან ნახევარლიტრიანი ბოთლის 1/3-ზე ჩაყარეთ ძიძოს ბალახი და ბოლომდე არყით შეავსეთ, გააჩერეთ ბნელ ადგილას 2 კვირა, შემდეგ კი გაფილტრეთ. შეტყვიითი ტყვილის დროს საფეთქლების დასაზღვლად გამოიყენეთ. მკურნალობა სრულ გამოჯანმრთელებამდე განაგრძეთ.

ნევროზისა და ადვილად გაღიზიანებადობის დროს: 2 ს/კ დაქუცმაცებულ, ნედლ დათვის კენკრას ან 3 ს/კ გამომშრალ დათვის კენკრას არაყი დაასხით, 2 კვირა ბნელ ადგილას გააჩერეთ, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 15 წვეთი, მცირე რაოდენობით წყალთან ერთად, დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ.

ბლევარიტის დროს: 6 ს/კ ლავანდას ყვავილს 1:1-ზე წყალში განზავებული, 1 ლიტრი არაყი დაასხით. გააჩერეთ ბნელ ადგილას 2 კვირა, შემდეგ გაფილტრეთ. წაისვით ქუთუთოებზე, დღეში 1-2-ჯერ.



თქვენი ოჯახის მკურნალი

გასტრიტი მომატებული მჟავიანობით, კუჭის წყლულოვანი დაავადება: ლიტრიანი ქილის 1/3 დაქუცმაცებული ფიჭვის გირჩებით გაავსეთ, არყით შეავსეთ, ბნელ ადგილას 1 კვირა გააჩერეთ, შემდეგ განურეთ. მიიღეთ სუფრის კოვზით, დღეში 3-ჯერ. მკურნალობის კურსია 2-3 კვირა, საჭიროების შემთხვევაში, 1-კვირიანი შესვენების შემდეგ გაიმეორეთ კურსი.

უძილობა: 2 ს/კ სვიის გირჩას 1/2 ჭიქა არაყი დაასხით, 2 კვირა გააჩერეთ, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ თბილ, გადაღულეულ წყალთან ერთად, 5-6 წვეთი ნაყენი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე (დღის მეორე ნახევარში).

კუჭ-ნაწლავთა სისტემის ფუნქციის მოშლილობის, დაბალი სიმწვავით მიმდინარე გასტრიტის დროს: 2-2 ს/კ დაქუცმაცებულ კოთხუჯის ფესვებსა და მრავალძარღვას ფოთლებს, 1 ს/კ კრაზანას, 2 ჩ/კ ასისთავასა და 1,5 ჩ/კ პიტნის დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 0,7 ლ არაყი, 3 კვირა დადგით ბნელ ადგილას, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა წყალში განზავებული, 1 ს/კ ნაყენი, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობის კურსია 1 თვე.

აირების დაგროვებით გამოწვეული მეტეოროზმისა და კოლიტის დროს: 3 ს/კ დაქუცმაცებულ ბარამბოს დაასხით 1/2 ჭიქა არაყი, გააჩერეთ ბნელ ადგილას 3-5 დღე, შემდეგ კი გაფილტრეთ.

მიიღეთ 1-2 ს/კ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე.

სექსუალური სისუსტე: 2 ს/კ გველის სუროს დაასხით 1 ჭიქა არაყი, მიიყვანეთ ადუღებამდე, შემდეგ გააცივეთ. მიიღეთ 10-10 წვეთი, დილა-სალამოს, 4 დღის განმავლობაში. გააკეთეთ 2-დღიანი შესვენება და მკურნალობის კურსი კიდევ ორჯერ გაიმეორეთ.

ქრონიკული დაღლილობის მოსახსნელად და ტირუნსის მოსამატებლად: შეურიეთ თითო-თითო ს/კ კრაზანა, ძიძო და თავშავა, დაასხით 0,5 ლ არაყი, 2 კვირა გააჩერეთ ბნელ ადგილას, შემდეგ გაფილტრეთ. ნაყენი ჩაის კოვზით დღეში 3-ჯერ, ჭამამდე მიიღეთ.

პანარციუმის დროს: აიღეთ მწარე წინაკა, მოჭერით ყუნწი და თესლებისგან გაასუფთავეთ. დაასხით არაყი, ჩადეთ შიგნით დაავადებული თითი, ამოღებისთანავე გაიკეთეთ კომპრესი და 1-2 საათი გაიჩერეთ. პროცედურა ჩაიტარეთ ყოველდღიურად, სრულ გამოჯანმრთელებამდე.

ყურადღება!!! ძლიერი ტკივილის შემთხვევაში კომპრესი დაუყოვნებლივ მოიშორეთ.

ჩირქოვანი და დიდხანს შეუხორცებელი ქროლოზების დროს: მუმის 0,2-გრამიანი, 5 ტაბლეტი დასრისეთ და 1/2 ჩ/ჭ არაყი დაასხით. დაასველეთ ამ ნაყენში მარლის ან ბამბის ტამპონი და გაიწმინდეთ დაზიანებული ადგილი, შემდეგ დაიდეთ სტერილური ნახვევი. მკურნალობა განაგრძეთ სრულ გამოჯანმრთელებამდე.

კუნთის დაჭიმულობისა და ღრძობის დროს: 5-6 კბილი ნიორი დასრისეთ, დაუმატეთ 2 ს/კ ვაშლის ძმარი და 0,5 ჩ/ჭ არაყი. ეს კომპონენტები გადაურიეთ ერთმანეთში და გააჩერეთ ბნელ, გრილ ადგილას 2 კვირით. შემდეგ გაფილტრეთ და დაუმატეთ 1 ჩ/კ ევკალიპტის ზეთი. დაიზილეთ მტკივნეული ადგილი დღეში 2-ჯერ. მკურნალობა განაგრძეთ სრულ გამოჯანმრთელებამდე.



www.mkurnall.ge

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ადამიანი



ვის უღიზიან ჩოხასა და კახაში გამოცხობილი თოჯინები



მარინა ბაგუნაშვილი

მისი უფროსი შვილი, გიორგი ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა ექიმებმა უთხრეს, — სათამაშოები სწორად ინვესტაციაა ბავშვებში და ეს ხან ასთმის, ხანაც — გამონაყარის სახით ვლინდება. თამარს პატარაობიდანვე ემარჯვებოდა ქსოვა და დაფიქრდა: გოგოს როგორმე თავს შევაცქვივნებ თოჯინებით, მისთვის შეკერილ-მოქსოვილი კაბებით, მაგრამ ბიჭის გართობა თოჯინისა და მანქანების გარეშე ძნელიაო. ამიტომაც, ჯერ ცხოველის გაკეთება სცადა და გამოუვიდა კიდევ: შვილს პატარა ბეკვა მოუქსოვა, შიგ მატყლი ჩადო და სათამაშო ნამდვილს ისე დაემსგავსა, რომ გიორგი გვერდიდან აღარ იცილებდა... მერე მეორე შვილი, დათოც გაჩნდა, რომლის პატარაობა ქვეყანაში იმ უმძიმეს პერიოდს დაემთხვა, როცა პურიც, შაქარიც, შუქიცა და გათბობაც ფუფუნება გახლდათ, სათამაშოებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო; და თუ მანც, ვინმე მის ყიდვას გადაწყვიტდა, ან ვერ იშოვიდა, ან დიდძალი ფულის გადახდა მოუწევდა. აი, მაშინ კი საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი ნატუ-

„ისინი საქართველოს ახლებს „კვიპიანს“

თამარ თოჯინებში დიდხანს ეგონა, რომ მისი მთავარი მონოდება დედობა, დისახლისობა იყო და სწორედაც რომ დედობამ უბიძგა იმ გატაცებისკენ, რომელიც დღეს პროფესიად გაუხდია...

რალური და ბუნებრივი მასალისგან სათამაშოების დამზადებას.

ალბათ ბევრს გაგიგონიათ, რა არის ქვილთი, მაგრამ მათთვის, ვისთვისაც ეს სიტყვა ჯერ კიდევ უცხოა, ვიტყვით, რომ ქვილთი ფერად-ფერადი ქსოვილისგან შექმნილი კომპოზიციაა, რომლის დამზადება ძალიან ბევრ დროს მოითხოვს და საზღვარგარეთ საკმაოდ ძვირად ფასობს. ქვილთით ჩვენი ბებიები და მათი დიდებებიც ხელსაქმობდნენ, მაგრამ მერე, რალაც პერიოდის განმავლობაში, ეს ყველაფერი მივივიწყეთ...

როცა უცხო ქვეყნებში ხელთ ნაკეთებს განსაკუთრებული ფასი დაედო, ამ უიშვიათესი საქმის ამლორძინებლებმა გადაწყვიტეს, მსგავსი „მარგალიტები“ ყველა ქვეყნის წარსულის წიაღში მოეძებნათ. საქართველოში კანადელები ჩამოვიდნენ და როცა სვანეთსა და ხევსურეთში ქვილთის ნიმუშები აღმოაჩინეს, აღფრთოვანება ვერ დაფარეს... კანადელებს ქართველი ხელმარჯვე ოსტატებისთვის მასტერკლასი უნდა ჩაეტარებინათ; მათ რიგში აღმოჩნდა თამარ თოჯინშვილიც, რომელმაც სტუმრებს თავისი „მიგნებები“ გაუზიარა... მოგვიანებით, კანადელები ლიმილით აღნიშნავდნენ თამარზეც და სხვა ქართველ „შეგირდებზეც“, — არ ვიცით, ვინ ვის ჩაუტარა მასტერკლასი; ჩვენ, ორივე მხარემ, ერთმანეთისგან ბევრი რამ შევიძინეთ. ეს რამდენიმე წლის წინ იყო. ახლა უკვე თამარიც და მისი მექვილთე მეგობრებიც აქ-

ტიურად მონაწილეობენ სახალხო ზემებას თუ საერთაშორისო გამოფენებში და რაც მთავარია, ყველგან მოწონებას იმსახურებენ.

— თამარ, როგორც ვიცი, კანადელებისგან თქვს დაუშავებაც ისწავლე... მათი მეთოდი ჩვენი ბებიების ხელსაქმისგან დიდად განსხვავდება?

— სიმართლე გითხრათ, განსხვავება ისაა, რომ ჩვენები გაცილებით ადრე ამზადდნენ თექასაც და ქვილთსაც, თანაც — ძალიან მაღალ დონეზე, კანადელებს კი უბრალოდ, დახვეწილი ტექნოლოგია აქვთ. ისინი ალალი ხალხია და ჩვენი წინაპრების ხელნაკეთით აღფრთოვანებას გულწრფელად გამოხატავდნენ... ჩვენ უცებ ავითვისეთ მათი მეთოდი და ამითაც სახტად დარჩნენ, — სხვაგან ამის სწავლას თვეობით უნდებოდა და ხარისხიანად მინც ვერ აკეთებენო.





ბილ ტოკიოს ხელნაკეთი თოჯინების მუზეუმში დავდეთო. ამ მუზეუმში ნამუშევრის მოხვედრა ძალიან პრესტიჟულია და თოჯინების პატრონს საკმაოდ დიდ თანხასაც უხდის, მაგრამ მე იმიტაც დავკმაყოფილდი, რაც უცხოელმა გადამისხადა (თითო თოჯინა 10-დან 20 დოლარამდე ღირს) ყველაზე მთავარი კი ის

— **შენი თოჯინები წმინდა წყლის „ქართველები“ არიან. როგორ შექმნი მათი „გაქართველება“?**

— ცხოველებით დავინწყე. მატყლის ძაფისგან მოვქსოვე ბეჭევა, გავკერე, შიგ მატყლი ჩავტენე, მერე კი თვალები, პირი, კუდი გავუკეთე. საახალწლოდ სანტა-კლაუსებსაც ვაკეთებდი. კანადელების გაკვეთილების შემდეგ ტექნოლოგიას კარგად დავეუფლე და თოჯინების კერვაც დავინწყე. რა თქმა უნდა, თოჯინები ეროვნული უნდა ყოფილიყო, მთავარი ქართული ხასიათი გახლდათ და ამიტომაც, ჩემს თოჯინებს ტანსაცმელიც ქართული შევუკერე, ხელში ხინკლით საესე ლანგარი დავაჭერიე და „გო-

გონებს“ გრძელი ნაწნავებიც გავუკეთე. გაგიკვირდებათ და, ჩემი თოჯინები აშკარად „ქართულად“ ილიმიან.

— **და როგორია „ქართული ილილი“?**

— როგორი და, გულიანი, სითბოთი და სიყვარულით საესე; ამ დროს ადამიანს თვალები ვარსკვლავით უციმციმებს...

— **და ეს ჩვენი მოღიპარი თოჯინები იაპონიაშიც მოხდნენ, არა?**

— დიახ, თბილისში მოწყობილ ერთ-ერთ გამოფენა-გაყიდვაზე ამ საქმით დაინტერესებული უცხოელები მოვიდნენ. მათ მითხრეს, — თქვენი თოჯინების შესყიდვა გვსურს. გვინდა, ისინი იაპონიაში წავიღოთ და მსოფლიოში ცნო-

იყო, რომ იმ მუზეუმში ქართული თოჯინები საქართველოს წარმოადგენდა.

— **რამდენი თოჯინაა შენს კოლექციაში? ზოგიერთ მათგანს ხომ არ „გაგვაცნობ“?**

— ჩემს კოლექციაში ქართულ ჩოხასა და კაბაში გამოწყობილ გოგობიჭებსაც ნახავთ და ჩვენი ზღაპრების გმირებსაც, მაგრამ განსაკუთრებით „მეხინკლე გოგო“ მოსწონთ... ჩემი თოჯინები საქართველოს ამბებს „ჰყვებიან“, ქართული ჩვევისა და ტრადიციის თანახმად, გულიანად ილიმიან, ქართველებს თავიანთი ქვეყნის სიყვარულს უღვივებენ, უცხოელებს კი საქართველოს გასაცნობად ეპატიჟებიან.

ღმრ-ს საახალწლო სიურპრიზი ვაბარა ფეხბურთელებს!

25 დეკემბრის „ლელოს“ ნომერთან ერთად, ერთი ჯვირის განმავლობაში!

ოცნებობ, გახდე ფეხბურთის ვარსკვლავი? მაშინ ეს წიგნი და DVD დისკი შენთვისაა!

საჯილდოო ფასი 10 ლარი მხოლოდ 25-დან 31 დეკემბრამდე

„ამ წიგნში გაცნობით მრავალ სავარჯიშოს, რომლებიც საფეხბურთო ოსტატობის დახვეწაში დაგეხმარებათ.“

შოთა და არჩილ არველაძეები



სიმთვრალის გაბო ჩაუღილი გადაღება და ხეჭუზა დაბღუული არგენტინელი ქალი



„ის ნიჭიერი არტისტი იყო“

მსახიობი კარლო საკანდელიძე 9 წლის იყო, როცა რუსთაველის თეატრში პირველად მოხვდა და სერგო კლდიაშვილის „გმირთა თაობამ“ მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ გადაწყვიტა, მსახიობი გამხდარიყო. მართალია, ოჯახის წევრები ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ პატარა ბიჭმა მაინც თავისი გაიტანა და თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდები წარმატებით ჩააბარა. მოგვიანებით იხსენებდა: გიორგი ტოვსტონოგოვმა რთული ეტიუდი მომცა, რადგან გარეგნულად არ მოვეწონეო. 7 დეკემბერს მსახიობის გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა..

თავუნა კვინიკაძე

კარლო საკანდელიძე მესამე კლასამდე ვანის რაიონის სოფელ ბზვანში იზრდებოდა. 3 წლის გახლდათ, როცა დედა გარდაეცვალა. მოგვიანებით იხსენებდა: — ტკბილი ბავშვობა არ მქონია; როცა ჩემი უფროსი დები წამოიზარდნენ და სასწავლებლად თბილისში წამოვიდნენ, მე და მამა მარტო დავრჩით; სადილს მეზობლები გვიმზადებდნენ, ისინი გვივლიდნენ... რალაც პერიოდის შემდეგ მამამ ცოლი მოიყვანა; მართალია, დედინაცვალი კარგი ქალი იყო, მაგრამ „დედას“ მაინც ვერ ვეძახდი, უფრო მეტიც — მეორედ ქორწინების შემდეგ მამასაც ვეღარ დავუძახე „მამა“ და „კაცოთი“ მივმართავდიო...

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსთაველის თეატრში ამოყო თავი. „ძალიან მინდოდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მუშაობა. სამხატვრო ხელმძღვანელს — შალვა ლამბაშიძეს მოვწონებოვარ, მაგრამ აკაკი ხორავამ არ გამიშვა. გაუბედე და ვთხოვე, — გამიშვი-მეთქი. — არაო!.. იცი, როგორ დამწყდა გული? მერე მოვიმიზეზე, — ტანით პატარა ვარ, რუსთაველის თეატრის სცენაზე არ გამოვჩნდები, მარჯანიშვილის სცენა პატარაა, იქ მეტი შანსი მაქვს-მეთქი. — არავითარ შემთხვევაში, შუბი ხალთაში არ დაიმალეზაო, — მითხრა აკაკი ხორავამ“, — ვვითხულობთ კარლო საკანდელიძის ერთ-ერთ ინტერვიუში. ის რუსთაველის თეატრის სცენაზე 60 წლის მანძილზე იდგა. წარმატებული აღმოჩნდა მისი კინოდებიუტი „მაგდანას ლურჯაში“, სადაც მენახშირე ვანოს როლი შეასრულა და სწორედ ამ ფილმზე მუშაო-

ბისას დაუმეგობრდა მსახიობ გივი ბერიკაშვილს.

გივი ბერიკაშვილი:

— მასხოვს, „მაგდანას ლურჯას“ გადაღების დროს გავიცანი. ამ ფილმზე ჩემი ახლობელი მუშაობდა და მასთან მივიდიოდი ხოლმე, გადაღებებს ხშირად ვესწრებოდი. მალე ოჯახებით დავემეგობრდი. ისეთი დაუზარელი ადამიანი, როგორც კარლო იყო, მეორე არ მინახავს.

— „ღვინის ქურდები“ გავიხსენოთ.

— კარლო რომ არ ყოფილიყო, ამ ფილმს ვერ გადავიღებდით. ნ-კილომეტრიანი მთა იყო გადასავლელი და რეჟისორმა გვითხრა, — იმ მთაზე უნდა გადაიაროთ, მე კი ამას შორიდან გადავიღებო. კარლომ არც ერთი არ გაგვიშვა, მთა თავად გადაიარა.

ის ნამდვილად, მოზღვავებული ენერჯის პატრონი იყო.

ერთხელ შოთა კვირაიამ მე, კარლო და კახი კვასაძე იუბილეზე მიგვიწვია, ძალოვნებს წვეულება ჰქონდათ. სცენაზე მისალოცად სამივე ერთად ავედით. შოთამ დიდი ვაზიდან ხილი გადმოყოფარა, ღვინით აავსო, სცენაზე ამოგვიტანა და გვეუბნება: თქვენ თუ ამ ჯამს დალევთ... აი, თქვენ თუ ამ ჯამს დალევთ... თან — ხან ერთს გვანვდის, ხან — მეორეს. დალევაზე უარი ვუთხარი და დავძინე: რას ამბობ, მეგობარი მეგონე და დაუძინებელი მტერი ყოფილხარ-მეთქი. ამ დროს კარლომ წამოიძახა, — რას ჰქვია, ვერ დალევ? რატომ ვერ დალევო?! მისი შეჩერება ვცადე და ვუთხარი: კარლო, რასა შერები, კაცო?! შეხედე, როგორი კიბეა და ეგ რომ



იმ დღით 3 დუბლი გადავიღეთ ანუ თითო 3-3 ლიგრი ღვინო დავლიეთ და 9 საათზე უკვე მთვრალეები ვიყავით



წარმატებული აღმოჩნდა მისი კინოდებიუტი „მაგდანას ლურჯაში“, სადაც მენახშირე ვანოს როლი შეასრულა

დალიო, აქედან ვეღარ ჩახვალ-მეთქი. — რას ჰქვია, ვერ ჩავალო! — და ღვინით სავსე 2-ლიტრიანი ვაზა მოიყუდა. მთელი დარბაზი ფეხზე ადგა, ტაშს უკრავდა.

— მსმენია, „ღვინის ქურდების“ გადაღებისას ელიბოს მარანში ნამდვილ ღვინოს სვამდნენო, მართალია?

— (იციან) ვიდრე გადაღებას დაიწყებდნენ, წინააღმდეგ პავილიონში ელიბოს მარანი მოამზადეს. სცენარის მიხედვით, ქვევრი უნდა გაგვეხსნა და ღვინო გაგვესინჯა. პავილიონში ნამდვილ ქვევრს ხომ ვერ ჩაფლავდნენ? ჰოდა, ქვევრის ყელი გააკეთეს და დაბლა 100-ლიტრიანი ქვაბი ჩადგეს. კუკურის ლაფერაძემ მითხრა, — იმ ქვაბში, საიდანაც ხვალ „ღვინო“ უნდა დავლიოთ, საპირფარეშოდან გამოტანილი წყალი ჩაასხესო. იმ საღამოს მეგობარს, შალიკო ნადაშვილს შევხვდი, მასთან სხვა საქმე მქონდა და ეს ამბავიც მოვუყუევი. შემომთავაზა, — ღვინო მე მაქვს, წავიდეთ და გამოვცვალოთო. პავილიონის დარაჯს თავისი წილი „ჩაინიკში“ ჩავუხსით, მერე იმ ქვაბიდან წყალი გადავაქციეთ და მის ნაცვლად საფერავი ჩავასხით. ეს ამბავი მხოლოდ მე, კუკური და კარლომ ვიცოდით. მეორე დღით გადაღება დაიწყო, ყველაფერი სცენარის მიხედვით მიდიოდა: „ქვევრიდან“ ღვინო ამოვიღე და ჯერ ლაფერაძემ დალია, მერე კარლოს მივანოდე. კარლომ თასი წამში გამოცალა და გადმომანოდა. შენიშვნა მისცეს, — ეგრე სწრაფად ნუ სვამ, ჯერ დაიჭყანეო. ხელახლა მომანოდე და ახლა ეგრე დავლეყო, — გაუხარდა კარლოს. მოკლედ, იმ დღით 3 დუბლი გადავიღეთ ანუ თითო 3-3 ლიტრი ღვინო დავლიეთ და 9 საათზე უკვე მთვრალეები ვიყავით. ოპერატორს ეს არ გამოჰპარვია: — ამათი „სიფათები“ არ მომწონს, ერთი ნახეთ, რას სვამენო. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, იმ დღეს

რალას ვიმუშავებდით?! რეზო ჩხეიძესთან ერთად ჩაუვჯექით, ფილმი დავლოცეთ. კახი სულ ამბობს, — ის ღვინო რომ არ გვექონოდა, „ღვინის ქურდები“ ასეთი კარგი არ გამოგვივიდოდა, დონ კიხოტი ვითამაშე და ხალხი დღემდე ელიბოს მეძახისო.

— თქვენი სიმთვრალის ამსახველი კადრები ფილმში დარჩა?

— არა, გადაღებული მასალა რომ ვნახე, საკუთარი თავი შემზიზლდა და ვთქვი: მთვრალი თუ ასეთი ვარ, საერთოდ აღარ დავლევ-მეთქი. სხვათა შორის, მთვრალი კაცის როლი კარგად რომ გაითავისო, მინიმუმ, 1 კვირის ფსიხელი მაინც უნდა იყო.

ჯივალ ლაღანიძე, მსახიობი:

— რუსთაველის თეატრში რომ მივედი, პატარა ბიჭი ვიყავი, ახლო ნაცნობობა არც ერთ მსახიობთან არ მაკავშირებდა. სწორედ ასეთ დროს გჭირდება ადამიანი, რომელიც ხელს გაგიმართავს, ჩემთვის კი ასეთი პიროვნება კარლო საკანდელიძე აღმოჩნდა. იმ პერიოდში მას ჩამოყალიბებული ჰქონდა საესტრადო ბრიგადა, დადიოდა რაიონებში და წარმოდგენებს მართავდა. მალე მეც ამ ბრიგადის წევრი გახვდი, მათთან ერთად მთელი საქართველო მოვიარე. მერე სპექტაკლებსა და კინოშიც პარტნიორები გახვდით. მასთან ერთად, რუსთაველის თეატრის სცენაზე 54 წელი გავატარე. მერემუნე, ისეთ ადამიანს ვერ მოძებნი, რომელიც იტყვის, — კარლომ როლი ჩააგდო. მე მას ხორავას, ვასაძის, გოძიაშვილის რანგის მსახიობების გვერდით ვაყენებ.

— გასტროლებზე ხშირად და-



დიოდო. ალბათ, გასახსენებელიც ბევრი გეყენებათ.


— არგენტინაში „კავკასიურ ცარცის წრეს“ ვითამაშობდით. ვეებერთელა დარბაზი იყო. მოგეხსენებათ, ამ სპექტაკლში ფარდა არ არის; შექმნილია დეკორაცია, დიდი ჭიშკარი იღება და სცენაზე ყველანი ცეკვასიმღერით შევდივართ. ჭიშკრის უკან ყველას ჩვენი-ჩვენი ჭუჭრუტანა გვექონ-



ისეთი დაუმარეული ადამიანი, როგორც კარლო იყო, მეორე არ მინახავს

და, საიდანაც სპექტაკლის დაწყებამდე ვიჭყიტებოდით და ვათვალისწინებდით, იყო თუ არა მაყურებელი. იმ დღესაც, როცა პირველი ზარი დაირეკა და ჭუჭრუტანიდან გავიხედე, პირველ რიგში ერთი ქალბატონი შევნიშნე, რომელმაც ჩემი ყურადღება ათლექტური აღნაგობით მიიპყრო. კახის ვუთხარი: აბა, იმ ქალს შეხედე, მეჩვენება თუ მართლა ასეთი დიღია-მეთქი? კახიმ ჭუჭრუტანიდან გაიხედა და იყვირა: — ვაიმე! ამხელა ქალი ცხოვრებაში არ მინახავსო. კარლომაც გაიხედა და დაიტრახა: — ეგ ქალი ჩემი იქნებაო! — ბიჭო, 2000 წლის ბებერს თამაშობ და როგორ მოეწონები-მეთქი? — აბა, ვნახოთო, — დაიქადა. დაიწყო სპექტაკლი. ერთ-

გადაღებული მასალა რომ ვნახე, საკუთარი თავი შემზიზლდა და ვთქვი: მთვრალი თუ ასეთი ვარ, საერთოდ აღარ დავლევ-მეთქი



იმ ქალისკენ წავიდა, სცენიდან გადაეშვა და პირდაპირ მას „დააფრინდა“

ერთ ეპიზოდში კარლო თითქოს სცენიდან ვარდებოდა და მას ჟანრი ლოლაშვილი იჭერდა. ჰოდა, წესით, გეზი იმ კუთხისკენ უნდა აეღო, სადაც ჟანრი იდგა, მაგრამ იმ ქალისკენ წავიდა, სცენიდან გადაეშვა და პირდაპირ მას „დააფრინდა“. ქალბატონი წამოდგა, კარლო ხელში ქაბაბივით ეჭირა. ეტყობა, იგრძნო, — ისეთი ბებერი არ არის, როგორსაც თამაშობსო და ხელიდან აღარ უშვებდა. — ქალბატონო, ჩვენი მსახიობი დაგვიბრუნეთო, — დიდხანს ეხვეწა ჟანრი. ბოლოს, როგორც იქნა, ხელიდან გამოვტაცეთ და თამაში განვაგრძეთ. სპექტაკლი რომ დამთავრდა, მოვწვესრიგდით და თეატრიდან გამოვედით. ვხედავ, ეს ქალი გასასვლელში დგას. ბიჭებს ვუთხარი, — ნაძღვეს დაგიდებთ, კარლოს ელოდებამეთქი. კარლოც გამოჩნდა, მიუახლოვდა, მაგრამ მან ყურადღებაც არ მიაქცია. — ვერ გიცნო-მეთქი, — ვუთხარი. კარლომ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, გაექანა და შეახტა. — ა! შენა ხარო?! — გაგიჟდა ქალი სიხარულით... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მეორე დღით დაბრუნებულ კარლოს კითხვები დავაყარეთ: — ვინ იყო? სად იყავი?.. — ქალთა შორის არგენტინის ჩემპიონი იყო ჭიდაობაშიო. — მერე რა ქენიმეთქი? — რა ვქენი და ბეჭებზე დავაგდეო (იციან)... კარლოს დიდი იუმორი ჰქონდა. ჩვენი საესტრადო ჯგუფის წარმოდგენები ასე იწყებოდა: „ვინ არ იცნობს ლალანდის/ შინაური, გარეული/ შავია და მალალია/ ცოტა ჭკუაარული“, — იტყოდა კარლო და მერე მე ვაგრძელებდი: — „ეს ჩვე-

ნი საკანდელიძე/ კაცებშია გარეული/ დღედაღამ რომ ჩემზე ფიქრობ/ იმიტომ ხარ დალეული“. ძალიან კარგად ცეკვავდა და საოცარი სმენა ჰქონდა. ერთხელ ავსტრალიაში გასტროლის დროს კონცერტის ჩატარება მოგვთხოვეს. მომზადებული არ ვიყავით და ზოგმა მრავალჯამიერი ვიმღერეთ, ზოგმა ლექსი თქვა. კარლომ, — მე ვიცეკვებო, — და სცენაზე ისეთი ცეცხლი დაანთო, გაკვირვებულები ვუყურებდით. წარმოიდგინეთ, თავზე ბოთლი ედო და ისე ბუქნაობდა. ძალიან ნიჭიერი არტისტი იყო...

ბივი ზარიკაშვილი:

— რალაც ამბის მოყოლას რომ დავიწყებდი, მაჩუქებდა, — მე გაგაგრძელებო, მერე კი ისე ლამაზად ჰყვებოდა, გეგონებოდა, ეს ამბავი მის თვალწინ მოხდაო.

იგონებდა?

— იგონებდა და ამითაც იყო გამორჩეული. კარლო ძალიან დამაკლდა. სამწუხაროდ, ზოგჯერ ადამიანები ერთმანეთისთვის ვერ

რეჟისორი გოჩა კაპანაძე კარგად მოიქცა, როცა კარლოს როლი სხვას არ შეასრულებინა

ვიცლით. წლების წინ ვფიქრობდი, — ღმერთმა სიბერე თუ მალისა, მეგობრებთან სტუმრად ვივლი, ერთად წავალთ კარგ სპექტაკლზე, კინოში და დროს ასე გავატარებთ-მეთქი, მაგრამ დღეს ამას ვერ ვახერხებ. ცოტა ხნის წინ ჩემი კიდეც ერთი ახლო მეგობარი, თემიკო (ჭიყო) ჭყონია გამოგვეცალა ხელიდან... ერთი ამბავი გამახსენდა: კარლოს სიდედრი რომ გარდაეცვალა, მე და თემიკო პანაშვიდზე წავედით. მაშინ სინათლე ხშირად ითიშებოდა, ლიფტი არ

მუშაობდა, არადა, მე-13 სართულზე უნდა ავსულიყავით. თემიკომ ტელეფონი გამომართვა და კარლოს დაურეკა: — კარლო, ჭიყო ვარ; მე და გივი ვართ მოსულები, ლიფტი არ მუშაობს და ვერ ამოვდივართ; შენი სიდედრი ცოტა ხნით დაბლა ჩამოიტანე, ხელს ჩამოგართმევთ და წავალთო. კარლომ ყვირილი ატეხა: ეს გათახსირებულები დაბლა არიან, ასე და ასე მეუბნებიანო!.. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, კარლო გულში ჩასახუტებელი კაცი იყო.

— „**მოხუც ჯამბაზებში**“ ვერ ითამაშა, მაგრამ ვიცი, როლი ჰქონდა და რამდენიმე რეპეტიციასაც დაქსნო.



ჯეგალ ლალანიძე:

— დიას. სახე მოძებნილი, როლი გათავისებულები ჰქონდა, მაგრამ ჯანმრთელობამ არ უშუწყო ხელი. რეჟისორი გოჩა კაპანაძე კარგად მოიქცა, როცა კარლოს როლი სხვას არ შეასრულებინა, — როცა გამოჯანმრთელდებო, სპექტაკლში მაშინ ჩავსვამო.

„სანამ ინსულტი მომივიდოდა, რა დამლიდა, ახლა სუნთქვაც მიჭირს... როგორ დამწყდა გული, რომ ვეღარ ვითამაშე „მოხუც ჯამბაზებში“... ვერ შევქელი, თორემ მეც მაძღვედნენ მთავარ როლს“, — ვკითხულობთ მის ერთ-ერთ ინტერვიუში. ვარსკვლავის გახსნის შემდეგ კი ამბობდა: სინდისი მექნჯნის — ეროსის, გოგი გეგეჭკორს არა აქვთ ვარსკვლავი და ჩემი რა საჭიროაო?! დაბოლოს, გზავნილი, რომელიც დიდმა მსახიობმა დაგვიტოვა: „ძნელი ყოფილა სიბერე, ამიტომ ყველას ვეტყვოდი, მოუფრთხილდით, მოუვარეთ უფროსებს... მეგობრების ფასი არაფერია, გიყვარდეთ მეგობრები... და საქმე, საქმის ერთგულები იყავით მუდამ!“



კარლოს დიდი იუმორი ჰქონდა



ემიგრანტებად ქსეული ქართველი ასალგაზრდობა

„ყვალაჯა დიდი სოღვა მოხუცაჲის დასინჯაა“

ჩვენი რუბრიკის ერთგულმა მკითხველმა იცის, რომ რამდენიმე კვირის წინ „თინეიჯერულ პონტებში“ დაიბეჭდა იმ მოზარდების ინტერვიუ, რომლებიც თურმე, გართობის უცნაურ მეთოდს მიმართავენ. შეგახსენებთ, ზოგი ქუჩის მუსიკოსობით არა მარტო ერთობა, არამედ გარკვეულ თანხასაც უყრის თავს და მერე მეგობრებთან ერთად კაფეში ან კინოთეატრში მიდის, ზოგი შეყვარებულთან ერთად მათხოვრობს, ვიღაც მოხუცების დაცინვით ირთობს თავს, ვიღაც კიდეც „გამოჭერაზე“ და უცხო ადამიანს 10 ლარად „ეზასავება“. ამ მოზარდების გასართობმა მათივე თანატოლების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია და მათი მოსაზრება „გზის“ წინა ნომერში დავებეჭდეთ. ამ ორი კვირის განმავლობაში საზღვარგარეთიდანაც აქტიურად გვეხმოდნენ; ემიგრანტმა თინეიჯერებმა გვთხოვეს, ჟურნალის რამდენიმე გვერდი მათთვისაც დაგვეთმო... მაშინ, როცა სამშობლოში მყოფი უფულო თუ ფულიანი მამის შვილები იმაზე ფიქრობენ, სად ან როგორ გაერთონ, თურმე ემიგრანტი მოზარდები დღედაღამ მუშაობენ, ცდილობენ, მომავალი აიწყონ, იმდენი თანხა მაინც მოაგროვონ, რომ მერე ამ ცხოვრებაში არ დაიკარგონ, ადგილი დაიმკვიდრონ და არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სხვებსაც გამოადგენ.

ლიკა ქაჯაია

ელიჯა, 20 წლის:
„გამარჯობა. მე საბერძნეთიდან გემიანებით. თქვენს ჟურნალს ხშირად ვყიდულობ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დეიდაჩემმა მიჩნია, — იყიდე და გაერთობო. აი, რა არის დღეს ჩემი გასართობი: ჟურნალ „გზის“ კითხვა, მუსიკის მოსმენა და მონატრებულ ახლობლებთან ტელეფონით ლაპარაკი. აქ იმიტომ გადმოვიხვეწე, რომ ჩემს მრავალშვილიან ოჯახს კისერზე მძიმე ტვირთად არ დავწოლოდი. მეც შემეძლო, სამშობლოში დავრჩენილიყავი, სწავლა გამეგრძელებინა და ზოგ-ზოგიერთივით, სხვის ხარჯზე მეცხოვრა, მაგრამ ასე არ მოვიქეცი, ამის უფლება სინდისმა არ მომცა. აბა, წარმოიდგინეთ, მე თბილისში რომ მესწავლა, ჩემი და-ძმები კი შიმშილით დახოცილიყვნენ მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ვყოფილიყავი ბედნიერი, კარგი იქნებოდა? რომელი თქვენგანი მომინონებდა ასეთ საქციელს? არა, ასე ვერ მოვიქცეოდი! და კიდეც, ზოგიერთივით, ვერც მშობლებს ვამტყუნებ იმაში, რომ გამაჩინეს. ბევრისგან გამიგონია: შვილების რჩენის თავი თუ არ ჰქონდათ, ამ ბავშვებს რატომღა

„აკეთებდნენო“?! ჩემო კარგებო, მადლობლები უნდა ვიყოთ იმისთვისაც, რომ დედ-მამამ ამქვეყნად მოგვავლინა; მათ ხომ ყველაზე ძვირფასი, სიცოცხლე გვაჩუქეს, მერე კი წლების მანძილზე ზრუნავდნენ ჩვენზე და სხვებივით თუ არ გაუშართლათ, მილიონები თუ ვერ იშოვეს და მაინცადამაინც



რომელიმე ცნობილი დიზაინერის სამოსს ვერ ყიდულობდნენ ჩვენთვის, მშვივრებს და შიშველ-ტიტვლებს ხომ არ გვატარებდნენ? ჰოდა, უკვე გაზრდილებმა, მათ ეს ამაგი უნდა დაუფასოთ, მშობლებს სიტყრე დაუფუტებოთ და თან, უნდა შევეცადოთ, რომ საკუთარ შვილებს მივცეთ ის, რაც ჩვენ გვაკლდა...“

უკვე 3 წელია, აქ ვარ და მოხუცებს ვუვლი. მართალია, ძალიან მიჭირს, მაგრამ რა ვქნა, სხვანაირად ფულს ვერ ვიშოვი — ვერც ვიქურდებ, ვერც ზნედაცემულ ქალად ვიქცევი და ვერც პირველივე შემხვედრს „ვეზასავები“ გარკვეული თანხის საფასურად. ფულს, რომელსაც წვალებით ვშოულობ, შინ ვგზავნი; დედა ნაწილს ინახავს, ნაწილს კი ხარჯავს. აბა, რა ქნას, მშობლები უმუშევრები არიან და საქმიელი ხომ უნდათ? მართალია, მეუბნება: ძალიან მეცოდები; როცა შენი ფულით რაღაცას ვყიდულობ, ყელში არ გადაამდისო, მაგრამ ვამშვიდებ... მას შემდეგ, რაც „თინეიჯერულ პონტებში“ ჩემი თანატოლების ინტერვიუ ნავიკითხე, საკუთარი გადაწყვეტილების თუ საქციელის სისწორეში კიდეც უფრო დავრწმუნდი, — იქ რომ დავრჩენილიყავი, ალბათ, უფულობისგან მეც გადამიბრუნდებოდა ტვინი და ღმერთმა იცის, რას ვიზამდი...“

გიო, 19 წლის:
„რამდენიმე წელია, ჩემი მშობლები ეგვიპტეში ცხოვრობენ, მუშაობენ და მას შემდეგ, რაც სკოლა დავამთავრე, მეც წამომიყვანეს. ახლა აქ ვსწავლობ და პარალელურად, ვმუშაობ კიდეც. ნამდვილად მრცხვენია იმ მოზარდებში მაგივრად, რომლებიც ასე თავზე ხელალებულები არიან და მხოლოდ გართობაზე ფიქრობენ. ამას წინათ დედა მეუბნებოდა: აქაურ გოგოს ცოლად ნუ მოიყვან, ქართველი უნდა შეირთოო. მას ჰგონია, ქართველი გოგო სინმინდის განსახიერებაა, ის კი არ იცის, რომ თურმე, იქ მეტად გარყვნილები არიან. უკაცრავად, ასე რომ ვამბობ, მაგრამ ჩემი თანამემამულეების გადაჯიშება მაცოფებს...“
აქ მყოფი ვცდილობ, საქართველო ვსახელო, ისეთი არაფერი გავაკეთო, რაც ჩემი სამშობლოს სახელს ჩირქს მოსცხებს; დღედაღამ თბილისი მელანდება, იქ დარჩენილები კი იმის ნაცვლად, რომ პატიოსნად იცხოვრონ და სამშობლოში ყოფნა შეირგონ, რაებს სწაღიან?..“
ზუსტად ვიცი, ახლა ბევრი მეტყობა: შენ რა გიჭირს, საზღვარგარეთ ხარ, ფული არ გაკლია და კარგი ცხოვ-



რება, გართობითაც მშვენივრად გაერთობიო. ნურას უკაცრავად! აქ იმიტომ არ ვარ, რომ გართობაზე ვიფიქრო. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ვმუშაობ, ვსწავლობ, თავისუფალ დროს კი წიგნს ვკითხულობ ან მშობლებს საოჯახო საქმეებში ვეხმარები. გართობისთვის მაშინ მოვიცლი, როცა სამშობლოში დავბრუნდები. თქვენ გგონიათ, საზღვარგარეთ გადმოხვეწილებს მართლა ისეთი ლალი ცხოვრება გვაქვს, როგორც ამას მეტიჩარა ემიგრანტები ამბობენ? არა, აქ მხოლოდ ერთულები გრძნობენ თავს ჩიტივით და ისიც ისინი, ვინც სხვის ხარჯზე ან ხელმრუდედ ცხოვრობენ, ამაში კი პირადად მე, კარგს ვერაფერს ვხედავ. ჩემო კარგებო, ნუ გადაჯიშდებით; მინდა, სამშობლოში დაბრუნებულს ისევე ძველებურად კარგი ხალხი დამხვდეს... არ მინდა, იქ ისეთივე გოგონები ცხოვრობდნენ, როგორებიც თუნდაც, აქ არიან. ქართველი მანდილოსანი ყოველთვის გამორჩეული იყო და საკუთარ სახეს ნურც ანი დაკარგავთ, ძალიან გთხოვთ...

და კიდევ, მე არ ვიცი, რა უნდა დავარქვა იმ ბიჭის საქციელს, რომელიც საცოლეს უფლებას მისცემს, სხვას „ეზასოს“. ფულის გამო კი არა, ეს ჩემი სიცოცხლისთვისაც რომ იყოს საჭირო, მსგავს რამეს არ დავუშვებ! გოგონებო, ყველას ბრმად ნუ ენდობით. მერწმუნეთ, ბიჭი, რომელიც ქალს მსგავსი საქციელისკენ უბიძგებს, მას ცოლად არ შეირთავს და რომც შეირთოს, შესაძლოა, ღამე მეძავადაც კი ამუშაოს, ოღონდ თავად არაფერი მოაკლდეს. მინდა, ყველას წარმატება და უფლის წყალობა გისურვოთ!

ბაზი, 22 ნლის:

„ახლა გავგიჟდები! ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა? ნუთუ, მსგავსი რაღაცები საქართველოში ხდება? ლიკა, ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ყველაფერი შენ მოიგონე, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ვიცი, ეს სიმართლეა და მსგავს შეურაცხყოფას ვერ მოგაყენებ...“

საქართველოში ბევრი სიგიჟე ხდება, ჩემი მოსწავლეობის დროსაც შევსწრებივარ თანატოლის უმსგავს ქმედებას, მაგრამ ამის ხმაშალა აღიარებას მაინც ვერაზინ ბედავდა, ახლა კი თურმე, მსგავსი უსაქციელობით ამაცობენ კიდევ... ღმერთო, ახლა დაფიქრდი, სამშობლოში დავბრუნდე თუ არა? მგონი, აქ ხალხი უფრო პატიოსნად ცხოვრობს, ვიდრე იმ ქვეყანაში, რომელიც ასე მიყვარს. ჰო, გარყვნილება ყველგანაა, მაგრამ აქ ახალგაზრდობის უმეტესობა დასაქმებულია; სტუდენტებიც კი ცდილობენ, დღის მეორე ნახევარში ფული მხოლოდ პატიოსანი შრომით გამოიმუშაონ, რათა საკუთარი ჯიბის ფული ჰქონდეთ. მესმის, საქართველოში დასაქმების პრობლემა და მეც ამ პრობლემას გამოვექეცი, მაგრამ თუ გართობა უნდათ, ხომ შეიძლება, სხვანაირად მაინც გაერთონ? პირადად მე და ჩემი კლასელები გასართობად ზოოპარკში მივდიოდით, მთანმინდაზე ავდიოდით და იქიდან გადმოყურებდით მშვენიერ ქალაქს. თანაც, მაშინ მთანმინდა გაპატივებული იყო, ახლა კი, როგორც ვიცი, იქაურობა შესანიშნავად გაკეთდა. ჰოდა, თქვე ოჯახაშენებულებო, არ სჯობია, იქ ახვიდეთ, იმღეროთ, იცეკვოთ და ბუნების სილამაზითაც დატკბეთ? აბა, რა სიამოვნებას იღებთ მოხუცების დაცინვით, ვილაც სულელი კაცების კოცნით ან მათხოვრობით?.. ყოველთვის მივირთხვობ: რა აიძულებდა ადამიანს ემათხოვრა და ამიტომაც, მათ ხურდას არასდროს ვაძლევდი; მხოლოდ მოხუცს, დაუძლურებულს თუ მივცემდი ცოტადენ თანხას და ჩემივე თანატოლი რომ მენახა ხელგანვიდლი, ალბათ, მწარედ გამოვლანძლავდი... აქ ჩემს სამშობლოს და ხალხს ისე ვაქებ, რომ ახალშეძენილი უცხოელი მეგობრები მთხოვენ, — საქართველოში წავიყვანეო. ჰოდა, ნამდვილად არ მინდა, იქ ის ნახონ, რაც მე ჟურნალ „გზაში“ ამოვიკითხე“.

ნა, 20 ნლის:

„მეც „ფულიანი მაიკოს“ შვილს მეძახდნენ, მაგრამ ამით არასდროს მისარგებლია. იცით, საზღვარგარეთ რატომ წამოვედი? იმიტომ, რომ სწავლა არ მიყვარდა, მშობლები კი მაიძულებდნენ, სამედიცინოზე ჩამებარებინა, — ჩვენი შვილი ექიმი უნდა გამოვიდესო. კაცო, რანაირად გამოვიდოდი სახელგანთქმული ექიმი, როცა სწავლა არ შემეძლო, სკოლაში სამიანზე მაღალი ნიშანი არ მიმიღია? მხოლოდ კომპიუტერი მიყვარდა და უცხო ენებს ვითვისებ გადასარევადა. ჰოდა, სადაც ეს ყველაფერი გამომადგებოდა, სადაც ჩემზე ძალას არავინ

გამოიყენებდა, მეც იქ წამოვედი. მაიდაჩემი საბერძნეთშია გათხოვილი და მასთან ჩამოვედი, ვითომ სტუმრად, მაგრამ უკვე ორი წელია, აქედან ფეხი არ გამიდგამს. აქ ვმუშაობ, საკუთარი ფული მაქვს, მშობლების ხარჯზე არ ვცხოვრობ და ცვდილობ, ცხოვრებაში გზა თავადვე, სხვისი დახმარების გარეშე გავიკაფო. ჰოდა, მე, ე.წ. ფულიანი მაიკოს გოგოს მიკვირს თქვენი — იმ ადამიანების, ვინც მხოლოდ გართობზე ფიქრობთ და თავი ათასი სისულელით გაქვთ გამოტენილი. თქვენ გგონიათ, მე ვერ შევირგებდი საქართველოში ცხოვრებას, გართობას და სხვა რაღაცებსაც? კაცებს რომც არ მოეწონებოდი, მერწმუნეთ, მაშა „მიყიდდა“ არაჩვეულებრივი გარეგნობის ბიჭს, მაგრამ მთავარი იცით, რა არის? ადამიანმა საკუთარი თავის ფასი უნდა იცოდეს, საკუთარი თავმოყვარეობა ფეხქვეშ არ უნდა გათელოს...“

მასსოვს, მეცხრე კლასში ვიყავი, როცა მეგობრებმა ახალი წლის ღამეს გადაწვევით, ცოტა გვემიძინა და მათხოვრებად გადაცმულები ქალაქში გავედით. იმ ღამეს ფული კი შევაგროვეთ, მაგრამ შინ დაბრუნებულებს „ხელები დაგვეწვა“, საკუთარი საქციელის შეგვრცხვა, რადგან მივხვდით, რომ გაჭირვებულ ადამიანს მხოლოდ გაჭირვებულები თუ დაეხმარება ანუ ჩვენ შესაძლოა, ვილაცამ პურის საყიდლად გადადებული „კაპიკები“ მოგვცა და ის გართობაში რომ დაგვეხარჯა, ნამდვილად არ შეგვერგებოდა. ამიტომ სასწრაფოდ, მეორე დღესვე მოძღვართან წავედი, ჩვენი სისულელის შესახებ ვუთხარით და ვთხოვეთ, მოეცა რჩევა, თუ სად წავიქცეო ის თანხა, რომელიც ხალხმა „გაჭირვებული“, უსახლკარო ბავშვებისთვის გაიმეტა. მოძღვარმა სწორ გზაზე დაგვაყენა, გვითხრა: — ამ ფულით საჩუქრები, ტკბილეული იყიდეთ და მართლა გაჭირვებულებს შეენიეთო. ჩვენც ასე მოვიქცით და ამით იმდენად დიდი სიამოვნება მივიღეთ, რომ უკვე ყოველ კვირას, ოღონდ — საკუთარი მშობლების ხარჯზე, გაჭირვებულებს ვეხმარებოდით — ასე თან ვერთობოდით და თან, სიკეთეს ვთესავდით. გირჩევთ, თქვენც შეეშვათ ლაზღანდარობას და საკუთარ სულიერებაზე იფიქროთ. თუ სიკეთის საკეთებლად ფული არა გაქვთ, რაიმე ისეთი მოიფიქრეთ, რაც სიკეთის კეთებაში დაგხმარებათ. და კიდევ, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი ცოდვა მოხუცების დაცინვაა. ოდესმე ჩვენც დავებრდებით და მერწმუნეთ, ნამდვილად არ მოგვეწონება, როცა ვილაც ლანჩირაკი ჩვენი აკანკალებული ხელების დანახვისას იხითხითებს. უფალი ფარავდეს სრულიად საქართველოს“.





როგორ ქორწილზე ოცნებობენ ახალგაზრდები

თუ ადრე გოგონები დიდი და თეთრი საქორწინო კაბის ჩაცმაზე ოცნებობდნენ, მამაკაცები კი — საკუთარ ქორწილში მოლხენაზე, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ დღეს ბევრ მოზარდს სურს, ქორწილი საერთოდ არ ჰქონდეს. მათთვის ეს პროცესი ანუ საქორწინო ცერემონია მოსაბეზრებელია; ამას ურჩევნიათ, მეუღლესთან ერთად სამოგზაუროდ, რომელიმე ქვეყანაში წავიდნენ. მათი აზრით, ასე ორ კურდღელს ერთდროულად დაიჭირებ: უცხო ქვეყანასაც ნახავენ და თან — მომაბეზრებელ ჭამა-სმას, ცნობისმოყვარე ადამიანების თვალთვალს აირიდებენ.



D3:

„პირადად მე, მინდა, ჩემს ქორწილში მხოლოდ უახლოესი მამაკაცები და ნათესავები იყვნენ. კოსტიუმზე რა გითხრათ: ჯინსი, თეთრი მაისური, რაიმე პიჯაკის პონტი და კეპა ნავა, რა...“

ტიტიკო:

„ქორწილი არ მიყვარს და საშუალება რომც მქონდეს, არ გადავიხდ... ჯვრისწერაზე ჩემი და ჩემი მეუღლის უახლოესი მეგობრები იქნებიან, მერე კი „დავახვევთ“ სადმე — იტალიაში, საფრანგეთში ან სულაც, იქნებ რომელიმე აზიურ ქვეყანაშიც გადავუხვიოთ.“

ნალბანდა:

„მთავარია, ჯიგრული პურისჭამა ნავიდეს და როგორი ქორწილი იქნება, რა მნიშვნელობა აქვს?...“

რეზა ანგელოზი:

„აი, მე ციცი, როგორი ქორწილი მინდა? — ჩემს გოგოს „თეთრკუთხუთებიანი“ კაბა უნდა ეცვას, მე კი შავი ფრაკი :) უნდა იყოს ბევრი სტუმარი — ქალებს თეთრი სამოსი უნდა ეცვათ, კაცებს — შავი; მერე მინდა, პირველი კოცნა შუბლზე იყოს და არა — ტუჩებში; ტუჩებში მერეც მოვასწრებო, როცა მარტონი ვიქნებით :) შედეგ თაფლობის თევს სადმე ქალაქარეთ, მაგალითად, საშურში გავატარებო; მანდ კარგი ვაშლები იცის და ზამთრისთვის მურაბასაც მოვასწრებო — რა თქმა უნდა, მეუღლეს მეც მივუხარებო, აბა... საოცარია, არა?“

BADBADGIRL:

„ჩემი აზრით, ქორწილში მთავარია იყოს ის ხალხი, ვინც გინდა, შენი ბედნიერება გაიზაროს. პირადად მე, მინდა, ქორწილი ძალიან ვინრო წრეში მქონდეს, სადაც მხოლოდ ჩვენი მშობლები და მეგობრები იქნებიან. შეიძლება, ძალიან გოგოსტურია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჩემი ქორწილ-

ი და როგორც მინდა, ისეთი იქნება. აი, ასე... თუმცა, ზოგჯერ მშობლებიც ზედმეტია, რადგან მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, თუ ვისი შეილია უკეთესი.“

ARIEL:

„პირადად მე, ქორწილი ნამდვილად აღარ მინდა რაც შეეხება თემას, გამოვქმზაურე იმიტომ, რომ ჩემი აზრი დამეფიქსირებინა ვფიქრობ, ქორწილში ქალს ლამაზი თეთრი კაბა უნდა ეცვას, კაცს — კოსტიუმი და არა ჯინსი... ყოველ შემთხვევაში, როცა პირველად ქორწინდები, ჯობია, ეს ტრადიცია შეინარჩუნოთ. რაც შეეხება სტუმრებს, მხოლოს 200 და 300-კაციანი „ჯდომისა“ და „სმის“ ქორწილი, მეცოდება სკამზე „დაჭედებულნი“ მეფე-პატარძალი, რომლებიც ისე იღლებიან, რომ მერე სიყვარულის თავიც აღარ აქვთ... ჩემი აზრით, ყველაზე მაგარი ევროპული ვარიანტია: ყველანი მიდიან ჯვრისწერაზე ან ხელისმონერაზე და მერე ჰაიდა, აეროპორტში...“

ბაბაჯანა:

„უ, ერთ კვირაში მაქვს ქორწილი, „კაკიო“ „კამმარ“!

ვრ ვიტან ქორწილს. მართალია, მხოლოდ ხელს ვანერ, თანაც — საზღვარგარეთ, მაგრამ 6 კაცი მაინც ხომ „გაიჩითება“ და ეგვიტ მეზედმეტება... ჩვეულებრივად, შარვლისა და მაისურის ჩაცმას ვაპირებ, დიდი პატივი იქნება, თუ პომადას „გადავიგლისავ“ და დარწმუნებული ვარ, ჩემი გამოპრანჭული ნათესავები ამის გამო თავს უხერხულად იგრძნობენ. ოღონდაც, არ ვლადაობ, მართლა!“

ანიბა:

„უმრავლესობამ ზუსტად ის თქვა, რასაც მეც მივსალმები... ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ჯვრისწერაა პატარძალს, რა თქმა უნდა, თეთრი კაბა მეცმევა, მაგრამ არ მომწონს დიდი, უზარმაზარფატიანი საქორწინო კაბა. ყვაილებსგან დანული გვირგვინი რატომ არავის გაახსენდა? თავზე გვირილებსგან დანული გვირგვინი, სადა მკაიუი და თეთრი, სწორი კაბა — აი, ეს მომწონს... „ტესტავს“ ჯინსისა და კედში გამოწყობილი სიძე, თუ ოდესმე ჯვარს დავინერ, ჩემი საქმრო ვერე ჩაცმული არ იქნება. კარგ ქეიფსა და მოლხენასაც აქვს თავისი ხიბლი, მაგრამ ვინრო წრეში და ისეთ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც შენი სისარულის გაზიარება გულით შეუძლიათ. არაა საქირო მეზობლების და ისეთი ნათესავების მოპატიჟება, რომლებსაც ნორმალურად არც იცნობ. შუბლზე კოცნა მომეწონა!“

კუდა:

„არ მინდა ქორწილი, არ მიყვარს მაყრიონი და რამე; ამ დღეს მხოლოდ მე, ის, მეგობრები, მშობლები და რამდენიმე მეგობარი უნდა ვიყოთ. ჩვეულებრივად ჩაცმულები ნავალთ ევლესიამში, ჯვარს დავინერთ და მერე პირდაპირ აეროპორტში ან თუნდაც, ავტოსადგურში...“

იხარსო:

„ისე, რა პონტია ეს „პუნდკები“, რა მუღამი აქვს? დასამუშეული ნორრიდან მაინც არ გამოივალ, — არიქა, მეღირსაო...“

პროვოდ:

„ქორწილი არ მინდა! შეიკრიბება ადენი ხალხი, გამოთვრება და გაპათოლოგდება... ისე, ცოლი რომ მოიყვანო და ქორწილი არ გადაიხადო, არ შეიძლება? მაგრამ ხალხი როგორ გაიგებს შენი გაბედნიერების ამბავს? ყველას სათითაოდ უნდა დაურეკო და უთხრა: ცოლი მოვიყვანე და შენთვის აღარ მცალიაო?... ისე გოგონებს რატომ უხარიათ ქორწილის გადახდა?...“

BAXY:


„არანაირი ქორწილი! მეჯავრება ღრიანცილი, სმური და მტლამამტლუმი. სადმე, მაგალითად, ლას-ვეგასში ნავალ, ვინმე ზანგ გოგოს მოვიყვან, იქ მოვანერთ ხელს და ეგაა, რა... მერე ვიცხოვრებთ ჰავაიზე და ბანანების გროვებით ვირჩენთ თავს... ხომ რომანტიკულია?...“



ბიბლუსი

ბიბლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



შენ, ჩემო დიდო იმედო!

შენ, ჩემო დიდო იმედო,
 ეოშყო, ნაგებო უირითა,
 კახეთს მოჭრილო ისარო,
 ქალაქს ნაღებო ინიითა.
 წითელო მოვის პერანგო
 შვიდგან შეჯრულო დილითა,
 ცავ, წმინდავ, ვარსკვლავიანო,
 მზევ, დაფენილო დილითა.
 უკვდავებისა წყაროო,
 ნადენო ოქროს მილითა,
 შენთანაც ყოფნით გამაძლო,
 შენთანამც წოლა-ძილითა.

ხალხური

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანგარტაბითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენალი თეიმურ ივანიძე



დასაწყისი იხ. „გზა“, №2-50

იატაგანი თურქ. (ძვ.) — მოკლე, მოლუნული, ორპირი მახვილი.

იანსარი — თუშების, ფშავლებისა და ხევსურების ძველი წარმართული ღვთაება.

იანშიოლ თურქ. (ძვ.) — ღვინის სმაში „ალავერდის“ საპასუხო თანხმობის სიტყვა.

იდიომი ბერძნ. (ლინგვ.) — გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობას (მაგ., „ყურს დაუგდებს“, „ტანს აიყრის“.)

იზმირი — ჩარხზე ხის სათლელი სადურგლო იარაღი.

ილაჯი არაბ. — ღონე, ძალა, არაქათი.

ილინჭა (ძვ.) — ჩიტის მახე, გალიის მსგავსი (საბა).

იმაში არაბ. — მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი.

იოგი — ბოჭკოვანი ქსოვილი, რომელიც აერთებს ჩონჩხის ცალკეულ ნაწილებს, სხეულის ცალკეულ ორგანოებს.

იორლა თურქ. — 1. კარგად მოსიარულე ცხენი; 2. თოხარიკი.

ისარნა — ჭურის მსგავსი ფართო-ძირიანი ჭურჭელი; ხმარობენ ტკბილის ჩასასხმელად (იციან იმერეთში).

ისინდი — 1. ძველებური ქართული გუნდური შეჯიბრება ცხენოსნობაში, ჯირითი. 2. ჯოხი, რომელსაც ამ შეჯიბრებაში რიგრიგობით ესვრიან ერთმანეთს მონინააღმდეგენი.

ისრომი — მკვახე, უმწიფარი ყურძენი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



იეთიმ-გურჯი (იეთიმ დაბლიშვილი)

ძველი თბილისელი აშული, სახალხო მელექსე და მომღერალი იეთიმ-გურჯი (იეთიმ დაბლიშვილი) დაიბადა 1875 წელს ქალაქ თბილისში, ლარიზი ხელოსნის — დაბალის (მეტყევის) ოჯახში. იეთიმის წინაპრები თურქეთის ომის დროს ტყვედ ჩავარდნილან, მაჰმადიანური სარწმუნოება მიუღიათ და გვარი გურჯიც (ქართველი) მათთვის მაშინ შეურქმევიათ. იეთიმის მამა — იბრაჰიმი თბილისში დასახლებულა და ცოლად სომეხი ქალი — სარა შეურთავს. სიმამრს იბრაჰიმი სომხურად მოუნათლავს და თავისივე სახელი გრიგორი უწოდებია. როდესაც იბრაჰიმი-გრიგორს ვაჟი შესძენია, სახელად იეთიმი (თურქულად ობოლს ნიშნავს) დაურქმევია. იეთიმს მამა 15 წლისას გარდაეცვალა და



დედა და უმცროსი და მისი ხელის შემყურენი აღმოჩნდნენ. იმ დროს იეთიმი შეგირდად დაუდგა მუსიკალური საკრავების ოსტატს და ჩინებულად შეისწავლა ჩონგურის, დაირის, ჭიანურის გაკვეთება. ამასთან, თბილისის ბაღებში ყიდდა ნიგნის

„იმას შვილად ვერ მივიღებ, წინაპრების აკვანს სწავედეს, სირცხვილი იმ გუთნისდედას, თავის მამის საფლავს ხნავედეს“.

1903 წელი, ნანყვეტი ლექსიდან — „იმას შვილად ვერ მივიღებ“.

მაღაზიებიდან გამოტანილ ნიგნებს და ასე არჩენდა ოჯახს. მერე უბედური შემთხვევის გამო დედაც დაეღუპა. იეთიმი დასთან ერთად, საცხოვრებლად ხარფუხიდან მეტეხის ხიდის მახლობლად, მტკვრის ნაპირზე, ერთ პატარა მინურ ოთახში გადავიდა. მასთან სახლში იყრიდნენ თავს ახალგაზრდები, რომლებსაც სიმღერებს ასწავლიდა. იეთიმ-გურჯმა ლექსების წერა 1895 წლიდან დაიწყო, რომლებიც ქალაქში სიმღერების სახით ვრცელდებოდა. ის თავად ჰქმნიდა თავისივე ლექსებზე სიმღერათა მოტივებს. ჰყავდა საკუთარი დასტა (მეზურნეთა ანსამბლი), რომელსაც მისავე ლექსებსა და სიმღერებს თვითონვე ასწავლიდა. ლექსებს

„გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი, საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო, თორმეტი წლის უნახავი მოვედი“.

1913 წელი, ნანყვეტი ლექსიდან — „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო“.



წერდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. იეთიმ-გურჯს სკოლა თვალთ არ უნახავს; წერა-კითხვა დამოუკიდებლად შეისწავლა... 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ბაქოში, ნავთის სარეზუ მუშაობდა და მუშათა კრებებზე გამოდიოდა, მონოდების ლექსებს კითხულობდა. მოგვიანებით, მეფის უნდარმერიათის სხვა რევოლუციონერ მუშებთან ერთად გადაასახლა. ციხესა და გადასახლებაში ყოფნის დროს მან მძივების კეთება, ხატვა, მზარეულობა შეისწავლა. გადასახლებაში 5 წელი დაყო. 1912 წელს კი სამშობლოში დაბრუნდა. იმ პერიოდს, კერძოდ — 1913 წელს ეკუთვნის მისი შესანიშნავი ლექსი: „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო“. იეთიმ-გურჯის ლექსები გამოდიოდა პატარა კრე-



მარცხნივ — იეთიმ-გურჯი

„ბრმას რად უნდა მუზეუმში შაყვანა, ყრუს რად უნდა ოპერაში წაყვანა, ღორს რად უნდა ოქროს ტახტზე აყვანა, ვირს რად უნდა დეპუტატად გაყვანა“.

1920 წელი, ლექსიდან — „ბრმას რად უნდა მუზეუმში შაყვანა“.

იეთიმ-გურჯის ძეგლი თბილისში (მოქანდაკე ჯუნა მიქაბაძე)


ბულებად. 1909 წელს კი მოზრდილი პოემა — „გმირი ანაბაჯის ლექსი“ გამოაქვეყნა, რომელშიც გადმოცემულია ერთი თბილისელი ლეგენდარული, ღონით განთქმული ქალის — ანას გმირობა და თავგადასავალი. იეთიმ-გურჯი 1940 წელს 65 წლის ასაკში ღვიძლის ქრონიკული დაავადებით გარდაიცვალა. ■



იმ, სადაც ბავშვებს კალისპირულით აძინებენ ნათ აბაზი ხაცისა, რომელიც ცხოვრებაში ორ ფურცლად დაგდო

თათა დოლიძე

იმედია, ნებისმიერ ქართველს თუ არ ნაუკითხავს, ყური მაინც მოუკრავს **პასიკ სარანაულის** სახელისათვის, მაგრამ ბევრმა შეიძლება, არც იცოდეს, რომ ის პოეტურ კრებულებთან ერთად, პროზაული ნაწარმოებების ავტორიცაა. ცოტა ხნის წინ, მისი „უბიგრაფები



დავინწყებულ სიზმრებისათვის“ ნაეკითხე. ეს არის წიგნი — „ნაწერის უცნობი ზღვა“, რომელსაც თვალის ერთი გადავლებით ვერ შეისისხლხორცებ. მხოლოდ პირველი შთაბეჭდილება მინდა გაგიზიაროთ და რადგანაც სიტყვა — „წვენი“, ავტორის აზრით, ყველა დროში მეტაფორას შეფარებული თვითრონიია, ამიტომ მოვერიდები ამ სიტყვის გამოყენებას და უბრალოდ ჩემს ამ წიგნ-სიზმარში მოგზაურობის ამბავს მოგიყვებით. დავინწყებ ლოცვით, ისე, როგორც წიგნი იწყება:

„ო, ლურჯა-ღმერთო, ფშავ-ხევსურეთის სალოცავებო,
ცა-ქვეყნის გამორიგენო, ხორციელთა საცხოვრებლად,
სასწორ-ჩარეეთა მქონენო
წეს-უნესობისთვის,
თქვენ, რომელნიც იფარავთ მართალსა და კეთილს,
გზა-მეგზურს აშორებთ მაცილსა და კაოტს...“

თქვენ დამიფარეთ მე, რომელმაც, ისევე ცხადად, როგორც დილაბინდზე, სამსახურისკენ ღიღინით მიმავალი მეზობელი დავინახე, როგორ გამოვიდა ლაპარაკით სახლიდან ქუჩაში და გაჰყვა ქალაქისკენ მიმავალ ჩაფიქრებულ 14-15ისას (ბესიკ ხარანაულის ნაწარმოების მთავარი გმირი). გავიგონე ყოველმხნახველი გზის თვალს მოფარებული ორღობების ჩურჩული და ძველი წეს-ჩვეულებების ბოლო სუნთქვა, რადგან „ადამიანის წარსული არის მისი ნაცხოვრებების წლების მწლარტყემოიანი

სასმელი“ და აღარავის სურს მისი გასინჯვა. მომავლის თვისებაა, შემოიტანოს ახალი, რომელიც ძველს ნალეკავს.

ავტორი იმ ნიუანსსაც კი დიდ მნიშვნელობას სძენს, თუ როგორ იცვლება მიმართვა შინაური პირუტყვისადმი, რადგან „სოფელი იმაზე დგას, ქალი როგორ დაუძახებს ქათამსა და ხბოს“. ასე ცხადად გამოხატავს მწერალი ჩვენი აკვნის ენის გადასხვაფერების შიშს, ენა ხომ ის საძირკველია, რაზეც ქვეყნის ფესვებია დამყნობილი.

დასაწყისიდანვე მივხვდი, წინ ძნელი, მაგრამ ძალიან საინტერესო მგზავრობა მელოდა. თითქოს ვიღაც უხილავეს, წინ „ფაზლის“ ნაწილები დამიყარა, მე კი ვაწყობდი, ერთმანეთს ვატოლებდი, როგორც ავტორი აზომებს ამბებს თავის „თანავტორებს“ — 8-10ისას და 14-15ისას.

„დანარჩენასაკვიანი ავტორი“ თავის ბავშვობას და მოზრდილობას, როგორც სხვას, ისე ესაუბრება. იქვე ამბობს კიდევ, როგორც მწყემსი იხსენებს ცხვრის ბატკნობას, ისე კაცს აგონდება თავის ბავშვობაო. ასევე იხსენებს, თუ როგორ დატოვა 14-15ისამ მშობლიური სოფელი, რადგან გადანყვიტა, „სიყვარული მსხვერპლად დაეკლა პოეზიისათვის“.

ყველაზე ცხადად მაინც 8-10ისას სიზმარ-ცხადი დავინახე და მემშობლიურა, რადგან მისი ამბავი ყველა ბავშვის ამბის თანაზიარია, რეალობის სურნელით არის გაქვინთილი („8-10ისას უფრო მძიმე ცხოვრება ჰქონდა“)... პირველი იმედგაცრუების სიმწარე, დედის სითბო, რომელიც გაზრდისას თითქოს უკვალოდ ქრება, მაგრამ გვახსოვს კი, რომ იყო.

8-10ისა ცხოვრობს იმ დროში, როცა ბავშვებს ძალისპირულით აძინებენ. იქ, სადაც რიგში დიდხანს დგომის შემდეგ მოპოვებულ პურს სხვა მშვიერს უნაწილებენ. ჩვენთვის კარგად ნაცნობი და თავს დატეხილი რეალობის ბრალია თუ იმისა, ბავშვობა რომ ყველაზე მეტად გვექვირფასება, არ ვიცი, მაგრამ მე მაინც დიდხანს ვდიე 8-10ისას, დიდხანს ვიდექი იმ ხესთან, სადაც ის საჩუქარს ამოდ ელოდა და ხელცარიელი დედის დანახვისას მის ცაზე პირველი ღრუბელიც დავინახე. მაგრამ ბავშვებს ხომ ამოუწურავი პატიების უნარი აქვთ, წყენაც დედის სითბოსა და სურნელის შეგრძნებისთანავე უქრებათ... დიდხანს ვიდექი ამ სიზმარში და ვიხსენებდი მსგავს კადრს, რომელიც ჩემი ცხადიდან გაქრა, მაგრამ სულ მახსოვს, როგორც 14-15ისას ახსოვდა. „ბოლოს ეს ყველაფერი ისევე ბავშვობის ხესთან დავტოვე და დანარ-

ჩენასაკვიანი, მესამედი ავტორის სიზმრებში შევაბიჯე“.

დიდ სიჩუმეში შევაბიჯე: მაგიდასთან ფურცლების გროვა, აქ ყველა კითხვას პასუხი ელოდება. მაინც რა არის ეს წიგნი, ავტობიოგრაფია თუ მართლა ნასიზმრი ფიქრები-მეთქი? — ვკითხე, — მე მხოლოდ ერთი ადამიანი მერგო და ის უნდა გამოვთქვა, არა როგორც ავტობიოგრაფია, რადგან ტყუილია ავტობიოგრაფიებიო, — მიპასუხა, თან დასძინა, — ადამიანი თავისი თავის სურვილია („სურ-ვირი“), როცა მისი სურვილი სავსეა, ყველაფერი უყვარს. ჩემი სურ-ვირი კალამია, მაგრამ ამ ჯაგლაგს მხოლოდ ორიოდ ნადილის ტარება თუ შეუძლიაო... მე კი სახელიც არ დამირქმევია ჩემი სურ-ვირისთვის. ცხადში ალბათ ვერც გავხედავდი ასეთ სტუმრობას.

ასეა, „დანარჩენასაკვიანი“ ავტორის ტკივილი სულ სხვაა, ბავშვობისა და ყმაწვილობის დროინდელი ამბებისგან გაცილებით შორს წასული, დიდხანს ნაფიქრი და ყველა ჩვენგანისთვის გასაგები ენით გადმოცემული — „ვარდში — ვარდია, ნაყოფში — ნაყოფი, ადამიანში კი ჯერ არ არის ადამიანი“. მაინც რას ეძებს ყველაზე მეტად თავის თავში კაცი? რა თქმა უნდა, ადამიანს: „სად ვეძებოთ ადამიანი და მისი ნამდვილი თავგადასავალი, სად ვეძებოთ მისი ნამდვილი ბიოგრაფია?“

„ლაშარის მუხის ანგელოზო, თეთრო გიორგი, ამ წიგნშია ჩემი ცხოვრება“. მისი მონოლოგი ლოცვას ჰგავს, რომლის კითხვისას ცოცხლდება კადრი — კაცი, რომელიც ცის ქვეშ დგას და მისკენ ორთქლდება.

და რადგან წიგნი მწერლის სარკეა, მეც გავხედავ და ვიტყვი, რომ ავტორმა ამ წიგნით თავისი სარკე შექმნა, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ის კიდევ ბევრჯერ გასცდება თავის წარსულს და ჯერ კიდევ ნაუკითხავ თავის თავს წაგვაკითხებს.

იმედია, თქვენც დაგაინტერესათ ამ „ორ ფურცლად დაგდებული კაცის“ ამბავმა. პირადად მე ამ წიგნს სწორად მივუბრუნდები, რადგან მისი ცხოვრების სურნელით, გემოთი, ხმებით გაჟღერებული სამყარო ჩემში ისე გადმოვიღვარა, როგორც წყალი და მე ის, როგორც სიზმარი, ვნახე.

იმედი მაქვს, ამ წიგნის ყველა მკითხველი შეძლებს, მასში „თავისი სიზმარი“ იპოვოს და დაისიზმროს. ახლა კი, ბატონი ბესიკისა არ იყოს, „თუ რამე გესულგულათ ჩემს ნაჯღაბნში, ამინ დამეციო“.



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

არხილითა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-49

— როგორ? ეგ როგორ უნდა მოვახერხო? — ნამდვილად არ ველოდი, თუ ასეთ საქმეს დამავალბდნენ და გაცემისგან თვალეზი დავაჭყიტე.

— როგორ და, საქორწილო კაბას ჩაიცვამ და წყვილს თავზე მასინ დაადგები, როცა მე გეტყვი. თუ ქორწილი ჩაიშლება, გაირდები, ხელისგულზე გატარებ და ყველა შენს სურვილს შევასრულებ.

— დათანხმდი, რას კარგავ? — აქამდე ჩუმად მყოფი ლალი საუბარში ჩაერია.

— რატომაც არა?! თანახმა ვარ, საქორწილო კაბის მორგება ყოველთვის მსურდა. თანაც, თეთრი მიხდება.

— მაშინ, რადგან მოვილაპარაკეთ, დანარჩენს ლალის მივანდობ. შაბათისთვის მზად იყავი, მანამდე კიდე შემოვივლი.

ახალი თავსატეხი გამიჩნდა. ერთი მხრივ, ამ მდგომარეობის დაკარგვა და მოსკოვში დედასთან დაბრუნება არ მინდოდა; მეორე მხრივ კი ქორწილის ჩაშლა ხელს არ მაძლევდა. თუ დათოს საყვარელი ქალი გათხოვდებოდა, ეს უფრო მანყობდა. იმ ღამეს ბევრი ვიფიქრე და გადაწყვიტე, შემოთავაზებულ პირობაზე ნავსულიყავი და ყოველგვარი გამოხედომისა და სიურპრიზის გარეშე, ყველაფერი ისე გამეკეთებინა, როგორც დათოს სურდა.

საქორწილო კაბის შეკერვას მეორე დღიდანვე შევუდექით. ლალიმ საუკეთესო მკერავთან მიმიყვანა და კაბის სტილიც შემირჩია.

ძნელი ასახსნელია, რას განვიცდიდი — მღელვარება, შიში, ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, სიამოვნება, ერთმანეთში იყო არეული და ათას თავსატეხს მიჩენდა.

დროდადრო დათო შემოგვირბენდა, საქმის ვითარებას ეცნობოდა და გვტოვებდა. ერთ საღამოს კი კარგა ხნით დარჩა. ამჯერად სხვანაირი იყო, ისევ ისეთი, როგორც მაშინ, როცა მაკოცა. ისევ ისე უცნაურად მიყურებდა, თვალეზიც სხვანაირი სხივი უქრთოდა. როგორც კი ლალიმ ცოტა ხნით მართო დაგვტოვა, თვალი ჩამიკრა.

— კოცნის აზრზე არ ხარ, — ისე მოულოდნელად მითხრა, რომ შევხტი. ტანში ჯერ სიცივემ დამიარა, მერე — სიცხემ.

— აბა, როგორ უნდა კოცნა? — მორცხვობა დავძლიე და ძლივს ამოვილულულე.

— როგორ და აი, ასე, — წამოდგა, ნელზე ხელი მომხვია, მთელი ტანიმ მიმიკრა და ტუჩებზე დამეკონა.

სუნთქვა შემეკრა. ვცადე, მის კოცნაზე მეპასუხა, მაგრამ უეცრად გამიშვა ხელი და თავის ადგილს დაუბრუნდა. როგორც ჩანს, ლალის ნაბიჯების ხმა გაიგონა, რადგან ქალი ორიოდ ნაშვი თავზე დაგვადგა. მე კი არც არაფერი გამიგონია. ისე უხერხულად ვიშმუშნებოდი, მგონი, ლალი ყველაფერს მიხვდა, რადგან მასაც სახეზე ეშმაკური ღიმილი ეფინა. სიამოვნებით მივიკუჭებოდი თავივით სადმე, კუთხეში, მაგრამ თავს ძალა დავატანე და მეც გავიღიმე.

„ნეტავ, კოცნა და ღიმილი ერთად თუა შესაძლებელი?“ — გავიფიქრე და ამ აზრმა ცოტათი გამამხიარულა.

როდესაც დათომ ნასვლა დააპირა, ლალიმ მისი გაცილება და ჭიშკრის დაკეტვა მთხოვა. გასვლისას დათომ ისევ მაკოცა. ამჯერად ხანგრძლივად, ნელა, თითქოს „დაგემოვნებით“ მკოცნიდა და მეც მივინდე.

შინ გაორებული შევბრუნდი. ვერაფერი გამეგო. „ცოტა დიდი რომ ვიყო, ალბათ მივხვდებოდი, რა ხდება“, — თითქოს თავი ვინუგეშე.

შაბათიც გათენდა. დილით უთენია ნამოვხტი. სტილისტი შინ მოვიდა და ვარცხნილობა გამიკეთა. ზუსტად 5 საათზე, თეთრ კაბაში დების

ულამაზესი თაიგულით ხელში, სარკის წინ ვიდექი, საკუთარი სილამაზით ვტკბებოდი და დათოს ველოდი.

— ო-ო, ძალიან ლამაზი პატარძალი ხარ, — მითხრა და დამაბზრიალა. თავი მის დედოფლად წარმოვიდგინე და ძალზე ბედნიერი ვიყავი.

მანქანაში უკანა სავარძელზე მოვთავსდი. ცოტა კი მეცოდებოდა ის სანყალი, უცნობი გოგო, ვისი ქორწილიც იმ დღეს უნდა ჩაშლილიყო, მაგრამ რას ვიზამდი? ამაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული — მთელი ჩემი მომავალი ცხოვრება. სკანდალების მონყობა კი ნამდვილად მეხერხება და დარწმუნებული ვიყავი, დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გავართმევდი.

ცოტა ხანში ქორწინების სახლთან მივედი და შორიასხლოს გავჩერდი. მანქანიდან ვუყურებდით, როგორ შევიდა ნეფე-პატარძალი შენობაში. კიდეც 10 წუთი შევყოვნდით.

— მიდი, ახლა შენი დროა, — დათომ მანქანა ქორწინების სახლის შესასვლელთან მიაყენა.

ამაყად, ნელა გადავედი და შესასვლელისკენ გავემართე. კართან მოვბრუნდი და დათოს გავხედე. მალა ანუელი ცერა თითი დამანახვა. საცერემონიო დარბაზში დინჯად შევედი, სიძე-პატარძალს მივუახლოვდი და შევათვალეირე. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ის იყო, რომ პატარძალი ტყუბისცალივით მგავდა და ვარცხნილობაც კი ერთნაირი გვქონდა.

ხალხმა ინტერესით შემომხედა. ხელის მოწერის ცერემონია შეწყდა.

— აქ რა ხდება? ლევან, ამისხენი, რა ხდება! — ჩემი ხმა თვითონვე მეუცხოვა. დარბაზში ექო გაისმა. ცოტათი დავფრთხი, მაგრამ არ შევიმჩინე.

— როგორ თუ რა ხდება? ქორწილი გვაქვს. — მიპასუხა პატარძალმა და შემათვალეირა. როგორც ჩანს, ჩვენი საოცარი მსგავსება იმანაც მაშინვე შენიშნა.

— დღეს მე და ლევანს ქორწილი გვაქვს! — სატირლად მოვემზადე.

მამაკაცი გაოგნებული გვიყურებდა. როგორც ჩანს, თვითონაც ვერ



გარკვეულიყო, რომელ ჩვენგანზე ქორწინდებოდა. ხან მე შემომხედავდა, ხან — ჩემს „ტყუპისცალს“.

„რატომ ვიქცევი ასე? იქნებ ამ გოგოს მართლა სიგიჟემდე უყვარს თავისი საქმრო?“ — ვფიქრობდი, მაგრამ უკვე გვიან იყო. უკვე მოვასწარი ყველაფრის გაფუჭება.

— აა, თქვენ ქორწინდებით, არა? — პატარძალმა გაოგნებულ საქმროს თაიგული სახეში ესროლა და დარბაზიდან ატირებული გავარდა. ნეფე მომიბრუნდა და მზერით გამბურლა.

— ვინ ხარ, შე გველის წინილო? — კბილებში გამოცრა და საცოლეს გაეკიდა. მე ნეფეს ლევანის ძახილით გავეკიდე... შემდეგ შევბრუნდი, იმ მაგიდასთან მივედი, სადაც ქორწინების სახლის თანამშრომელი ქალი იდგა, გავუღიმე და ბოდიში მოვუხადე.

— გავარკვევთ, ვისზე ქორწინდება ეს კაცი და მოვალთ.

იქაურობა უკანმოუხედავად დავტოვე. ყველა გასუსული იყო. სამარისებური სიჩუმე იდგა დარბაზში და ამ სიჩუმეში მხოლოდ ჩემი საქორწილო კაბის შრიალი და მაღალქუსლიანი, თეთრი ფეხსაცმლის ბაკუნის ისმოდა, დარბაზი კი ექოს სახით „ბანს“ აძლევდა. გარეთ გამოსულმა თვალით დათოს მანქანა მოვებენე და მისკენ წავედი. სასწრაფოდ ჩავეჯექი და ადგილს მოვწყვიტე.

— აუ, მაგარი ხარ, სიცლით მოვეკვი, როცა ქორწინების სახლიდან სიძე-პატარძალი ერთმანეთის მიყოლებით გამოცვივდა. ქალი კაბაანული გარბოდა, საქმრო კისრისტეხით მისდევდა, — დათო ისე ხარხარებდა, ეჭვი შემეპარა, იქნებ არანორმალურია და სხვისი ქორწილის ჩაშლა უბრალოდ, მისი გიჟური აკვიტება იყო-მეთქი?!

ლალი მოუთმენლად გველოდა. ყველაფერი დანვრილებით მომაცოლეს. ორივე ხალისიანად იცინოდა ჩემს მონათხრობზე, მე კი ხასიათი საბოლოოდ გამიფუჭდა.

— წავალ, გამოვიცვლი, — ვთქვი და ჩემი ოთახისკენ წავედი, მაგრამ გრძელი კაბა ფეხებში გამებლანდა და ძირს მოვადინე ტყაპანი.

დათო წამოხტა და ამაყენა. როგორც კი წელზე მისი ხელების შეხება ვიგრძენი, ტანში ჟრუნტელმა დამიარა. მისკენ შევბრუნდი, მკერდზე მივეკარი და თვალებში ჩავეხდე. მეგონა, თვითონაც გულში ჩამიკრავდა და და ლალისგან მალულად, თვალებით მაინც მომეფერებოდა,

მაგრამ შევცდი — განზე გამწია და თავზე წამომხობილი კაბის გასწორებაში მომეხმარა.

— ფრთხილად იყავი, კიდევ არ ნაიქცე, — მომაძახა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

ოთახში ნაწყენი შევედი, მაგრამ ვიდრე კაბას გამოვიცვლიდი, ვარცხნილობას დავიშლიდი და მაკიაჟს მოვიშორებდი, წყენამ გამიარა, თუმცა, ბოლომდე არა.

ცოტა ხანში სამივე ყავას ვწრუპავდით; ისინი იმ დღეს მომხდარზე საუბრობდნენ, მე კი მხოლოდ ვუსმენდი და მათ ლაპარაკში ჩარევის სურვილი არ მქონდა. კარზე დარეკეს.

ლალი წამოდგა და გასაღებად გაემართა, მაგრამ ვიდრე კართან მივიდოდა, ვიდაც მოაწვია და ოთახში ისე შემოვარდა, თითქოს ხელი ჰკრეს და შემოაგდესო.

— დათო აქ არის? — იკითხა ახალგაზრდა გოგონამ, რომელშიც ჩემი „ტყუპისცალი“ შევიცანი.

მის დანახვაზე დათო წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მოულოდნელად, გოგონა კისერზე ჩამოეკიდა.

— ნამდვილი სულელი ვიყავი, რომ შენი სიყვარული ვერ დავაფასე და დავინახე, მაპატიე, — თან ტიროდა, თან მამაკაცს სახეს უკოცნიდა, — დღეს ლამის სისულელი ჩავიდინე...

დათომ გოგონას მკლავები მოხვია და ამის დანახვაზე გული ისე შემეკუმშა, ლამის ფეთქავდა კი შეწყვიტა. საშინლად ვიეჭვიანე.

უეცრად, „ყოფილმა პატარძალმა“ თვალი მკიდა და გაშეშდა.

— აქ რას აკეთებ? — ცივი ხმით წამოიძახა და რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა.

დათო წინ გადაუდგა.

— მე „ვიპოვე“ აეროპორტში და წამოვიყვანე; ჩემი თხოვნით მოვიდა შენს ქორწილში და ისე მოიქცა, როგორც მე დავარიგე.

მამაკაცი ჩემკენ შემობრუნდა. მის დანახვაზე თავი ვერ შევიკავე და სიცხილი ამიტყდა — სახე პომადითა და ტუშით ჰქონდა მოთხუპნილი და ძალზე სასაცილოდ გამოიყურებოდა. ალბათ ჩემს ასეთ რეაქციას არავინ მოელოდა და ყველანი გაჩუმდნენ. სიტუაცია უცებ განიმუხტა.

— მადლობა, ნამდვილად მადლობელი ვარ იმის გამო, რაც დღეს გააკეთე. შენ რომ არა, შესაძლოა, გამოუწონებელი შეცდომა დამეშვა, — მითხრა გოგონამ და გამიღიმა. მის ასეთ რეაქციას არ მოველოდი.

გულში რალაცნაირი სიმძიმე ვი-

გრძენი, როცა დათოს ლამაზ სახეს თვალი შევაველე და მივხვდი, რომ საბოლოოდ დავკარგე. იმ სამი კოცნის შემდეგ რატომღაც ჩემად დავიგულე. იქნებ შემეყვარდა?

— ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ, — ლალიმ შამპანურის ბოთლი დავვანახვა.

სახელდახლოდ განყობილ სუფრას უხალისოდ მივუჯექი.

— მარგო, როგორ ხარ? — ფიქრებიდან მამაკაცის ხმამ გამომარკვია. ახლალა მივხვდი, რომ ჯერ კიდევ შესასვლელში ვიდექი და მოგონებები დერეფნის ყრუ კედელზე კადრებივით მიდიოდნენ. „ვინ უნდა იყოს?“ — ამის გაფიქრება მოვასწარი, ვიდრე კარისკენ შევბრუნდებოდი.

— სანდრო?! — სახეზე ემოცია არ დამტყობია.

— როგორც ხედავ, ჩემი დანახვა არ გაგიხარდა.

— როგორ არა, სიხარულისგან გავგიჟდი, — მხარზე შერჩენილი ჩანთა მტვრიან იატაკზე დავაგდე და დოინჯი შემოვირტყი, — მამას-ადამე, შენი მადლობელი უნდა ვიყო, ვადაზე ადრე რომ გამათავისუფლეს?

— მადლობის გადახდას არავინ გთხოვს, მარგო...

— არც სამაგიეროს გადახდას?

— მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ...

— რაზე ნუ ვილაპარაკებთ? — შეტევაზე გადავედი. — იმ 7 წელიწადზე, რომელიც შენი წყალობით ციხეში გავატარე? შენ ფიქრობ, 7 დაკარგული წელი ცოტაა? არაფრის გამო 4 კედელში გამოკეტვა იოლი დასავიწყებელია? თავს დამნაშავედაც არ გრძნობ, არა?

— მე ვცადე, შენთვის ეგ განსაცდელი ამერიდებინა, მაგრამ არ გამომივიდა...

— ახლა იქნებ მუხლებშიც ჩამივარდე და პატიება მთხოვო? ან იქნებ ენა იმის სათქმელადაც მოგიბრუნდეს, რომ გიყვარვარ?

— მარგო...

— თავს ნუ გაიმართლებ, შენ თუ ჩემს მხარეს იყავი, იმ ძუკნასთან ცხოვრებას აღარ გააგრძელებდი.

— ის ძუკნა, როგორც შენ უწოდებ, ჩემი ცოლია...

— ჰო, შენი ცოლია... ის კი, ვინც მე ციხეში თავი მიკრა — მამამისი...

— მე რომ მას არ დავმორჩილებოდი, მეც შენს გზას გამიყენებდა.

— მათხოვარო! — კბილებში გამოვცერი. — მშიშარა და მხდა-



ლი ხარ! მე ქალი ვარ და არ ვიკადრებდი იმას, რაც შენ იკადრე... ჩემ გამო რომ ასეთ სიტუაციაში მოხვედრილიყავი, წუთითაც არ დავფიქრებდებოდი, ისე „მოგიჯდებოდი გვერდით“. თავისუფლებას ვერ შეელოე? გამწირე?

— დავივიწყეთ, რაც იყო, — სანდრო მომიასლოვდა და წელზე ხელის მოხვევას შეეცადა. თვალის დასამხამებაში მაჯაზე მივწვდი, ხელი ზურგს უკან ამოვუგრიხე და მკერდით კედელზე მივაჭყლიტე.

— ხელის ხლება არ გაბედო, მათხოვარო...

— ნელა, ხელი ნუ მომტეხე, — ძლივს ამოთქვა რამდენიმე სიტყვა.

ხელი გავუშვი და კარი ყურთამდე გამოვალე.

— ნადი და გზაზე აღარ გადამელობო.

— ახლა ნავალ, მაგრამ მალე ისევ მოგიწევს შეხვედრა, — თან ნატკენ მაჯას ისრესდა.

კარი ისე მივაჯახუნე, ლამის ფეხი მოვაყოლე.

ძირს დაგდებულ ჩანთას დავწვდი და ოთახში შევედი. სახლი მთლად ცარიელი იყო. ჩანთის დასადები ადგილიც კი ვერ ვნახე. არც სკამი, არც სანოლი, არც მაგიდა. ყველაფერი სადღაც გამქრალიყო. იქ, სადაც წინათ ჩემი სამეცადინო მაგიდა იდგა, კედელზე ლურსმანი შერჩენილიყო. ჩანთა ჩამოვკვიდე, მაგრამ ლურსმანი მოძვრა. ჩანთა იატაკზე დავარდა, ლურსმანმა ისეთი ცივი ხმა გამოსცა, შემაჟრჟოლა.

აქ დარჩენა არ ივარგებდა, ღამესაც ვერ გავათვდი. სად დავიძინებდი? თან საშინლად ციოდა. გაზქურასთან მივედი და ჩამრთველი გადავატრიალე. აირი ხმაურით გამოვიდა. ვიფიქრე, ავანთებ და ცოტა გავთბები-მეთქი, მაგრამ ასანთი ვერ ვიპოვე. ჯიბეში ასანთის საყიდელი ფულიც კი არ მედო. ასეთ გამოუვალ სიტუაციაში არასოდეს აღმოვჩენილვარ.

კარის მეზობელი გამახსენდა და ბევრი აღარ მიფიქრია, ასანთის სათხოვნელად მასთან გავედი.

— მარგოოო! — აღფრთოვანება ვერ დამალა ვეროჩკამ. — როგორ ხარ?

— რა ვიცი, — მხრები ავიჩეჩე.

— მოდი, მოდი, — შინ შემიპატიყა.

— იყოს, ვეროჩკა, ასანთზე მოვედი...

— არ გრცხვენია? ამდენი ხანია, შინ არ ყოფილხარ და შემოსვლაც კი არ გინდა? მოგვიკითხე მაინც, როგორ ვართ, — მივხვდი, რომ

მართლა ეწყინა ჩემი საქციელი.

— კარგი, კარს დავექტავ და შემოვალ, — ვუთხარი და მოვბრუნდი, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, სახლს ღიას დავტოვებდი თუ არა, წასაღები მაინც არაფერი იყო და კარი სულაც რომ ჩამომეღო და გადამეგდო, ცარიელ კედლებს ვინ რა თავში იხლიდა?

ხელი ჩავიქნიე და ვერასთან დავბრუნდი.

მის სახლში ძველებურად, სიმყუდროვე და იდეალური სისუფთავე

გამომიშვეს, — მეორე ღვეხელს დავადგი თვალი, მაგრამ მომერიდა ალება.

— აილე, ნუ გერიდება, რამეს კიდევ მოგიზაადებ, — ვერა წამოდგა და მაცივარი გამოალო, — თეფზი რომ შეგინვა, გინდა?

წარმოვიდგინე, თეფზი ტაფაზე როგორ შიშინებს და ძალიან მომინდა.

— კი, მინდა.

ვერა თან თეფზს წავადა, თან უამრავ კითხვას მისვამდა.

— ვერა, დედაზე მომიყვი, რო-

მამაკაცი გაოგნებული გვიყურებდა. როგორც ჩანს, თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რომელ ჩვენგანზე ქორწინდებოდა. ხან მე შემომხედავდა, ხან — ჩემს „ტყუბისცალს“

სუფევდა. ხშირად შემეფარებია მასთან თავი, როცა ჩემს საცემრად გამზადებულ დედას ხელიდან დავსხლტომივარ.

ვერამ გამატარა, კარი დახურა და უკან მომყვა.

— სამზარეულოში შედი; გახსოვს, ბავშვობაში მანდ ყოფნა გიყვარდა.

ზურგზე მისი თბილი ხელისგული ვიგრძენი. ფანჯარასთან, სკამზე მოვკალათდი. მთელ სახლში საქმლის სუნი იდგა. კუჭი ამენვა, ისე მომშვიდა.

ვერამ მაგიდაზე დადებულ თეფშს ზედ გადაფარებული, თეთრი ქსოვილი ახადა. დაბრანული ღვეხელები ისე მადისალმძვრელად გამოიყურებოდა, რომ მათ დანახვაზე მომდგარმა ნერწყვმა ლამის დამახრჩო.

— ჭამე, მარგო, მოშივებული იქნები.

მაშინვე დავწვდი ღვეხელს და ჩავკბიჩე. სიამოვნებისგან თვალები დავხუჭე და ლამის ამოვიკვნესე.

— რა ხდება საქართველოში? რამდენი ხანია, სტუმრადაც არ ჩამოსულხარ, საწყალი დედაშენი რომ გარდაიცვალა, გვეგონა, რომ აუცილებლად მოხვიდოდი.

— ვერ მოვიდოდი, ვეროჩკა, ციხეში ვიჯექი, — პირი ღვეხლით მქონდა გამოტენილი და ძლივს ვთქვი.

— ციხეში?! რას ამბობ?

— ჰო, 7 წელი ვიჯექი და დღეს

გორ ცხოვრობდა ბოლო დროს?

— ეჰ, მარგო, დედაშენი ახალგაზრდობაში საუცხოო ქალი იყო, ჩვენ ხომ ამ კორპუსში ბავშვობიდან ვცხოვრობდით და ერთმანეთს სულ პატარაობიდან ვიცნობდით. შენმა მამინაცვალმა გზას ააცდინა... ალბათ არ იცი, რომ როცა შინ არ იყავი, მაშინ თქვენს სახლში საშინელებები ხდებოდა.

— ლოთობას გულისხმობ?

— არა, მხოლოდ მაგას არა, დედაშენს თავისი ქმარი მეძაობას აიძულებდა.

ლუკმა ყელში გამეჩხირა. ლამის დავიხრჩე.

— როდესაც დედაშენი მაგ კაცზე გათხოვდა, თავიდან მოსიყვარულე, მზრუნველი კაცის ნიღაბს ირგებდა. ხელი რომ მონაწერეს და ოფიციალური ცოლ-ქმარი გახდნენ, მერე დაიწყო, რაც დაიწყო. საწყალი დედაშენი, როცა ფხიზელი იყო, მაშინ ნორმალურად აზროვნებდა, ჩემთან შემოდიოდა და ტირილით მიყვებოდა, როგორ ექცეოდა ის ველური. თურმე, ერთხელ სტუმრად ვილაც კაცი მოუყვანია, დედაშენი აიძულა, რომ 1 ჩაის ჭიქა არაყი ერთბაშად დაეღია. წინააღმდეგობა რომ გაუწევია, ქმარსა და მის სტუმარს გაუკავებიათ და არაყი პირში ძალით ჩაუსხამთ. დედაშენი ამბობდა, აზროვნება დამებინდა და სიზმარით მახსოვს, რომ ვილაც კაცი მაუბატიურებდაო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-49

რუსუდან ბერიძე

— ესე იგი, ხსნას მართლა აღარ-საიდან უნდა ველოდოთ, — საბოლოოდ ჩაქრა ანა.

— მე თვითონ მოვიფიქრებ რამეს. აი, ნახავ, აუცილებლად მოვიფიქრებ. ხომ გჯერა ჩემი?

გოგონამ ლაშას სევდიანად შეხედა და საბანში უსიტყვოდ გაეხვია, ლაფაური კი სკამზე მოწყვეტით დაეშვა და თავი ხელეში ჩარგო.

— მოდი ჩემთან, — ცოტა ხანში ჩაესმა მას ანას მისუსტებული ხმა. ლაფაურმა თავი ნელ-ნელა ასწია.

— მოდი, — გაუმეორა გოგონამ და ცრემლიანი თვალები შეანათა.

ლაშა უსიტყვოდ დაემორჩილა.

— მაკოცე.

ლაშამ მას ცრემლიანი თვალები დაუკოცა.

— იცი, სიკვდილის სულაც არ მეშინია, — ჩურჩულით დაიწყო ანამ.

— შენ გვერდით აბა, რისი უნდა მეშინოდეს? უბრალოდ, დავიძინებ და აღარ გავიღვიძებ. ეს არის და ეს. მინდა, იცოდე, რომ მაინც ძალიან ბედნიერი ვარ. იმიტომ, რომ ერთად ვართ, თვალებში გიყურებ და შენს სუნთქვას ვგრძნობ, შენი გულისცემა მესმის, დანარჩენს კი მნიშვნელობა აღარ აქვს...

ლაშა უსმენდა გოგონას ჩურჩულს და სულ უფრო და უფრო ეძალებოდა სიბრაზე იმის გამო, რომ ვილაც არამზადებმა კუთხეში მიიმწყვდიეს, კედელთან მიაყენეს და ახლა მშვიდად ელოდებოდა, ის და ანა როდის დაიხოცებოდა. გაბრაზება მალე მრისხანებაში გადაიზარდა. „არ გამოუვათ! — გულში საბოლოოდ დაასკვნა მან. — ამაზე უფრო უარესი

სიტუაციიდანაც მიპოვია გამოსავალი და ახლაც ასე იქნება! მე და ანამ ბედის სიმუხთლის მიუხედავად, ჩუმიანაშვილისა და მისნაირი ახვრების ჯიბრზე უნდა ვიცოცხლოთ“. მტკიცე გადანწყვეტილებამ იღებულმა ლაფაურმა გოგონას კიდევ ერთხელ აკოცა და გულში ჩაიკრა. ახლა მან ზუსტად იცოდა, რომ თავისი და ანას, ორივეს საერთო მომავლის გადასარჩენად ყველაფერს იღონებდა. ამის გაფიქრება და გამოსავლის პოვნა ერთი აღმოჩნდა.

— აკუმულატორები! — ნამოძახა უცბად ლაფაურმა. — აკუმულატორები გვიხსნის!..

ქუთაისის სამაშველო სამსახურმა ცოტა უცნაური ელექტრონული წერილი მიიღო. იმ მომენტში სადისპეტჩერო პულტთან ოცდაორი წლის ზუკა ზანდუკელი მორიგეობდა. ზუკა ამ სამსახურში ახალი მისული იყო და როგორც ახალბედათა უმეტესობა, ყველაზე წვრილმან საქმესაც კი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა და იმაზეც დღენიდაგ ოცნებობდა, საფრთხეში ჩაგარდნილ ადამიანს ან სულაც ადამიანთა ჯგუფს როდის გადაარჩინდა.

ამჯერად, კომპიუტერთან მჯდარი ზუკა გასული კვირის მანძილზე დაგროვილ ელექტროფოსტას ამონებდა. ეს, ძირითადად, ჩატარებული სამაშველო სამუშაოების შესახებ ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები იყო. ასეთ ფოსტას მხოლოდ კვირაში ერთხელ თუ ამონებდნენ და არც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, რადგან ყველა სასწრაფო ინფორმაციას თუ

შეტყობინებას სამაშველო სამსახური რაციითა და ტელეფონით იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი უკვე ზუკასაც კარგად მოეხსენებოდა, ერთმა შეტყობინებამ მაინც ძალიან ჩააფიქრა. ორი ადამიანი სასწრაფოდ ითხოვდა დახმარებას. თუმცა სამაშველო სამსახურის ტელეფონის ნომრის აკრების ნაცვლად, ამისთვის რატომღაც ელექტროფოსტას იყენებდა, რაც ცოტა სულელურადაც კი მოჩანდა.

„მაგრამ ხომ შეიძლება, ეს ადამიანები მართლა საფრთხეში იყვნენ და დახმარებაც სასწრაფოდ სჭირდებოდეთ?“ — გაიფიქრა მან და, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, რაზმის უფროსს, დათო დავითაშვილს წერილის შესახებ რაციით შეატყობინა.

სუთი წუთის შემდეგ დათო უკვე სადისპეტჩეროში იყო.

— მაჩვენე ერთი, რა წერილია? — კომპიუტერს მიუჯდა იგი.

ზუკამ შეფს წერილი მაშინვე აჩვენა:

— აი, ეს არის. გენერენ, ვიყინებით და გვიშველეთო.

— და სად ვართო?

— მაღალ მთაში.

— მთაშიო?.. — შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა დათომ. — იმის თქმა გინდა, რომ იქ უკვე დიდი და პატარა კომპიუტერზეა გადასული და ჩვენთან დაკავშირების სხვა საშუალებას უბრალოდ აღარ ცნობენ?

— რა თქმა უნდა, ასე არ არის... — დაიბნა ზუკა. — მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ძალიან უცნაური კი არის.

— რა არის აქ უცნაური? უბრალოდ, ვილაც ხულიგნობს. შეგვჭამეს ამ ჰაკერებმა, მე მაგათი... — გემრიელად შეიგინა დათომ.

— მე რა უნდა გვაკეთო?

— არც არაფერი. ვითომ არც შეგიმჩნევია.

— მაგრამ ხომ შევამჩნიე?

— საერთოდ, როდის ამონებ ხოლმე ფოსტას?

— შაბათობით.

— დღეს რა დღეა?

— ოთხშაბათი.

— მერე?

— მერე რა?

— შაბათამდე კიდევ რამდენი დღეა?

— თითქმის 3.

— ჰოდა, გავიდეს ეს უპატრონო 3 დღე და მერე შევხედოთ.

— მაგრამ ხომ შეიძლება, იქ მართლა ვილაც იყინებოდეს? — მაინც არაფრით მოეშვა ზუკა დათოს.

— ნუ შემჭამე, ბიჭო! — ხმას



აუნია დათომ. — ახლა მთაში ასვლას ეხუმრები? იცი, რას გვიზამენ უფროსები, თუ გაირკვა, რომ მართლა ვიღაცის მაიმუნობას ავყევით და ამდენი სანავი ნყალში ტყუილად გადავყარეთ?

— ხუმრობა რომ არ იყოს, მაშინ?

— აუ, შენ ვინ ყოფილხარ? — თვალები დაუბრიალა ხელქვეითს დათომ და, თან, რუკა მოიმარჯვა. — მაჩვენე ერთი, ზუსტად სად ხდება ეგ ყველაფერი?

როგორც კი ზუკამ რუკას თითი დაადო, დათომ მაშინვე უყვირა:

— სწრაფად, ვერტმფრენში! მე კი უფროსობას ჩავაყენებ საქმის კურსში...

ანას შემხედვარე ლაშას გული სიმწრით ეწურებოდა, რადგან საყვარელი ადამიანი ნელ-ნელა ხელიდან ეცლებოდა, ის კი ვერაფერს შველოდა. ლაფაური ძილ-ღვიძილში მყოფ გოგონას ხან გულში ფრთხილად იკრავდა, ხანაც გამეტებით ანჯღრევდა, რომ როგორმე გონს მოეყვანა, მაგრამ ანა თვალს არ ახელდა...

— არ დაიძინო, გესმის, არ უნდა დაიძინო! — უყვიროდა მას ლაშა, რომელმაც კარგად უწყოდა, რომ მათი ერთადერთი ხსნა მოძრაობა იყო, რომ არაფრით შეიძლებოდა, უბრალოდ დაწოლა და დაძინება, რადგან ველარ გაიღვიძებდნენ. ლაფაური ბოლომდე აპირებდა ბრძოლას და ანასგანაც იმავს ითხოვდა, ამიტომაც ჯიუტად ცდილობდა, მის ფეხზე წამოყენებასა და გამოფხიზლებას, მაგრამ ყველა მისი მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. ბოლოს, ლაფაურსაც გამოეცალა ძალა, ანას გვერდით დაეცა და ლოყაზე სიმწრის ცრემლი ჩამოუგორდა. „მაინც დაემარცხდი, — გაიფიქრა მან, — მეც აღარ შემერჩა ბრძოლის გასაგრძელებელი ძალა.“ სასონარკვეთილმა ლაშამ ანა გულზე მიიკრა და ტუჩებზე დაეკონა. გოგონამ მაშინვე თვალები გაახილა.

— გესმის? — ჩურჩულით ჰკითხა მან ლაფაურს.

— მესმის, საყვარელო, შენი ხმა ნამდვილად მესმის... — შვებით ამოისუნთქა ანას გონს მოსვლით გახარებულმა ლაფაურმა.

— ჩემი კი არა, ვერტმფრენის ხმა თუ გესმის-მეთქი?

— ვერტმფრენის? — სმენად ქცეულ გოგონას სევდიანად დახედა ლაფაურმა. — ჰო, აბა, კარგად დაუგდე ყური.

ლაშამ სმენა დაძაბა და ლამის

საკუთარ ყურებსაც აღარ დაუჯერა, რადგან მართლაც გაიგონა მოახლოებული ვერტმფრენის მოტორის ხმა.

— გადავრჩით! — მთელი ხმით იყვირა მან შემდეგ და საბანშემოსვეული ანა გარეთ ხელში აყვანილი გაარბენინა...

ვანიკო ჩუმიაშვილი ძალიან ჩქარობდა, რადგან ფუჭად უკვე წუთის დაკარგვის უფლებაც აღარ ჰქონდა. იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და გონივრულად იმოქმედებდა, არც მეტი, არც ნაკლები, მისი სიცოცხლე იყო დამოკიდებული. ვანიკოს კი სიკვდილი ძალიან არ უნდოდა და ამიტომ საკუთარი ტყავის გადასარჩენად, არაფერს იშურებდა. „არა, ეს მაინც როგორ დამემართა? საკუთარი ხელით როგორ მოკვალი მეცნიერი, რომლის ძებნასაც ამდენი ძალა და ენერჯია შევალე?“ —



გაუთავებლად ეკითხებოდა ის საკუთარ თავს, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა.

ჩუმიაშვილს განსაკუთრებით ის ფაქტი აშფოთებდა, რომ საშინელი შეცდომა მას შემდეგ დაუშვა, რაც უფროსობას ლამის საზეიმოდ აუწყა, რომ ოპერაცია წარმატებით დასრულდა და მეცნიერი უკვე ხელში მყავსო. ახლა რომ გაიგებენ, საათივით აწყობილი საქმე საკუთარი სულსწრაფობისა და წინდაუხედაობის გამო როგორ ჩააგდო, სიკვდილი არ ასცდება. ის ადამიანები, ვინც ვანიკოს ცნობილი მეცნიერის კვალში ჩადგომა დაავალა, თავიანთ თანამშრომლებს ამაზე ბევრად უმნიშვნელო შეცდომისთვისაც კი დაუნდობლად უსწორდებოდნენ. ისეთი ჩავარდნისთვის კი, როგორც ჩუმიაშვილს დაემართა, ადამიანებს უბრალოდ ცოცხალთა სიიდან შლიდნენ და

უკვალოდ აქრობდნენ. იმის წარმოდგენაზეც კი, შეფებს რომ ხელში ჩავარდნოდა, რა ელოდა, ვანიკოს ტანში სცრიდა. „სასწრაფოდ უნდა გავიქცე საქართველოდან. თანაც, სულერთია, სად, ოღონდ კი საზღვრამდე შეუმჩნეველად მისვლა შეეძლოს“, — ფიქრობდა იგი. თუმცა ფიქრი ერთი იყო და მისი გონივრული ხორცშესხმა მეორე.

ჩუმიაშვილს კარგად ესმოდა, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გადასვლა ყველაზე სახიფათო იყო, მაგრამ ახლა სხვა გზა არ ჰქონდა და აღარც სხვა გადანყვეტილების მისაღები დრო რჩებოდა. ამიტომ, თავს იმითლა იმშვიდებდა, რომ ფეხით მხოლოდ საზღვრამდე უნდა მიეღწია, თავად საზღვარს კი უბრალოდ გადააფრინებოდა, რაშიც არეშიძის სასწაულთმოქმედი ზურგჩანთა დაეხმარებოდა.

ჩუმიაშვილმა საზღვრამდე დიდი

გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიღწეა და ახლა მხოლოდ დაღამებას ელოდა. „ღამით საზღვარს ისე გადავუფრენ, რომ უბრალოდ ვერავინ შემაჩნევს. მერე კი ცოტა ჭკუას

Logo for PALITRA TV-RADIO with text: მაქუ!, PALITRA TV-RADIO, ლაპარაკობს და უჩვენებს კალიტრას!



ვიხმარ და ამ სასწაულთმოქმედი ზურგჩანთის წყალობით სიცოცხლის ბოლომდე განცხრომაში ვიცხოვრებ“,



— კმაყოფილებას ვეღარ მალავდა ვანიკო და თან ზურგჩანთას ხელს ნახად უსვამდა.

როგორც კი დადამდა, ჩუმიამვილი მაშინვე საქმეს შეუდგა. ზურგჩანთა მხრებზე მოიგდო, ყველა ღვედი ისევე გულმოდგინედ შეიკრა, როგორც ეს ოპტიკური სამიზნით მეცნიერის თვალთვალის დროს დაიმასსოვრა, შემდეგ ის წითელი ნაჭერიც ფრთხილად გადასწია, სადაც ღილაკები ეგულბოდა და სანამ რომელიმეს თითს დააჭერდა, ნამით ჩაფიქრდა. ჩუმიამვილს თავისმა უბადრუკმა ცხოვრებამ თვალწინ ფილმის კადრებივით ჩაურბინა და რატომღაც სწორედ იმ ადგილზე შეჩერდა, როცა ციხიდან მოძალადე მამამისი გამოვიდა და მას და დედამისს ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად უქცია. მას შემდეგ მრავალმა წელმა გაიარა და მამის სისასტიკით საბოლოოდ გატეხილ გაბოროტებული ვანიკო უკვე თავად იქცა მოძალადედ, შემდეგ კი იმ სასტიკ დაქირავებულ მკვლელად, მორიგ მსხვერპლს წინაზე სიამოვნებით რომ უსწორდებოდა. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მალე მსხვერპლთა სათვალავიც კი აერია, ვანიკო მაინც ვერაფრით შეპყრებოდა იმ აზრს, რომ მისი მთავარი სამიზნე — მამამისი იმ ქვეყნად მხოლოდ ბუნებრივი სიკვდილის წყალობით გადაბარგდა. „არა უშავს, მანდ სადღა წამიხვალ, მაინც გიპოვი და ჩემი ხელით გამოგლადრავ ყელს!“ — ვინ იცის, მერამდენედ დაემუქრა მამის აჩრდილს გაცოფებული ჩუმიამვილი და პირვე-

ლივე ღილაკს თითი გამეტებით დააჭირა. ზურგჩანთაში მაშინვე რაღაც გაჩხაკუნდა და ვანიკოც წელწელა მოსწყდა ადგილს.

— გადავრჩი, — შევებით ამოისუნთქა ჩუმიამვილი, — მუშაობს. ახლა მთავარია, ფრენის სიმაღლე ისე ვარეგულირო, რომ ნაძვების კენწერობებს არ ავცდე და ვინმემ არ შემნიშნოს. მცირეოდენი ფიქრის შემდეგ ჩუმიამვილი ამ მიზნით ახლა მეორე ღილაკს დააჭირა თითი, მაგრამ უცნაურ ზურგჩანთას ის სულ უფრო და უფრო მალა და თან ძალიან სწრაფად აპყავდა. დამფრთხალმა ჩუმიამვილი ახლა უკვე ყველა ღილაკს ერთმანეთის მიყოლებით ჩამოურბინა, მაგრამ უხილავმა ძალამ ის მხოლოდ ერთი-ორჯერ შეაწვლია და შემდეგ ისევ ზევით გააქანა...

რუსეთის საზღვრისპირა ჰაერსანინააღმდეგო სათვალთვალო პუნქტში სამორიგეოდ გამოცხადებულმა კაპიტანმა მაიოროვმა დაჯდომაც კი ვერ მოასწრო, რომ რადარის ეკრანი განათდა და საკმაოდ მკაფიოდ გამოჩნდა მოძრავი ობიექტი. მაიოროვმა უფროს მორიგეს უპატაკა მომხდარის შესახებ.

— ნამდვილად უცხო მფრინავი ობიექტია?... — მკაცრად იკითხა მან.

— დიახ. და, თან, არანაირ გაფრთხილებაზე არ რეაგირებს და სულ უფრო მალა მიიწევს. რა გავაკეთო?

— ეშვამა ნაგილოს, მაიოროვო! — უღრიალა კაპიტანს უფროსმა მორიგემ. — დაგავიწყდა, წესდებაში რა გინერია?

— რა თქმა უნდა, არა, ობიექტი უნდა ჩამოვაგდო.

— ჰოდა, იმოქმედე!

ბრძანების გაცემისთანავე ცაში „მინა-ჰაერის“ კლასის რაკეტა აიჭრა და სამიზნეს უსწრაფესად მიუახლოვდა...

ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთ ულამაზეს სანაპიროზე შუადღის ხვატი ჩამონოლილიყო და, ამიტომაც, იქ მდებარე ფეშენებელური კურორტის პლაჟი პრაქტიკულად, ცარიელი იყო. თუმცა მცხუნვარე მზეს ერთი თავზე ხელაღებული

წყვილი მაინც ვერ შეეშინებინა. შეზღონებზე წამონოლილი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ქოლგასაც კი არ ეფარებოდა, ისე ტკებოდა ზღვის მშვენიერი პეიზაჟით. პლაჟის იშვიათი სტუმრები, ძირითადად, ჩამოსული ტურისტები, მხოლოდ მცირე ხნით თუ ჩაყვინთავდნენ ხოლმე მზისგან სასიამოვნოდ გამთბარ ზღვის წყალში და მაშინვე სასტუმროს გრილი ნომრებისკენ გარბოდნენ. ქალ-ვაჟი კი ისევე მშვიდად იწვა და თან, იმ თმასუჭუჭა ყმანვილსაც გახედავდა ხოლმე, ტალღებს ზღვის მოტოციკლით რომ აპობდა. ყმანვილი ხვდებოდა, რომ წყვილის ყურადღება დაიმსახურა და ამიტომ აღარც თავს ზოგავდა და აღარც ნათხოვარ მოტოციკლს. თუმცა ბოლოს ეტყობა, თავარა მზეს მაინც ვეღარ გაუძლო და კიდევ რამდენიმე ვირტუოზული წრის დარტყმის შემდეგ მოტოციკლი ნაპირისკენ გამოაქროლა. მოტოციკლიდან გავარვარებულ ქვიშაზე გადმოხტომისთანავე ყმანვილმა მარტოხელა წყვილისკენ აიღო გეზი.

— ლაშა, ანა, ნახეთ, რა ვაკეთე წყალში? — შორიდანვე, დამტვრეული ინგლისურით დაუყვირა მან ახალგაზრდებს.

— ვნახეთ, მაგარი ბიჭი ხარ, ილიას! — შეაქო ის ანამ.

— ჯერ სადა ხართ! ხვალ უფრო მაგარ ტრიუკებს გაჩვენებთ.

— შენია? — დაინტერესდა ლაშა.

— რა?

— მოტოციკლი.

— არა, მეზობლისაა. ამით არჩენს ოჯახს. ხანდახან კი, როცა პლაჟი ასე ცარიელდება, მეც მძღლევს ერთი-ორი წრის დარტყმის უფლებას.

— მოგწონს?

— ვინ?

— ვინ კი არა, რა, — გაელიმა ლაშას, — ისევ მოტოციკლზე გეკითხები.

— მოგწონსო? — თვალები გაუფართოვდა ილიასს. — მომწონს კი არა, ვაბოდებ. იცი, როგორ მინდა, საკუთარი მქონდეს?... მაგრამ ძალიან ძვირი ღირს.

— მაინც რამდენი?

— ყმანვილმა თანხა დაუსახელა.

— ჩათვალა, რომ ეს მოტოციკლი უკვე შენია.

— რააა?... — საკუთარ ყურებს არ დაუჯერა ილიასმა. — ეგ როგორ?... მერე პატრონი რას იტყვის?..

— პატრონს მე მოველაპარაკები.

სიხარულით სახეგაცისკროვნებული ყმანვილი მხიარული შეძახილებით გაქანდა ნაპირზე დატოვებული მოტოციკლისკენ, სწრაფად



მოახტა და ისევ ზღვის ტალღებში შეაგდო.

— მაინც რას გადაევიდე ამ უცხო ბიჭს? — ჰკითხა ანამ ლაშას.

— ჩემს სიყმანვილეს მახსენებს, — გაელღმა ლაშას. — თან უცხო სულაც არ არის. მამამისი აქ წლები-ის წინ, აფხაზეთიდან გადმოსვენლა და დღემდე ქართველობს.

— მართლა ასეა...

— ასეა, ასე. თან ილიასი ჯერ კიდევ ბავშვია და ცოტა ხომ უნდა გაიხაროს.

— გაიხაროს, — დაეთანხმა მას ანაც და ქოლგის ქვეშ შეძვრა.

— რა იყო, ხომ არ დაგცხა?

— ცოტა. არადა, მეგონა, რომ ვეღარასოდეს გავთბებოდი.

— ამიტომაც, არასოდეს უნდა თქვა არასოდეს.

— არც ვიტყვი.

ამის შემდეგ წყვილი ისევ გაჩუმდა და ზღვის პეიზაჟით ტკბობა განაგრძო.

— შვებულების დასრულების შემდეგ რას გააკეთებ? — ჰკითხა მოგვიანებით ლაშას ანამ.

— საქმე იმდენი გვაქვს, რომ აღარც კი ვიცი, საიდან დავიწყო.

— გვაქვს თუ გვაქვს?

— გვაქვს, — მე ჩემს პროფესიას ვერ ვუღალატებ, არადა, ამხელა ფირმასაც ხომ სჭირდება პატრონი.

— რომელ ფირმას?

— „ორიონს“. რა, უკვე დაგავინყდა?

— არა, ყველაფერი მახსოვს. კასეტას რაღას უპირებ?

— უკვე გავგზავნე, სადაც საჭიროა და უახლოეს დღეებში საქმეს მსვლელობასაც მისცემენ, — სათვალე მოიხსნა ლაშამ და, თან, შეზღონგიდან წამოდგა.

— გამოდის, რომ ყველაფერი მოგისწრია.

— არა. ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საქმე კიდევ დამრჩა გასაკეთებელი.

— რა საქმე?

— რაღაც უნდა გთხოვო და შემპირდი, რომ უარს არ მეტყვი, — თვალები ეშმაკურად მოჭუტა ლაშამ.

— იმის მერე, რაც ერთად გადავიტანეთ, უკვე ყველაფერზე თანახმა ვარ.

— ვაშააა! — მაშინვე ხელში აიტაცა გოგონა ლაფაურმა და ჰაერში დაატრიალა.

— ახლავე დამსვი! — გაუძალიანდა ანა. — ისედაც თავბრუ მეხვევა. თან, არ მესმის, ასე მაინც რამ გაგახარა?

— იმან, რომ უკვე მთავარზეც დამთანხმდი.

— რა მთავარზე?

— ცოლობაზე.

— ცუდო-ცუდო-ცუდო! — მკერდზე მუშუტები მიუბრაგუნა ანამ ლაფაურს. — როგორ დაგთანხმდი, როცა ჯერ ცოლობა არც კი გითხოვია?

— კარგი, — მაშინვე დასვა გოგონა ლაშამ, თავად კი მის წინ მუხლებზე დაეცა და რაც შეიძლება, პათეტიკურად წარმოთქვა: — ქალბატონო ანა, ჩემთვის უთქვენოდ აღარაფერს აქვს ფასი. თუ შეიძლება, გამომეყვით ცოლად!

პასუხად ანამ ჯერ შუბლი შეჭმუნა და დაჩოქილ ლაფაურს მკაცრად გადახედა, შემდეგ კი თავი

ველარ შეიკავა და სიცილი წასკდა: — კარგი, რა გაეწყობა, გამოგყვები.

ახალგაზრდები ერთმანეთს ჩაეხუტნენ. შემდეგ ლაშამ ანას თვალეში ჩახედა და უკვე სრულიად სერიოზულად ჰკითხა:

— ამიერიდან ალბათ, უკვე ყველა შენი სურვილისა და ოცნების ასრულებასაც კი შევძლებ. მითხარი, ჩემგან პირველ საჩუქრად რას ინატრებდი?

პასუხად ანამ ჯერ მხრები აიჩეჩა და შემდეგ ცოტა არ იყოს, დაუდევრადაც კი წარმოთქვა:

— მთელ სამყაროს...

დასასრული

„სოფლიო ღატაქტივების სიფი“
 ყოველ თრშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
 თითო პრიზინალური საქმე!

13-დან 20 დეკემბრამდე

პერ ვალე
 31-ე განყოფილების დღეუკვა
 31-ე განყოფილების დღეუკვა

ფასი 2 ლარი!
 (ჟურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოსული ნიგნები - საქმე №1-დან - №26-მდე (ჟივის ჰალდი ჩივი, ართურ კონანე ლოიდი, სილანი ჟილდონი, აბათა კარისტი, ჯალსონ ფილიპსი, როს მაკდონალდი, ზონ დიასონ კარი, ჯო კორუნი, დივილი კამეტი, ბორის ააუნინი, ჩარლზ კანოუ, დიკ არანსისი, რაიმონდ ჩანდლარი, სიტიო მასუმოტო, სირილ კიირი, ფილდრის დიურაბეატი, შორჟ სიხეონი, ბაულო-ნერსეჟაჟი, აჟი ფილიპი, ფრედ ვარბასი, ელგარ ალანე კო, ზონ ლე კარა, კინერ რანკი, კარისტინ ზაგსკი და ჟივის ჰალდი ჩივი) შეიძინეთ ნიგნის მალაზიებში

20 დეკემბრიდან
ერლ სტენლი
ბარდმერი
 ცალთვალა ამჟინის ჩვენება



რომანტიკა

თუ

დანაშაული?

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-49

შემდეგი კვირა ძალიან მძიმე აღმოჩნდა ჩემთვის. ნიკა საერთოდ არ მაქცევდა ყურადღებას, დელიკატური ღიმილით მომესალმებოდა ხოლმე, როცა მასთან საქმეზე შევედიოდი ან დერეფანში შემხვდებოდა. გული გახეთქვაზე მქონდა. თითქოს ორივენი სიჯიუტესა თუ სიჩუმეში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. არც ის ცდილობდა რაიმეს ახსნას, არც მე ვთხოვდი არაფერზე პასუხს. ვითმენდი და ველოდებოდი. ითმენდა და ელოდებოდა... მე — მას... ის — მე... და არც ერთს არ გვსურდა, პირველს გადაგვედგა ნაბიჯი ან შესარიგებლად, ან ურთიერთობის დასამთავრებლად.

ამასობაში ვისთვის უმნიშვნელო, ვისთვის კი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მარიკამ ნიკას კაბინეტში გადაინაცვლა. იმდენად მშვიდად და აუღელვებლად შეხვდა თედოს მდივანი უფროსის შეცვლას, გამიკვირდა კიდევ, ასეთი რა უთხრა მეტრეველმა, უმტკივნეულოდ რომ დაითანხმა-მეთქი. ერთი კი იყო, მარის ორსულობას ტოქსიკოზი დაემატა და ხშირად ცუდად ხდებოდა. ვერაფერს ჭამდა, წარამარა სახე უფითრდებოდა, თან ისეთი ღებინება დაეწყო, საათობით ნიჟარაში იყო გადაყუდებული. საშინლად გახდა, ჩამოსმა, ხმაც დაუსუსტდა და სხეულიც. რამდენჯერმე ვთხოვე, ექიმთან მივიდეთ და რამეს დაგინიშნავს-მეთქი, მაგრამ ვერ დავიყოლიე. თუ

ღმერთს ამ ბავშვის გაჩენა უნდა, წამლების გარეშე გამაჩენინებსო. ბოლო ხანს უცნაურობა დასჩემდა. იჯდა და გარინდული სადღაც, ფანჯრის მიღმა, გაურკვეველ წერტილს მიშტერებოდა უაზრო, არაფრის მთქმელი თვალებით. რამდენჯერმე დავაპირე, თედოს დაველაპარაკებო და ნამუსზე შევაგდებ-მეთქი, მაგრამ მარის თანხმობის გარეშე ვერ გავბედე.

ჩემი სატკივარი ხომ მქონდა და მქონდა, მაგრამ მარიკას ყოფამ უარესად დამამძიმა. ის დღეები სამსახურში მისვლა მეზარებოდა. მძულდა ყველა და ყველაფერი, თანამშრომლები, გარემო...

როგორც იქნა, პარასკევიც გათენდა. მიხაროდა, დასვენების დღეები რომ მელოდა. ბოლო დროს შვებას მხოლოდ განმარტოება მგვრიდა. მივეგდებოდი ჩემთვის სანოლზე და ვფიქრობდი, ვოცნებობდი. ცალკე უძილობამ შემანუხა. განსაკუთრებით თვალებზე დამეტყო. სამუშაოსაც ვერ ვუდებდი გულს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ძალიან კარგად გამომდიოდა. იმდენ იდეას ვაფრქვევდი და იმდენი სარფიანი საქმე გავაკეთე, გაყიდვების რაოდენობამ ერთი-ორად იმატა ფირმაში. უკვე წარმოების გაფართოებაზე დაიწყო მარკეტინგის სამსახურმა საუბარი, ევროპის უფრო სერიოზულ ქვეყნებთან სავაჭრო გარიგებების წამოწყებაზე ალაპარაკდნენ. მეც მქონდა ამაზე კარგი წინადადება — იტალიასთან კავშირის გაბმა, რაც სრულებით არ გამიჭირდებოდა. ერთი ზარი ბაბუასთან და საქმე ხუთიანზე იქნებოდა მოგვარებული. თუმცა, ჯერჯერობით ხმას არ ვიღებდი. მინ-

ლოდა, ისეთ დროს მეთქვა, როცა ყველაზე მეტად დამჭირდებოდა ამის გაკეთება, ხელსაყრელ მომენტს ველოდებოდი. დარწმუნებული ვიყავი, ასე ადვილად ვერ მოახერხებდნენ ევროპელებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას, რომელიც ერთი ქვეყანა მაინც გაუცრუებდა მათ იმედს. ჰოდა, ჩემი გამარჯვების ზარი სწორედ მაშინ ჩამორევდა.

ფანჯარასთან ვიდექი და მარიკაზე ვფიქრობდი. დღეს მთელი დღე, რამდენჯერაც ვნახე, ხმა ვერ ამოვალვინე. თავჩალუნული იჯდა და ავტომატურად უკაკუნებდა კლავიატურაზე. წესიერად დალაპარაკების საშუალება არ მომცა, სასწრაფო საქმე მაქვს და მალე მინდა დავამთავრო, დღეს ადრე ვარ გასასვლელი და უნდა მოვასწრო.

მართლაც, ხუთი არ იყო, რომ წავიდა. მეც დავაპირე გასვლა, შვიდი ხდებოდა უკვე. სარკმელი მივხსურე, საშინელი სუსხი შემოდიოდა გარედან. ისე იყო მოქუფრული, აუცილებლად განვიმდებოდა. ცის კაბადონი სისხლისფრად შეფერილიყო, ნალექით დამძიმებული ღრუბლები უფრო და უფრო დაბლა ინევენენ, დედამინისკენ, თითქოს თავიანთი იერიშით ცის ჩამოქცევა განუზრახავთო. რა კარგი შესატყვისი აქვთ ქართველებს ამინდთან დაკავშირებით — ავდარი. ეს სიტყვა ზუსტად მიესადაგებოდა იმას, რაც ამ შავ ღრუბლებს ჰქონდათ ჩაფიქრებული.

მოულოდნელად კარი გაიღო და ჩემს კაბინეტში ვილაც შემოვიდა. ტანში გამცრა, მაგრამ არ შემოვბრუნებულვარ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნიკა იქნებოდა.

— შენც ორსულად ხომ არ ხარ? — ბოროტად ჩაიციინა ნაცნობმა ხმამ.

გულხელდაკრეფილმა ფანჯარაში ცქერა გავაგრძელე. არც კი გავრხეულვარ.

— მგონი, შენ ეგ არ უნდა გადარდებდეს, — რაც შეიძლებოდა, მეტი ღვარძლი გავურეე ხმაში.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ შენგან არასდროს დავორსულდები, — უკმეხად ვუპასუხე ზურგმექცეულმა.

ნაბიჯების ხმა თანდათან მიახლოვდებოდა. მერე მისი ხელები ვიგრძენი ჩემს მხრებზე.

— აიღე ხელი! — ცივად ვთქვი.

— რომ არ ავილო?

ნელა მოვატრიალე თავი და ზიზლით შევხედე თედოს. წარბი არ შეუხრია. არც — მე.

— შენთვის აჯობებს, ხელი აიღო და უკან დაიხიო! — ისე განგმირავად გაისმა ჩემი ხმა, დირექტორი შეცბა, ხელები ჰაერში ასწია და



ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია. ამა-სობაში შემოვბრუნდი.

— კიდევ ვინ არის ორსულად? — აგდებულად ვკითხე.

— შენი დაქალი... რა, არ იცი? რა დიდი გამოცნობა მაგას უნდა, ქალის სახე აქვს დაკარგული.

— ნუთუ? — ამრეზით ავათვა-ლიერე ფეხიდან თმის ძირამდე. — ნეტავ, რომელმა ნაძირალამ ჩაიდი-ნა ეს?

— ეგეთები არ იყოს, ლოლა! არ გიხდება! — უფრო დამემუქრა, ვიდრე დამმოძღვრა.

— შენ? შენ გიხდება ის, რაც გააკეთე? — არ დავინდე.

— მე რა, თუ კაცი ვარ... ქალი მეძლეოდა და უარს რატომ ვეტყო-დი? რას ვიფიქრებდი, თუ...

— გაჩუმიდი, თუ ღმერთი გნამს... მაგ ქალის ცოდვით ვერასდროს გაიხ-არებ.

— მწყევლი?

— მეტი საქმე არა მაქვს. არც ეგრე დავცემულვარ. მით უმეტეს, შენისთანა წყველასაც კი არ იმსახ-ურებს, რომ იცოდდე.

— ასე ცუდად მხედავ?

— სამწუხაროდ, ძალიან კარგად გხედავ, ჯერ არ დავბრმავებულვარ. ცუდად კი არ გხედავ, ცუდად გიყურებ. საშინელი ადამიანი ხარ.

— დიდი მადლობა. ისიც კარგია, რომ რალაც სიტყვები მაინც გამო-ოიმეტე ჩემს შესაფასებლად. აქამდე საერთოდ იგნორირებას მიკეთებდი.

— იმიტომ, რომ თავიდანვე შეგ-ატყვე, რა ნაგავიც ბრძანდებოდი...

და ასულელი იქნება მარი, ეს ყველაფერი რომ გაპატიოს. მის ადგილას რომ ვიყო, თვალთ არ დაგანახ-ვებდი მაგ ბავშვს.

— არც მაქვს ამის სურვილი.

— რატომ? იქნებ ცილიც დასწამო და წამოგცდეს, რომ შენ-გან არ არის ორსუ-ლად?

— არც ასეთი სულ-მდაბალი ვარ.

— კიდევ კარგი...

— მე მას ცოლად ვერ შევირთავ და იცი შენ, რატომაც.

— არც ვიცი და არც მაინტერესებს, თედო. სულმდაბალი ნუ იქნე-ბი. თუ ცოლობას არ უპირებ, დაეხმარე მაინც, გვერდით დაუდ-ექი. გაუჭირდება ბავშ-ვის მარტო გაზრდა.

ბოლოს და ბოლოს, შენ გიჩენს შვილს, საკუთარ თავს კი არა.

— მერჩივნა, შენ გაგეჩინა შვილი ჩემგან. ვერ გივინყებ... ვცადე, ბევ-რჯერ, ძალიან ბევრჯერ, მაგრამ არ გამომივიდა. მასთანაც ამიტომ გა-დავწყვიტე ურთიერთობა, იქნებ ლოლა დამავინყოს-მეთქი. არ მინდ-ოდა, ასე მომხდარიყო, მთლად ჩემი ბრალიც არ არის. ხომ იცოდა ჩემი ამბავი, რატომ მომენდო?

— იმიტომ, რომ უყვარდი. შენ კი არც შეგიმჩნევია მისი არსებობა ამდენი ხნის მანძილზე. იმ მდინებ-ის სიაშიც არ მოახვედრე, ვისთანაც...

— რა ვისთანაც?

— ვისთანაც დროს ატარებდი.

— ჰო, ამდენი პატივი არ რგებია ჩემგან. სხვებზე ურესტორნებში არ მიტარებია... არც საჩუქრებით ამივ-სია.

— ამიტომაც ეგონა, რომ შენც შეგიყვარდა. სხვანაირად მექცევა, სხვანაირად მცემს პატივსო... შენ მას ყველაზე ლამაზი იმედები დაუშსხვ-რიე, იცი?

— ვიცი... მაგრამ შენ ვერ და-გივინყე. ყველაფერი შენი ბრალია. გინდა, გარიგება შემოგთავაზო? — უეცრად თვალები დაუნვრილდა და ხარბად დამასო მზერა მკერდზე.

— გარიგება? ამჯერად რა ჩაიფიქრე?

— ისეთი არაფერი... — ერთხანს შეყოვნდა, ალბათ საჭირო სიტყვებს უყრიდა თავს ან ფიქრობდა, ღირდა თუ არა გარიგების ტექსტის წარ-მოთქმა. — ერთი პირობით შევირ-

თავ ცოლად მარიკას მხოლოდ... ერთი პირობით.

— რას მელაპარაკები! — ეკლიანი მზერა ვესროლე. — და რა პირობაა ასეთი, არ დამიმალო! — მიხვდნი, რალაც საზიზღრობას მეტყოდა, თუმ-ცა მისმა ნათქვამმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— თუ ერთი ლამით მაინც გახდე-ბი ჩემი.

— რა-ა?! — მეგონა, მომესმა-მეთქი, ვერაფრით წარმოვიდგინე, ასეთ სიბილწეს თუ შემომთავაზებ-და.

— გაუგებარი ვთქვი რამე? ნი-კასთან თუ ნეხარ, ერთხელ ჩემთანაც რომ დანვე, რა დამავედება? სულერ-თია, ის შენს ცოლობაზე მაინც არას-დროს იფიქრებს. ისიც მალე დაამთავრებს შენთან ურთიერთობას, — დამცინავად გამომხედა.

— ნაძირალა ხარ! გადი! ახლავე გაეთრე აქედან! — თავადვე გამიკვირდა, ისეთი განწირული კივილი აღმომხდა, ფანჯრის მინებიც კი შეზანზარდა.

უეცრად ვილაცამ კარი შემოგლი-ჯა და ზღურბლზე ნიკა აისვეტა.

— რა ხდება აქ! — ახლა იმან იღრიალა.

თედოს ძმაკაცის დანახვაზე მიტ-კლისფერი დაედო სახეზე, ოფლმა დაუცვარა უსირცხვილო შუბლი.

— ისეთი არაფერი, მარიკას გამო მსაყვედურობს, — იპოვა გამოსავა-ლი თავის დასაძვრენად.


ხმის ამოღების თავი არ მქონდა, ერთიანად მიკანკალებდა სხეული. ისე ხმამაღლა ვსუნთქავდი, მთელ ოთახში ისმოდა ჩემი ქშენის ხმა.

— სხვა ადგილი ვერ იპოვეთ საქმის გასარჩე-ვად? აქ ხალხი მუშაობს, — მკაცრად შენიშნა ნი-კამ და მტრული მზერა ჯერ თედოს შეავლო, მერე — მე.

თედომ ჩაახველა და უთქმელად გავიდა კაბი-ნეტიდან. არც მე გამი-ცია პასუხი. საკიდიდან ლაბადა ჩამოვხსენი, მკლავზე გადავიფინე, მე-ორე ხელი ჩანთას დავა-ვლე და კარისკენ გავე-მარტე.

— მაინც ვერ მოინელე, არა? — ნიკას სიტყვებმა ადგილს მიმაციანა. გაო-ცებული შევბრუნდი მის-კენ.

არ მიყვარს, როცა ვი-ლაც ასეთი ტონით მელა-პარაკება, მაგრამ სიმშვი-





დის შენარჩუნებას ყოველთვის ვახრებ.

— რა თქვი? — ხმადაბლა ვკითხე და ჯიქურ მივაჩერდი.

— ვერ მოინელებ, სხვაში რომ გაგცვალა? თუ ცოლიან მამაკაცებთან ფლირტი ქვეყანას გირჩევენია? — დაუნდობლად მომხალა. — მე შენ იმიტომ კი არ გიხედი ხელფასს, რომ სამუშაო საათებში პირადი პრობლემების მოგვარებით დაკავდე.

აი, თავხედობის დონე! ჩემი წელანდელი სიმშვიდიდან ნატამალიც აღარ შემომრჩა. კედლის საათს ავხედე. მეშვიდე საათი ათი წუთის წინ დაწყებულიყო.

— სამუშაო საათებში? მე თუ მკითხავ, ეგ ჯერ კიდევ სადავო საკითხია. მუშაობა ათი წუთის წინ დამთავრდა.

კიდევ უფრო გაუმკაცრდა სახე.

— რითი გიზიდავენ ცოლიანი მამაკაცები? იქნებ მეც გამიზიარო და გამოვიყენო ოდესმე ჩემ სასარგებლოდ.

სიბრაზემ სახე ამიჭარხლა. კბილი კბილს დავაჭირე, სანამ რამეს ვეტყვიდი.

— არ გინდა, ნიკა... — ჩურჩულით ამოვთქვი. — შენც კარგად იცი, რომ ასე არ არის, — დავამთავრე და ოთახიდან უკანმოუხედავად გავვარდი.

არ ვიცი, ასე რამ გამახევა, რამ გამაუხეშა. ცრემლები ყელში მქონდა მობჯენილი და ვერ ვტიროდი. გაჟივით მივაქროლებდი მანქანას, ერთი სული მქონდა, სახლამდე მიმეღწია და სანოლზე დავმხობილიყავი, ჩემი სასტუმლისთვის გამენდო ჩემი უბედობა და მასთან დავცლილიყავი.


ვერა, მაინც ვერ ვიტყვი, ვერც ეს მოვახერხე. მწარედ ვოხრავდი მხოლოდ. ვოხრავდი, კვენესოდი და ვწყვედი ჩემი გაჩენის დღეს. კიდევ იმ დღეს, როცა ნიკა გავიცანი.

ტანსაცმლიან-ფეხსაცმლიანად შევიმალე საბანში და მივყურდი. მცოდნა... საშინლად მქონდა გათოშილი ხელ-ფეხი სიცივისა და ნერვიულობისგან. ამაღამ ალბათ არ მომიწევდა ჩათბობა.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. ვერც ჩავთბი, ვერც დავიძინე, ამიტ-

ომ ტანთ გახდასაც არ ვჩქარობდი. უეცრად ლამის მყუდროება კაკუნის ხმამ დაარღვია. ვილაც მომადგა...

ამჯერად რეაქცია არ მქონია. არც



შევმერთალვარ, არც ავლელვებულვარ. ზღაზვნით გამოვძქერი ოდნავ შემთბარი საბნიდან და ქუსლების პაკაპუკით გავედი ჰოლოში.

კარი გავაღე თუ არა, ჩვეულ პოზაში დამხვდა. ცალი ხელით კედელს დაჰყრდნობოდა, მეორე კი ზურგს უკან შემოედო.

— ბოდისის მოსახდელად მოვედი, — დამასწრო, სანამ რამეს ვეტყვიდი.

— არ მჭირდება შენი ბოდიში! — მე მჭირდება!.. და ნუ მეუხეშებები, თუ შეიძლება.

— დამცინი კიდევ?

— რაში მეტყობა, რომ დაგცინი?

— მაშინ რისთვის მიხედი ბოდისს, მიხვდი, რომ ცდებოდი? — ახლა მე დაუწყე დაცინვა.

— მივხვდი, რომ თავი ვერ გავაკონტროლე. მერე თედოსაც ველაპარაკე. ყველაფერი ვიცი, ამიტომ, თუ შეიძლება, მიიღე ჩემი ბოდიში.

— ამის სათქმელად გამოიარე ამხელა გზა? — მწარედ გავიცინე. — დაგერეკა და ისე გეთქვა ან მესიჯი გამოგეგზავნა, ნაკლები ხარჯიც გექნებოდა და უკეთაც გამოგდის, — ვკბენდი და ვკბენდი.

— სხვა საქმეც მქონდა, — ამჯერად მშვიდად შეხვდა ჩემს აგრესიას.

— მართლა? გისმენ, მითხარი.

— მასწავლე იტალიური. — რა-ა? — საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი.

— მინდა, ჩემი იტალიურის მასწავლებელი გახდე.

— არა! — შეეძახე, მაგრამ ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ჩემი — „არა“ — მასწავლებლობაზე უარის თქმას, თუ მისი შემოთავაზების დაუჯერებლობას.

— არა თუ ვერა? — შემისწორა.

— არაც და ვერაც.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არასდროს მიცდია, ვინმესთვის იტალიური მასწავლებინა.

— მერე მაგას რა სჯობია? მე შენი პირველი მოსწავლე ვიქნები, — ნელ-ნელა დაუთბა ხმა, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის გემსხოსოვები. როცა დიდი ქალი გახდები და შენთან ინტერვიუს ჩასანერად მოვლენ, შეგეკითხებიან, ვინ იყო შენი პირველი მოსწავლეო და

მე დამასახელებ. მეც ცნობილი გავხდები.

— შენ უკვე ხარ ცნობილი.

— კარგი რა... რატომ ხარ ასეთ ხასიათზე? ისევ ბუტიანობ? პატივია ხომ გთხოვე? რა გჭირს?

— არაფერი, რა უნდა მჭირდეს.

— დავაშავე რამე?

— არ ვიცი.

— გეცოდინება...

გადანწყვეტილება სპონტანურად მივიღე. ამაზე უკეთესი შანსი იერიშის მისატანად არ გამომიჩნდებოდა. თუ თავად არ სურს, ქრისტიანულზე მელაპარაკოს, მაშინ მე ავალაპარაკებ! მას თუ აქვს უფლება, ცილი დამწამოს ისეთ რამეში, რაც არ ყოფილა, მე რატომ უნდა შევარჩინო ის, რაც ჩემი ყურით მოვისმინე და ჩემი თვალთ დავინახე? ჰოდა, მიყუროს ახლა!

— რატომ გააკეთე ეს? — განრისხებული მზერა ვესროლე.

— რაზე მეუბნები? — ხელი ჩამოიღო კარის ჩარჩოდან და ისიც უკან შემოიღო, ზურგზე.

— იცი შენ, რაზეც.

— წარმოდგენა არა მაქვს. ამიტომ განმანათლე.

— რას მელაპარაკები! ბიცოლაჩემთან რომ რომანი გააბი, ის მაქვს მხედველობაში.

— ბიცოლაშენთან? ვინ არის შენი



ბიცოლა, არ გადამრიო.

— ქრისტინე.
— ვინ ქრისტინე?
— ოოოოჰ! თავს რომ ისულელეებ, ვერ ხვდები?

— კრისტიზე მეუბნები?
— შენ თუ გსურს, ასე დაუძახე, ჩემთვის ის ქრისტინეა.

— მერედა, რანაირი შენი ბიცოლაა კრისტი?

— მამაჩემის ბიძაშვილის შვილის ცოლია, სხვათა შორის.

— აუჰ! მამაშენის ბიძა-შვილის-შვილის ცოლი, — დამარცვლით წარმოთქვა, — რა „შორი“ ბიცოლა გყოლია!.. და ვინ გითხრა, რომ მასთან რომანი მაქვს?

— ბრმა არ ვარ, არც ყრუ და არც სულელი, რომ იცოდე.

— ეგ აღარ გაიმეორო, გთხოვ. და ნურავის უსმენ, ჭორია ეგ ყველაფერი, — დამაჯერებლად ჟღერდა მისი სიტყვები.

— ნუთუ?! თვალები გინდა ამიხვიო? მე არავის ვუსმენ. ყველაფერი თავად დავინახე და მოვისმინე.

— მომისმინე, ლოლა, ის ჩემი საყვარელი მარასდროს ყოფილა, გეფიცები. კი, ვაღიარებ, რომ მე-პრანჭება და ჩემი დათრევაც ძალიან უნდა, მაგრამ ეს ასე ადვილი არ არის. მე არ ვარ ორი თითის გატკაცუნებით შესაბამელი ბიჭი, გაიგე?

— დიდი წარმოდგენა გაქვს შენს თავზე.

— საკმაოდ. შენი აზრით, ეს ცუდია?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს.

— გინდა, ერთი ისეთი რამ გითხრა, რაც დაგაინტერესებს? ის შენი ქრისტინეა თუ ვილაც, ერთი ჩვეულებრივი კახპაა და სხვა არაფერი!

— ხვდები მაინც, რას ლაპარაკობ? ხომ არ გაგიჟდი!

— არა, არ გავგიჟებულვარ. ის ცდილობს, ჩემთან ის გაუვიდეს, რაც სხვასთან გასვლია, მაგრამ მე არ ვარ ის ადამიანი, მსგავსი ნებსებით ვითამაშო. სხვა თუ არაფერი, მისი შვილი ჩემი მეგობარია. ვერ ვიტან ქალებს, თვალებით რომ გაშიშვლებენ... ეგ თუ მშიერია, მისი ქმრის პრობლემაა და არა ჩემი, — თანდათან უწევდა ხმას ნიკა.

ცოტა არ იყო, უხერხულად ვიგრძენი თავი, ამას თუ მეტყოდა, არაფრით ველოდი.

— თუ შენი ყურით მოისმინე, გაიგონებდი ალბათ, რომ მკითხა, ეგ არის შენი საჩუქარიო? გაიგონე?

— კი, გავიგონე.

— და იცი, რატომ დამისვა ეს კითხვა? იმიტომ, რომ ვუთხარი, შენ ჩემთან შანსი არ გაქვს-მეთქი! ამ დროს შენც შემოხვედი. თუმცა, ვერ მიხვდი, იქ საიდან გაჩნდი. ან რატომ დროზე არ მითხარი, ნიკა თუ შენი ნათესავი იყო, რატომ მატყუებდი?

— მე შენ არ მომიტყუებხარ. არც არასდროს გიკითხავს ნიკუშაზე რამე და არც მე გამჩენია სურვილი, მასზე შენთან მელაპარაკა.

— ახლა არ მითხრა, თქვენი მეგობრობის შესახებაც არაფერი ვიცოდიო.

— არა, ეგ არ მითქვამს. ეგ ვიცოდიო.

— აი, თურმე, რატომ დადიოდი ეს დღეები გამეხებული! თურმე რა ეჭვები გღრღნიდა! რატომ დროზე არ მითხარი?

— მე შენგან ველოდი ახსნა-განმარტებას.

— მაგრამ მე არაფერი დამიშაგებია.

— ამიტომაც მეჯიბრებოდი?

— ეს შენ მეჯიბრებოდი და არა მე...

— ყველაფერი გასაგებია. დაამთავრე? — არ მინდოდა, კიდევ ერთხელ დავმარცხებულიყავი, არადა, ვგრძნობდი, იქითკენ მიდიოდა სიტუაცია.

— არა. კიდევ მაქვს რაღაც სათქმელი.

— გისმენ, — ხელები გულზე დავიკრიფე და ამაყი გამომეტყველებით კარის ძვირად მისვრდენი.

— იმ გოგოს ვეძებ, ვისაც ეს ფეხსაცმელი მოერგება. შენც ხომ არ მოისინჯავდი? — თქვა და ზურგს უკან დამალული ხელები გამოაჩინა... მუყაოს თეთრ ყუთს სახურავი ახადა და... იქ ის ფეხსაცმელი იდო, რომელიც მე მომეწონა ბუტიკში და ათას ორასი ლარი დამიფასეს. სირცხვილისგან გავწითლდი თუ ნამუსმა

შემანუხა, ვერ გეტყვით, თუმცა, აშკარა იყო, მისმა ამ შესტმა დამაბნია, სრულებით ამრია.

ერთხანს ვდუმდი, ვფიქრობდი, რა მეპასუხა.

— ეს რამეს შეცვლის შენს ცხოვრებაში? — როგორც იქნა, გამოვინახე საჭირო კითხვა.

— რამეს? რამეს კი არა, ყველაფერს, ჩემს ნამდვილ სახეს დამიბრუნებს, პირველ რიგში. მომბეზრდა და გომბეზოდ ყოფნა, მინდა, კვლავ პრინცად ვიქცე.

— შენ შენი თავი პრინცი გგონია?

— მეგონა... ახლა კი ერთი საწყალი გომბეზო ვარ, რომელიც კონკრეტულ დაუნდობელმა სიჯიუტემ გააუბედურა..

— მე გომბეზოც მომწონხარ, გიხდება, — ნიშნის მოგებით ვუპასუხე და კარის მიხურვა დავაპირე, მაგრამ ფეხი მსწრაფლ დაუხვედრა.

— არ გამწირო, კონკია, — თეატრალურად ტანჯული სახე მიიღო, — შენთან მინდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, შემოხვალ, მოვალეობას მოიხდი და ხვალდინ ისევ გაქრები ჩემი ცხოვრებიდან. მერე კი კვლავ უსასრულოდ უნდა ამომიღამდეს თვალები შენს მოლოდინში. მაღიზიანებს შენი ხასიათის ასეთი ცვლილება. შენ მაშინ ხარ ჩემთან, როცა შენ გინდა... და არასდროს, როცა მე მინდა! არ მინდა ასე! აღარ მინდა! — ვიყვირე აკანკალებული ხმით.

— არა, მე ბოლომდე შენთან ვიქნები. აი, ნიშნობის ფეხსაცმელიც მოგიტანე... გამომყვები ცოლად?

— არა! არასდროს! — ჩემი ჩურჩულით ნათქვამი ეს ორი სიტყვა სასიკვდილო განაჩენის გამოცხადებას უფრო ჰგავდა... მერე სწრაფად შევბრუნდი და კარი ცხვირწინ მივუჯახუნე.

თვალედახუჭული იქვე ჩავიკეცი, რადგან მუხლები მომეკვეთა. გარედან ჩამიჩუმი არ ისმოდა. როგორც ჩანს, ელოდებოდა, როდის მოვერეოდი ჩემს სიამაყეს და გავუღებდი კარს. ლოდინის წუთები გავწელი... ვორჭოფობდი, გამელო თუ არ გამელო. ბოლოს, მაინც არ მომიტმინა გულმა, მძიმედ წამოვდექი და ნელა გამოვალე კარი...

იქვე, ხალიჩის პატარა ნაგლეჯზე, მუყაოს თეთრი ყუთი იდო, ჩემი მოწონებული ფეხსაცმლით. ნიკა კი არსად ჩანდა... მორჩა, ყველაფერი დამთავრდა...

ყუთი ხელში ავიღე და გულზე მივიხუტე... ახლა მხოლოდ ის იყო ჩემი მხსნელი...



გზის გზნიღლები

ახდენილი წინასწარმეტყველება

მარი ჯაფარიძე

მივესალმები მკითხველებს და წინასახალწლოდ კარგ გუნება-განწყობილებას ვუსურვებ. როგორც ჩანს, ჩემმა მოცემულმა თემამ განაპირობა, რომ საკმაოდ მძიმე ამბები გამომიგზავნეთ. ამ კვირაში მგზავნელებისგან და მკითხველებისგან იმდენი საყვედური მივიღე, რომ სად წავიღო, აღარ ვიცი. იქნებ ხურჯინში „ჩაველაგო“ და საახალწლოდ ჩამოგირივოთ? ჯერ იმის შესახებ, თუ რისთვის მსაყვედურობენ: წინა კვირაში 4 დიდი ამბავი დაგვუქმდა და „გზავნილებს“ შესავალი არ გავუკეთე. ჰოდა, ატყდა ვაი-უშველებელი — ამ უღიბკას მესიჯებით (2 ამბავი მისი გამოგზავნილი იყო) ნუ შეგვჭამე, ასე შორს ვერ გაფრინდებო (გეცნოთ ეს სიტყვები,

რომელიმეს?)... რაც შეეხება შესავლის არქონას, გაგიმარტავთ: რადგან შესავალში ნათქვამ ჩემს ნებისმიერ თხოვნას იგნორირებას უკეთებთ (ზოგიერთს არ ვგულისხმობ), მეგონა, სულაც არ კითხულობდით და ერთგვარი ტესტი ჩავატარე. თურმე, ძალიანაც გულდასმით კითხულობთ და მით უფრო საინტერესოა, რატომ არ ითვალისწინებთ თხოვნას? მაგალითად, გამუდმებით მოგიწოდებთ, ერთმანეთს ნუ ჭამთ-მეთქი, მაგრამ... ჰოდა, ანი აღარ გისაყვედურებთ, რაც გინდათ, ის გიქნიათ... ბევრს აღარ გავაგრძელებ, მომდევნო „გზავნილებამდე“ დაგემშვიდობებით და თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გასართობად დაგიტოვებთ.

„— ოღონდ დღეს არა, დედა გენაცვალოს, — ცრემლიანი თვალებით შეჰყურებდა მოხუცი თავის ერთადერთ შვილს და იმედგაცრუებული, შვილის საქციელით გულშეკუმშული ემუდარებოდა, — დღეს წითელი პარასკევია, დედას თვალისჩინო, მალე აღდგომა მოვა, ქრისტიანული სამყაროს ყველაზე წმინდა დღესასწაული... ოღონდ, დღეს არა... ნუ გაჟღენთ მინას სისხლით, ნუ მორწყავ მამულს... მოხუცმა ცრემლები მოიწმინდა და საკუთარი უუნარობის გამო, წელს ქვემოთ მოწყვეტილ ფეხებს მუშტები დაუშინა...“

— ნუ წაიღე, ქალო, ტვინი! მივდივარ და მორჩა! — დაჭრილი მხეცივით იღრიალა კაცმა და ოთახის კარი გაიჯახუნა...

— მე, გადავცურავ ზღვას, მე მაინც მოვაალ, — ღიღინებდა ოთახიდან გამოსული, ახალგაზრდობის, თმაგანეწილი გოგონა და სულ არ აინტერესებდა ქმრის ადგილსამყოფელი, დედამთილის ტირილის მიზეზი და საერთოდ, ოჯახური პრობლემების აზრზე არ იყო...

— დღეს შენი ქმარი სისხლს დაღვრის, — თქვა ლიამ და ხმელეთზე გადმოგდებული თევზივით, ღრმად ამოისუნთქა...

მკიბა სოღვა



— ნუ გიყვარს გაზვიადება, შენ კიდევ! — ბრაზილიური სერიალის ბოროტი პერსონაჟივით შეჰყვირა უმადურმა რძალმა დედამთილს და ოთახიდან, ჯილდოს მისაღებად, მწყობრიდან გამოსული ჯარისკაცივით გავიდა. კედელზე ჩამოკიდებული, მოჩუქურთმებული საათი მ-ს უჩვენებდა... დრო უსასრულოდ გაინეღა... შვილის სახლში დაბრუნების მოლოდინში მყოფ დედას ერთი წამი არ მოუსვენია, აქეთ-იქით დააგორებდა ეტლს და თავს შვილ-

იშვილთან თამაშით ირთობდა...

— არის! ნახეთ, რა ნანადირე-ვია?! — სიხარულით სახეგადაბნეტილი შემოვარდა ოთახში ვაჟა და მონადირეული ირმის ხორცი ჰოლივუდური, შენელებული კადრის მსგავსი სიზანტით დაახეთქა მაგიდაზე. ქმრის საქციელითა და ვაჟკაცობით გახარებულ-აღფრთოვანებული ნუცი მამაკაცს შემოეხვია და ჩაკოცნა...

— ამ ამბავს კარგი სუნი არ უდის... დღეს ხომ... — გაიფიქრა ლიამ და ეტლი ოთახიდან გააგორა...

— წლების მატებასთან ერთად, სულ უფრო შტერდება, — სინანულით სავსე მზერა გააყოლა დედამთილს ახალგაზრდა რძალმა და ამოიკვნესა... მოჩუქურთმებული საათი ლამის 2-ის ნახევარს აჩვენებდა, როცა ოთახიდან ტრუსებიანი ლევანი გამოვარდა და დაიღრიალა:

— ახლავე კახეთში მივდივარ, ნინ, დედაშენთან!

— 5 ნუთმი მზად ვიქნები, საყ-

ვარელო, — თვალეები აენტო რძალს და ოთახიდან გასვლისას თავხედურად ჩაუკრა თვალი ინვალიდ დედამთილს...

აპრილის წვიმიანი ამინდი იყო... შაბათი.

— ჩუ, დედას კაცო, ჩუ! — ძუძუს უდებდა პირში ატირებულ ბავშვს წუცი და ამაოდ ცდილობდა აფორი-აქებულები ჩვილის დაწყნარებას.

— ფუჰ, ამის დედაც! რა საშინელი წვიმაა, მინების განმენდასაც ვერ ვასწრებ, — ბრაზობდა ლევანი და საკუთარ თავსაც არ უმხელდა, რომ ახლა ყველაზე მეტად სახლში მარტო დატოვებული, ინვალიდი დედა აღარდებდა.

— ნელა! გაჩუმდი! არა! ვაიმე! დედა მოგიკვდეს!

გონს საავადმყოფოს პალატაში, თეთრხალათიანებით სავსე ოთახში მოვიდა...

„დედა მოგიკვდეს, დედა მოგიკვდეს,“ — ჩაესმოდა ყურში ცოლის ხმა და ყვირილი უნდოდა.

პატიება, უფლისგან მიტევება, შვილის ჩახუტება, ცოლის თვალეები სურდა... გაახსენდა სისხლში ამოსვრილი პატარა, მკერდმოშიშვლებული და სისხლით მოსვრილი მეუღლე... გული შეეკუმშა, თითქოს ფეთქვა შეწყვიტა მისმა მაცოცხლებელმა, მფეთქავმა ორგანომ...

— ოლონდ ახლა არ დაინყო, დე, — მოთვინიერებული ცხოველივით მოლბა მთასავით უდრეკი კაცი მშობ-

ლის წინაშე, — ოლონდ ახლა არ თქვა, რომ...

დედამ უმადური შვილი გულში ჩაიკრა და ორივე ატირდა...

— ჩასაფრებული ვიყავი და ველოდებოდი, როდის გამოჩნდებოდა ჩემი მსხვერპლი, — ლაპარაკის საღერღელი აეშალა ლევანს და დასჯილი ბავშვის გამომეტყველებით საუბარი განაგრძო, — ბუჩქიდან შველი გადმოსტა... 5 წუთში გავაფრთხოვინე სული... იცი, რა ლამაზი თვალეები ჰქონდა?... — გაჩუმდი ლეო, ახლა უკვე გვიან...

— ლევან, გაიღვიძე, დე, ჩაიდავლიოთ, — ყვირის დაღონებული ღია და დამანყენარებელი აბების ფლაკონიდან გადმოგდებას ცდილობს. ოთახიდან არავინ პასუხობს...

— დაყრუვდი, ბიჭო? დღეს შენი ცოლ-შვილის გარდაცვალების წლისთავია, საფლავზე უნდა წავიდეთ, დროზე გაიღვიძე, — არ ცხრებოდა ღია.

ლევანის საძინებელში შესულ დედას საწოლზე წერილი დახვდა: „მამატიე, დედილო, მარტო გტოვებ... ვიცი, ძნელია, გამიგო და მამატიეო, მეც ვერ მივუტყვე ჩემს თავს... მე მკვლეელი ვარ! საკუთარი თავის, შვილის, ცოლის, სიხალისის მკვლეელი... ვეცადე გამოსწორება, მაგრამ ხომ იცი, კუზიანს მხოლოდ... გიოსთან მივდივარ, დე, უნდა ჩავუტო... ბოლო ერთი წელი, გამხმარ ხეზე დარჩენილ, უკანასკნელ, ყვითელ

ფოთოლს დავემსგავსე. სიცოცხლე-შივე მოვკვდი... ყოველთვის ცუდად გექცეოდი და ჩემს ცოლს ვუჯერებდი... ავი გითხარი, კუზიანს მხოლოდ... მელოდებიან... დედიო, მამატიე, რა... მიყვარხარ...“

ქალმა იკივლა. 5 წუთში მთელი სოფლისთვის ცნობილი გახდა ლევანის თვითმკვლელობის ამბავი...

— ღირსი იყო! — ამბობდა ერთი.

— ღმერთი მაღლიდან უყურებს, — ეპასუხებოდა მეორე.

— რაც დათესა, ის მოიმკო, — თქვა მესამე...

ღიამ ცრემლიანი თვალეებით გადახედა სეირის საყურებლად შეყვრილ მუზობლებს და დანანებით თქვა: „ჩამოვარდა და გათელეს“...

ახლა, როცა ბაბუ გარდამეცვალა, ვზივარ ლეოს საფლავის გაყინულ ქვაზე და „გზავნილს“ ვწერ... ალბათ, სიმბოლური დამთხვევაა, მაგრამ საფლავთან ახლოს გამხმარი კაკლის ხე დგას, რომელსაც მხოლოდ ერთი, ყვითელი ფოთოლი შერჩენია... ლევანი... სახლში მივდივარ და საკუთარ თავს ვეკითხები, მივიხედო უკან? ფიქრებში ჩამირულს, ფოთოლი მეცემა თავზე... ხეს უკანასკნელი ფოთოლი მოსწყდა... გავთელე... ფეხებზე დავიკიდე იმწუთას სიმბოლიზმიც და დამთხვევებიც... გადავუარე... ძნელია იმის აღიარება, რომ კუზიანს მხოლოდ სამარე ასწორებს. არაფრით განვსხვავდები სხვებისგან... „ღირსი იყო“... რუსისპირი (YELLOW)“.

ლეოს ნინოს წარმეტყველები მოგვალე

„მე და ნინო სკოლიდან ვმეგობრობდით. სამედიცინოზეც ერთად ჩავაბარეთ. ჩვენს ჯგუფში ერთი გამორჩეული ბიჭი სწავლობდა, სიმპათიურიც იყო, პოეტურიც და ძალიან მხიარულიც. ბექას ნინო ერთი ნახვით შეუყვარდა. მახსოვს, ბექა ოთახში პირველად რომ შემოვიდა, მაშინვე ნინოსთან მივიდა და უთხრა, ერთი ნახვით შეყვარების გჯერაო? ნინოსგან უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, გაუღიმა — მაშინ გავალ და მეორედ შემოვალ! ჩემი მეგობარი ძალიან ლამაზი, მაგრამ უკარება იყო. ვერც ბექას რომანტიკულმა სიურპრიზებმა, ვერც ექსპრომტად შექმნილმა გულისშემძვრელმა ლექსებმა გატეხა ნინოს შეუვალი სიჯიუტე და დასახული მიზნიდან ოდნავადაც ვერ გადაახვევინა. მისთვის მხოლოდ სწავლა იყო მთავარი და მიზნად ჰქონდა დასახული, სანამ წარმატებული ექიმი არ გახდებოდა, გათხოვებასა და სიყვარულზე არ ფიქრობდა. მთელი სა-



წავლებლის გოგონები ბექაზე იყვნენ შეყვარებული, მაგრამ ნინო მათ რიგში არ იყო. ერთ დღეს, ყველაზე მკაცრი ლექტორი ლექციას გვიტარებდა. ამ დროს დაცემინების უფლებაც კი არ გვქონდა. ბექა კი წამოდგა, ნინოსთან მივიდა, დაუჩოქა და თითქოს გულიდან ამოხდა ლექსი (საკუთარი), რომლითაც ფაქ-

ტობრივად, ცოლობა სთხოვა. ისეთი გრძნობით წაიკითხა, რომ ლექტორსაც კი, ყვირილის ნაცვლად, ოხვრა აღმოხდა: „შენ ბედისწერა იქნები ჩემი, გულით იტირებ ჩემს ცივ სახესთან, რადგან შენ ჩემი იქნები მკვლეელი და ამ სიყვარულს აქცევ სასჯელად“. ყველა ნინოს შევყურებდით მუდარის თვალით. მან კი უკმეხად უპასუხა, თავს იმცირებ მხოლოდ, შენ ჩემი აზრი იციო. რა დამაზინეებს ბექას თვალეებს... წამოდგა, ნინოსთან ძალზე ახლოს მივიდა, თვალეებში ჩახედა და უცებ ბუე გავიდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა. იმ დღეს ნინოს ხმა ვეღარ გავეცი. ის დღე იყო და ის, ბექა აღარ გამოჩენილა. საბუთები



გაიტანა და გავიდაო, გვითხრეს. მერე პირადული მიზეზების გამო მეც დავტოვე სასწავლებელი. მე და ნინო ისევ ვმეგობრობდით. არ ამხელდა, მაგრამ ვიცოდი, ბექა ძალიან აკლდა და ენატრებოდა. მწლის შემდეგ ნინო კურსელის ქორწილში მიდიოდა. საჭესთან მისი ძმა იჯდა. ვინაიდან აგვიანებდნენ, ნინო ძმას სთხოვდა, სწრაფად ევლო. ნაწვიმარი იყო და დიდი სიჩქარით მოძრავი მანქანა მოცურდა, საპირისპირო მხრიდან ასეთივე სიჩქარით მომავალ მანქანას შეასკდა და გადაიჩხება. ნინო შოკიდან მალე გამოვიდა, სერიოზული არაფერი სჭირდა. „სასწრაფო“ და

პატრული მოსულიყო, ძმა მოიკითხა, ისიც ცოტათი დაშავებულიყო. — მეორე მანქანის მძღოლი ძალიან მძიმედ არის, მისი გადარჩენა საეჭვოაო, უთხრა ექიმმა. ნინოს ახლალა გაახსენდა, რომ სხვას შეეჯახნენ. მანქანა უკვე ამოეყვანათ. მძღოლს საკაცებზე აწვინდნენ. ნინო მიუახლოვდა და ახალგაზრდა, სისხლით შეღებილ ბიჭში ბექა ამოიცნო. ის გონზე იყო. ბექამაც იცნო ატირებული, გაოგნებული ნინო. გაღიმება მაინც შეძლო. „შენ ატირდები... ჩემო ბედისწერა“... ჩაიჩურჩულა და მზერა უაზრო გაუხდა. იმ საღამოსვე გარდაიცვალა ბექა. ამ ამბიდან

მხოლოდ ორიოდე თვე გავიდა. ნინოს ბოლოს ერთი კვირის წინ შევხვდი და გავოცდი. სადღა იყო მომხიბლავი გოგო. ჩამქრალი სახე და უაზრო მზერა ჰქონდა. ჩემთან საუბარი ბექათი დაიწყო და იმითვე დაასრულა... ის მე მოვკალი, მე ვაჩქარებდი ძმასო, — და იცით, რა გამიმხილა? საკუთარ თავს არ ვუმხელდი, მაგრამ ახლა ზუსტად ვიცი, ის ერთადერთი იყო, ვინც მიყვარდა და მიყვარსო. უცნაურია, არ აღიარო ცოცხალი და შეიყვარო მკვდარი, მაგრამ ეს მართლაც ასე მოხდა. P.S. მაპატიე, ნინო, საჯაროდ ამ ამბის გამოტანა. უბრალოდ, მგზავნელი“.

მუტრუკი და უსაქმური თუ პატარა და მუშა?

„შოთას ქვრივს სანამ შეეძლო, ქმრისგან ნასახსოვრებ განძს, ორჯველ ბიჭს დედობასაც უწევდა და შეძლებისდაგვარად — მამობასაც. ორივენი მამასავით ჯანიანები იყვნენ, თუმცა იმ მოზღვავებულ ძალას, რომელიც ორივეს ბლომად ერჩოდა მკლავში, ვერაფერში და ვერანაირად იყენებდნენ, სიზარმაცის გამო. ბიჭებს მამის მხრიდან ერთი უხერო ბიძაშვილი ჰყავდათ. თავი ყველაზე მცოდნე ეგონა და დაუკითხავადაც ბევრჯერ ჩარეულა სხვების, განსაკუთრებით კი — ბიძაშვილების ცხოვრებაში. ხათუნას, ქმრის ბებოისგან, ხის სახლიც ერგო წილად. ქალმა სახლის დანგრევა გადაწყვიტა. უფულობის გამო მუშები ვერ დაიხმარა და შვილებს სთხოვა, სახლი დაანგრეთო. ბიჭები შეიშუშუნენ და დარდისგან და ჯაფისგან გალულ დედას, კაცური კაცივით დაარტყეს მხარზე ხელი, რა პრობლემააო. მოკლედ, ბიჭები სახლის დასანგრევად მეორე დღეს წავიდნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სასაცილო (უფრო — სატირალი) იქნებოდა? ორმა ჯველმა ბიჭმა მთელი საათი „კრუგი“ ურტყა ხის მომცრო სახლს და ვერ გაიგეს, ნგრევა საიდან დაეწყოთ. ამ დროს, მშველელად მათზე არანაკლებ დონდლო ბიძაშვილი მოველინა და როცა სიტუაციაში კარგად გაერკვია, მოჭუტული თვალებით რამდენჯერმე გაიმეორა: — მაშ, სახლი უნდა დაანგრიოთ და ვერ გაგიგიათ, საიდან? — მერე უცებ წამოიყვირა, სახლის ნგრევა ყველაზე ადვილი ნაწილიდან უნდა დავიწყოთ ანუ პირველ რიგში, კიბე უნდა მოვანგრიოთო და თავისი თავით კმაყოფილი, მხრებში გაიმ-

ართა. ძმები ბიძაშვილს დაეთანხმნენ და თვალსა და ხელს შუა მოანგრიეს კიბე. ახლა რა ვქნათო? — მიმართეს ძმებმა ბიძაშვილს. — ახლა რა ვქნათ და ქვემო სართული რომ მოვანგრიოთ, ზემოთა თავზე დაგვემხოზა. ამიტომ, ჯერ ზედა სართული უნდა მოვანგრიოთ, მაგრამ ამისთვის კიბე გვესაჭიროებაო, ჩამოარაკრავა დათომ და დაბნეულმა შეხედა მასზე არანაკლებ დაბნეულ ბიჭებს. ხათუნამ საღამოს, შვილებს გადააკითხა. გზაში მეზობლის ქალი, დიანა შეხვდა, რომელსაც ხათუნას ბიჭებზე ამოსდიოდა მზე და მთვარე (უკან კიდეც — ვარსკვლავები) — რა ჯანიანი ბიჭები გყავს, ჩემები მიწას არ აჩნევიათო. — სამაგიეროდ, შენები ისეთები არიან, ქვაზეც კი საზრდოს იშოვიანო, — გული გაუკეთა ხათუნამ. ამ ლაპარაკ-ლაპარაკში, ხათუნა და დალი იმ დროს დაადგნენ ჯაფაში მყოფ შვილებსა და მახლიშვილს თავზე, როცა მონგრეულ კიბეს ხელმეორედ აკეთებდნენ. საბრალო ქალმა თავში წაიშინა ხელები, — რას შვრებით, თქვე ურჯულოებოო. — რას ვშვრებით, დედი და კიბეს ვაშენებთო, — მოკლედ უპასუხა უფროსმა შვილმა

და დედის ბრაზიან სახეს თვალი აარიდა. ხათუნა დიანას მიუბრუნდა (რომელსაც გაკვირვებისგან თვალეზი შუბლზე ჰქონდა ასული და აშკარა იყო, ერთი სული ჰქონდა, ბიჭების უთავბოლოების ამბავს მთელ უბანს როდის მოსდებდა) და შვილების მოუხერხებლობით იმედგაცრუებულმა უთხრა: — ამხელა მუტრუკი, უსაქმური შვილების ყოლას, შენი ბიჭებივით პატარა და მუშა შვილები რომ მყოლოდა, არ სჯობდაო? ქალი გუნებაში დაეთანხმა, სჯობდა, როგორ არ სჯობდაო, მაგრამ მისთვის აღარ უთქვამს. ბიჭების სიყოჩაღის ამბავი ანეკდოტად დადის და ჩემს ყურამდეც ჩემი მეგობრის, ბაიას წყალობით მოვიდა. ლუნა“.

„სიფლელი ვირთხის“ შურისძიება

„— სოფლელი იდიოტი! ძროხასავით ვწველი, — დაიტრაბახა დაქალებში გოგომ, რომელსაც ბიჭის პატივისცემა თავში ჰქონდა ავარდნილი და „გამოჭყრილი“ ყმანვილის დამცირებას მოჰყვა, — იმდენად დეგენერატია, თვალში ნაცარს ვაყრი და ვერც ხვდება... ერთი გაღიმება, გაპრუნული ტუჩები, ამოღებული მაისური, ხელის მოფათურება უადგილო ადგილას



ცხმაგების თავიდან დაწყებას
მომ შეიძლებოდა, სული ამ
დავიწყებლი

და კაფეში ჯდომა გარანტირებული მაქვს! ყველაფერს ყიდულობს, რასაც ვთხოვ, მგონი, შევუყვარდი ბიჭს! — წარმოთქვა გაპრუნული ტუჩების სექსუალური მოძრაობით და ეშმაკურად გაიცინა.

— რა სოფლელი იდიოტი, გოგო, უჯიგრესი ადამიანია, პირადად მე, ძალიან მომწონს გიო. მხიარული, განათლებული და საკმაოდ „სიმპო“ ტიპია, — არ დაეთანხმა ერთ-ერთი დაქალი „მწველი ძროხის“ გამოჭერით კმაყოფილ გოგონას და შაყირის მთავარი ობიექტი კბილებით დაიცვა...

ყველაფერი კი ასე დაიწყო: როცა „გზავნილები“ პირველად წავიკითხე, თითოეული დამმესიჯებლის, ამ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდების, სიტბოს მფრქვეველი ხალხის გაცნობის სურვილმა შემიპყრო... მერე იყო პირველი მგზავნელური, ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში. როგორც ყველგან, მგზავნელებშიც აღმოჩნდნენ ამრევები და სწორედ აქ იყო პირველი იმედგაცრუება... აღმოვაჩინე ადამიანი, რომელსაც სამესიჯო არასდროს აქვს, აღმოვაჩინე ვერა ქობალიაზე უფრო დაკავებული მგზავნელი, რომელსაც მოსაკითხად დრო არასდროს აქვს. იყო ასეთიც: საკმაოდ სიმპათიური გოგონა, რომელსაც ისე შევხვდე, როგორც გოგოს! ეს იყო გამონაკლისი — უიშვიათესი შემთხვევა, როცა გოგო მთლიანად მოგწონს, მისი გამოხედვა, ღიმილი, თმა, თითოეული დეტალი გაგზნებს... თბილისში ჩემი მოკლევადიანი ვიზიტის დროს კაფეში დავპატიჟე და ასე მოვიქეცი მეორედაც... მერე იყო ტკივილი... თურმე „მწველიდა“, მიყენებდა, „მხმარობდა“... ჩემმა გულშემატკივარმა დამირეკა და მითხრა: აღარ დაგიხანსო, სიახლოვეს გაეკარო.

ერთხელაც, „სოფლელი იდიოტი“ თბილისს ვესტუმრე, „საგელფრენდეს“ დავურეკე და პაემანი საყვარელ კაფეში დავუნიშნე. მყარად მქონდა გადაწყვეტილი, შური მეძია — მოღალატე, მატყუარა, გამცუსტურაკებელი მგზავნელი „გამენადგურებინა“...

— 2 ყავა, 2 ნაყინი, ხილის ასორტი, ხაჭაპური, ხინკალი, მინერალური წყალი და ნატურალური წვენი, ქაბაბი, კიტრი-პომიდვრის სალა-

თა, 2 ნამცხვარი და ერთი ბოთლი წითელი ღვინო, — სხაპასუპით ვაძლევდი შეკვეთას ოფიცინტს და ცალი თვალით გოგონას გაფართოებულ თვლებს ვუყურებდი.

— არ იყო ამდენი რამ საჭირო, სისხ, — სიხარულით გაბადრულიყო „მწველავი“...

„ჩემი შურისძიების გეგმა ხუთიანზე მიდის“, — გავიფიქრე და ეშმაკურად გავიღიმე...

— რამდენი ვჭამე, ძალიან გემრიელი კერძებია, — 9 თვის ფეხმძიმესავით მოისვა ხელები მუცელზე და ნიკაპზე მაკოცა...

— ტუალეტში გავალ და ახლავე დავბრუნდები, საყვარელო, — ზიზღით გაუღენთილი სიტყვებითა და ნაძალადევი სიცილის დართვით წარმოვთქვი „სოფლელმა ვირთხამ“ და გოგონას გავერიდე...

იმის შემდეგ, როგორც ბარაკ ობამას უნახავს ფონიჭალა, ისე იმ ვაიმგზავნელს — თქვენი მონა-მორჩილი... ეს ის უიშვიათესი შემთხვევა იყო, როცა საკუთარმა ცუდმა საქციელმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა... როგორც შემდეგ გავარკვიე, მობილური და პირადობის მონშობა დაუტოვებია კაფეში, ჭურჭელიც დაურეცხავს და საფასურიც ასე გადაუხდია. ახლა, რომც მეხვეწოს, უკვე ველარ შეძლებს ამ შეცდომის გამოსწორებას. P.S. ახლა აღარ მომწონხარ, ბანძოო!.. P.P.S. ეს უნდა მეთქვა... რუისპირი (YELLOW)“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„ახლა სახლში მარტონი ვართ მე და ჩემი პანუკა. მშვიდად სძინავს, მე კი ვკითხულობ და გადავწყვიტე, ჩემი ამბავი მომეწერა. გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი. ცოლად გავყევი ადამიანს, რომელსაც ცოლი და შვილი ჰყავდა. მაგრამ ახლა ვხვდები, არ უნდა გავყოლოდი, რადგან მე რომ არ გამოვჩენილიყავი, შეიძლება, შვილი არ დაეკარგა — ჩემ გამო შვილს არ აჩვენებენ. ამას განიცდის, არ უნდა, მე დამანახვოს, რომ არ ვინერვიულო, მაგრამ სულელი ხომ არ ვარ? ვხვდები. თან, ამ ბოლო დროს ხშირად ვკამათობ. მეუბნება, რომ მე ერთადერთი ქალი ვარ და სხვა არ აინტერესებს, მე კი ვეჭვიანობ

ყურადღება! თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მის ყოფილ ცოლზეც კი. მისი ახლობლებიც ცუდად შემხვდნენ და ძალიან ცუდი სიტყვებით მომიხსენიეს. აღარ ვიცი, რა ვქნა, რადგან მართლა მთელი გულით მიყვარს“.

„მარ, გამარჯობა! პირველად გწერ. ნამდვილად დავუშვი ისეთი შეცდომა, რასაც ყოველთვის ვინანებ. შემიყვარდა ბიჭი, რომელიც მატყუებდა და თავის სიყვარულს მაჯერებდა. შემდეგ რამდენჯერმე დამირეკა და გამლანძღა. თუმცა, მაინც დავქორწინდით. ჯვარიც დავინერეთ და ანგელოზივით შვილი გვყავს. ბავშვს აღმერთებს და მეც დარწმუნებული ვარ, რომ ვუყვარვარ. ამ ცოტა ხნის წინ კი მიმატოვა და 28 წლის ქალში გამცვალა! გამცვალა თვალის დაუხამხამებლად! მითხრა, აღარ მიყვარხარ და უნდა დავშორდეო! მე მას დავანახვე ჩემი ცრემლები, რაც არ უნდა მექნა. ძალიან შევცდი. საკუთარ თავს ვერასდროს ვაპატიებ ამ ცრემლებს. ვითომ თავნება“.

„მოკლედ, 2 წლის წინ ბათუმში ვისვენებდი და იქ გავიცანი. იხრჩობოდა და როგორ გამოვიყვანე წყლიდან, არ მახსოვს. წყალი კი გვარიანად ვყლაპე, ლამის მეც დამახრჩო. შემდეგ დავმეგობრდით და ერთმანეთიც შეგვიყვარდა. აღმოჩნდა, რომ ერთ უნივერსიტეტში ვსწავლობდით. სამუხაროდ, მანვე ჩვევები ვერ მოვიშალე, გოგოსთან შემომისწრო და დამშორდა. არადა, მარი მართლა სიგიჟედ მიყვარს. ახლა სხვა ადამიანი ვარ, ის სისუსტეები აღარ მაქვს, რის გამოც დამშორდა. გამოსწორების გზას დავადექი, არც ერთ გოგოსთან აღარ მაქვს ურთიერთობა, ყველას დავშორდი. ამ მესიჯით მინდა მარის ვუთხრა, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და ამ ყველაფერმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. ცხოვრების წესი შევიცვალე, ეკლესიური ცხოვრება დავინიყე და სტიქარაც ჩავიცვი. მარი, მიყვარხარ და ყოველთვის დაგელოდები, თუნდაც ეს ლოდინი არასოდეს დამთავრდეს. ძალიან გთხოვთ, რომ ეს მესიჯი დამიბეჭდოთ. წინასწარ დიდი მადლობა. დადუ“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ცოდვა გამხელილი სჯობს“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე 877.456861 ან მომწეროთ ელფოსტაზე marorita77@yahoo.com



„დამნაშავე დაუსჯელი არ უნდა დარჩეს“

„რჩევის კი არა, სემის ღირსი ხარ“

„გზის“ №48-ში დაიბეჭდა სოფოს მესიჯი, რომელიც გვწერდა: „ერთ ზაფხულს მამას სოფელში, დასასვენებლად წავედი. არდადეგები რომ დასრულდა, მამას რაღაც პრობლემა შეექმნა და ჩემს ჩამოსაყვანად ახლო მეგობარი გამოუშვა, რომელიც 42 წლისაა. თბილისში რომ მოვდიოდით, გზაში დალია, მანქანა გადააყენა და ჩემზე ძალა იხმარა, მერე კი დამემტურა: არსად თქვა, თორემ ოჯახს ამოგიჟლებო. მას შემდეგ ხშირად მეორდებოდა იგივე სხვათა შორის, ცოლ-შვილიც ჰყავს.“ თურმე სოფო მისგან დაორსულდა კიდეც და აღარ იცის, როგორ მოიქცეს.

ლიკა ქავაია

ბარია:

„ვაიმე, ეს რა მოგვწერე... ალბათ, პირველად ძალიან შეშინდი, მაგრამ სიმართლის სათქმელად მერე მაინც უნდა მოგვეკრიბა ძალა. ისე, არც ახლა გვიან; ეგ ისეთი ლაჩარი ჩანს, ვერაფერს იზამს. მაგრად მისაყუი კი არა, ასაკუნია. საზოგადოებაში მოძალადის ადგილი არ არის.“

ბრუზინა:

„სამართალდამცავ ორგანოს უნდა მიმართო. წარსულისგან განსხვავებით, დღეს დამნაშავე დაუსჯელი არ რჩება და მას აუცილებლად, ციხეში უკრავენ თავს. ჯობია, თავიდან გამწარდე, ვიდრე მთელი ცხოვრება გაიუბედურო. ახალგაზრდა გოგოს მომავალი დაგიმახინჯა და ეს ამბავი როდემდე უნდა მალო?..“

ზასასუნა:

„ჩემო კარგო, შენი წერილის წაკითხვის შემდეგ ცუდად ვარ. ნუ გეშინია, ეგ ადამიანი ძალიან უსუსური ჩანს და ვერავის ვერაფერს დაუშავებს. ჯობია, ეგ საიდუმლო დედას გაანდო. უკეთესი იქნებოდა, მშობლებისთვის ყველაფერი თავიდანვე გეთქვა — ასე ამ არასასურველ ორსულობასაც აიცილებდი თავიდან. ნუ გეშინია, ღმერთი არ გაგწირავს.“

მისტარ:

„ეს ვითომ ნამდვილი, არადა, სიაფანდი ამბავი რამდენ დაქალთან ერთად მოგვწერე? თანაც, შინაარსობრივად ერთ ძველ პრობლემას ჰგავს (გოგო და მამამისის მეგობარი რომ „ლლიდნენ“ ერთმანეთს და მათ ამ გოგოს დამ შეუსწრო). ასეთი ეჭვი იმიტომ გამიჩნდა, რომ შენს პრობლემაზე ძალიან მსუბუქად ლაპარაკობ. ჰოდა, 108%-ით ვარ დარწმუნებული და თუ გინდა, „ხერხის“ ბილეთებზე დაგენაძლევი, რომ „გვაბოლებ“. P.S. ლიკ, პირადად ჩემთვის, მაგარი გამართობი და „გამსიცილებელი“ რუბრიკა გაქვს, ამ ხალხის გამო.“



აური:

„ცუდ მდგომარეობაში ხარ. ხომ იცი, ადრე თუ გვიან, სიმართლე გაირკვევა, ღმერთი კი ყველას თავისას მიუზღავს. სიმართლე თქვი და მამაშენს უთხარი, რომ ყველა ნაცნობი ძმაცად არ უნდა მიიჩნიოს... ბავშვზე კი უნდა იზრუნო, აბა, რას იზამ? მამის გამო ჯერ კიდეც დაუბადებელმა პატარამ პასუხი არ უნდა აგოს.“

თაზო:

„ჯერ სამართალდამცველებს უთხარი ყველაფერი და მერე — მშობლებს. შენს ოჯახს პოლიციელები დაციკვენ.“

ლორწინა:

„ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ფურცელზე გადატანილ და შელამაზებულ „საპნის ოპერას“ ვკითხულობდი. ჯერ მარტო „ესემესის“ შესავალი რად ღირს, მერე მთელ ტექსტში ერთმა სიტყვამაც ვერ მაგრძნობინა შენი ტკივილი. რა ვიცი, ეს ჩემი სუბიექტური აზრია და... ვერ წარმომიდგენია, ადამიანმა ამდენ ხანს აიტანოს დამცირება და თან — ასე მშვიდად მიჰყვებოდეს ცხოვრების დინებას. P.S. თუმცა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი იოლად ეგუება არა მარტო გარემო

პირობებს, არამედ სინდისის დაკარგვასაც, ყველაფერი გასაგები ხდება.“

ზავი მარბალიტი:

„იმ კაცმა ყველაფრისთვის პასუხი უნდა აგოს! არ დაუშვა, რომ სხვებსაც შენსავით მოექცეს, ყველაფერი მშობლებს უამბე. მისი ნუ გეშინია, სხვას ვერაფერს დაგიშავებს თუნდაც, იმ ბავშვის გამო, რომელიც გეყოლება. P.S. პატარის მოშორება არც იფიქრო. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

რუსკა 20:

„მისნაირ კაცებს მხოლოდ მუქარა შეუძლიათ, სხვა არაფერი. გირჩევ, მშობლებს სიმართლე უთხრა, ცხოვრება საბოლოოდ არ დაინგრიო.“

SCOUSER KATE:

„მართლა რა საშინელ დღეში ხარ. ნუთუ, იმ არაკაცს ვერაფერი შეაჩერებს? არც კი ვიცი, რა გითხრა... პოლიციაში უჩივლე და შეეცადე, ციხეში გამოკეტონ.“

ლუნა:

„ვიზიარებ შენს ტკივილს. იცი, ყველაზე მეტად როდის შეცდი? მაშინ, როცა სიმართლის გამხელის შეგეშინდა. ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ, — შიში ოხერი რამააო. ის ადამიანს აბრმავეს, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში უშლის ხელს. მერწმუნე, სანამ მუქარას შეასრულებდა და ოჯახს ამოგიჟლებდა, მანამ ციხეში ამოყოფდა თავს, შენი შეცდენის გამო. ოჯახს სიმართლე გაუმხილე; იმ კაცს არ აპატიო, შეურაცხყოფა რომ მოგაყენა... შვილი რომ გააჩინო, მერე გათხოვება ძალიან გაგიჭირდება, მაგრამ თუ მოიშორებ, დიდ ცოდვას ჩაიდენ. მოკლდე, არ ვიცი, რა უნდა გირჩიო, გარდა იმისა, რომ სიმართლე უნდა თქვა. ისე, როცა მუცელი გაგებერება, ყველაფრის აღიარება მაინც მოგიწევს. P.S. ლამაზ ცხოვრებას გისურვებ!“

რუსკარი (yellow):

„დებილი ხარ, უტვინო, სულელი, დეგენერატი თუ ამ ყველაფრის „ასორტი“? არ ვიცი, რა როგორ მოხდა, მამამ ვინ გამოგიგზავნა, ავად გახდა ვინმე თუ ის კაცი სასმლით „გასკდა“, მაგრამ ფაქტი ერთია: შენზე ძალა იხმარა! არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ ჩემი აზრით, ამ ყველაფერმა რალაცნაირი სიამოვნება მოგანიჭა და ეს მაზოხისტური საქციელი დღემდე გრძელდება. ოჯახი ამოგიწყვიტოს არა, ტოლმა, შენ შენი თავი გგონია მსხვერპლი, მაგრამ აბა,



დაფიქრდი, ამ ვითარებაში ყველაზე ცოდვა მამაშენია, ასეთი არაკაცი ძმაცაცის ყოლის გამო... დღეს მარტოხელა დედობა აღარ „ტეხავს“ და მაგაზე ნერვიულობით ნუ მოიკლავ თავს. ისე, ბავშვის ყოველი გამოხედვა ძალადობის ფაქტს გაგახსენებს და ამისთვის ფსიქოლოგიურად უნდა მოემზადო. P.S. ყოველთვის გახსოვდეს, ერთი საფანტით ჩიტებს ვერ ხოცავენ!

უცნობი:

„გაგიჟებული ვარ, ხალხმა სულ დაკარგა ნამუსი. სიმართლე თავიდანვე რატომ არ თქვი? მამას ყველაფერი უთხარი, თორემ მერე გვიანი იქნება. ნუ ინერვიულებ, ის კაცი შენს ოჯახს ვერაფერს დაუშავებს; რაც გააკეთა, იმაზე უარესს ვერაფერს იზამს“.

უცნობი 2:

„იმ კაცმა საკუთარი საქციელის გამო პასუხი უნდა აგოს. ამდენ ხანს რატომ აძლევდი უფლებას, შენზე ძალა ეხმარა? საქმე იქამდე არ უნდა მიგყვანა, რომ დაორსულებულიყავი, ახლა კი ძალიან გვიანია. შენი დუმილით, ფაქტობრივად, ცხოვრება დაინგრეი“.

რიტუა, მცხეთა:

„შვილო, მაგას ფიქრი და კითხვა რად უნდა? — სიმართლე არა მარტო მშობლებს უნდა უთხრა, არამედ დახმარებისთვის სასამართლოსაც უნდა მიმართო. თავი არ დაიღუპო“.

კოზანოსტრა:

„შვილისტოლა გოგოზე ძალას რომ გამოიყენებს და დააორსულებს, იმ კაცს საერთოდ უნდა გაუშქმო გამრავლების ფუნქცია. მშობლებს დაეღობარაკე და აუხსენი, რაც მოხდა. რა ოჯახი უნდა ამოგინყვიტოს, ქვეყანა ჩაღიოთ კი არაა დახურული. გამაგრდი, ახლა რთული დღეები გელის. გთხოვ, შემატყობინე, რას გადანყვეტ“.

ძაბი:

„ამას ვერ გაბედავს, შენი დაშინება უნდოდა და ამიტომაც დაგემუქრა. მერწმუნე, ამ ამბის გამჟღავნების თავად ეშინია, რადგანაც შენი გაუბატიურებისთვის ციხეში ჩასვამენ. ისე, მაშინ დაუცველი იყავი და შენზე ძალა ამიტომ იხმარა, მაგრამ მერე ურთიერთობაზე რატომღა თანხმდებოდი? როგორ დაუჯერე, რომ ოჯახს ამოგიყლევდა? ძალიან მეცოდები... ჯობია, სიმართლე მანამ თქვა, ვიდრე მუცელი გაგებრდება. ისე, იმ კაცს არ რცხვინია, თქვენთან რომ მოდის ხოლმე სტუმრად?“

სურო:

„ამ ამბავს ისე ჰყვები, თითქოს არც შენ იყავი წინააღმდეგი. სანამ არ დაორსულდი, ხმა რატომ არ ამოიღე? პირველივე შემთხვევის შემდეგ მამაშენისთვის სიმართლე უნდა გეთქვა; მან უნდა იცოდეს, რომ ნაძირალასთან მეგობრობს. ყველაფერი აღიარე!“

თათრო:

„მინც, როდემდე აპირებ მის საყვარლობას? არ გიფიქრია, რომ ამ ყველაფრით ოჯახს შეურაცხყოფ? ისე როგორ ხვდებოდი, რომ ამას ვერავინ ამჩნევდა? ალბათ, ეს შენც მოგწონდა, თორემ სიმართლეს მეგობარს მინც ეტყოდი. მშობლებს უფლება აქვთ, იცოდნენ, რა მოხდა. იმ კაცის ადგილი ციხეშია, ის ოჯახის ქონის ღირსიც არაა... P.S. ისე, ზოგი როგორი არაკაცია, არა?! ღმერთი დაგეხმაროს და სწორ გზაზე გატაროს“.

ნაიო:

„ბოროტება სიმართლის დამალვით იწყება. კი, მაგრამ შენთან ურთიერთობას ხშირად როგორ ახერხებდა? — მისგან თავის დაცვა არ შეგეძლო თუ ეს პროცესი უკვე შენც გსიამოვნებდა? გირჩევ, მშობლებს სიმართლე უთხრა“.

ძალი ეზოზობია:

„გოგონი, სერიალებს ხშირად უყურებ? რაებს ლაპარაკობ, სულ გაგიჟდი? არ მინდა იმის დაჯერება, რომ ჩვენს ნამცეცა ქვეყანაში ამდენი და ასეთი ამბარზენი საზოგადოება გვყავს“.

ნათია გაყავილი:

„რა საშინელებაა. სამწუხაროდ, დღესდღეობით უამრავი მოზარდი ხდება ძალადობის მსხვერპლი... სიმართლე თავიდანვე უნდა გეთქვა და იმ კაცს ისე მიხედავენ, როგორც საჭირო იყო. ახლა უარესი არ დაგემაართა? ჯობს, ყველაფერი აღიარო. წარმატებები!“

ატარამია:

„რალაც არ მჯერა, რომ მამის ძმაცაცს შეეძლო, ასე მოგქცეოდა. შემთხვევით, გზაში ცოტა შენც ხომ არ დაგიღვევია? ან ვთქვათ, მაშინ ძალა გამოიყენა, მაგრამ სხვა დროს რატომღა აძლევდი უფლებას, ისე მოგქცეოდა, როგორც სურდა? შანტაჟი და რამე?.. ახლა გეტყვი, რაც მოხდება: დიდ სკანდალს უნდა ელოდო, მაგრამ ის ცოლად მინც არ მოგიყვანს და შენც აბორტს გაიკეთებ — აბა, ახალგაზრდა გოგო მომავალს ხომ არ გაიფუჭებ (ვითომ არ გაიფუჭე უკვე)?! ჰოდა, გზას, რომლისკენაც შესაძლოა, გადაუხვიო, ბოზობისკენ სავალი გზაა. P.S. ღმერთმა ქნას, სხვა გზა აირჩიო“.

ბანანა (ათანი):

„ყველა შეცდენილი გოგო ამბობს: — მან ჩემზე ძალა იხმარაო! კარგი, ვთქვათ დაგიჯერე, მაგრამ თუ ასე იყო, სიმართლე რატომღა დამალე ან შემდეგ რატომ ხვდებოდი? გეშინოდა?.. არა, ალბათ, ამ ურთიერთობის საწინააღმდეგო თავადაც არაფერი გქონდა. შენ რჩევის კი არა, ცემის ღირსი ხარ“.

„ყველაფერი დაინგრა, სმოვრება უაზრო გახდა“

დატანჯული გოგო:

„გამარჯობა. თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. ვარ 17 წლის. უკვე 3 წელია, კლასელი მიყვარს, მაგრამ ეს არავისთვის, მით უმეტეს — მისთვის არ მითქვამს და ძალიან ვიტანჯები. ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ მას შეყვარებული ჰყავს. ცუდად გავხდი, თითქოს მეხი დამეცა... ყოველთვის მეგონა, რომ იმ ბიჭსაც მოვწონდი, ახლა კი ყველაფერი დამთავრდა, ჩემთვის ცხოვრება უაზრო გახდა. არ ვიცი, მის გარეშე რა მემუშვლება, რადგან ძალიან მიყვარს. გთხოვთ, დამიბეჭდოთ და რამე მირჩიოთ“.

„შეყვარებულს არ ვინდობი...“

ანა:

„ამ ზაფხულს ერთი ბიჭი გავიცანი, მასთან ურთიერთობა გავაბი და ერთმანეთს დღემდე ვეკონტაქტებით. მეუბნება, რომ ვუყვარვარ, მაგრამ არ ვინდობი, რადგან ისეთი ყურადღებიანი არ გახლავთ, როგორც სხვები არიან. ამას წინათ კლასელმა მითხრა, — მოდი, ვაეჭვიანოთო და მისწერა: ფრთხილად, არავინ ნაგართვას; ანას ბევრი ბიჭი დასდევს და აწუხებსო. ამ მესიჯის წაკითხვის შემდეგ, მან ჩხუბი დამიწყო, — რატომ არაფერი მითხარიო? ჰოდა, აღარ ვიცი, რა ვქნა. პირველად გნერთ და გთხოვთ, არ დამბლოკოთ, მგზავნელების რჩევა ძალიან მჭირდება. გოცნით, მიყვარხართ. „გზა“ მაგარიია!“

P.S. მაშ ასე, თუ დატანჯული გოგოსა და ანას წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



მოხილ-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილ-ზაციაში“ მოხდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრობოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრობოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

1. გავიცნობ 30-40 წლის ასაკის, სერიოზულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 28 წლის, განქორწინებული. შვილი არ მყავს. თუ სურვილი აქვს, შემეხმინოს ჩემი შესაფერისი.
2. ვარ 34/170, უმაღლესი განათლებით, მყავს 4 წლის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის მამაკაცს. შეიძლება ქვრივიც, ბავშვით. აუცილებლად დამოუკიდებელი და დასაქმებული.
3. გთხოვთ, გამომეხმაროს 49-ე ნომერში, მე-9 მესიჯის ავტორი მამაკაცი.
4. გთხოვთ, 36-ე ნომერის მე-16 მესიჯის ავტორის პირადი ნომერი მახუჭეთ.

ყურადღებამ! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილ-ზაციისთვის“ გამოსავლენილი მესიჯის ტექსტი უნდა აკრობოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

5. ვარ მალალი, გამხდარი, მაგარი ტანის გოგო. გავიცნობ ნორმალურ მამაკაცს. ვარ 22 წლის.



ქაცვაბი

6. ვარ 47 წლის, მართლა სიმპათიური მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაროს 35 წლამდე ასაკის მანდილოსანი. დამიმესიჯეთ.
7. ვეხმარები 48-ე ნომრის მე-3 განცხადების ავტორს. ვარ 41 წლის. გთხოვთ, დამირეკოთ ან დამიმესიჯოთ. ზაზა. დანარჩენი — პირადად.
8. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის ბალზაკის ასაკის, თბილისელ, ექიმ მანდილოსანს.
9. გთხოვთ, დამაკავშიროთ 48-ე ნომრის მე-3 მესიჯის ავტორს. წინასწარ გიხდით მადლობას.
10. ვეხმარები „გზა“ №48-ში გამოქვეყნებულ, რიგით პირველ, 30 წლის გოგოს. გთხოვთ, მომწეროთ მისი ნომერი.
11. ვეხმარები „გზა“ №48, მე-3 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ტელეფონის ნომერი. წინასწარ გიხდით მადლობას. გია.
12. ვეხმარები „გზა“ №49, მე-5 განცხადებზე ავტორს. გთხოვთ, დამირეკოთ ან დამიმესიჯოთ. ამირანი.
13. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №49, მე-5 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობთ. დათო28.
14. გთხოვთ, მომწეროთ 48-ე ნომრის, მე-11 განცხადების ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობთ. სანდრო.
15. გავიცნობ სამეგობროდ ლამაზ, მომხიბვლელ ქალბატონს. დათო28.
16. გთხოვთ, მომწეროთ 48-ე ნომრის, მე-11 განცხადების ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობთ. სანდრო.
17. 50 წლის კაცთან მეგობრობა ვის სურს?



სსპალასპა

- კასკუ, ჩემო სიცოცხლე, ძალიან მიყვარხარ. გავუძლებთ ყველაფერს და მალე ერთად ვიქნებით. ჩვენ კარგად ვართ, არ იდარდო. შენი სუნი აქვს ყველაფერს. გელოდებით. შენი ი... ლისკუ.
- ყიფილმა ამას წინათ მითხრა, მე პიტერ პენს ველოდებიო. შენი პიტერ პენი კი დათოაო. :) ჰოდა, აი ასე, გელოდებით... და იმედი მაქვს, მალე მოხვალ... გვიყვარხარ.
- გია-ბნ, შეილო, შენი ხმა არ მომეწონა, ალბათ განუხებს რამე. გთხოვ, შენს თავს და ნერვებს გაუფრთხილდე. საკუთარი თავი და მშობლები შეიცოდე. არავისზე იფიქრო, საკუთარი თავისა და ჯანმრთელობის გარდა. აქეთ ყველა კარგადაა, 20-ში ჩაგირიცხავ. ღმერთის მფარველობით, ყველაფერი კარგად იქნება. ილოცე და ივარჯიშე. გკოცნი, ჩემო ჩუთლა.
- 030, გაკოცე, ბაჩი, რამდენი რამ მინდა მოგწერო და გითხრა, მაგრამ... არ ვიცი რას, მაგრამ გამოსავალს ვიპოვი, ვიცი. დროა ამისთვის საჭირო. ჩვენ კარგად ვართ, შენ მინდა იყო კარგად. ახალი და კარგი არაფერია. მანქანა გვაკეთე, დამაგლიჯა ნერვები, ძან გავწვალდი, ელიავას გზაც ვისწავლე, ავტონაწილების ყიდვაც და ვარ ასე, სიხარული. რაც აქამდე არც კი ვიცოდი და არც მაინტერესებდა, ახლა ვიცი უკვე. პროდუქტს მაინც რუსუდანი ყიდულობს, ჯერ ეგ ვერ ავითვისე, დიდად უნიჭო აღმოვჩნდი მაგ საკითხში. დღეს კვირაა. ლალი გამოვა და უფრო მალე გავა ეს დღეც. კარგად არიან. გაკოცე ბაჩი, ლიაკომ შეილ-იშვილი თავისთან მოიყვანა, ბუბიობს, ბესოც იშნობს, ვითომ ბაბუობას, მამა ხომ საერთოდ მოდის დინჯად, სხვა ახალი არაფერია, მუხრანისა და ზაზას ამბებს, რომ გნახავ, მერე გეტყვი, თუმცა ეს ჩვენს საქმეს ვერ უშველის. ისევ გაკოცე უამრავი.



• ვუსმენ მოცარტს... ვიცი, შენ ვივალ-დი გიყვარს და ზახი... თუმცა ჩვენ ამაზე ძაან ცოტა გვითქვამს ერთმანეთისთვის. დრო არ გვექონდა. მიყვარხარ.

• გულახდილად რომ გითხრაო, ყურნალების დიდი მკითხველი არ ვარ და არც ეს ყურნალი მხილავდა დიდად, მაგრამ დღეს თვალი გადავაველე და ვნახე ერთი გზავნილი...

• გამარჯობა. ძალიან დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ. მომწონს მაგრად. მარი, გთხოვ მიმიღე, დღეს პირველად გწერ. გაუ, ყველას. დამიბეჭდე, გთხოვ. მინდა, ბევრი მეგობარი მყავდეს. თუ ვინმეს გსურთ, მომწერეთ. 16 წლის ვარ. ძალიან საზიზღარი წელი მქონდა და იქნებ, გამამხნევოთ. (1916).

• დათ, ხვალ გნახავ ალბათ. აღარ ვიცი, გამიხარდეს თუ არა. მერე ისევ განმორება და სახლში მართკუნა... შენთვის კი ალბათ უფრო რთულია. მე და ბავშვები ერთად ვართ... ძალიან მომენატრე. ჩვენთან რომ იყავი ვერ წარმოვიდგინებდი, ასე თუ დამავლებდობდი. შენი ჩხუბი მენატრება (ყვიჩაღმა ჩაანაცვლა)! მიხარია, რომ ეზიარები, მიხარია, რომ ჯანმრთელად ხარ. დღეს დაგინახე, კი არ გნახე. ნახვა სხვა რამეა... თუმცა, ესეც მიხარია უკვე. სულ იმას ვფიქრობ და ვდარდობ, რომ რეალურად მიგაჩნია, რომ რამე შემძლია გავაკეთო? მაშაოს დააბარე. ცუდია, რომ პირადად ვერ გნახავ. გამაგრდით, ყველაფერი კარგად იქნება. იცი, სიზმარში გნახე, სახლში მიხვედი და ყვიჩაღი გხუტებოდა, თვალზე გეკოცინდა. ძაან საყვარლები იყავით. კეთილად აგხდენოდეს. :) დათ, იცი, გუჟა მაგრად უკრავს. ყალბაანდა, მაგრამ შინაგანად აქვს რალაც და მართლა გამოსდის რალაცები. ახლა ჯახით დაინტერესდა. დღესაც უბრალებდა. :) ვიცი, ზუსტად ვიცი, როგორი სახე გაქვს ახლა, ესეც ვიცი. :) მე მაინც მიხარია... რა იცი, იქნებ რა გამოვიდეს... ძალიან გვენატრები. ყვიჩაღს ვუთხარი, მამამ მოგიკითხა-მეთქი.

• იმედია მიმიღებთ, მგზავნებო :) გკოცნიით... თქვენი ბუსასო!

• ძნელია, როცა შენზე არავინ ზრუნავს და არც არავინ იზიარებს შენს გულისტკივილს.

• გოჭი როგორ მომენატრე, ნეტავ იცოდე, მინდა ჩაგეხუტო და არსად გაგიშვა. ჩემთან მინდა, რომ იყო, შენს კოცნაში სიცოცხლეს მივცემდი. ბარტყი, მიყვარხარ, ძალიან მაკლიხარ. :(

• 25, დე, ძალიან მენატრები. იმედი მაქვს, მალე დაგინახავ და ვნახავ კიდევ. მე დარწმუნებული ვარ, მაგრად იქნები. ჩვენც ვცდილობთ, რომ ნორმალურად ვიყოთ. ბი მდის უკან და ალბათ ვერ გნახავს.

• HI ALL. მე თაკო ვარ. ვკითხულობ ყურნალ „გზას“ და ძალიან მომწონს. მაგარი ყურნალია. მიყვარს რები და თუფაქი. გამომეხმაურეთ, რების ფანებო. :) რაპ, ფორევერ!

• მახო, ქუცუნა, მომენატრე მაგრად. გამიხარდა შენი ნახვა, ყოჩაღად გამოიყურებოდით და აბა შენ იცი. ნეტავ იცოდე, რამდენი ვიჯიკავე, წინ რომ დავმჯდარიყავი, რომ კარგად დამენახე.

გვენატრები ყველას. თმა შეიჭერი, თორემ გაგჩეჩავ. :) გაკოცე ბევრი, ქუცუნა. რალაც იმედი მოგვეცა, რომ მალე ჩვენ გვერდით იქნები. გურია.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლე, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ჩვენ კარგად ვართ. თავს გაუფრთხილდი. ხილი ჭამე. ყველაფერი კარგად იქნება. არ იწერე იულო. ჩემო ბუკა ბითა. ლისკუნა.

• სანთელი იწვის, დნება მდუმარებით, თვალედი მევესება სევედა-მწუხარებით. ვარსკვლავი აინთო, ცაზე აციმციმიდა, ეს გული უშენობას ისევ განიცდიდა. ნაპერწკალა.

• ფოთლები ცვივა მდინარის პირას... წვიმის წვეთები აკვდება მინას, ნუთი ნუთს მისდევს... დადგება ის დღე, რომ უჩემობა შენც გაგაგიყვებს... ნაპერწკალა.

• ნისლში ჩაფლულა ეს გული წმინდა. სულში უშენოდ წვიმდა და წვიმდა. გადაიყრება გულის დარდები, როცა ძვირფასო, შენ მაგონდები. ნაპერწკალა.

• „მე ის ვარ, ვინც შენ ასე გაღმერთებს, ის ვინც ყოველ წამს გაგებუტება, მე ის ვარ, ვინც ნერვებს მოგიშლის, მერე მოვა და ჩაგეხუტება. ნაპერწკალა.

• ღამის ბინდში გაიეღვა ცაზე მთვარემ, მისმა სხივმა გაანათა არემარე, ანგელოზი ცაში რეკავს წმინდა ზარებს და ძილის წინ ღმერთს შენზე ვთხოვ — დაიფარე. ნაპერწკალა.

• ზარებს რევერ ალავერდის სამრეკლოზე, ანათებენ წმინდა ტაძარს კელაპტრები, ზეციურს ვთხოვ, მუსლიმოდრეკით შენს საყვარულს, არა გჯერა? ძლიერ, ძლიერ მენატრები. ნაპერწკალა.

• ხურდას არ ვითხოვ, ხელი გაგიწოდე, ნეტავ რა მინდოდა? თითქოს არ იცოდე, ჩემი მეგობარი იცი, რად გინოდე? მაგარი საყვარელი ხარ, მინდა იცოდე. ნაპერწკალა.

• ზღვის უკიდევანო სივრცე. თოლიების ნაზი ამბორი. ტალღების მშვიდი ალერსი. მზის სხივი მშვიდად ალივლივებს ზღვის ზედაპირს. იქ კი, სადღაც შორეთში იძირება გემი, სახელად „სიყვარული“. ზღვა აბობოქრდა, აღელდა. ზეცის გრუხუნმა შეძრა არემარე... ნეტავ რა იყო მიზეზი გემის დანაშაულის? კაპიტნის დაუდევრობა. სალო.

• უაზროდ დაფარვატებს გრძნობა და არ ცნობს დროსა და ჟამს. სახელი დავარქვა მინდა, მინდა და არც მინდა თან. რამდენი დრო გასულა მას მერე, როცა ბობოქრობდა ზღვა, მერე ყველაფერი დალაგდა, განათდა, დაინმინდა ცა და ამ სინყნარეში შორიდან, მოცურავს ხომალდი კვლავ. აზრები დაფანტულა ნაპირზე, ნეტავი ვინ მოჰყვება მას? თითქოს ყველაფერი ცხადი იყო, აზრი მიჰყვებოდა აზრს, მაგრამ აბობოქრდა ზღვა და რალაცა ითქვა კვლავ. რასაც სახელი დავარქვა მინდა, მინდა და არც მინდა, თან. თანო.

• ღამეა ირგვლივ, სიჩუმე მეფობს, ცამ რახანია, თვალე დასუჭად და მეც რალაცა ციურმა ძალამ, ერთი სიზმარი შენზე მაჩუქა. მაპატიე, თუ გაგაღვიძე, მარ. გკოცნი. თეთრო

• მარიკუნა, რატომ არის „გზავნილები“ შენი შესავლის გარეშე და ასე ცოტა? კლუოპატრა.

• ნინი. ბინი, სასიამოვნოა შენგან ასეთი სიტყვების მოსმენა. Tamar(i) woTrini ასე მომიჭებენ „ოღნოში“. გამახარებ. კლუოპატრა.

• აზრი არა აქვს... სადღა არ გავიქეცი შენგან, მაგრამ ყველა გზას შენთან მოვეყვარ. ვფიქრობდი, დრო ჩააქრობდა გრძნობის ცეცხლს, მაგრამ აღარ ვიცი, რალას ვერძოლო. უშენობას თუ შენთან შეხვედრის შიშს? აზრი არა აქვს, აღარაფერს აღარ აქვს აზრი, მაგრამ ამ უაზრობასაც შენი საყვარულით ვასაზრდობ. არ ვიცი, რა იქნება ერთი წამის შემდეგ. ალბათ ეს უაზრობა და უშენოდ სიცოცხლე მომიღებს ბოლოს ან რალა დარჩა? — ნაფლეთებად ქცეული გული. კლუოპატრა.

• გაუფრთხილდი ადამიანის გულს, მასში შეიძლება შენც ცხოვრობდე. კლუოპატრა.

• ვიქნები გულწრფელი და ვიტყვი, რომ ბამუფსახანარი არც ერთი არ ვართ. რა ვქნა? მე ამ გოგონე მევეტება. სიამოვნებით გავიცნობდი. ცუდია, მისი „გზავნილები“ რომ იკლებს... (ნამი).

• არა რა, გაგიყვებას ვარ, ახლა „მარშრუტკიდან“ გწერ მარ, რაშია იცი, საქმე? ბოზ მარლის სიმღერის სმენით ვტკბებოდი, როცა ერთმა, არცთუ ისე ლამაზმა გოგომ რადიომიმღები სხვა არხზე მომართა. თურმე, ჯასტინ ბიბერი მიწეროდა. არც ვიცოდი, თუ ახლები თუ (იხეხლა) ხმის დიპაზონი მქონდა. დავიკვივლე, გააჩერეთ, ჩავდივარ-მეთქი. როგორ უსმენენ ბებიერს ან დიმა ბილანს, რავი, რა... ან რა მოსწონთ ამ პიტში და დიკაპროლინი? ვერ ვიტან ასეთ „კუკლა“ ტიპებს. :) ნაომი.

• არა, რა, მართლა ავახვიე უკვე „ზაციებიდან“. ხანდახან შემოგიგობენთ, გამოგეხედავთ, ვინმე თუ აპრუნუნდასავით ჩემი მისამართით, მივასიკვდილებ. ნაომი.

• ქალბატონო ნანი, ყველას ძალიან შეგვიყვარდით და გთხოვთ, დარჩით ჩვენთან, დაგვეხმარეთ „გზის“ ფურცლების გალაშხებლასა და გათბობაში. ღრმა პატივისცემით, ჭრიჭინა.

• ჩემო საყვარლებო, როგორ ხართ? ფლამინგო, ბათუმიდან გეფერები. მოვიკითხავ თბილისში ერთგულ მკითხველს, ქეთოს. ქეთო, ანდრიას და მარის ნუ აბრაზებ! მენატრებიით. ჭრიჭინა.

• ნამდვილი საყვარული ის კი არ არის, მასთან ყოფნისთვის რომ განირავ ყველას და ყველაფერს, არამედ — მისი ბედნიერებისთვის რომ დათმობ თავად მას. მ.გ.

• გთხოვ, მარ, დამიბეჭდე და იქნებ მკითხველებმა რამე მიჩიონ. მეგობარ გოგოს რახანარად შეუფრთხიდე, წარმოგენა არა მაქვს. პატივებაც ვთხოვე, მაგრამ არ მელაპარაკება მაინც. ძალიან ვანყენინე და ბოროტად ვხუმრე. მოკლე, ისე დამაჯერებლად ავუსხენი საყვარული, რომ იმანაც და ყველამ დამიჯერა. მას მერე კი ჩემს დაიკოს მამა დაეღუპა და ვერც მივედი. არასდროს ვმეგობრობ გოგონებთან, არ მიყვარს. თან დედისერთა ვარ და ნინო შეგიყ-



ვარე დასავით, ახლა კი ჩემი უაზრო ხუმრობისა და იმის გამო, რომ გასაჭირში ვერ მივედი, გამებუტა. თქვენი იმედილა მიქვს და თუ არაფერი გამოვიდა, ალბათ მერე მეც დავივიწყებ. სხვა შანსი აღარაა. პატივისცემით, თქვენი მკითხველი, • დადუ.

• სამსახურში ყოფნის პერიოდში, გვერდით მდებარე სადარბაზოდან, ყოველ დილით, ზუსტად 10 საათზე გამოდიოდა კუსკუსა ნაბიჯებით, მრგვალსახიანი, კლასიკურ ტანისამოსში გამოწყობილი, საკმაოდ მიმზიდველი და მაღისალმძვრელი, 30 წელს გადაცილებული ქალბატონი. ზუსტად ამ დროს კი გარეთ გავდიოდი და ბორდიურზე მის გამორჩენასა და ჩემ წინ გავლას გულის ფორიაქით ველოდი. მიზეზი კი მხოლოდ 2 იყო. უბრალოდ მომწონდა მისი ყურება და ამავდროულად, საოცარ სურნელს აფრქევდა. სურნელს, რომელსაც შეეძლო, იდეალურ განწყობილებზე დაეყენებინე! მე ვიდექი გარეთ, ის გაივიდა, ხანდახან მკრთალ ღიმილს დადვირავდა კიდეც სახეზე, რადგან მე ხომ რიგითი მამრი ვიყავი, რომელიც, მზერით ახვედრებდა მის მიმართ გაჩენილ სიმპატიებს... ასე გრძელდებოდა 2 კვირის განმავლობაში. ერთ რიგით დილას, ჩვეულ დროს, ვიდექი ჩვეულ ადგილას და ჩვეული ადგილიდან გამოვიდა ქალბატონი. თუმცა ჩემი ყურადღება პარალელურ ქუჩაზე მყოფი, ახალგაზრდა, წვერიანი ყმაწვილის საუჭკო საქციელმა მიიპყრო. ამ პიროვნებამ ჩემი ქალბატონის (სულ ჩემი იყო, ჰო...) დანახვისას, ვიბიძგა ტელეფონი ამოიღო, დარეკა, მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა და კვლავ ჯიბეში ჩაიღო. როდესაც ქალბატონმა ქუჩა გადაკვეთა და თავს მიეფარა, პიროვნება ჩქარი ნაბიჯით აედევნა... ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა მეორე დღის 10 საათისთვის და ზუსტად იგივე განმეორდა მესამე დილასაც... ამ ყველაფრის შემხედვარემ კი თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ ქალბატონისთვის მომხდარი შესახებ მეცნო... მესამე დღესვე, საღამოს, მის დაბრუნებას დავუწყე ლოდინი. დაახლოებით 9 საათი სრულდებოდა, როდესაც ქალბატონი გამოჩნდა. მის მოახლოებამდე ყოველგვარი დაძაბულობის მოშორებას ვცდილობდი. საკუთარ თავს ვეუბნებოდი — „2 სიტყვით ეტყვი და სახლში წახვალ!“ ამასობაში ქალბატონი მომიახლოვდა. ღრმად ჩავისუნთქე, მისალმებით გარემუშევა ჩემი და მივმართე: — მაპატიეთ, ორიოდ სიტყვის თქმა მინდოდა. ქალბატონმა გამომხედა და სიტყვის უთქმელად, სახის გამოუმეტყველებით მაგრძნობინა, რომ მისმენდა... იცით, შეიძლება ჩემი საქმე სულაც არაა, მაგრამ მაინც მინდა იცოდეთ, რომ უკვე მესამე დღეა, ყოველ დილით, ერთი და იგივე ადამიანი გითვალთვალებთ და როდესაც ქუჩას კვეთთ, ის უკან მოგყვება... ცუდად არაფერი გამიგოთ, მხოლოდ ამის თქმა მსურდა... ამ სიტყვების გაგონებაზე ქალბატონს ძალიან ლამაზი ღიმილი გადაეფინა, ნაბიჯი წინ გადმოდგა, თავზე ხელი გადამისვა და

თავდაჯერებული ტონით მომმართა: კარგი ბიჭი ხარ, ეგ რომ მითხარი, მაგრამ მაის შესახებ მე ვიცი, ასე რომ, მაინც მაღლობა... გაკვირვებული თვალებით შევცქეროდა და თქმაც ველარაფრის შევძელი. მან კი გზა განაგრძო... მეორე დილით, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ უნდა მივსალმებოდი და რაღაც მეტყვა. არ ვიცი — რა, მაგრამ რაღაც... — გამარჯობა! — ღიმილითა და შემართებით მივმართე ქალბატონს. გვერდის ავლას და მოსალმების თავიდან არიდებას ცდილობდა, მაგრამ თითქოს რაღაცამ გადააფიქრებინა და ფეხი შეაჩერა. უხეშობაში გადაზრდილი სიმკაცრით კი მითხრა: — მომისმინე, ვაფასებ შენს ყურადღებას, ახალგაზრდავ, მაგრამ შენთვისეგ უმჯობესი იქნება, თუ მხოლოდ გამარჯობას მეტყვი ან საერთოდ არაფერს მეტყვი, კარგი? — ხმის ამოუღებლად და თავის დაქვევით ვუთხარი, რომ გასაგები იყო. ქალბატონმა გზა განაგრძო, პარალელურ ქუჩაზე მყოფი წვერიანი პიროვნება კი კვლავ გაპყვა... ასე გაგრძელდა კიდევ 2 დღე, შემდეგ ქალბატონი საერთოდ აღარ ჩანდა და აღარც ის თვალყურის მდევნელი ბიჭი... ხოლო დახლოებით ერთი თვის შემდეგ კი, „კურიერის“ ნაწყანმა, ზაალ უდუმაშვილმა მთელ საქართველოს აცნობა 33 წლის ქალბატონის შესახებ, რომელიც უბედური შემთხვევის მსხვერპლი აღმოჩნდა და მე-12 სართულიდან გადმოვარდა. ინციდენტი საღამოს საათებში მოხდა და როგორც გამოიძიება იტყობინებოდა, ნაპოვნი იყო ალკოჰოლური სასმლის ბოთლი და ქალბატონი სავარაუდოდ, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმოფებოდა, რასაც შესაძლოა გამოეწვია უბედური შემთხვევა... სიმართლე გითხრათ, სრულებით არ მაინტერესებდა, რა იყო მიზეზი მისი დაღუპვისა. გული დანანებით მხოლოდ იმაზე შემეკუმშა, რომ გარდაცვლილი სწორედ ის ქალბატონი აღმოჩნდა, რომელთანაც მე შევხვედები კონტაქტი მქონდა და რომელზეც მთელი ეს ამბავი მოყვები. ხოლო წვერიანი ბიჭი რა როლს თამაშობდა ქალბატონის თავს დამტყდარ უბედურებაში, ეს კიდევ საკითხავია. თუმცა, სიმართლე მხოლოდ უფალმა იცის... მისტერი.

• მარ, შენთან ვარ საყვედურითა თუ საჩივრით. რაც გინდა, დაარქვი და შეიძლება, გამინაწყენდე კიდევ, მაგრამ ხომ იცი, ვინც გიყვარს, მას პირდაპირ უნდა უთხრა შენი აზრი. ჰოდა, ამიტომ გნერ ამას. „გზავნილები“ სხვა რუბრიკებს დაუმსაგავსა, 1 ან 2 ამბით და ისეთი გრძნობა მრჩება, რომ მაგ რუბრიკის ავტორი და ჟურნალისტი შენ კი არა, უღიბოკაა. დამიჯერე, ბევრი ფიქრობს ჩემნაირად და ბევრ მგზავნელსა და მკითხველს დავაკარგავთ ასე. მე უკვე ხალისი აღარ მაქვს „გზის“ ყიდვის, როცა მოუთმენლად ველოდი ხუთშაბათს და პირველად „გზავნილებში“ ნაცნობ სახელებს ვეძებდი. მე რომ აღარ მომიწერია დიდი ხანია, შენც იცი, სამწუხაროდ ვეღარ ვიცლი და მიხვდები, რომ ამ ნიშნის ისე არ გნერ, როგორც

გაბრაზებული ადამიანი, რომელსაც მესიჯი არ დაუბეჭდეს (არ მომიწერია და როგორ დამიბეჭდავდი). იმედი, გაითვალისწინებ. მიყვარხარ. გოცნი ბევრს. საუკუნოვანი ემბაკუნა. ისე თუ დავამესიჯებ ანი, სახელის შეცვლაზე ვფიქრობ.

• მარ, თავს ხელში ყუმბარაამოქმედებულივით ვგრძნობ, რომლის წამშობი ასეა ჩართული: კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი... გააუფნებელე, რა... ძალიან გთხოვ. არ დამლუპო. რუი.

• ჩემს შვილს, ლაშა ბერიშვილს მინდა 7 დეკემბერს დაბადების დღე მივულოცო, ჯანმრთელობა და მხნეობა არასდროს გამოგლეოდეს.

• მარ, ნანი დუშბაის მესიჯი მე მომეჩვენა, თუ სხვებსაც? ქ-ნო ნანი, თქვენ ამას არ იზამთ! სხედებით, რას აკეთებთ? თან რის და ვის გამო? გულს მტკენთ! ქაჯების დედოფალი.

• მარ, იცი, რა ცუდად ვარ? ნახევარი საათის წინ საფულე მომპარეს. ფული მკიდა. პირადობა, სტუდენტითი და სტუდენტური სამგზავრო ბარათი მქონდა. დამერხა! ქაჯების დედოფალი.

• გიჟუა! კეთილი იყოს შენი ფეხი, ჟურნალსა შინა! ქაჯების დედოფალი.

• ჰოკერა, მე მსურს შენთან მეგობრობა, შემიხმინე. ქაჯების დედოფალი.

• რუიპირო, სენტიმენტალიზმი და შენ ერთმანეთთან რა მოსატანი ხართ.

• ტყუილის მოქმელს, ურცხვსა და ორგულს ნუ გაიხდი თანამგზავრად, თორემ ბოლოს დაინანებ, და გაგყვება გულში დარდად.

• რატომ სხება ცხოვრებაში ასე, ნიღბებს რატომ იკეთებს ხალხი? ამ ნიღბებში დავისუთე უკვე, ნიღბის უკან მე ქალი ვარ ალბათ, უნიღბოდ კი შეშინია ხალხის. დოპინა.

• მშობლიურ! ეს ოცნება, ციდან მონაბერია/ ეს სიმღერა, ეს ცრემლები შენთვის მონაწურია/ აი, წიგნი-სამშვიდობო ცისკრად მოქარგულია/ ღმერთო, შენს მაღლს ნუ მოაკლებ/ მგზავნელებს და მარისა/ ერთად დარგული ნერგი/ ავციყვავდება მგზავნელნი/ ერთი ღიმილიც კმარა/ გალხვეს ყინულის ხერგი/ ყველანი ძალიან მიყვარხართ, გაიხარეთ. მგზავრი.

• ვიფიქრე, ენიგამაც ჭკვიანი, მეც ჭკვიანი და ჭკვიანური კამათი გამოგვივა და ცოტას ვიდიპლომატებთ-მეთქი, მაგრამ აქ არ ყოფილხარ. მშვიდობით დაგვიბრუნდი. დროებით. ანკა.

• მისხარია, სიხარულეო, რომ არ ჩხუბობთ. კარგი გოგონები და ბიჭები ხართ. ჩემი თბილი და ტკბილი ადამიანები ხართ. ნეტავ იცოდეთ, ბარტყებო, როგორ მიყვარხართ.

• კაცი გვიან ღამით ბრუნდება სახლში. ცოლი: — კაცო, სად ხარ აქამდე, ალბათ ბიბლიოთეკაში? ქმარი: — არა, ბაღში ვიყავი, ვარდს ვეძებდი ეკალში. ცოლი: — ყველაფერი გავიგე, ვიცი, სადაც დადიხარ. ქმარი: — ეკალივით გულს მიჩხვლევ, მაინც გულის ვარდი ხარ. ცოლი: — სიცოცხლე გამიმწარე, არაფერი მაღირსე, ნასვამი რად მინდინხარ, ნურც მოდიხარ სახლისკენ. ქმარი:



— სახლს თუ ვაგნებ, რა გინდა, ესე იგი, ფხიზლად ვარ. ცოლი: — ჩემს ადგილზე სხვა ქალი, ნახავდი, რას გიზამდა. ქმარი: — თქვენს, სუყველა ცოლებმა, ასე იცით თავდასხმა. შენგან სისხლი გამიშრა, მინდა სისხლის გადასხმა. ცოლი: — სიცოცხლე შემოგწირე, ბოლოს ამას ველოდი? რომ მცოდნოდა, ლოთი ხარ, შენ არ გამოგყვებოდი. ქმარი: — ღმერთს უმადლე იგი დღე (თან უმღერის გიტარით), მთვრალი არ ვყოფილიყავ, აბა, შენ შეგირთავდი?

• სახლს, მიშველეთ, გავთხოვდი, მაგრამ უსიყვარულოდ. ქმარი მცემს და გული მთლად გამიტეხა. თან სხვა მიყვარს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

• სიცილი მოგინდა? იცინე, რა მოხდა, ტირილი მოგინდა? სულელი რატომ ხარ? გულში არ გაივლო, რომ თითქოს მარტო ხარ, მე მუდამ შენთან ვარ, მე მუდამ მასსვხარ. მარი, ჩემო სიცოცხლე, ეს ლექსი შენ. მგზავნელებო, ძალიან მიყვარხარ, სიამოვნებით გაეცინობდით, მაგრამ... ბევრი, ბევრი გაკოცეთ.

• გამარჯობა, მე ნინი ვარ, 20 წლის და უკვე ქვრივი. ეს ჩემი ტრაგედიაა. ამ უცხო სალხში მხოლოდ „გზა“ ჩემი იმედი. მესიჯებში ყველას გიცნობთ, მგზავნელებო. ყველანი კარგები ხართ. სწორად მოგწერთ და იმედი, მიმიღებთ თქვენს კლუბში და ცოტას გამახალისებთ. ჩაკეტილობა აღარ შემიძლია. სურვილიც დავკარგე სიცოცხლის გკოცნით.

• სუთშაბათმშვიდობისაო, უთქვამს ერთხელ მარიკელს. ამ მესიჯით საბერძნეთში მყოფი ჩემი მეზობლის მოთხვა მინდა. ნონა, რავა ხარ, თუ იცი, მაქანა? ხომ ხედავ, დანაპირები არ დამეინყნია. შენ ჩემი დაქალიც ხარ, მარტო მეზობელი კი არა. კაკონი და შორიდან გეხუტები. ვერიკია.

• დღეს ისე ძალიან მომენატრე, რომ ვერ შევძელი ცისთვის თვალის გასწორება. ჩემთვის ჩუმად დავხარე თავი და თავისით ჩამომცვივდა ცრემლები. ცრემლები, რომლებმაც კიდევ ერთხელ შემახსენეს, რომ ჩემთან არ ხარ. მომენატრე და ფანჯრის მინასთან გავირინდე. გავიყინე თითქოს დროში, გავხდი მოჩვენება ანმოსი, მომენატრე და მომინდა შენი ჩახუტება. ჩავაშტერდი ხის ტოტებს... მათი შემშურდა. ისინი ხომ ასე ერთად არიან... მომენატრე და რა მექნა? თავი ვერ შევიკავე და კიდევ ერთხელ ვიტირე. ჩავაქტერდი ნაძვის წინვებს, თითქოს ისინი იყვნენ ჩემთან ახლოს, თითქოს მათ მაგივრად შენ მედექი წინ. მომენატრე და კიდევ ერთხელ ავტირდი, ოღონდ ამჯერად გულში, თვალებით — აღარ ამჯერად, გულმაც დაიწყო ტირილი, იმიტომ, რომ მომენატრე. მარ, ეს ინტერნეტში ვნახე და მომენონა.

• სულში ფიქრები თოვს... თეთრი ფიქრები... რამდენი ფერია... ნახე, ცისარტყელა? რა ლამაზია... ჩემს სულში თოვს, მაგრამ თბილა. თბილი თოვლი მოდის? ეს როგორ? მაგრამ ეს ხომ სულის ფიქრებია, სულის ფერებია? გრძნობები... გრძნობები, რა ფე-

რია? არ ვიცი... ფერადია? ფერადიც და უფერულიც... სად? სულში? გრძნობები გულშია... ფერები ყველგანაა, სულშიც და გულშიც... რა ჩანს? ცის შორიზონტი... რა ფერია? შავი და ვარსკვლავებით მოჭდილი... ღამეა? კი, ღამეა... იცი, რა ლამაზია ღამის ცა? მშვიდი და სუფთა... თან ეს ვარსკვლავები გამუდმებით ერთმანეთს ეთამაშებიან და მთვარესაც... მთვარე... მთვარე, როგორია? მთვარე დიდია და სახვე... ვარსკვლავები ხშირად აბრაზებენ მთვარეს, მაგრამ ის კეთილია და აპატიებს... ცივა? კი, ცივა... შემოდგომის სუსხიანი საღამო... ფოთლები ნელნელა ყვითლებიან და ცახცახებენ... ერთმანეთს ეკვრიან და ასე თბებიან... და მდინარე? მდინარე რა ფერია? მდინარე — ნაცრისფერი... მშვიდი და იდუმალი... და ზღვა? ზღვა, რა ფერია? ზღვა — ნაცრისფრად ცისფერია... მღელვარე და ბობოქარი... ხანდახან მშვიდიც, მაგრამ ხმაურიანი... ლამაზია? კი, ძალიან ლამაზია... სიყვარული? სიყვარული რა ფერია?

• ო, ეს არ ვიცი... თუ — ვიცი? მე მგონი, სიყვარული ყველაზე ფერადია, ცისარტყელასავით... და... თბილა მზესავით... სუფთა და კამკამა — წყლივით... იდუმალი და მშვიდი — მდინარესავით... მღელვარე და ბობოქარი — ზღვასავით... ცუქი და მხიარული — ვარსკვლავით... ცახცახებს ფოთოლივით... მართლა? რა ლამაზი ყოფილა?! და სიცოცხლე? სიცოცხლე რა ფერია? სიცოცხლე — ეს ყველაფერია... მდინარე, ზღვა, ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავი, ფოთოლი, შემოდგომა, ფერები, ფიქრები, გრძნობები, ტკივილი, ტირილი, ცრემლი, სიხარული, სიცილი, ბედნიერება... კიდევ... ბავშვობა, ახალგაზრდობა, სიბერე... და მაინც, სევდა, ტკბილი სევდა... ის გათრობს და თავს გაკარგვინებს... მას გამუდმებით წყურვილი ეკლავს... გამუდმებით შია... ადამიანი? ადამიანი რა ფერია? ადამიანი... ადამიანი სიცოცხლე, მისი ნაწილი... ადამიანი ტკივილია, ადამიანი სიხარულია... სიყვარულშია სიცოცხლე... სიცოცხლეში კი ადამიანი... ადამიანი ყველაფერია... ადამიანი უბრალოდ, ადამიანია, ღრმა და უძირო ოკეანე... არ იცი, მისგან რას უნდა ელოდე... ადამიანი განტოლების ერთი უცნობი წევრია... სული? სული რა ფერია? სულს რად უნდა ფერები? ის ხომ თავად ქმნის ფერებს? სულში ფიქრები თოვს... აქაიქ იმლებიან, თოვლის ფანტელებით ქრებიან... მერე ისევ მოდიან და ასე, უსასრულოდ... ჩამოთოვებს ფიქრებმა სულში, ძლიერი ქარიშხალიც ამოვარდა, მაგრამ მაინც თბილა, თბილა ჩემში... ჩემს სულში... თბილა იმიტომ, რომ მიყვარს, ვცოცხლობ და სევდა ვარ... ტკბილი, მათრობელა სევდა...

• ადამიანი თავს კარგავს. ვერ ხედება, რატომ, როგორ, საიდან, სად, როდის... ცა... ღრუბლები... იკარგება მზე ღრუბლებში. ხეები... მწვანე ფოთლები... ისინი ჩემში იკარგებიან, მე კი მათში... სადღაც, უსასრულობაში... მინდვრები... მწვანე, ხასხასა მინდვრები... ადამიანი... არეული... დაბნეული...

ადამიანი — ყველაფერი... ადამიანი — არაფერი... უაზრო მოლოდინი... მოლოდინის მოლოდინი... ასეა ყოველთვის... ფიქრი ფიქრის... ოცნება ოცნების... სიყვარული სიყვარულის... სიხარული სიხარულის... ცრემლი ცრემლის... გული გულის... მინდვრები... ჭალები... სახლები... ტყე, რომელსაც ცა ზემოდან დასცქერის თბილად... ნახად... ერთი... ორი... ერთი... ორი... გულისცემა... ადამიანი... უყურებს ამ სილამაზეს და ტკბება... თვალს ვერ სწყვეტს... ეძინება, მაგრამ დაძინება არ უნდა... გაქცევა უნდა, მაგრამ... არ გარბის... არ შეუძლია... მოჯადოებულა... ის ბუნების ტყეა... ის უკვე დიდი ხანია ტყეა, არა მარტო ბუნების, არამედ, მინის, ცის, მზის, მთვარის, ვარსკვლავების, ზღვის, მთების ტყეა. ტყეა სიყვარულის, ტყეა ადამიანად ყოფნის, ტკბილი სევდის, ტყეა საკუთარი თავის... ის ხომ ადამიანია, მას უყვარს, ის უყვართ, ის ცოცხლობს... მისით ცოცხლობენ... მას სტიკია... ის სტიკია... ის ტირის... ის სხვას ატირებს... ის იცინის... ის სხვას აცინებს... ის წუხს... ის სხვას აწუხებს... მას უხარია... ის სხვას ახარებს... ის ფიქრობს... სხვა მასზე ფიქრობს... ის ოცნებობს... სხვა მასზე ოცნებობს... ის ბედნიერია... ის სხვას აბედნიერებს... ის დაბნეულია... ის სხვას აბნევს... მისი გული ძვრის... სხვისი გული მისით ძვრის... მას სიკვდილი უნდა... სხვას მისთვის სიკვდილი უნდა... მას ყველაფერი უნდა... ის სხვისთვის ყველაფერია... მას მარტო ყოფნა უნდა, მაგრამ არ შეუძლია... სხვას მარტო ყოფნა, მის გარეშე ყოფნა არ შეუძლია... ის ეძებს იმედს... სხვა მასში ხედავს იმედს... მას სითბო უნდა... სხვა მისით თბება... მას არსებობა უნდა... სხვა მისით არსებობს... მას სუნთქვა უნდა... სხვა მისით სუნთქავს... მას ფრთები უნდა... სხვა მისით ფრენს... მას უნდა, რომ ის არ უნდოდეს... სხვას უნდა, რომ ის მას უნდოდეს... ის ღელავს... ის სხვას ალელვებს... ის იწვის... სხვა მისით უნდა, ეს სანთელი მას ეკუთვნოდეს... მას სიმდიდრე უნდა... ის სხვისთვის სიმდიდრეა... მას უნდა, ფოთოლი იყოს და მასავით ცახცახებდეს, ქარის ყოველ შერხევაზე... ის სხვისთვის უკვე არის



ფოთოლი... მას უნდა, რალაცას ნიშნავდეს... ის უკვე ნიშნავს სხვისთვის „რალაცას“. მას ყველაფერი მოჰპებურდა... სხვას ის არ მოჰპებურდა... მას აინტერესებს, რატომ? სხვამ იცის, რომ იმიტომ... მას კითხვები უჩნდება... სხვას პასუხები აქვს... ის ჩერდება... სხვა კი არ ჩერდება... ის მასთან მიდის... სხვა მასთან მოდის... ერთ წერტილზე ჩნდება და მერე... მერე... ერთმანეთში იკარგებიან... ერთმანეთს ერწყმიან... ის სხვა... სხვა კი ის... ის არ არსებობს... ის სხვა... სხვა აღარ არსებობს... სხვა ის არის... ის უდრის სხვას.

• უცნაურია, რომ პირველად ვწერ ფურცელზე. არც ერთი ლექსი ფურცელზე არ დამიწერია, არც ერთი ჩანახატი და ახლა ვწერ რალაცას, რაც არც ლექსია და არც ჩანახატი. სახლიდან გამოსვლისას, ჩანთიდან რვეული და კალამი ამოვიღე, სახლში დავტოვე და ისე წამოვიღე ჩანთა. ვიფიქრე, აქამდე არ დამჭირვებია და რალა დღეს დამჭირდება-მეთქი. ესეც უცნაურია, კალამიც მაქვს და რვეულიც, მაგრამ სხვისი კალმით, სხვის რვეულში ვწერ და შემდეგ საშადალოდ უნდა ვთხოვო თავისი რვეულიდან ფურცლის ამოხვევა (შენიშნა: ახლა სწორედ ეს ამოხვეული ფურცელი მიდევს წინ, ხელნაწერი)... ფურცლის, რომელიც მე გავავსე, თუმცა სხვისი კალმით... სხვისი კალმით სხვის ფურცელზე ვწერ, საკუთარი კალამი კი მეიღობ სავეს, ხოლო საკუთარი ფურცელი — სრულიად ცარიელი მრჩება... იქნებ, არც ეს კალამია კალამი და არც ეს ფურცელი — ფურცელი? იქნებ, ეს უბრალო, ძალიან მარტივი მაგალითი განზოგადებას მოითხოვს ჩემგან? იქნებ, ეს სხვისი რვეული სხვისი ცხოვრებაა? მე, კი, საკუთარი ცხოვრება სახლში დავტოვე იმ მიზეზით, რომ არც არასდროს დამჭირვებია და არც ახლა დამჭირდება? კალამი? რა შეიძლება იყოს კალამი? თითქოს, ვერც პოეზიასა და მწერლობას ერწყმის... ჩემს რვეულს, რომელიც სახლში დავტოვე, არც რიცხვები აწერია და არც თვეები. ალბათ არ სჭირდება. ისე, ვინ იცის? იქნებ, გულიც კი სწყდება, რომ ცარიელი დევეს თუ გდია ჩემს მაგიდაზე. არც მახსოვს, დავდე თუ დავავადე... მეჩქარებოდა. გული სწყდება ალბათ, მე ხომ შემეძლო მისი გასვლა... ხვალდიდან ჩემს რვეულში ვინყებ წერას.

• ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე ქარებს აპყოლია და წასულა შენგან, გაფრენილა შენგან, მინას დაპკონია, ისე გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა უტყვი გამგონეა, არ გასსოვარ ალბათ, არ გასსოვარ ალბათ, ჩემო მაგნოლია! ჩვენ ცხრათვალა მზეთა და მძინვარე ზღვათა ტრფობა გაგყოლია, მიგვატოვონ მარად მათ, სამხრეთის ქართა, რალაც არ მგონია, მაგრამ გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა უტყვი გამგონეა, მე არ ვიცი, რატომ, არც შენი იცი, რათა, ჩემო მაგნოლია? ო, ასეთი წუთი, დაუბრუნებელი, შენც ხომ არ გკონია? დაბრუნდება ისევ, დაბრუნდება ისევ, შენც ხომ არ გკონია? მშვენიერი ზღვების, მშვენიერი მთების

ტრფობა გაგყოლია, როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია!

• წვიმა და ჩვენ ორნი... სველი თმა, ხელები, ტუჩები და ცრემლით სავსე, სვედიანი თვალელები... ვსველდები და საოცრად მეშინია, რომ წვიმა გადაილეს და შენ მიმატოვებ... აუ, რა ბავშვი ხარ! მეუბნები და წვიმას ხელით იჭერ. ბავშვი ვარ? — ვიმეორებ გულში, — ბავშვი ვარ, თუ შენ გინდა, ბავშვად მხედავდე? — ხარბად გაცქერდები, შენს უძირო თვალელებში მინდა ამოვიკითხო პასუხი... წვიმს... ცრემლი შეერია წვიმას... უცებ გამოფხიზლდი, ჩემი თავი ხელებში მოიქციე, თვალელები ჩამხედე და მკითხე: — გიყვარვარ? — და ისე, რომ პასუხს არ დაელოდე, განაგრძე, — მე მიყვარხარ, ჩემს თვალელებში ხომ მხოლოდ შენი თვალელები ირეკლება? — მე უშენოდ არ შემოიძლია! — ძლივს ამოვღერდე და ვიგრძენი, როგორ გავთავისუფლდი... შენ არაფერი გითქვამს, მაგრამ ჩამიკარი გულში და გავიჩინდე... მდუმარებას წვიმის გაბმული სიმღერა აკრთობდა... ისევ მოდის ცრემლი და ცვრძობ, რომ ეს უკვე სისარულის ცრემლია, რადგან არ ვიცი, რა უყვო ამხელა ბუნდინებებს!... წვიმის წვეთი უფლის მირონია, ფოთოლში-ალა ხეები ჩვენი მყერიონი, ჩემი და შენი... გამომეღვიძა...

• მე მესმის დაფლეთილ ღრუბლების გოდება, მთების მწვერვალელებს გარშემო კენესიან, გულში მწუხარება ნისლივით გროვდება და შენზე ფიქრები კვლავ შემომესია. იმედის ვარსკვლავიც კი არსად ვიკაფობს, განთიადს შიშსა ჰგვრის გრიალი მესისა, ამ წლებმა რაც მიყო, მოვალ და გიამბობ, გიამბობ, თუ შენთან შეხვედრა მედირსა!.. აპატიეო! — თითქოს მთხოვდნენ ჩუმიად ვერხვები, მაპატიეო! თითქოს სურდათ თქვენ შენს ტუჩებს, გიყურებ, ვიცი, დღეის შემდეგ ვეღარ შეხვდებით, მაგრამ ამ გულში ორომტრიალს რა მიაყურებს... გემშვიდობები და ვერხვებიც თითქოს თავს ხრიაბს, მე ვენამები, რატომ? რისთვის? — არ ღირს ძიებად, ვეღარ გითხარი, ყველაფერი იყო გვიანი, გთხოვ მაპატიო, რომ ვერ შეეძელი მე პატივმა! გრალის მცველი.

• ახლა ჩემი გრძობა ისე ხალასია, როგორც ჩემი სულის სიმარტოვე, ალბათ მარტოობაც ლამაზია, როცა ღმერთის ტოლი მიგატოვებს. ამ დღეს უსასრულო სევდა მოაქვს, განცდილს ხელმეორედ ვინდა პოვესი, ალბათ სიყვარულზე სპეტაკია, ასეთი საოცნებო სიმარტოვე. პეი, ჩემი გულის სალოცავო, რამე გასაოცრად წმინდა მთხოვე, მოდი, ერთხელ კიდევ გამომცადე, კიდევ გამძინე და მიმატოვე... გრალის მცველი.

• უშნოდ ლამაზია ეს ქალი, ადამიანისფერი თვალელებით... სახე აქვს თითქოს ნაფრესკალი, სახე აქვს დალილი ნვალებით... მზეზე სახრჩობელა ჰკიდია, სხივებმა ატმები დახოცეს... ეს ქალი სამყაროს კიდია, ჰორიზონტზე რომ აკოცეს... სული აქვს აპრილზე ლამაზი, მის მკერდზე სტრიქონი მენ-

ერა... ტანი აქვს თლილი და უზადო, ლოგინზე დაღვრილი, ფერწერად... ოთახი საღამოს ემდურის, გაყინულ ცოლივით მთვარე... არ იყო ეს ქალი ერთგული და ახლა ვნებების ქარია...

• სვედისგან ეცვლება ნაკვთები ამ ღმერთის საცოლე პიტიას... ვუყურებ და მივიკვრის, არ ვკვდები, ეს ქალი ცოცხალი მითია... იები ამ ქალის სულს ზრდიან, მგონია, ეს ქალი თამარს შობს...

• უძრაობა ქალაქში, უძრაობა სრულიად... ირგვლივ ყველას თვალელები გახდომია უაზრო, იქნებ მე ამ წვიმაში გზა რომ დანისლულია, შენი ნახვა მოვასწრო, შენი კოცნა მოვასწრო! მთელი ჩემი სხეული სველი სინანულია, მინდა თვალზე ცრემლების, ალუბლებების დაკრეფა; და ღრუბლებიც, გარშემო მერცხლები რომ უვლიან, შენი ქართი გაქრება, შენი სუნთქვით გაქრება! მარტოობა ოთახში, მარტოობა რთული! რალაც ნისლისმაგვარი შემოიჭრა ფანჯრიდან, რომ არ გამოემდინა მქნისიყვარულიდან, ეგ თვალეები დამჭრიდა, ეგ ღიმილი დამჭრიდა! უთქმელი განშორება ჩემთვის არაფერია, შენ ხომ ზღვაში დაკარგულ მარგალიტის ფასი ხარ! მინას ორსულობისგან მთები გამოჰპერვია, იცი, რა ლამაზი ხარ? იცი, რა ლამაზი ხარ? ლამპონი — ჩემსავით მასაც მოუწყენია, თავდახრილი გაჰყურებს ქუჩას მთვრალი ლოთივით; ჩამქრალია იმედო, მისი ნატვრა ნათურა, შენი ცა მოლოდინით, შენი ზღვა მოლოდინით! მთვარე თითქოს ჯალათის ალესილი ცულია, თავი მოსწრეს ქალაქს და მზე გაგორდა აისის... კარგო, ისე მიყვარხარ, კოცნა ისე მწყურია! მაგ ტუჩებმა რა იცის, მაგ თვალეებმა რა იცის?! უძრაობა ქალაქში, უძრაობა სრულიად... ირგვლივ ყველას თვალელები გახდომია უაზრო, იქნებ მე ამ წვიმაში გზა რომ დანისლულია, შენი ნახვა მოვასწრო, შენი ნახვა მოვასწრო! შენი ნახვა მოვასწრო, შენი ნახვა მოვასწრო!

• დუდუნ-დუდუნ, დუდუნ-დუდუნ დუდუნით შენს ფიქრებში გავაბოლეთ თუთუნო! ნუგემ-ნუგემ, ნუგემ-ნუგემ ნუგეში კვამლი იდგა მატარებლის კუპეში! რადგან-რადგან, რადგან-რადგან რადგანაც შორს ნახვედი ჩემგანაც და მათგანაც, ჩქარი-ჩქარი, ჩქარი-ჩქარი ჩქარია ამ სულსწრაფი ვაგონების არია!... გიორგი ზანგური.

• შენი სუნთქვა წმინდა სანთლებს აქრობს, ო, ბაგეო, ლოცვა რისთვის აცხოველ, შენ ხარ ჩემი იდუმალი საქმრო, მე ვარ შენი სვედიანი საცოლე... ჩვენ ზეცაში გადავიხდით ქორწილს, რადგან ავცდით აქ, მინაზე ერთმანეთს, ჩვენ ზეცაში გადავიხდით ქორწილს, სადაც ლურჯი ყვავილები ფეთქავენ. არ გვჭირდება საქორწინო სუფრა, თოლებმა ლურჯი ფრთები გაშალეს, რიქრაყისას მადლს შევნირავეთ უფალს და ვარსკვლავნი ჩააქრობენ მამხლებს. ჩვენ მეჯვარედ გამოგვიყვება მთვარე და ღრუბლები გაგვიშლიან სარეცელს, შენ ხარ ჩემი სულის ნახევარი, დაგკარგე და... ირემივით დაგეჭებ!

• ეს სიცოცხლე თამაშია ლანდების, ლანდებივით გზას მიყვებით ეკლიანს,

მრთელობას, სიხარულს, ყველაფერ საუკეთესოს ცხოვრებაში. იყავი ბედნიერი, გფარავდეს ზეციერი. ლალი.

ჩემს მონატრებულ დას, მარინას ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბედნიერებას და მრავალ სიხარულს. ნაზი.

ნათია არაბულს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბევრ სიხარულს და ლამაზი დღეების სიმრავლეს. შენი მამიკო და ძამიკო.

14 დეკემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ნიკა ხურციას. ჩემო ჭკვიანო და კეთილო ბიჭო, 14-ში 14 წლის გახდები და ეს შენი ოქროს დაბადების დღე დაუვინყარი იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე. გფარავდეს უფალი და დედა ღვთისმშობელი. იყავი ჯანმრთელი და დღეგრძელი. მშობლების ამაგის დამფასებელი. შენი დედიკო, იდუმალი-ქალი.

ლელა ქისტაურს ვულოცავთ დაბადების დღეს, 8 დეკემბერს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ლამაზ მომავალს. ვაჟა და ლალი.


ნანა თავშავაძე, გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაგასწროს უფალმა. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერებას. დიდი გოგო გაიხარდე. ნარიმანიშვილი მზია.

ოტაპი ბინაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაგასწროს უფალმა, საყვარელო ოჯახთან ერთად. ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგკლებოდეს. თამუნა, ნიკა, ნათელა, მზია.

ლევან ხვედელიძეს და ნინო გაგაშელს ვულოცავთ გაბედნიერებას. გამრავლდით და გაიხარეთ. ღვთისმშობელი მარიამი იყოს თქვენი სიყვარულის მფარველი. ოლეგ და მზია ხვედელიძეები.

ლამაზ ქალბატონს, ნინო არსენიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო ნინიკო, გისურვებ დიდ სიყვარულს, ჯანის სიმრთელეს, სულის სიმხნევებს, ლამაზი დღეების სიმრავლეს, ულევ სიხარულს, შენს ქმარ-შვილთან ერთად. ღმერთის წყალობა მქონოდეს და უღრუბლო ცის ქვეშ ცხოვრობდეთ. გკოცნი, გესვებ, შენი კეთილის მსურველი, ლამაზა იანტბელიძე.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილიური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გასურთ, „გზა“ №18-დან გაიკოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილიური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურნალოში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



გილოცავ!

- ლევან ხვედელიძეს და ნინო გაგაშელს ვულოცავთ გაბედნიერებას. გამრავლდით და გაიხარეთ, ღვთისმშობელი მარიამი იყოს თქვენი სიყვარულის მფარველი. ოლეგ და მზია ხვედელიძეები.
- ლელა ქისტაურს ვულოცავთ დაბადების დღეს, 8 დეკემბერს. ვუსურვებთ ჯან-

— ნუშის ბალნარი, საბნად — თიბათვის ნისლი. გრალის მცველი.

• მაშინ, როცა გაზაფხულობით დრო ნუთებად კი არა, ფიქრებად დაინყებს ქცევას, მაშინ, როცა პირველი კვირტი ყვავილად დაინყებს სკდომას, მოგიძვე მწვანე ბალახებს შორის, ნამთა მარგალიტით მბზინვარებისას, ჩიტების რია-რიასა და გალობისას, იასამნის ყვავილობისას, დამკრახულ მტევნებშია. მოგიძვე, როცა მაისს სურნელება შეუბურავს თავს, როცა ზაფხულის სივარვარეს წვიმა გაანელებს, როცა ბარაქთან შემოდგომას მაჭარი დაადულებს, როცა პირველი თოვლის ფანტელები თეთრად შემოსავენ სამყაროს. მოგიძვე ყოველთვის და ყველგან, სადაც გივლია და სადაც არასდროს დაგიდგამს ფეხი. მოგიძვე მაშინ, როცა უნაპირო სევდის გრიალში ცრემლებად დავიღვრები, როცა თეთრად ატოტვილ მაგნოლიებს დაფურცულ შენს ხსოვნას, როცა ახალი წლის ღამეს ხუთი ნუთი დააკლდება. მოგიძვე 15 აპრილს, მოგიძვე 7 აგვისტოს და მაშინ, როცა ლოდინით გათანგული შენს თბილ გულს გულცივობას დაეწამებ. მოგიძვე ქარში, წვიმაში, თოვლში იდუმალი ძახილით მავალი, რომ იქნებ შენს ხმას მოვკრა ყური. მოგიძვე შენი ბედის ცდომილებს, რათა ვძლიო მათ და გიპოვო. და როცა მივხვდები, რომ ყველა ჩემი ცდა ამაოა, რომ ყველაფერი უცვლელად დარჩება, როცა ვერსად გიპოვი, ყველაზე ძლიერ მაშინ დაგიწყებ ძებნას.

• დროდადრო დროც დარდობს, რომ გარბის, რომ არ თმობს... რა შუაში არის და დროდადრო? ლექსს იმიტომ ვამბობ, რომ ვიზუალურად ლექსის ფორმა აქვს და სხვადასხვა საიტებზეც „პოეზიის“ განყოფილებაშია, თორემ ისე, ვერტიკალურად გაკეთებული, პატარა ჩანახატებია. ვგონებ, ეს არ არის ვერლიბრი. ვგონებ, ახალი მიმართულება იქმნება (თუ კარგა ხანია უკვე შეიქმნა). მე მას სახელად ვერტიკალურ პოეზიას დავარქმევდი. ...და ამ ყველაფრის ფონზე, თითქოს მესამეუბნა კიდევ ლექსების კუმულატებად ერთმანეთზე დაშენება (თან უკანონო მშენებლობებიც აიკრძალა) და ვიფიქრე, ჰორიზონტალური ლექსების წერა ხომ არ დააწყებო? ჰორიზონტზე ირწვიან თეთრი ჩიტები და ზღვა ჩუმია, მოწყენილი ემბრონივით, მე კი ვშიშინებ, თითქოს ბოლო გადაცემამ დატოვა ანძა. ლაშა.

ეს სიცოცხლე შორეული სანთლების, წმინდა დღეთა მკრთალი ანარეკლია. ო, თანდათან მქრქალდებიან ლანდები, იკარგება ადრეული მშენება, ზმანება კი ისევ გაიფანტება, არასოდეს აღარ მომეჩვენება.

• გამთენიის ნაცრისფერი ბინდია — დედამინის ბუნდოვანი მანდილი, გულში წმინდა ჟრუანტელი მინთია, აღსრულდება ნუთუ გულის ნადილი. შეისმინე მარადისის ძახილი, დაიჯერე, გაქრებიან ლანდები, მარადი დღე ახლოვდება ახალი, ლანდებივით მკრთალდებიან დარდები. ვიცი, რომ მზითვად არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“, არც წასაღებად დაკეცავენ ქირმანის შალებს, არც ქართულ კაბას ჩამაცმევდნენ ჯვარის საწერად, არც ვერცხლის ქამარს მომავლებენ დარდინ წელზე. ცაში ოთახი განათდება იაპონურად, ბედნიერებას მომილოცავთ უცხო კილოზე, მრავალ წერილებს გამაყოლებთ გზის საპოვნელად, მრავალ მოკითხვას დაუფხვდები ვით მკვდარ მიმოხვებს. დაეიმაღლები სიყვარულის ცისფერ სუნთქვაში, დიდი იქნება ალტაცება მზეგამართული, უხვი კოცნები, ვით კახეთში ღვინის მარნები და სადღეგრძელოს მოიტაცებს სიტყვა ქართული. ნამჯისფერ ფრჩხილებს დაამძიმებს მთვრალი ჰაერი, გულის პასუხი ყარამფილებს ველარ დაყნოსავს და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარული, რადგან მზითვები არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“.

• სახლი მინდოდა მქონოდა, უბრალო, ხის და ისლის, სასთუმლად — ნუშის ბალნარი, საბნად — თიბათვის ნისლი. ბალი მინდოდა მქონოდა, თვალუნვედნელი ჩრდილით, გადავრეკავდი მინდვრებზე შავითერა კრავებს დილით. ავაშენებდი სალოცავს გადადუღებულს კირში, გამოვიხსნავდი გაზაფხულს, ვაზებს ჩავყრიდი მწკრივში, გავახურებდი კოცონზე ჩემი ცხენისთვის ნალებს, მისი ქროლით და ჭენებით გადავუსწრებდი ქარებს. გაგაშენებდი ვენახებს, ცამდე ავწვევდი ზვარებს; და ავაგებდი სამრეკლოს, ვაგუგუნებდი ზარებს. მერე მოვარდნილ ნიაღვრით დავაბრუნებდი ნისქვილს და ჩემი პურის თონეში ფიჩხებს ჩავყრიდი — მზის სხივს, ბაბუაჩემის საწნახელს გადავუსწინდი ძარღვებს, არტერიებად დაბერილ ალადასტურის მკლავებს, ჩემი ჭიშკარის ბოლოსთან გვალვით დასიცხულ მგზავრებს ცივი წყლის ნაცვლად ვასმევდი ცოლიკაურის ხავერდს. მერე ვნახავდი საცოლეს — ცისფრთვალეხას, ლამაზს, შემოვარავდი საჩუქრად ოქროდავერცხლილ ქამარს და ჩემი მატყლის საბანზე ავიწყვიტავდი ალერსს, შვილებს სახელად მივცემდი ლაზარეს, თომას, პავლეს, მოვწყვეტიდი დედის ძუძუდან, რქმდე ვასმევდი ღვინოს და სასაფლაოს საყდარში შუბლზე ვაცხებდი მირონს, მერე შევსვამდი სამივეს უუნაგრო ცხენზე, პატარა ვაჟებს ვანდობდი, მე რომ თოფი მაქვს სხვენზე. წვეპლას მოვცხებდი თემოზე ჩემს ხალიბნალა ფაშატს და ვაჟებს ვანადირებდი, კვდომის ვაცნობდი ლაზატს. სახლი მინდოდა მქონოდა, უბრალო, ხის და ისლის, სასთუმლად



ტაიმ-აუტბი

როგორ შევხვდეთ კატის (კურდღლის) წელიწადს

მიხაილ ცაგარაღის ასტროლოგიური პროგნოზი

2011 — კატის (ჩინურად) და კურდღლის (იაპონურად) — წელიწადი იქნება ჰარმონიული და დინამიკურიც, რადგან წლის ლითონი ინური (პასიური) ენერჯის შემცველია. განსხვავებით წინა წლისგან, როცა უპირატესობა ოქროს ენიჭებოდა, წინა პლანზე წამოიწვეს ვერცხლი და მისი ნაკეთობები. ამიტომ, წლის განმავლობაში, ატარეთ წლის თილისმა — ვერცხლის სამკაულები. კარგი იქნება ყოველ სავსემთვარეობაზე თქვენი თილისმის (ბეჭედი, სამაჯური, საყურე) მთვარის ენერჯით და-

მუხტვა. ამისთვის, მზის ჩასვლის შემდეგ, თილისმა ხელისგულზე დაიდეთ და მთვარეს მიუშვირეთ — „გაუგზავნეთ“ მას საკუთარი აზრები, გრძნობები, ენერჯია და შემდეგ მთვარის შუქზე იგი დილაშუა დავლოვით. ამგვარად დამუხტული თილისმა რთულ სიტუაციებში დაგეხმარებათ. თავის ტკივილის დროს კი შეგიძლიათ, ის წარბებს შუა დაიდოთ.

საჩქარაბი ზოდიაქოს ნიშნებისთვის აღმოსავლური ალაზღრის მიხედვით

ვირთხის წელიწადში დაბადებულისთვის სასარგებლო საჩუქარი იქნება — წიგნი და ვერცხლის ჯვარი;

ხარისთვის — შუაში გახვრეტილი ვერცხ-



ლის მონეტა, ფენ-შუის ფულის ხე;

ვეფხვისთვის — ვერცხლისგან დამზადებული გულის ფორმის სუვენირი;

კატისთვის — ვერცხლის სამაჯური;

დრაკონისთვის — ვერცხლის ძენკვზე დაკიდებული ვერცხლის რქის გამოსახულება;

გველისთვის — ცირკონის ან ალმასისთვლიანი ვერცხლის ბეჭედი;

ცხენისთვის — ვერცხლის ნალი (მომრგვალებული ნაწილი ქვემოთ უნდა იყოს მიმართული);

თხისთვის — ვერცხლისგან დამზადებული მთვარის გამოსახულება, თეთრი ფერის თეთრეული;

მაიმუნისთვის — მცენარის ორნამენტის მქონე ვერცხლის ნაკეთობა;

მამლისთვის — ვერცხლის ხელისგულის გამოსახულება, თეთრი ან ვერცხლისფერი ხელთათმანები;





ძალისთვის — ვერცხლის ჯვარი, ქამარი; ტახისთვის — ვერცხლის მონეტა.

2011 წლის ფარაბი და მოთხოვნები

წლის ძირითადი ფერი თეთრია. ამიტომ, ჩაცმულობაშიც თეთრი უნდა ჭარბობდეს. შეგიძლიათ, ჩაიცვათ ვერცხლისფერი და ნაცრისფერი სამოსი. მისაღებია ლურჯისა და ცისფრის გამოყენებაც. სასურველია, თუ ამ ფერის სათამაშოებით მორთავთ ნაძვის ხესა და ამავე ფერებით გააწყობთ სუფრას. ახალი წლის ღამეს ნუ ჩაიცვამთ კატის ან კურდღლის ქურქს, ნუ გამოიყენებთ წლის მბრძანებლების ბენვით განყოფილ აქსესუარებს.

სუფრაზე უპირატესობა მიანიჭეთ — თევზეულს, რძის ნაწარმს, ხორცეულს, ძეხვეულს. კატეგორიულად იკრძალება საახალწლო სუფრისთვის კურდღლის ხორცის კერძების მომზადება. სასურველი არ არის დიდი რაოდენობით გოჭის ხორციც, რადგან კურდღელი 2011 წლის ერთ-ერთი მბრძანებელია, კარგი იქნება, თუ საახალწლო სუფრაზე მწვანილი, ბოსტნეული და ხილი გექნებათ.

სუფრაზე ასევე უნდა იდოს თეთრი ფერის კატის ან კურდღლის გამოსახულება. თუ საშუალება გაქვთ, ახალ წელს ცოცხალ კატასთან ან კურდღელთან ერთად შეხვდით. უმჯობესი იქნება, ვერცხლისფერი ნაძვის ხის მორთვა.

წლის მმართველი პლანეტა ვენერა ხელს უწყობს ქორწინებასა და სასიყვარულო ურთიერთობებს. ახალი წლის დადგომამდე 15 წუთით ადრე აანთეთ თეთრი ფერის სანთელი და ჩაუთქვით სურვილები, რომლებიც გსურთ, რომ დამდეგ წელს აგისრულდეთ.

დასაწყისი ის. გვ. 9

მიყვებოდა: შინ რომ დავბრუნდი, პირში ლაყვ კვერცხის გემო მქონდაო. მაშინ მიმხვდარა თავის დანაშაულს. პაპაჩემი გაცივებული ყოფილა და ინვა თურმე. მშვიდად უთქვამს: მოხვედი, გენაცვალოს მამა? მოდი ჩემთან ასლოსო. დედა, შემცბარი მიახლოებია და: აიტი, შე მინადასაყრელო, მთელი ღამე გვათუნებინე, დედაშენი კინალამ გაგიჟდაო! — შეუძახებია. რაც მთავარია, დედაჩემმა თვითონაც ვერ გაიგო, როგორ აღმოჩნდა მაყარში. შთაბეჭდილებებში იყო და თითქოს ამ შთაბეჭდილებას გაჰყვა, დრო ვეღარ შეიგრძნო (ილიმის). საოცარი ქალი იყო დედაჩემი. თითქოს ზუსტად ისე ცხოვრობდა, როგორც და რისთვისაც ადამიანმა უნდა იცხოვროს.

— თქვენ როგორ იცხოვრეთ, თავი არასდროს დაგიკარგავთ?

— არა (ჩაფიქრდა)... სულ მე ვარ, ერთი (ილიმის).

— „ეპიგრაფებში“ დაგინერათ: „სიყვარული და პოეზია?.. როცა ორ მიუნჯდომელზე ლაპარაკობენ, მათი ღირსებები ერთმანეთში ერევათ. სინამდვილეში მეტი ისაა, რაც მეტად გწყურა“. მინც რა აღმოჩნდა ცხოვრებაში მეტად მწიფელოვან: სიყვარული თუ პოეზია?

— პოეზია გამოსხატვის საშუალებაა, საკუთარ თავს გამოხატავ, ისატები. ჩემთვის ყველაფერი ნიგნია: ცაც, ბუნებაც, ადამიანიც. სიყვარული? ქალის და კაცის ურთიერთობა ხომ, ჩვენთვის საზღვარია სიყვარულის! არადა, სიყვარული გაცილებით მეტია და უცნობი, ვიდრე ქალისა და კაცის სიყვარული და ერთად ყოფნა. დაუკვირდით? საბჭოთა ნაწარმოებების გარდა, სიყვარული არასად შედგა: არც „ლეილმეჯუნინაში“, არც „რომეო და ჯულიეტაში“... „ვეფხისტყაოსანს“ რაც შეეხება, რუსთაველი ეგრე არ დაამთავრებდა. ქორწილი რაღა არი, რო? ის ეპილოგი მერე მიმატებული მგონია. ეს ამბავი სივრცეში უნდა განყვებლიყო იმიტომ, რომ სივრცეშია განყვებლი თვითონ რუსთაველის და თამარ მეფის ცხოვრება... ეტყობა, დასრულებული არაფერი ვარგა... მითქვამს, საინტერესოა, რა იქნებოდა, იმ წუთშივე რომ ინერებოდეს ყოველი განცდა-მეთქი?.. მგონია, სიცარიელე იქნებოდა. ახლა, მაგალითად, ძალიან ცუდ დღეში ვარ: ქალაღი და კალამი სულ გვერდით მიდევს აქა. სულ სახიფათო მდგომარეობაა: როგორც ნახირი შედის პატარა გასასვლელში და ერთმანეთს აწყდება, ხანდახან ასეა აზრებიც და უნდა მოვასწრო დანერა. ნათქვამიც მაქვს: წერისთვის მთავარია, რაც წამოგახტუნებს...

— ბატონო ბექა, იშვიათად სტუმრობთ თიანეთს. რატომ?

— მშვიდად ვარ, რომ იქ ლევანია,

ჩემი ვაჟი. თანაც, ვერ ვიცი, სულ საქმე მაქვს. კიდევ... თითქოს თიანეთი ისეთი ალარ არის ჩემთვის (ჩაფიქრდა). სახალხო დღესასწაულებსა და წვეულებებზე ჩასვლა ძალიან არ მიყვარს. შეიცვალა თიანეთიც, ბევრი რამ დაანგრის. ძველი ეკლესიის ადგილას ბანკი ააშენეს, სასაფლაოც იყო, იქ ბიძაჩემი გვყავდა დაკრძალული... უცნაური თვისება აღმომაჩნდა: მანქანით რომ მიგვივარ თიანეთში, ვიდრე ჩემს სახლამდე მივალ, გზად თითქმის ვერაფერს ვხედავ. ეტყობა, ყველაფერს ღრმად ვარიდებ თვალს. დღემდე ვერ ვიგებ საკუთარი თავისას, როცა ნაცნობი, ახლობელი, შვილიც კი მეუბნება, რომ შემომხედე და გამიარეო. ახლა იმასაც ვფიქრობ: ხომ შეიძლება, მანქანით რომ მიგვივარ, უცებ დავიკარგო? არ ვიცი, ეს რას ნიშნავს. ირგვლივ ბევრი რამ ხდება, ადამიანიც ბევრ შთაბეჭდილებას აგროვებს, ხან უხარია, ხან წსყინს. ეს სიხარულიც რა არის? — უცებ შეგიპყრობს, ნამიერად, თითქოს ჯოხით გაგაქციეს და თავქუდმოგლეჯილი გარბინარ. ეს კი კარგი აქვს, მაგრამ მერე საზიანოა: იმავე წუთს უკან წყნა მოსდევს წვეპლით... დედაჩემი რომ ძროხას წველიდა, მე ბოჩოლა მეჭირა და ერთი სული მქონდა, როდის მოწველიდა, რომ გავთავისუფლებულიყავი. თან იქვე ვფიქრობდი, განვიცდიდი: ჩემი სიჩქარით მოწველის პროცესში ხომ არ ვერევი, რაიმეს ხომ არ ვაფუჭებ-მეთქი? ასეთი ჭიდილიც მქონდა საკუთარ თავთან.

— ეს უფრო ბავშვური სონდის ქნაა, მაგრამ უკვე გარზდილს, დანაშაულის გრძობა სმირად გაგჩნათ?

— ეგ ჩვეულებრივი რამ არის, ნორმალური მოვლენაა. მოინანიებ და, რა? ყველა მოგონებას ხომ არ წაშლი, გადაყრი? დავინყება იოლ არ არის. წარმოიდგინეთ, რამდენჯერ ავსულვარ და ჩამოვსულვარ ჯერ ჩემი სკოლის კიბეებზე; მერე — უნივერსიტეტის; ახლა — სახლის. ყველგან ხომ მე ვიყავი და ვარ! იმიტომ იყო, თიანეთში ბოლოს რომ წავედი იორზე საბანაოდ, ვუყურებდი ქვებს და... ყველა ჩემზე ახალგაზრდად მომეჩვენა (ილიმის). განა ასაკზე ვფიქრობდი? — დროზე, რომელც ამ რიყესთან მაკავშირებდა... თუნდაც ეს ჩვენი საუბარი, მზრდის. იცი, რამდენი კმაყოფილება მივიღე, უხილავი?..

P.S. „...როცა მოგვედები, მერეც კარგა მაგრა ვიცოცხლებ, რადგან სიტყვაში ვიქნები და სიტყვა მაცოცხლებს. რადგან ჩემი სიტყვა არაფერს არაა ამოფარებული, არც გმირობას, არც ნაწარმოებს... მარტო საკუთარ თავს ებრძვის და სხვებისთვის დრო აღარ რჩება... ვინ ამწონის მე სამი აბზაცის მერე? მკითხველო, შედი ავტორის გვამში და იხილე იქ დაღლილობა...“ — ბესიკ ხარანაული, „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“.





სებულა და შეუსწავლია. ჩვენი მასპინძლებიდან ერთ-ერთი თურმე სშირად ჩამოდის საქართველოში და ღვინოსაც აქ ყიდულობს. ჩვენი ქვეყანა ისე უყვარს, რომ ორთაჭალაში ბინაც კი იყიდა.

— ქართული ენაც ხომ არ იცის?

— არა. უფრო სწორად, ისე იცის, რომ ვერ გაიგებ, რას ლაპარაკობს. შეგვპირდნენ, საქართველოში რომ ჩამოვლენ, დაგვიკავშირდებიან და აქაც ქართულად მოვილხენთ. როგორც გავარკვიე, შოტლანდიელები ვერ იტანენ ვერც ინგლისელებს და ვერც რუსებს: ორივე ქვეყანას დამპყრობლად მიიჩნევენ. ქართველები ძალიან მოვინჯვართ. გვეუბნებოდნენ, ჩვენც

სხანის მიღვა

ექით და წამოდით, თქვენთვის დამახასიათებელი აგრესიული გულშემატკივრობა ხერხს არ დაგაყრით, ქართველები არაფერს შეგარჩენენ, ეგენი თქვენზე უარესი გიჟები არიანო. შოტლანდიელები ვაჟკაცები არიან და სხვა ადამიანშიც ამ თვისებას აფასებენ. ლამის ბარში რამდენიმე ჭიქა ვისკი რომ დავლიეთ, ჩვენმა ახალშემენილმა მეგობრებმა სხვა ბარში დაგვპატიჟეს. მისვლისთანავე მივხვდით, რომ მაღალი შოტლანდიელი ადგილობრივი კოლორიტი იყო. ამ კაცმა ცოტა ხანში ყვირილი დაიწყო — ჯერ ინგლისი „შეამკო“ უწმანური სიტყვებით, მერე კი ერთიმეორის მიყოლებით, რამდენჯერმე გაიმეორა, — „სკოტლანდ, სკოტლანდ, სკოტლანდ!“ როგორც ჩანს, სასმელმა გავლენა ჩემზეც იქონია: წამოვდექი და ახლა მე დავიყვირე, — „ჯორჯია, ჯორჯია, ჯორჯია!“ ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა მე მიყურებდა. რომ ვიფიქრე, ახლა დადგა ჩემი



ქართული დასის წევრები მერაბ ნინიძესთან ერთად

მაქვს წამოწყებული და დასამთავრებელი...

— შენ მიერ წამოწყებულ და დასასრულებელ საქმეებს შორის ერთ-ერთი — აგვისტოს ომის გმირებზე დოკუმენტური ფილმის დასრულებაა. ბოლოს და ბოლოს, როდის იხილავს ამ ფილმს მაცურებელი?

— კონკრეტული დღის დასახელება მიჭირს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს მალე მოხდება. სხვათა შორის, ეს ფილმი ერთადერთი არ არის, რომელსაც აგვისტოს ომის გმირებს ვუძღვნი. ამრილიდან ქართველ მებრძოლებზე კიდევ ერთი სურათის გადაღებას დავიწყებთ, მაგრამ ის მხატვრული იქნება და „ლიმილის ბიჭები“ ერქმევა.

— ამის შესახებ რეზო ჩხეიძემ თუ იცის?

— რა თქმა უნდა, იცის — ის ჩვენი პროექტის კონსულტანტი და მხარდამჭერია. ცუდი რატომ იქნება, თუ 1969 წლის შემდეგ პირველად, ქართულ ეკრანებზე „ლიმილის ბიჭები“ ისევ გამოჩნდებიან?! ბატონი რეზოს წამოშეყარი — კლასიკაა, ჩვენ მიერ გადაღებული ფილმი კი — თანამედროვე, თან მსოლოდ რეალურ ფაქტებზე იქნება აგებული. ფილმს ორი სათაური ექნება — „ლიმილის ბიჭები“ და „ცივი აგვისტო“. ეს პროექტი გრანდიოზული და საქართველოში ყველაზე მაღალბიუჯეტიანი პროექტია.

— ვინ გაფინანსებთ?

— რამდენიმე დიდი კომპანია, როგორც ქართული, ისე უცხოური. ამ ფილმში ყველასათვის ცნობილი მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. მსოფლიოს კიდევ ერთხელ უნდა დავანახოთ, თუ როგორი გმირები გვყავს ქართველებს. ■



თქვენსავით, გამუდმებით დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდითო.

— შოტლანდიელები საქართველოს ისტორიას ასე კარგად იცნობენ?

— კი, იცნობენ. კიდევ ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით: სალამოს, მე და ჩემი კოლეგა, ლაშა ოყრაშიძე ვისკის დასალევად ლამის ბარში შევედით, სადაც კილტებში გამოწყობილი შოტლანდიელები გავიცანი. ერთ-ერთი მათგანი ძალიან მაღალი იყო და ერთობ თამამად, შეიძლება ითქვას, თავხედურადაც კი იქცეოდა. რომ გაიგეს, ქართველები ვიყავით, ძალიან გაუხარდათ. მითხრეს, — საქართველოში, „დინამოს“ სტადიონზე ვართ წამყოფები; თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდე 500 გულშემატკივარს ორკვირიან ტრენინგს გვითარებდნენ, გვაფრთხილებდნენ, თუ ჩვენმა გუნდმა წააგო, ად-

ალსასრულის დღე-მეთქი, ჩვენმა მასპინძელმა, მაღალმა შოტლანდიელმა დაიძახა, — „ჯორჯია, სკოტლანდ! ჯორჯია, სკოტლანდ!“ — და სხვებიც აჰყვნენ. ძალიან ბევრი კარგი რამ მოხდა ედინბურგში... მაგრამ საქართველოში რომ დავბრუნდი, ბევრი პრობლემა დაიხვდა. უამრავი საქმე



სტუმრად შოტლანდიელების ოჯახში

ჩვენ გრუქნით ზიგნებს!

მხოლოდ 31 დეკემბრამდე

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“
+ „პალიტრა მედიის“ კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ
საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის წიგნი-ბესტსელერი:

„ვიზუალური ლექსიკონი“

ან

„ცხოველების ენციკლოპედია

ან

„დედამინის ენციკლოპედია



„პალიტრა მედიის“ გამოცემები

დასახელება	1 ეგზე ფასი	ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე	ფასი 1 წლით
კვირის კალიტრა	1.00	52	52.00
სიტყვა და სავა	1.00	260	260.00
სიტყვა და სავა (კატალოგი)	2.00	52	104.00
ყველა სიასლა	1.00	52	52.00
გზა	1.00	52	52.00
რეიტინგი	1.00	52	52.00
პრინალი	1.50	26	39.00
კარიჭა	1.00	26	26.00
ოჯახის მკურნალი	1.00	26	26.00
კარუსელი	0.60	52	31.20
საბავშვო კარუსელი	1.00	52	52.00
ბომონდი	5.00	12	60.00
ლელო	0.60	312	187.20
პოეზი	5.00	12	60.00
ლიტერატურული კალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00

**2500 ფარადი ილუსტრაცია,
12 დეტალურად განხილული
კატეგორია,
608 გვერდი**

დაგვიკავშირდით პრესისა და
წიგნების გავრცელების
სააგენტო „ელვა.ჯი“

☎ 38-26-73; 38-26-74;

www.elva.ge

ეს წიგნები მაღაზიებში 33 ლარი ღირს



„ერთხელ წიგნი ჩემს უფროს მოვარე“

რა ნიშანი დაუწერა ოთარ ჟირია საკუთარ თავს

ის ყოველ დღით 4 საათზე იღვიძებს და ქართულ პრესას ეცნობა. მერე ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებულ სიახლეებს საზოგადოებას პირდაპირ ეთერში უყვება. წიგნების წასაკითხად დრო ნაკლებად რჩება. მისი საყვარელი ავტორები მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე არიან. ბოლო დროს ფსიქოლოგიური ჟანრის ლიტერატურამ გაიტაცა. კითხვაზე — ოდესმე წიგნი თუ მოგიპარავს? მპასუხობს, რომ უხერხულ მდგომარეობაში ვაგდებ. მერე სახეზე ხელებს იფარებს, იცინის და მცირე პაუზის შემდეგ დასძენს: „წიგნი წლების წინ ჩემს ყოფილ უფროსს მოვარე, მერე მინდოდა, დამებრუნებინა, მაგრამ შემრცხვა, ვერ დაგისახელებ. ძალიან მაგარი წიგნია, დღემდე ვინახავ „იმან“ რომ გაიგოს, „გაგიჟდება“. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გეტყვი, „ერუდიტის“ სტუმარი „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის პრესის მიმომხილველი — ოთარ ჟირია გახლავთ.

თავისუფალი კინიკაპი

პრაგმატულის ავტორი

- „გზას“ სხვა ჟურნალებისგან რით განასხვავებ?
- „რუსთავი 2“-ში ჩემ გარშემო რამდენიმე ადამიანია კიდევ, რომლებიც ყოველი ხუთშაბათის დილას „გზის“ გაცნობით იწყებენ. ეს გამოცემა სხვა ჟურნალებისგან რადიკალურად განსხვავებულია, თქვენ არ „ნადირობთ“ მხოლოდ ცნობილ ადამიანებზე, რომლებიც თითქმის ყოველდღე ჩანან ტელეეკრანზე. სამაგიეროდ, აქცენტს საინტერესო თემებზე აკეთებთ. ისეთ პიროვნებებს გვაცნობთ, რომლებზეც სხვაგან ნაკლებად წერენ. ჩემთვის „გზის“ მიერ არჩეული გზა უფრო საინტერესოა.
- რუბრიკა „ერუდიტზე“ რას იტყვი?
- ეს რუბრიკა ბევრს მოსწონს, პრესის მიმოხილვაში ის არაერთხელ გამოიშუქებია. არ ვიცი, თავად რამდენად საინტერესო სტუმარი ვიქნები.
- ამას ახლავ შევამონებ.
- კარგი, დავინწყოთ.

- იტალიაში ზოგიერთი ქუჩის კუთხეში ღვთისმშობლის სკულპტურა დგას. მასზე აბრებია მიკრული. რა აწერა მათ?
- (ფიქრობს) იტალიაში ნამყოფი ვარ.
- მაშინ უნდა გამოიცნო.
- მგონი, ქუჩების დასახელებები აწერია...
- ნამდვილად ასეა. ნადირობა გიყვარს?
- ბავშვობაში ერთი-ორჯერ ვარ სანადიროდ ნამყოფი — მწყერი და ბატი მოვინადირე... ისე, ნადირობა არ მიყვარს და ამისთვის არც მცალია...
- თუ ბერძენ მონადირეებს დაფუფუნებთ, ბოლო დროს ფრინველები ძალიან „გაუმზადნენ“. საშემოდგომო გადაფრენისას, ცდილობენ, საბერძნეთს ორშაბათობით გადაუფრინონ. ბერძნების აზრით, ფრინველებს ეს „უმშაკობაში“ რატომ ეთვლებათ?
- არ ვიცი. ავიაფრენებს ხელს ხომ არ უშლიან?
- ორშაბათს ნადირობა აკრძალულია.
- ეს მართლა არ ვიციოდი.
- ახალ წელს იაპონელებს სახლებში ფიჭვის ტოტები შეაქვთ, როგორც სიძლიერისა და დღეგრძელობის სიმბოლო; ქლიავის ტოტები — როგორც მარადიულობის



- სიმბოლო და კიდევ ერთი მცენარე — როგორც სათნოების სიმბოლო. დაასახელე ეს მცენარე.
- ჩემი აზრით, ის ბამბუკი იქნება. ამ მცენარეს იაპონიაში დიდი დატვირთვა აქვს. საკვსაც კი ბამბუკის ქიქებით სვამენ.
- გამოიცანი. რომელი ფრინველი იძინებს ფეხზე მდგომი?
- წერო.
- რა ჰქვია მონეტის წინა მხარეს?
- წინა მხარეს ავერსი ჰქვია, უკანას — რევერსი.
- გვერდით მხარეს?
- ეგ კი აღარ ვიცი.
- გურტი. ეს კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა და 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა. რომელ კავშირზეა ლაპარაკი?
- ყოფილ საბჭოთა კავშირზე.
- „სახე გამზადარო, კუმტი და მწერალი სონმინდის მადლით დაჰმვენებოდა და მალალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს, შარავანდედი გადაჰფენოდა“. რომელ პერსონაჟს აღწერს ასე ილია ჭავჭავაძე?
- განდეგილს, სწორად მახსოვს?
- დიას. რომელ ძვირფას ქვას აგდებდნენ ძველი ბერძნები ღვინოში თრობის თავიდან ასაცილებლად?
- ვაიმე! ერთხელ მეც ჩავაგდე და ველარ ვისხენებ.
- მერე, არ დათვერი?
- მაინც დათვერი (იცინის).
- ეს ქვა ამეთვისტოა. ეს მომღერალი 1952 წელს დაიბადა. მამამისი მერძევე იყო, დედა — პარიკმახერი. მომავალმა ვარსკვლავმა ბავშვობა გაჭირვებაში გაატარა. ფორტეპიანოსა და მუსიკის სიყვარული დედამ ჩაუნერგა. ახალგაზრდობაში სწირად შავ და ყვითელზოლიანი პულოვერი ეცვა, რისთვისაც მეტსახელი (ფუტკარი) მიიღო. დაასახელე იგი.
- ვერ გიპასუხებ.
- სტინგი.



— რას ამბობ... სტინგი ჩემი საყვარელი შემსრულებელია.

— რომელ ქვეყანაში მდებარეობს ევროპის გეოგრაფიული ცენტრი?

— ბრიუსელში.

— ცდები, გეოგრაფიული ცენტრი უკრაინაშია დასახელებული, რომელიც ზღვის დონიდან 400 მეტრით დაბლა მდებარეობს.

— მკვდარი ზღვა.

— ვინ არის კომპოზიტორი ილია ქავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეყანა“?

— რევაზ ლალიძე.

— ორი კაცი მდინარის ნაპირთან მივიდა, ორივეს მეორე ნაპირზე უნდოდა გადასვლა. იქვე იყო ნაგი, რომელშიც მხოლოდ ერთი კაცი ეტეოდა. მიუხედავად ამისა, მდინარის გადაცურვა ორივემ შეძლო. როგორ მოხდა ეს?

— 2 კაცი იყო? მე 3 კაცზე ვიცი, აბა, შენ მიპასუხე, მდინარის ნაპირზე 3 კაცი მივიდა, სამივეს მეორე ნაპირზე უნდა გადასვლა, ნაგში მხოლოდ 2 კაცი ეტევა. როგორ უნდა გადავიდნენ მეორე ნაპირზე?

— ეს ადვილად გამოსაცნობია, ჯერ ორნი გადავლენ, მათგან 1 ნაპირზე დარჩება, 1 კი მობრუნდება და იქ დარჩენილ ადამიანს გადაიყვანს.

— შენ კი მიპასუხე, მაგრამ მე პასუხი არ მაქვს.

— ის 2 კაცი მდინარის სხვადასხვა მხარეს იყო.

— დამაბნე და მაგდენი ვერ მოვიფიქრე (იციანის).

— ეს მწერალი 1826 წლის 28 აგვისტოს იასნაია პოლიანაში დაიბადა. თბილისში 1851 წელს ჩამოვიდა და აქ 2 თვეზე მეტხანს დაყო „არ ვიცი, არის თუ არა კავკასია შთაგონების ქვეყანა, მაგრამ იგი უფრო სიყვარულის ქვეყანაა.“ — აღნიშნავდა ერთ-ერთ წერილში. დასახელებ ეს მწერალი.

— ბულგაკოვი ან მაიაკოვსკი.

— ცდები, არც ერთია და არც — მეორე. ის „ომისა და მშვიდობის“ ავტორი გახლავს.

— ლევ ტოლსტოი.

— ამ დიდი მხედართმთავრის გადმოსვენების ცერემონიაზე, როცა ცხენებზე მსხვერპლი მოაგორეს, ხალხმა, ვეტერანმა ჯარისკაცებმა ცხენები გამოუშვეს, თვითონ შეებნენ და ასე მისაფრეს გმირის ნეშტი. ვინ იყო ეს მხედართმთავარი?

— არ ვიცი.

— პეტრე ბაგრატიონი. ფიქრობენ, რომ პირველად ეს კულტურა ამერიკიდან ესპანეთში ქრისტიანული კოლონებმა, 1493 წელს ჩამოიტანა, ესპანეთიდან საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში მოხდა შემდეგ იტალიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, თურქეთში, ხოლო XVII საუკუნეში — დასავლეთ საქართველოში. რომელ კულტურაზეა ლაპარაკი?

— პომიდორზე.

— ცდები.

— მაშინ, ლობიო იქნება.

— დიან. აღმოსავლეთის რომელ დიდ ფილოსოფოსს მიანერენ ამ ფრაზას: „დიდ კაცსა და პატარა კაცს შორის ურთიერთობა მსგავსია ქარსა და ბალახს შორის ურთიერთობისა. როცა ქარი უბერავს, ბალახი წვება“.

— კონფუციის.

— „ქართლის ძირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი/ იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერ/ ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარუქცევს ბევრი/ მცირედ დარჩა ცოდეის-აგან კაცი ლეთისგან შენანვერი“, — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— არ ვიცი.

— დავით გურამიშვილი. აქაური თბილი წყლები ძალიან უხდება რევმატიზმით დაავადებულებს. ეს ძველთაგანვე

ცნობილია. სწორედ ამ თბილი წყლისგან არის მიღებული კურორტის სახელწოდება, რასაც მეგრულიდან სიტყვასიტყვით თუ გადმოვიტანთ, „წყალ-თბილა“ ჰქვია. რომელი კურორტია ეს?

— წყალტუბო.

— რომელ ქვეყანაშია აღმოჩენილი უძველესი ქართული წარწერა?

— პალესტინაში.

— 1626 წელს ერთმანეთს ქართველთა ორი ლაშქარი დაუპირისპირდა. ერთს გიორგი სააკაძე მეთაურობდა, მეორეს — თეიმურაზ I. სად გაიმართა ეს ბრძოლა? (ფიქრობს) — ამ ბრძოლას „ქართველების სირცხვილი“ უწოდეს. მინიშნებით მაინც მიპასუხე.

— ვერ გიპასუხებ.

— ბაზალეთის ტბასთან და „ბაზალეთის ბრძოლის“ სახელით არის ცნობილი დემეტრე I, ალექსანდრე I დიდი, თეიმურაზ I, ერეკლე II — ჩამოთვლილთაგან რომელი მეფე არ აღკვეცილა ბერად?

— ერეკლე II.

— ხელოვნების რომელ სტილს ეკუთვნის „ზამთრის სასახლის“ არქიტექტურა სანქტ-პეტერბურგში?

— სავარაუდო პასუხებს ვერ მეტყვი?

— ბაროკოს, როკოკოს თუ რომანულს?

— ალბათ რომანულს, არა?

— სწორი პასუხია — ბაროკო. ორმა კაცმა 900 ლარი გაიყი. მათგან ერთ-ერთს 500 ლარით მეტი შესვდა. რამდენი ლარი შესვდა მეორეს?

— მათემატიკა მიყვარს.

— მაშინ პასუხის გაცემა არ გაგიჭირდება.

— (ფიქრობს) მეორეს 400 ლარი შესვდებოდა.

— ეს როგორ გამოიანგარიშე?

— არასწორია? მაშინ 0 ლარი შესვდებოდა.

— ამ პასუხით კიდევ უფრო გამოცე.

— გეგვენები, კითხვა გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) მივხვდი, მეორეს 200 შესვდებოდა.

— რისგან იღებენ კოკაინს?

— მცენარე კოკას ფოთლებისგან.

— აქვს თუ არა აქლემს სწორი ხერხემალი?

— აქვს. მისი კუბები შეცდომაში ვერ შემიყვანს.

— როგორ იბადება ზღარბი, ეკლებით?

— (იციანის) არა, ეკლებით როგორ დაიბადება. ზღარბი თხელი ბალნით იბადება, შემდეგ მისი თმა ეკლებად იქცევა.

— ვინ არის სახელმწიფოს მეთაური იაპონიაში?

— იქნებ სავარაუდო პასუხები ისევ მითხრა.

— იმპერატორი, გუბერნატორი თუ პრეზიდენტი?

— იმპერატორი.

— რუსული წარმოების ამ პისტოლეტებიდან რომელია ავტომატური — „მაკაროვი“, „მარგოლინი“, „სტენ-კინი“ თუ „ტეტე“?

— „სტენკინი“.

— სპორტის რომელი სახეობის საერთაშორისო ფედერაციაა ფირა?

— რაგბის.

— დედამიწის რომელ ნაწილში არის კონცენტრირებული სასმელი წყლის ყველაზე მეტი რაოდენობა?

— ევროპაში, არა?

— ანტარქტიდაში. დასრულე სწევას ცნობილი გამონათქვამი: „ბედნიერება ადამიანს არასოდეს აყენებდა ისეთ სიმაღლეზე, რომ მას არ დასჭირვებოდა...“

— უბედურება.

— უბედურება რამ გაგახსენა? „რომ მას არ დასჭირვებოდა მეგობარი“. საკუთარ პასუხებს როგორ შეაფასებ?

— ნ-ქულიანი სისტემით, 3-იანზე მეტი არ მეკუთვნის.



ბონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(პიტხვები)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

1. ეს იტალიელი კომპოზიტორი საშინელი ლორმუცელა გახლდათ. მას არაფრად უღირდა იტალიის მთავრობის ჯილდოები და გაიძახოდა: ამ მედლებს მერჩინა, ორი თავი ყველი მოუცათო. დაასახელეთ იგი.

2. „ამ ავტობიოგრაფიას რომ ვწერ, ერთი წუთითაც არ მავინცდება, რომ სამარიდან გესაუბრებით. ეს ნამდვილად ასეა: ეს ნიგნი რომ დაიბეჭდება, მე ცოცხალი აღარ ვიქნები, მირჩენია მკვდარმა ვილაპარაკო, ვიდრე ცოცხალმა, მეტად სერიოზული მიზეზის გამო: სამარეში უფრო გულახდილი ვიქნები“. რომელი ამერიკელი მწერლის ავტობიოგრაფია იწყება ამ სიტყვებით?

3. რა არის ჭყიშპო?

4. როგორ დაიღუპა ვლადისლავ ვანკოვა?

5. რომელ წელს გააკეთეს გულის გადანერგვის პირველი ოპერაცია?

6. ვინ არის აშშ-ის სენატის სპიკერი?

7. სად დაიბეჭდა პირველი კროსვორდი?

8. ვის ეკუთვნის სიტყვები: „რეკოლუცია, პირველ რიგში, ჩვენს გულებში უნდა მოხდეს“?

9. რა ჰქვია ყურანის ცალკეულ თავს?

10. იუნესკო, ნატო, ლაზერი, ფიდე, ფიფა, სამბო. რა აქვს საერთო ჩამოთვლილ სახელწოდებებს.

11. ფეხბურთის ისტორიას ასეთი კურიოზიც ახსოვს: ვენის „ვაკერისა“ და კლაუგენფურტის „აუსტრიის“ მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა. მსაჯმა აუჩქარებლად გასწია გასახდელისკენ, შხაპი მიიღო, ჩაიცვა და შინ წასასვლელად გაემზადა. უცებ რაღაც გაახსენდა, სასწრაფოდ გადაიცვა ფორმა და მოედანზე გავარდა. რა გაახსენდა მსაჯს?

12. დაასახელეთ სახელმწიფო აფრიკაში, რომლის ყოფილ იმპერატორს 10 კაცი ჰყავდა შექმული.

ანექლოცენი



— შენს სანახავად ცოლი მოვიდა, — ეუბნება ზედამხედველი პატიმარს.

— უთხარით, რომ აქ არა ვარ.

სამყაროში სხვა ცივილიზაციის არსებობის უტყუარი დადასტურება ის არის, რომ ჩვენთან დაკავშირება დღემდე არავის უცდია.

— განცხადება შემაქვს განქორწინებაზე, ჩემი ცოლი უკვე წელიწადია არ მელაპარაკება.

— გონს მოდი! სადღა ნახავ მაგისტრანს ქალს?!

ხანში შესული მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი მატარებლის ერთ კუბეში მოხვდებიან. ღამე ქალი აღვიძებს კაცს და შესჩივის, ძალიან მცივაო. კაცი ეუბნება:

— ორი გამოსავალი არსებობს: ან წავალ და გამოცილებელს კიდევ ერთ საბანს გამოვართმევ, ანდა, წარმოვიდგინოთ, რომ ცოლ-ქმარი ვართ.

— ჯობია წარმოვიდგინოთ, რომ ცოლ-ქმარი ვართ! — ეუბნება ქალი.

— ჰოდა, მაშინ მიბრძანდი და გამოცილებელს შენ თვითონ გამოართვი საბანი.

მასწავლებელი:

— დამისახელე ორი ნაცვალსახელი.

— ვინ, მე?

— ყოჩაღ, სწორია!



ჭარბწონიანი ქალბატონი ტანსაცმლის მაღაზიაში შევიდა:

— საჩემო არაფერი გაქვთ? — ეკითხება გამყიდველს.

გამყიდველმა აათვალღერ-ჩაათვალიერა:

— შეგვიძლია, მშვენიერი უნგრული ცხვირსახოცები შემოგათვაზოთ.

შინ მისულ ქმარს ცოლი ეუბნება:

— უთო გადაინვა და იქნებ შეაკეთო.

— რომელი ელექტრიკოსი მე მნახე?!

მეორე დღეს ონკანი გაფუჭდა. ცოლმა ისევ ქმარს სთხოვა დახმარება.

— რომელი სანტექნიკოსი მე მნახე?!

მესამე დღეს სახლში დაბრუნებულ ქმარს უთოც და ონკანიც გაკეთებული დახვდა.

— ვინ გააკეთა? — ეკითხება ცოლს.

— მეზობელმა.

— რა გთხოვა სამაგიეროდ?

— ან მომეცი, ან მიმღერეო.

— მერე, უმღერე?

— რომელი მომღერალი მე მნახე?!

ცოლი ქმარს:

— იცი, მალე მამა გახდები.

ქმარი მოცელილივით ეცემა სკამზე:

— მაინც ყველაფერი მოგიყვა, ხომ, იმ გათახსირებულმა?!



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. ჯოაკინო ანტონიო როსინი.
2. მარკ ტვენის.
3. ჭაობის გრძელნიკარტა ფრინველი.
4. ჩეხი მწერალი გერმანელზე და დახვრიტეს.
5. 1967 წელს.
6. აშშ-ის სენატში არ არსებობს სპიკერის თანამდებობა.
7. პირველი კროსვორდი ნიუ-იორკში, ჟურნალ „წმინდა ნიკოლასში“ გამოქვეყნდა.
8. ერნესტო ჩე გევარას.
9. სურა.
10. ყველა მათგანი აბრე-ვიატურაა.
11. მატიჩი სათასო იყო და გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო უნდა დაენიშნა.
12. კონგოს სახალხო რესპუბლიკა.



— თქვენ ლომების მომთინიერებელი ბრძანდებით?
— დიას!
— როგორ, ასეთი დაბალი და გამხდარი?! ლომები რატომ არ გეპარებიან?!
— სწორედ მაგიტომ! ჩემს გასუქებას ელოდებიან, მაგრამ ვერ მივართვი!

ქმარმა გაზეთში წაიკითხა — პამელა ანდერსონი ვილაც დაკუნთულ სპორტსმენს ცოლად მიჰყვებოდა და აყვირდა:
— ასე როგორ უმართლებთ ცხოვრებაში იდიოტებსა და თავცარიელ რეგენებს?! სულ ამისთანებს რატომ რჩებათ მსოფლიოს ულამაზესი ქალები?!
— გმადლობ, ძვირფასო, — ისმის მეორე ოთახიდან ცოლის ხმა.

მოსკოვში, ქუჩაში ორი მეგობარი საუბრობს:
— შარშან სად დაისვენე?
— სოჭში.
— კარგი იყო?
— არა! გამქურდეს, ჩემი ბიჭი გალახეს, ცოლი და ქალიშვილი გააუპატიურეს.
— წელს სად მიდიხარ?
— მე და ჩემს ბიჭს ანტალიაში გვინდა წასვლა, მაგრამ ჩემი ცოლი და ქალიშვილი ატყდნენ, ისევ სოჭში წავიდეთო.

— მამი, დედამ დაგიბარა, დღეს სახლში წინდების ამარა იაროსო.
— ვითომ რატომო?
— ნემსი დავკარგე და ეგებ მიპოვოსო.

ქმარი ცოლს:
— ნანული, ხომ გეუბნებოდი, ქალები ძალიან ბევრს ტლიკინებენ-მეთქი. ნახე, რა წერია გაზეთში: ქალი დღეში საშუალოდ 22000 სიტყვას წარმოთქვამს, კაცი კი მხოლოდ 11000-ს.
— ეს იმიტომ, რომ ქალებს ყველაფრის გამეორება უხდებათ.
— რა თქვი?!

— ქალო, 2 საათის სიცოცხლე დამრჩენია, გულახდილად მითხარი, ჩემი სიკვდილის შემდეგ გათხოვდები თუ არა?
— დანყნარდი, შენ შემოგველე, რა ყველაფერზე ნერვიულობ, — ამშვიდებს ცოლი, — გავთხოვდები, აბა, რას ვიზამ!

სვანი მეგრელთან არის სტუმრად. მეგრელმა აქეიფა და ცალკე ოთახში დააწვინა. დილით ეუბნება:
— ერთით ნული!
— რა ერთით ნული? — გაუკვირდა სვანს.
— ლამით გიხმარე.
სვანი გაბრაზდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს მეგრელს ეუბნება:
— ერთით ერთი!
— რა ერთით ერთი?
— ლამე გიხმარე!
— შენ ხომ არ გაგიჟდი, — გადაირია მეგრელი, — გუშინ გეხუმრე. შენ, რა, მართალი გეგონა?
— მაშინ ერთით ნული! — გაუხარდა სვანს.

რეანიზორობა





ჰოროსკოპი

16-22 დეკემბერი

ვიზიტი

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა რომ არ დაგეძაბოთ, მასთან ერთად მეტი დრო გაატარეთ; გაანებივრეთ საჩუქრებითა და რომანტიკული სიურპრიზებით.

კუჩრი

უმჯობესია, საოჯახო საქმეები მოაგვაროთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

ტყუპი

სასიამოვნო შეხვედრებით დატვირთული პერიოდი გელით. მოსალოდნელია ფლირტი და რომანტიკული საღამოები.

კიჩბხობი

საქმიან კონტრაქტებს იურისტის გარეშე ხელი არ მოაწეროთ. საკუთარ მოსაზრებებს ყველას თავს ნუ მოახვევთ. ეცადეთ, სხვებსაც გაუგოთ და კომპრომისზე წახვიდეთ.

ღივი

ახალ საქმეებს ნუ წამოიწყებთ, ძველები დაასრულეთ, მაგრამ ნურც დასვენებას დაივიწყებთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევა.

ქაფხუდი

არ არის გამორიცხული, ახალი შემოსავლის წყარო გაგიჩნდეთ. საკუთარ იდეებს სხვებს ნუ გაუზიარებთ — შესაძლოა, ბოროტი ადამიანების მსხვერპლი გახდეთ.

სახსნი

მეგობრებთან ერთად ახალ ბიზნესპროექტს წამოიწყებთ, რაც მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

ფიცი

გადატვირთული და დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო შესაძლოა, ჯანმრთელობა გაგიუარესდეთ. ხშირად დაისვენეთ და მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე.

მთვინე

მეგობრებს თქვენი პირადი ცხოვრების ყველა წვრილმანს თუ მოუყვებით, შეიძლება, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიფუჭდეთ. ამ კვირაში თქვენი მატერიალური დანახარჯი გაიზრდება.

თხილი

სამსახურში ახალი იდეები განახორციელებთ. რჩევისთვის უფროს კოლეგებს მიმართეთ. ოჯახის წევრებთან ნუ გამოიჩინებთ სიჯიუტესა და სიმკაცრეს.

მეფხუდი

ეს პერიოდი დასვენებისთვის გამოიყენეთ. მეტი დრო დაუთმეთ შვილებსა და მშობლებს. არასწორმა ინფორმაციამ შესაძლოა, კოლეგებთან კონფლიქტი გაამწვავოს.

თიფხუდი

ახალი იდეების განხორციელება მომავალი კვირისთვის გადადეთ. მეტი დრო დაუთმეთ დასვენებასა და ორგანიზმის გაკაჟებას. ნუ აიღებთ გრძელვადიან სესხსა და ვალს.

ხილის მოყვარულებს

დააკვირდი, რომელ ხილს მიირთმევს შენი მეგობარი და მასზე ბევრ საინტერესოს შეიტყობ:

● **ქოქოსი** სერიოზული, მოაზროვნე ადამიანი მიირთმევს. უყვარს მეგობრებთან ერთად გართობა. საკმაოდ ჯიუტია და მისი გადარწმუნება ძნელია. როგორც წესი, ჭკვიან და მატერიალურად უზრუნველყოფილ პარტნიორზე ქორწინდება.

● **ატი** მოყვარულს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს, ბევრი მეგობარი ჰყავს, გულდია და ამბიციურია. სიმათლის თქმის არასდროს ერიდება. ტყუილსა და წყენას ადამიანებს ადვილად აპატიებს. ერთგული შეყვარებული და ვნებიანი საყვარელია.

● **ლიდერს ვაშლი** უყვარს. სამართლიანი და მომთხოვნი ხელმძღვანელია. ყოველთვის ადვილად პოულობს რთული სიტუაციიდან გამოსავალს. ხანდახან ექსტრავაგანტური და იმპულსურია. უყვარს მოგზაურობა და ხალხთან ურთიერთობა.

● **კეთილი და თავისუფლების** მოყვარული ადამიანი **გარგარს** ანიჭებს უპირატესობას. უყვარს ლექსებისა და ჩანახატების წერა. უამრავი მეგობარი ჰყავს, მაგრამ ხშირად

საკუთარ თავში იკვებება და საიდუმლოს მხოლოდ ერთგულ, გამოცდილ მეგობარს უზიარებს.

● **გრეიპფრუტის** მოყვარულს გარ-



შემო მყოფთა ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს. ექსტრავაგანტურობით ახლობლებს ხშირად შოკში აგდებს. ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია საკუთარი თავის დაცვა.

● **მამაც და კეთილ ადამიანს ნესვი** უყვარს. არასდროს ექცევა სხვათა გავლენის ქვეშ. ვერ იტანს ალკოჰოლს. ყოველთვის აღწევს დასახულ

მიზანს და ხშირად მაღალ თანამდებობაზეც მუშაობს.

● **მანდარინის** მოყვარული მხიარულია, მუდამ ანცობს, მეგობრებს ემასხრება. იუმორის გრძნობას ღრმად სიბერეშიც არ კარგავს.

● **მსხლის** მოყვარული ყველა საქმეს ენთუზიაზმით იწყებს, მაგრამ ბოლომდე იშვიათად მიჰყავს. უყვარს სხვათა გაკრიტიკება. ემოციური და ფეთქებადი ხასიათი აქვს. თუ მოინდომა, ნებისმიერ პრობლემას ადვილად მოაგვარებს.

● **ზრდილობიანი და გულკეთილი** ადამიანი **ბაღს** მიირთმევს. თუ შეუყვარდა, მისი გულისთვის სიცოცხლესაც კი განირავს. უყვარს ანეკდოტების მოსმენა და მოყოლა. ვერ იტანს ჭორებსა და სიცრუეს. შეყვარებული პატარა ბავშვს ემსგავსება.

● **ალუბლის** მოყვარულის ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით. სირთულეებს არ ეშუება და ცხოვრებას ხშირად თავიდან იწყებს. სიახლეები იზიდავს. ხშირად იცვლის სამსახურსა და საცხოვრებელ ადგილს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



			1. მზარე საქართველოში			2. შხამიანი ბუზი	3. ქვეწარმავლის შხამი	4. ცხენირემი	5. ღერეფანი		
			6. ალორბინების ხანა					7. გადაადგილების სამუალება			
						8. თევზის წვნიანი				9. ბიბლიური პერსონაჟი	
											10. ფრანგული ავტომობილი
11. სასწვლელების ტიპი					12. პარფიუმერიული სითხე	13. ვეფიელი	14. ქრისტანობისთვის წმინდა არაბი				
15. შექმნილი ნათესავი		16. რუსი მეიგავე	17. სტალინის დედა			18. ღვაწლი					
		19. თეატრალური კოლექტივი				20. ლუთერანული ეკლესია		21. პურის სოკო	22. ტუჩი		
		23. ქალაქის ტრანსპორტი	24. იპონური არაფი				25. მწერი				
					26. გემის მზარეული	27. რევაზ ლალიძის ოპერა			28. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი	29. მაღალკვლიანი კალოში	
30. ქვეყნის ნაწილი					31. მარცვლეული კულტურა						
32. ესკიმოსების წინულის ქოხი	33. სელაპის სახეობა					34. განთიადი, გარიფრაჟი					
35. ძლიერი ქარი											
36. ბაზმარჯის როლის შემსრულებელი											
37. ერთგვარი ქუდი				38. შოტლანდიური ნაგავი							
39. მოხეტიალე მლოცველი	40. ზღვის პატარა ყურე		41. ... გარსია								

წინა ნომრის სკანოკრილის პასუხები

1. მარიამობა; 2. რუსონდენტი; 3. ინტერი; 4. ყაყანი; 5. მექა; 6. ტბორი; 7. დასტაქარი; 8. ნორი; 9. ნალია; 10. ლასო; 11. ლაიკა; 12. კომბაინი; 13. ძმა; 14. ასფალტი; 15. კიკა; 16. დამასკი; 17. ალასკა; 18. სია; 19. პიკი; 20. მაისი; 21. ალაფი; 22. ალაო; 23. ბანტრონი; 24. ანდამატი; 25. ფსიტი; 26. სელი; 27. ამუნიცია; 28. კუტი; 29. იშტა; 30. მქიკო; 31. გიდი; 32. უმა; 33. ნატურა; 34. სისინი; 35. ოვაცია; 36. ნათლია; 37. ატლასი; 38. ნუტრია; 39. არგონი; 40. დისტანცია. სურათებზე: 1. მადონა; 2. სტინგი.



საფინანსო კროსვორდში

- შპსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ.
- კროსვორდის სწორად ამოსწის შემთხვევაში გამოუქმებულ უფრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

დ. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ბ.** ებრაელთა ბიბლიური მამამთავარი; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **ს.** ბრინჯის არაყი; **ზ.** დროებითი ფასიანი ქალაქი, რომელიც ქვეყნის მოქალაქეს სახელმწიფო ქონების მცირე ნაწილის ფლობის უფლებას ანიჭებს; **ე.** რა ერქვა ჩე გევარას; **ვ.** ბიბლიური პერსონაჟი; **მ.** ჩხიბზე ჩამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; **ნ.** ქართველი ტომოდელი თავი ...; **თ.** თენგიზ აბულაძის ფილმი, რომელმაც „ნატურის ხესთან“ და „მონანიებასთან“ ერთად ტრილოგია შეადგინა; **ი.** რა ერქვა ქალს, რომლის გულისთვისაც ტროას ომი დაიწყო; **ე.** მდინარე ეგვიპტეში; **ს.** პატარა თევზსაჭერი გემი; **შ.** მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული რუმინეთში. მაზრა, ოლქი; **ჩ.** ცის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც საკუთარმა შვილმა ცელით მოჰკვეთა ასო და ისე გამოასალმა სიცოცხლეს; **ც.** ქალაქ მადრიდის საფეხ-

ბურთო კლუბი; **ც.** საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული ყმანვილი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც უიმედოდ უყვარდა ნიმფა ექოს; **ძ.** განთიადი; **წ.** ალვირის ნაწილი, ცხენის პირში ამოსადები რკინა; **ჭ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ხ.** ყაჩაღის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ყ.** ხაბრონის ერთ-ერთი სახელი; **ქ.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ღ.** ლითონის ფულის, ან მედლის უკანა მხარე; **ყ.** დროის აღრიცხვის ერთეული, წლის მეთორმეტედი; **ბ.** რა ჰქვია შვარცენგერს; **დ.** წელზე შემოწყობილი ხელე-ბი ისე, რომ იდაყვები განზეა განუული.

- წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
- **ბ.** გასპარა; **ზ.** ზვავი; **ა.** ანცი; **ვ.** ვერონა; **ი.** იდილია; **ს.** სოსელი; **თ.** თემიდა; **მ.** ვითა; **ი.** იშხანი; **ს.** სმოკი; **ა.** აკვანი; **ო.** ოინი; **დ.** დიეზი; **ა.** აკლდამა; **მ.** მამლუქი; **კ.** კრატერი; **ი.** იოსები; **თ.** თხა; **ს.** ხედი; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ეკლერი; **ლ.** ლისტი; **ი.** იუმორი; **ს.** სნობი; **თ.** თხუნელა; **ვ.** ვიციანი; **ი.** იტალია; **ს.** სიდნეი; **ა.** ავაკი; **ო.** ოტო.
- გამოქვეყნებული უჯრედებში იკითხება:**
- **სატრის მიხედვით სადღის მოუცადოდ**

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

8	7	1	6	3	5	2	9	4
2	4	6	7	8	9	5	3	1
9	3	5	1	2	4	8	7	6
1	9	8	2	4	3	7	6	5
3	5	7	9	6	1	4	2	8
4	6	2	5	7	8	9	1	3
5	1	3	4	9	2	6	8	7
7	2	4	8	1	6	3	5	9
6	8	9	3	5	7	1	4	2

5	4	3	8	9	1	2	6	7
1	7	9	3	2	6	5	4	8
6	2	8	4	5	7	1	9	3
3	8	5	2	7	4	9	1	6
7	1	4	5	6	9	8	3	2
9	6	2	1	3	8	4	7	5
4	9	7	6	8	2	3	5	1
2	3	1	7	4	5	6	8	9
8	5	6	9	1	3	7	2	4

5	8	6	9	2	4	1	3	7
9	7	4	8	1	3	5	6	2
1	2	3	6	7	5	9	8	4
7	3	1	2	5	6	4	9	8
4	9	2	3	8	7	6	1	5
6	5	8	4	9	1	2	7	3
2	4	9	1	3	8	7	5	6
8	6	7	5	4	9	3	2	1
3	1	5	7	6	2	8	4	9

* მარტივი

		5	9			6
	3			6	7	
				3	2	
	9		1			3
		7	8	6		1
6			5			9
		2	3			
		9	7			4
7				1	5	


** საშუალო

1			4			8	3
2			6				7
		7	8			9	
		5		7	2		
	2		3	4		6	
		8	9		5		
		9		3	4		
3				8			5
8	2			9			1

*** რთული

8			5				6	2
		3			4			5
		6		9		1		
	2		8	1			4	
		1			9	2		
	8			7			5	
		9		4		5		
3			9			8		
4	7				5			3

ფოტოკუჩიონები



27

ფიკციონალიზმი

„პალიტრა მედია“ წარმოგიდგენთ

ისტორიულ ზემოცნებით

ეურნაღს




მთავარი რედაქტორი

ჯაბა სამუშია

სიასლე

6.99
ლში

*უჩოხეთ წიგნის
მალაზიები!*



უჩოხეთ წიგნი და მარტივი რჩევები მთელი ოჯახისთვის



პირველი არსი აცხადებს
შესარჩევ კონკურსს
ახალი სატელევიზიო პროექტისთვის

ხარ 17-დან 25 წლამდე?
გინდა შექმნა სატელევიზიო გადაცემა?



ახალი სატელევიზიო პროექტი
პილოტი

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა შეავსეთ სააპლიკაციო ფორმა, რომელიც განთავსებულია პირველი არხის საიტზე WWW.1TV.GE და გამოაგზავნეთ მითითებულ მისამართზე PILOTI@GPB.GE

ან მოიტანეთ შემდეგ მისამართზე:
კოსტავას 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი

განცხადებები მიიღება
27 დეკემბრამდე.

გამარჯვებულ სატელევიზიო პროექტში „პილოტი“ და
გახდი ტელევიზიის თანაპროექტი!

დამწიგნობელი ინფორმაციისთვის იხილეთ:
WWW.1TV.GE . გადაცემა „პილოტი“


1TV.GE

საკონტაქტო ტელ.: 995 (32) 40 90 59

როლანი - წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!
მისი ღრუბლი მთლიან თავიდან აგასილებთ წონაში გატებასას

- ეხომობიუხად სუფთა, ბუნებრივი ჰელოქანი
- ხელს უშლის ნახშირწყლის სხივებში ბალანსიან
- ხელს უწყობს სხივების ბოლომდე დაწვას
- აქვეითებს მასას ენაბიის მომართვის ფონზე
- წოხამდე დაწყევს სიმსუქნის ჰოხომონი დაჰბინი და ქოლესტერინი
- ოხბანიზმიდან ბამოქვს ზადმები სითხე და ჰენაქები ანახიბაბს სუჰმის მომდებად სისბემას

როლანი



გოგვაკითხეთ მისაგართუა:
თბილისი, რუსთაველის გზაზე №28
ან მიგართეთ „ნაოფარის“ და
„ჯი პი სის“ სააფთიაჟო ქსელს,
როგორც თბილისში, ასევე
ქუთაისსა და ბათუმში.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
99 00 14; 895308405;
893 668318; 897117867;
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniitd@mail.ge

მიღების წინ გავცანეთ ინსტრუქციას, გვარდითი მოვლენების უპასუხოდ დატოვებული ინფორმაციები. შესაძლებელია ვივარდითი ექიმის

„კვირის პალიტრის“ კულაფსია „დიდი მხატვრები“

b 122/46

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - მეღვკრები და ისტორიები
წიგნი XIV

ტიციანი


3-დან - 20 ლაპეზმბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მეთხვევისთვის სპეციალური ფასი 15 ლაი!



დიდი მხატვრები

ტიციანი



ტიციანი

კვირის პალიტრა და კულაფსია



L. L. IV. V. VI. VII. VIII. IX. X. XI. XII და XIII ტომის წიგნის გადართობის გაყვანა

„კვირის პალიტრის“ სელმომერთა საყურადღებოდ! წიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდით **„ელვაჯი“-ს** ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ